


კვირის პალიტრა



# პრეზენტი

N26 (420) 26/VI-2/VII.2008 ფასი 80 თეთრი

## პრეზენტი

PRI



**დასურეს თუ არა ინგა გრიგოლიას გადასვლა?**

**...ეს თვითონაც არ იცის**

### ქართული უოკი!



**ტრანსნეფუნალის ოთხი თვალი და მისით მოხიზვული მამაკაცები**

**„ყველასთვის მისაწვდომი ძალი არ ვარ“...**

**„ჩვენი ტანდები შედგა“...**



**მალხაზ ქვრივიშვილის ახალი პარტნიორი**



**გიგნესხენისა და უამოქმადის „უთანასწორო“ მემოირება**

**პირველი საბჭოთა „ოსკაროსანი“ პირველი იყო...**




### როგორ ყალიბდება ადამიანური საბედისწერო ფოტო



# იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები  
და გათქაშები იტალიიდან



 **OIKOS**

# გიგი წამათელა შერნოსტის შეტევის გაშკოლ

მისი საყვარელი შწერლები – გურამ რჩეულიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე პუშკინი, ანტონ ჩეხოვი არიან. ახალგაზრდობაში ბევრს კითხულობდა, დღეს კი პოლიტიკური საქმიანობის გამო, მზატვრული ლიტერატურისთვის დრო ნაკლებად რჩება. უმეტესად ახალიტიკურ, პოლიტიკურ ლიტერატურასა და ცნობილ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს კითხულობს.



22



№26 (420)  
26 ივნისი - 2 ივლისი,  
2008 წ.  
ფასი 80 თეთრი



# შეშინებული გაუგებები და გზაგაგებული მოგზაურობა

ბავშვობაში გაჩენილი შიში ფობიით შეყვრობილ, გამრულებული ფსიქიკის მქონე ადამიანს აყალიბებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ადამიანებისთვის ბუნებრივი – შიშის გრძობა ნორმის ფარგლებს სცილდება და მისი მუდმივი თანამღვეი ხდება.

29

## ■ მინიატიურები

ევროპის ჩამოშორებაი ფხეზურთი ანუ „დასაქმების პროგრამა – 2008“ 5

■ **ფაქტი და კომენტარი**  
„ამ ქვეყნის ხელისუფლებას საქართველოსთვის ხელის განძრევა არ უნდა“ 6

■ **რეპორაჟი**  
„მომავალ არჩევნებზე ვუჩვენებთ ამ ხელისუფლებას, როგორ უნდა თვალში ნახდეს შუაქა“... 7

■ **მასკაღია**  
დაინურა თუ არა „პრაიმტივი“? 7

■ **პრობლემა**  
ბარა მოვამჩა: „ქართულ ქალაქს თხაბივიტი გვერეკვინან“ 8

■ **ქარა**  
ქართული სოფალი, სადას ქათოლიქაევი მართლმადიდებლებად ინათლებინან 10

■ **ქურანლისის როლი**  
მალხაზ ქერივივივილი და მისი ახალი ბიზნესპარტნიორი 12

■ **ქარიშხალი**  
✓ „თუ იმას არ გააკეთებ, რასაც ვაგყვი, ამ დანით დაგჭირ...“ 14

✓ **ჯოჯონეთი ბოქიონ ქვეგვი** 15

■ **ქასნარტი**  
უხსნოლი ქონფლიქტოლოგის თვალით დანახული ქართული პრობლემები 17

■ **დაიქვანტი** 18

■ **ართი დღე**  
შინ „დამწყვდელა“ მანუელა „გვის“ ქურანლისტავით სტეპარი დეაფრთსო 19

■ **ანტიდევარსანტი** 20

■ **ქურულიტი**  
„მთლად ქარტი ქატი ვარ იყო“... 22

■ **ალსარება**  
შურიგებელი ანა (გაბრეკლება) 24

■ **ტანღავი**  
ბიზნესმენისა და შვიმქედის „უთანასორო“ შვიმგროგა 26

■ **თიგა**  
შვიმნახული გავშევი და გზაგახული მოგზაურობა 29

**შურანალი** **შურანალი**

**„ქთიურბ“ ხერ რაქ ვაქერბ...“**

ბიზნეს-პროექტი

ქთიურბ არა მხოლოდ ბიზნესის, არამედ სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ამიტომ, მისი განვითარება და მხარდაჭერა უნდა იყოს ქვეყნის მთლიანი პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი.

ქთიურბის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მისი მხარდაჭერა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ამიტომ, მთავრობის და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით, ქთიურბის განვითარება უნდა იყოს ქვეყნის მთლიანი პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი.



# ხომალქსები

# მბს უნილგები




ოიუ დამიანთი მუყცვლოლია, მას ვერ დასინაყაქებენ.



ფოხოკალუნდარი

39-70



– და შენც ახალი ღმერთი მოტეხე?! – მიზლით მიუგლო მუროხიმ.  
– უბირი ხარ, ფხოველო! – ბრაზი მოერია ჰასანს.  
– არ ვარ უბირი კითხვაც ვიცი და წერაც მეხერხება. ბერტენთა ენაც მესმის, – უპასუხა მუროხიმ.  
– ოჰო, სად ისწავლე ბერტენული? – გაეკვირდა ჰასანს.  
– ნათლის სასახლის კარზე ბერტენი ბერი გვწვრთნიდა მე და ჩემს ძმას, – არ დაუმალა მუროხიმ.

didgoris caze  
frenda is jvari

82

<b>■ ანომალია</b>	
ქართული ზრანსეპსუალის ოთხი თვალი და მისით მონიჭებული მამაკაცები	31
<b>■ თინეიჯარული პონებები</b>	
✓ მამობრებად ქმეული ღარდი, წუხილი და ღვარსინა	33
✓ „სოლმა რუმ მიზამოვა, ეს ქალთა მოღვმის კი არა, შანი ზრალია!“	34
<b>■ ჩვანი მკითხველი</b>	
„გზა“ კალიან მიყვარს“ ...	36
<b>■ ჯანმრთელოვა</b>	
როგორ შვამაშნოთ სხოვრების ხარისხი	37
<b>■ ქვრნალი ქვრნალო</b>	
✓ სხოვრება	39
✓ გზავნილები	55
<b>■ შთამოშაოვა</b>	
პირველი სხოქოთა „ოსკაროსანი“ ზეშო ვერის ქვრებში ღარბოღა...	71
<b>■ როშანი</b>	
სვაზა კვარასხელია. შორიელის ნიშანი (გაბრკალება)	74
<b>■ ზაიშ-აუშტი</b>	78
<b>■ საკითხავი ქალბოსთვის</b>	
✓ სისხლის ჯგუში და სიყვარული	80
✓ მაკიაში 10 წუთში	81
<b>■ ისტორიული როშანი</b>	
გოგა მანელიქა. ღიღგორის სვაზა შრანღა ის ჯვარი (გაბრკალება)	82
<b>■ ქართული მილიონრები</b>	
უშდიღრანი ეშიგრანებები	86
<b>■ ვარსკვლავები</b>	
✓ სიანა მიღვარს ჰიშ ლეჯარის პიშაშაში სძინავს	87
✓ ორლანღო გლუშა მიხანიღ გოგზაროშთან	
ართად ვანშოშის შანსი ღაქარება	88
✓ მარანი ქარი გავიშოღღა	88
<b>■ თანაშაშაშაულიანი</b>	
უხსოთის სის ქვეშ	90
<b>■ საგანწარი</b>	
მარჯანიშვილთა წარუშული ქვალი	91
<b>■ შინღღანები</b>	
✓ ღვთის ნინაშა საშოშოღოსთვის თაქვღღებით განღღღებული შოწაშა	93
✓ რაშოშ არის ეშტრეაეაოღვის მარხვა სხვაღღსხვა ხანგრკლიოვოშის	94
<b>■ ეშიგრანებები</b>	
როგორ უშღრინან ეშერიქელ გავშეხვს ქართულ „ნიანანას“	95
<b>■ გეღღღი</b>	
მხაღღართთაქარი სგალინი (გაბრკალება)	96
<b>■ წარმეგვა</b>	
გარჯანელი შოწარღვის შოგზაუროგა პარიშში	98
<b>■ ავშო</b>	102
<b>■ სკანწორღი</b>	104
<b>■ გისტი</b>	105
<b>■ პროგწოწი</b>	106

**გარეკანზე: ირმა ლიპარტალიანის კოლაჟი**

საწოგაღლოშგრბ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გავიღვის კვირაში შრთხელ, სუთშაბათოში გავშთ „კვირის პალიტრის“ ღამაშგვა შურნალი ხელმღღვანელოშ თავისუფალი შრესის პრინციპებით. რეღღქვის აზრი შესაღღო არ ეშთხეოღღს მასალის აუტორის აზრს. შთავარი რეღღქტორი: ზურაბ აბაშიძე  
შთ. რეღღქტორის შთაღღღეღღები: ლალი ფაცია, ლიკა ქვჯავაძე  
მენეჯერი: შთე კბიღაძე  
**მისამართი: თბიღღისი, იოსებიძის ქ. №49**  
**ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com**  
**რეკღღამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.**

**Seurigebeli ana**



– გაიცანით ჩვენი ოჯახის ახალი წევრი – ანა, ჯაფარიძეთა მშვენიერი ასული, ჩვენი ძმისა და მეგობრის, დიდებული ვაქეკაცის, დავითის რჩეული, მეუღლე და მისი შვილის დეღა. გთხოვთ, მიიღეთ და დააფასეთ!..

**სისხლის ჯგუში და სიგვარული**

თურმე, სისხლი ადამიანის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს განაპირობებს. ამ ურთიერთკავშირის ანალიზმა დაადსტურა, რომ სხვადასხვა ჯგუფის სისხლის აღმნიშვნები სხვადასხვანაირად აგებენ თავიანთ ურთიერთობას საყვარელ ადამიანთან.




**მერაია ქერი გუშეღღა**




მერაია ქერის ახალი სინგლის – Loving You Time პრომოვიღღოს გადაღებების ღროს მომღღრალი კამერის წინ გაშიშეღღა. ჰვავის კუნტულებზე, მღღნარე ოაჭუს კლღოვან სანაპიროზე, პოპის დელოფაღს სხეულს მხოლოდ ბიკინი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი უფარავღა.

**მარეღღის ნიშანი**

მის ყვირიღღე ირაკლიმ მანქანა აღღღის მოსწევიგა და ეღღვისსწრაფესად, ჯიპის უკან მომეღღალი შავი მანქანისკენ დაიღრა, მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით. ჯიპიც მოგრიღღაღა და უკან დაეღღენა. „მერსედესი“ ორ მანქანას შუა აღმოჩნღა.



– რას შერეები?! – იღღრიაღღა გურამშა. – გაგიჟღი?! უფრო მაღლე გინღა მომკლან?!  
– გაჩეღღი, – წყნარად, მაგრამ გესღღიანად უპასუხა ირაკლიმ.



# ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში ანუ „დასაქმების პროგრამა – 2008“

რამდენიმე დღეც და ისტორიას ჩაჰბარდება 2008 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი და ჩვენს ცხოვრებაში საშინელი სიცარიელე დაისადგურებს. არადა, რა კარგი სამი კვირა გავატარეთ ტელევიზორებთან! შეიძლება ითქვას, მთელი ქვეყანა ფეხბურთით ცხოვრობდა: ჯერ — ყოველდღე 2-2 თამაში, შემდეგ თითო-თითო, სტუდია, ჩართვები, პროგნოზები, ფან-კლუბები და რაც ყველაზე საგულისხმოა, ექსპერტთა კომპლექტური კომენტარები — ამდენი პროფესორი თუ გვყავდა, რომელმაც ზეპირად იცის, რაში შეცდა დონადონი და როგორი განლაგება უნდა ჰქონოდა ვან ბასტენს, ნეტავ, ჩვენს ფეხბურთს რატომ აქვს საქმე ასე ცუდად?!

არ ყოფილა ქართველების საქმე სოფლის მეურნეობა და აგარაული ცხოვრება, Georgia-ც სულ ტყუილად გვქვია; დავირქვით FIFA (ევროპისა და აზიის საზღვარზე ვართ და მართო UEFA-ს ხომ არ დავირქმევთ?)! და ქვეყნის ამყავვებელ პრიორიტეტად საფეხბურთო მწვრთნელების გაყიდვა-გაქირავება ვაქციეთ — თუ ნებისმიერი ფან-კლუბიდან გამოსულმა ლუდით გაუღეთილ-

საქართველოში დღეს ყველა ბიზნესი „სკოლზკია“ — დღეს — მოგება, ხვალ — ფინანსური პოლიცია... მოკლედ, სერიოზული ფული დატრიალდა ფსონების დადებაში, სპორტული ჟურნალ-გაზეთების გაყიდვაში, ფეხბურთის მომხიბვლელ ვარსკვლავთა პირადი ცხოვრების ამსახველი სტატიების წერაში და ა.შ. ამას რა სჯობია, დასაქმდა ხალხი და აყვავდა ქვეყანა, მით უმეტეს, სასვე იყო ეს ჩემპიონატი ალოგიკური სიურპრიზებით, მოულოდნელი შედეგებით და განზილებული გულშემატკივრებით. სოფლებიდან იწყო ხალხმა დედაქალაქისკენ დენა, „დასაქმების პროგრამაში“ რომ ჩართულიყო, გაყიდა ყველი და ქათამი, მაგრამ დაპირებული ნითელი ნკაპუნების ნაცვლად, ჰოლანდიის 1X-ის გაფუჭებული ბილეთი ჩაუტანა შვილს. მეტი მოულოდნელობა რაღა გინდათ, როცა ჰოლანდიას გულბათ ჭაჭყავადის ჭინჭილის ისტორია გაუმეორდა: იტალიასა და საფრანგეთს აჯობებს და რუსეთში ჩაუღაგა ჩემოდანი. სამაგიეროდ, ვისაც რუსეთზე ეყო ფსონი, იმან ზღვაზე დასვენებაც გაინაღდა, თუ, რა თქმა უნდა, აზარტმა არ აცდუნა და მოგებული თანხა ისევ ტოტალიზატორში არ შეაბრუნა...



რამდენიმე დღეც და „დასაქმების პროგრამაც“ დამთავრდება, მერე რა ვქნათ, რა ვაჭამოთ ხალხს, სანამ მსოფლიო ჩემპიონატის „დასაქმების პროგრამა“ დაინწყება?! რა ვაჭამოთ და, ფეხბურთი თუ დამთავრდა, „ფეხბურთელების ცოლები“ გრძელდება „რუსთავი 2“-ზე. ახლა ცოლების ფან-კლუბები ავამუშაოთ და თუ აქამდე ქართველი ცოლები ელოდნენ ტოტალიზატორებიდან შუალამით დაბრუნებულ ქმრებს — რას ამოიღებდნენ ჯიბიდან, — ახლა ქმრები დაელოდებიან სერიალების მოყვარულ ცოლებს — რამდენად გაამართლა მათმა ინტუიციამ. ფსონების დადება კი აქაც ყველაფერზე შეიძლება: რომელი ფეხბურთელის ცოლი ვისთან დანებდა, ვინ შეუტევს „პირველ ტაიმში“ ანუ ვინ იქნება „ზემოდან“, რამდენ „ტაიმს“ შეძლებენ საერთოდ და ა.შ.

მა თინეჯერმა დომინიკზე უფრო უკეთ იცის, როგორ უნდა ეთამაშა საფრანგეთის ნაკრებს, სად ვალპობთ ტალანტს, ბატონებო?!

ასე რომ, ტვინს თუ გავანძრევთ, ყოველთვის გვეშველება. თვითონ უნდა მოვიფიქროთ დასაქმების პროგრამა, აბა, სულ მთავრობა ხომ ვერ მოგვიფიქრებს ჩემპიონატებს და ოლიმპიადებს! ბოლო-ბოლო, სადარბაზოსთან რომ ოთხი კაცი დომინოს თამაშობს და დანარჩენი თორმეტი რიგს ელოდება, ხომ შეიძლება, ამას ჩემპიონატის სახე მისცენ? 1/8 ფინალიდან დაიწყება თამაშები, ფსონებს დადებენ, ცოლები უგულშემატკივრებენ, შვილები ფან-კლუბებს შექმნიან — კორპუსიც გამოცხადდება და ფულიც იტრიალებს...

არა, ნამდვილად საფეხბურთო ქვეყანა ვართ. არაფერი ისე არ გვანტერესებს, როგორც ფეხბურთი: საინფორმაციო გამოშვებაში — ფეხბურთი, ტოქსოუმი — ფეხბურთი, „კომედი-შოუში“ — ფეხბურთი, ავტობუსში — ფეხბურთი და პოლიტიკაშიც — ფეხბურთი, რა თქმა უნდა, კრივის ელემენტებითურთ...

ფეხბურთისადმი ასეთი ინტერესი იმიტაცაა განპირობებული, რომ მამა-მარჩენლად მოგვევლინა. შეიძლება ითქვას, საქართველოში განხორციელდა სამკვირიანი, მთავრობის მიერ დაპირებული, დასაქმების პროგრამა: ფანებით გაივსო და ამუშავდა უამრავი მიძინებული ბარი, სადაც მართო ერთ საღამოს იყიდებოდა იმაზე მეტი ლუდი და „ფისტაშუკები“, ვიდრე ეს ბარი ერთ თვეში ყიდდა; ასიათასობით ადამიანი დასაქმდა ტოტალიზატორებში: მართალია, ეს ცოტა არ იყოს „სკოლზკია“ ბიზნესია და ბევრმა დღეს რომ ლარით 15 ლარი მოიგო, მეორე დღეს ის უკანასკნელი სერვიზიც გამოიტანა სახლიდან, რომელიც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს სასწაულებრივ გადაურჩა, მაგრამ რას იზამ?!

*PS. ყურებჩამოყრილი ქმარი ბრუნდება სახლში:*  
**ცოლი:** — ისევ წააგე ტოტალიზატორში, ხომ? თვითონ ამბობდი წააგებს იტალიაო და რატომ არ დადე ჰოლანდიაზე?!  
**ქმარი:** — ჰოლანდიაზე რომ დამედო, ფულს კი მოვიგებდი, მაგრამ მორალურად მართალი არ ვიქნებოდი...  
**ცოლი:** — კარგი, არა უშავს, დაჯექი, გადაიღე და ჭამე.  
**ქმარი:** — ეს რა არის, ცარიელი თევზია!  
**ცოლი:** — თევზი ცარიელია, მაგრამ მორალურად ივახშმე!..

პროვოკატორი

# „ამ ქვეყნის ხელისუფლებას საქართველოსთვის ხელის განდევნას არ უნდა“



რუბრიკამ — „ფაქტი და კომენტარი“ საზოგადოების საკმაოდ დიდი გამომხატველია გამოიწვია. მკითხველი სწორად მიკავშირდება და მთხროს, მისი მოსაზრება, ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით, ჟურნალში დავაფიქსირო. რამდენიმე ადამიანმა ისიც კი მითხრა, — თქვენს რუბრიკას აღარ წავიკითხავ, რადგან სულ ოპოზიციის მომხრეებს ალაპარაკებთო. მაგრამ ჩვენ ეს ბრალდება უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, რადგან ყოველთვის ვცდილობთ, როგორც ერთი, ასევე მეორე პოზიციის ადამიანების აზრი დავაფიქსიროთ... გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად საზოგადოება სხვადასხვა ამბავს ასახელებს: ზოგს „ბორდელის“ გახსნის ფაქტი აშფოთებს, ზოგს — დაკარგული ტერიტორიების ბედი, ზოგს კი ოპოზიციის „შვებულება“ ან გარე მოვაჭრეების მიერ მოწყობილი „კონცერტი“...

## „ვიცი, რამდენი ფული აქვთ მათ...“

### ნათია ქივიციანი

ნანა ზოჭორიშვილი, ქიმიკოსი, 52 წლის:

— გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად ლილოში მომხდარი მკვლელობა მიმაჩნია. მაგრამ შემზარავი, პირველ რიგში, მოკვლევისა და მასთან მცხოვრები ქალბატონების საქციელი იყო. თურმე, მეძაგვები ყოფილან და „ბორდელი“ სახლში გაუხსნიათ. მართალია, საკუთარ სხეულს ყველა ისე იყენებს, როგორც სურს, მაგრამ ამ ფაქტმა მაინც გამაღიზიანა: მეზობლად ხომ ბავშვები ცხოვრობდნენ და როგორ შეიძლება, მათ გვერდით ასეთი სიბინძურე ჩაიდინო?.. მიუხედავად იმისა, რომ მეძაგი კი არა, სიკვდილისთვის კაცისმკვლელებიც არ მემეტება, მგონია, რომ ყველა სხეულით მოვაჭრის ბოლო ასეთია.

ალექსანდრე ბარაკალია, პენსიონერი, 73 წლის:

— მნიშვნელოვანი მოვლენა ალბათ, ისევ ცხინვალსა და აფხაზეთს უკავშირდება. ძალიან გამიკვირდა, პრეზიდენტმა დახმარება გერმანიას რომ სთხოვა. დარწმუნებული ვარ, ეს ქვეყანა ვერაფერს გააწყობს. ჩვენ ვერ მიგვიხედავს ჩვენი სამშობლოსთვის და გერმანიას (ან სხვა რომელიმე ქვეყანას) რაში უნდა ანაღვლებდეს საქართველოს დაკარგული ტერიტორიები?.. ვფიქრობ, ამ საქმის მოსაგვარებლად, პირველ რიგში, მხარში ამერიკა უნდა ამოგვიდგეს, რადგან ქართველი ვაჟკაცები ერაყში სწორედ ამერიკის გამო მიდიან და იღუპებიან, მაგრამ ამ ქვეყნის ხელისუფლებას საქართველოსთვის ხელის განდევნაც არ უნდა. ასეა, რუსეთის მონობა არ გვინდაო, — ვამბობდით და ხომ ვართ ახლა ამერიკის მონები? ვითომ, ეს უკეთესია?..

მარინა ბარბაქაძე, ექიმი, 52 წლის:

— ქვეყანაში მნიშვნელოვანი თითქმის აღარაფერი ხდება, რადგან ხომ ხედავთ, ოპოზიციამ „შვებულება“ აიღო. გამოგვიცხადეს, — ექვტემბრამდე ვისვენებთო და გაიფანტნენ. ალბათ, სხვადასხვა კურორტზე დაისვენებენ და მერე იტყვიან: ფული არ გვაქვს, ჩვენც თქვენსავით, გაჭირვებაში ვცხოვრობთ და ამიტომაც ვართ ოპოზიციისაო. ვინ მოტყუვდება ამით? მათ მიერ მოწყობილი გამოსამშვიდობებელი „ღრეობა“ საშინელი სანახავი გახლდათ. ვერ ვხვდები, რა საჭირო იყო ამ ყველაფრის ტელევიზიით ჩვენება? რადგან ცნობადი სახე ხარ და ტელევიზიები გადაღებაზე უარს არ გეუბნებიან, სავალდებულო კი არაა, საკუთარი ნაკლი საქვეყნოდ გამოაშკარავო. მოკლედ, დარწმუნებული ვარ, ბოლოდროინდელი საქციელის გამო, ოპოზიციამ ძალზე ბევრი მხარდამჭერი დაკარ-

გა... გამიხარდა, როცა გავიგე, ნინო ბურჯანაძე პოლიტიკაში ბრუნდებო. თურმე, მან დავით გამყრელიძის ნაცვლად უნდა იყაროს კენჭი. მიმაჩნია, რომ მასავით ჭკვიანი და საინტერესო პოლიტიკოსი ქალი საქართველოში არ გვყავს და პოლიტიკიდან მისი წასვლა ქვეყანაზე ცუდად აისახებოდა. ახლა პრეზიდენტს გვერდით კიდევ ერთი ჭკვიანი ადამიანი ეყოლება...

ანანა ალიაბაშვილი, დიასახლისი, 62 წლის:

— ჩემთვის მნიშვნელოვანიც, საინტერესოც და საშინელიც ბუნებრივ მოვლენებს უკავშირდება. გასულ კვირას გურჯაანში ისეთი წყალდიდობა იყო, სახლები და ნაკვეთები სულ დაგვიტორა. კახელი ხალხი ჩვენ მიერ მოყვანილი მოსავლით ვცხოვრობთ და ვცოცხლობთ. მთელი ზაფხული ცას შევეყურებთ, რომ სეტყვა არ წამოვიდეს და მოსავალი არ გაგვინადგუროს. ახლა კიდევ, წყალდიდობა გვინადგობ? სახლების განადგურებას ისე არავინ უჩიოდა, როგორც — მოსავლისას. საბუნდოვროდ, ჩვენი ოჯახისთვის დიდი ზარალი არ მიუყენებია და ამან ცოტა დაგვამშვიდა. იმედი გვაქვს, გადარჩენილი მოსავალი საბოლოოდ არ გაგვინადგურდება...

ბიორბი აზრაშიშვილი, იურისტი, 42 წლის:

— გარე მოვაჭრეების მიერ გამართული „კონცერტი“ არ მომეწონა. რა უბედურებაა, ასეთი ნივილ-კვიცილი და მანქანების ქვეშ დანოლა? პირადად მე, ბანკში ვმუშაობ და კარგად ვიცი, რამდენი ფული აქვთ მათ. არცთუ ისე იშვიათად, ამ ადამიანების უმეტესობას ჩვენი ბანკიდან ბიზნესსესხი გააქვს, რასაც ქონების აღწერა სჭირდება. მერწმუნეთ, არც ერთ მათგანს არ ენგრევა სახლი თავზე და არც ერთ მათგანს არ შია. უბრალოდ, ქუჩაში დგომას მიეჩვივნენ. თანაც, იქ ხომ გადასახადი ნაკლებია, მოგება — მეტი და ამ მიზეზით არ უნდათ ბაზარში შესვლა. ამ მთავრობას არაფერში ვადანაშაულებ. სწორედ გარე მოვაჭრეების წყალობით, თბილისის ბევრი უბანი დამახინჯდა, ქალაქი საოცრად დაბინძურებულია. არაჩვეულებრივად სუფთა ბაზრები გვაქვს და ყველა მოვაჭრე იქ უნდა ვაჭრობდეს. მერწმუნეთ, იქ დანესებული გადასახადის გადახდა ვაჭარს არასოდეს გაუჭირდება...

შოთიკო არაბიძე, სტუდენტი, 18 წლის:

— ახლა ყველა კაცისთვის (და არა მარტო მათთვის) მნიშვნელოვან მოვლენას ევროპის ჩემპიონატი წარმოადგენს. პირადად მე, გერმანიის გულშემატკივარი ვარ და ძალიან მიხარია, ნახევარფინალში რომ გავიდა. დარწმუნებული ვარ, ფინალში ერთმანეთს გერმანია და ესპანეთი შეხვდება, წლევანდელი ევროპის ჩემპიონი კი გერმანიის ნაკრები გახდება!..

# „მოგვალ არჩვენებზე ვერვინებთ ამ ხელისუფლებას, როგორ უნდა თვალში ნახვის შეყრა“...

ემა ტუხიაშვილი

მრავალი წელია, საქართველოში მიმდინარე სოციალური ფონის დაძვლებას ცდილობს. მთავრობის მოკლე თუ გრძელვადიანი პროგრამების მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ მწვავედ დგას უმუშევრობის პრობლემა, მაღალია ინფლაციის მაჩვენებელი, მოსახლეობის შემოსავლები ხარჯებს ვერ სწვდება და დღით დღე იზრდება სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა რიცხვი. მასხოვეს, ერთხანს პრეზიდენტი აქტიურად მოუწოდებდა ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, დროდადრო მაინც ესარგებლათ საზოგადოებრივი ტრანსპორტით. მესმის, ძნელია ძვირად ღირებული, კომფორტული ავტომობილიდან ჩახუთულ სამარშრუტო ტაქსოში ან გადაჭედო ავტობუსში გადაჯდომა, მაგრამ თუ გინდა, შენი დაწერილი, ხალხის გადარჩენის პროგრამა რეალობას იყოს მორგებული, ამის გაკეთება აუცილებელია.



**რეპორტაჟი**  
**სამარშრუტო ტაქსიდან**

...სამარშრუტო ტაქსი ხალხით რომ შეივსო და დაიძრა, მხოლოდ მაშინ შევნიშნე საქარე მინაზე დიდი ასობით გაკეთებული წარწერა — „მგზავრობის ღირებულება — 70 თეთრი“. ის-ის იყო, გავფიქრე: ეს მარშრუტზე გაუძვირებიათ-მეთქი, რომ ჩემ გვერდით მჯომი ქალბატონი აქაქანდა:

— გაგყვლიფეთ ბარემ! რა ამბავია 70 თეთრი?! უთოფო ყაჩაღები ხართ ნამდვილად! მოუმატე, ბატონო, 5 თეთრი, ჰა-ჰა — 10 იყოს, თუ გინდა, მაგრამ მთელი 20 თეთრით მგზავრობის გაძვირება უსინდისობაა და სხვა არაფერი. ჩემი სახლიდან სამსახურამდე მხოლოდ ეს სამარშრუტო ტაქსი მოძრაობს, ავტობუსით მგზავრობისას დიდი მანძილის ფეხით გავლა მიხდება, თორემ უნინ ფეხი რომ გამხმობოდა, ამ „მარშრუტკაში“ არ ამოვიდოდი.

— ქალბატონო, ჩემგან რა გინდათ? მე მხოლოდ მძლოლი ვარ, მგზავრობის ფასს კი ხაზის მფლობელი აწესებს. ხვალ რომ მითხრას, ერთი ლარი მთავად, უნდა დავემორჩილო, რადგან მთელი ჩემი ხუთსულიანი ოჯახი ამ „მარშრუტკას“ შევცქერით და სხვა შემოსავალი არ გავაჩინია, — მშვიდად უპასუხა მძლოლმა ადელევეზულ ქალბატონს, რომელიც არ ვიცი, სიცხისგან თუ ბრაზისგან აჭარხლებულიყო და გაზეთის ფრიალით ცდილობდა თავის გაგრილებას.

— ამ მთავრობასაც გაუხმეს თავი და ამ სამარშრუტო ხაზის მფლობელსაც! დარწმუნებული ვარ, ისიც ამ მთავრობის კაცი იქნება, თორემ სამარშრუტო ხაზს კი არა, ნიფხავსაც არ შეარჩენდნენ ზედ, — დაწებებას არ აპირებდა ალაჟღერებული ქალი.

— კაცი შემოგხედავთ, მშვენიერი ქალბატონი ჩანხართ, — მუშტრის თვალით შეათვალა იერა მძლოლმა სარკვეში, მოჩხუბარი ქალი, — და რატომ კადრულობთ

ანსეკლია

## დაიხურა თუ არა „პრაივზაიმი“?

ხელისუფლების მხრიდან მასმედიის, განსაკუთრებით, რადიოტელევიზიის შეზღუდვაზე სწორად გვიჩვენებს ლაპარაკი. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ამ პრობლემის აქტუალურობა კვლავ გაძლიერდა. ჯერ იყო და, რადიო „იმედი“ გენერალური დირექტორი გაათავისუფლეს, შემდეგ, გაუფხარო მიზეზით, გადაცემა „შიდი დღე“ დახურეს. ამას დაემატა ხმები ინგა გროგოლიას „პრაივზაიმის“ დახურვის შესახებ. კულუარული ინფორმაციის გადასამოწმებლად და ჭორ-მართლის გასარჩევად, თავად ტელეჟურნალისტს დაუკავშირდით.

### ხათუნა ბახტურიძე

— ინგა, რამდენად შეეფერება სინამდვილეს გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ „პრაივზაიმი“ დაიხურა?

— ნამდვილად არ დახურულა. ზუსტად ვიცი, რომ სექტემბრამდე შევტეულაში ვარ.

— თქვენ მაყურებელს 30 ივნისამდე დაემშვიდობეთ. სექტემბრამდე დასვენება რატომ გადაწყვიტეთ?

— საფეხურთო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ეთერში გასვლას მართლაც ვაპირებდით, მაგრამ პოლიტიკური პროცესები ისე მიხელდა, რომ ტოქ-შოუსთვის თემის მოძიება შეუძლებელი გახდა. ჩვენს გადაწყვეტილებაზე ოპოზიციის მიერ აღებული ტაიმ-აუტმაც იმოქმედა.

— მართალია, ოპოზიციამ ტაიმ-აუტი გამოაცხადა, მაგრამ ქვეყანაში მნიშვნელოვანი პროცესები მაინც ხდება. — მაგალითად?

— თუნდაც, საპატრულო პოლიციის მიერ გარე მოვაჭრეების დარბევა.

— როდესაც ეს გადაწყვეტილება მივიღე,

არ ვიცოდი, რომ ორი კვირის შემდეგ გარე მოვაჭრეებს დაარბევდნენ. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. თანაც, ყველა ტოქ-შოუს ჯგუფი, რომელიც ოდესმე წამიყვანია, ივლისის შუა რიცხვებიდან, პოლიტიკური აქტიურობის შესუსტების გამო, შევტეულაში გადიოდა. ამ ეტაპზე, მართლაც შემოძლია ვთქვა, რომ გავრცელებული აზრი — თითქოს ჩემი გადაცემა დაიხურა, მხოლოდ ჭორია და სიმართლეს არ შეეფერება, მაგრამ არ ვიცი, რას გეტყვით ერთი ან ორი კვირის შემდეგ. ჩვენს ქვეყანაში მოულოდნელი ამბები ხშირად ხდება. ჩემთვის, 6 ნოემბერს ვინმეს რომ ეთქვა, 29-ში „იმედიში“ აღარ იმუშავებო, დავცივებდი, მაგრამ ეს მოხდა. მართლა არ ვიცი, რა მოხდება ერთი თვის შემდეგ.

— საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაცემა „შიდი დღე“ უკვე დახურეს.

— ვიცი და ეს ფაქტი ძალიან არ მომეწონს. ასეთი რამ ჩემთვის მიუღებელია. მეც იმ ჟურნალისტთა რიგს მივეკუთვნები, რომლებსაც გადაცემებს ხშირად უხურავენ. პირველად, გადაცემა შევარდნაძის



**ეს თვალს იწვინა გრიგოლიასაც არ იხის...**

დროს დამიხურეს, მეორედ — „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში, მესამე კი ნოემბრის მოვლენებს შესწირეს. რამდენჯერაც მსგავსი ფაქტი მოხდა, იმდენჯერ დავჯექი, ათჯერ დავითვალე, ღრმად ჩავისუნთქე და ახალ პროექტზე დავიწყე მუშაობა.

— თუ თქვენი ტოქ-შოუ ამჯერადაც დახურეს, რას იზამთ?

— ნამდვილად არ გავჩერდები. თუ ამ შოუსაც დამიხურავენ, მიტინგებს და საპროტესტო აქციებს არ მოვანყობ, მაგრამ ისე დავჯდები და ახალ პროექტზე დავიწყებ მუშაობას. ძალიან ახალგაზრდა ვარ საიმი-სოდ, რომ პენსიაზე გავიდე.

ასეთ სიტყვებს?! ვერ ხედავთ, რა ხდება ქვეყანაზე? გეტყობათ, აქაური ხართ, მთვარიდან ჩამოსულს ნამდვილად არ მიგიგავთ სახე... ათი წელია, ამ „მარშრუტის“ საჭეს ვატრიალებ. დრო იყო, „სალიარკას“ 60 თეთრად ვასხამდი, დღეს დილას კი ლირტაში 2.20 ლარი გადავიხადე. ამის შემდეგაც მეტყვიით, მგზავრობისთვის ისევ 50 თეთრი უნდა გადავიხადოთ, როგორც წლების განმავლობაში? — კამათის აზრტში შევიდა მძღოლი.

— აბა, ერთი, კარგად მომისმინე: შე „კარენი“ დედამინელო! 25 წელია, რაც ლამებს ვათევ იმისთვის, რომ შენ და შენს ოჯახს დილით საუზმეზე ახალ-ახალი პური გქონდეთ. სანაცვლოდ კი რას ვიღებ?.. მათხოვრულ ხელფასს, რომელიც ჩემი ობლების გამოსაკვებად ძლივს მყოფნის. ახლა კი შენი და შენისთანების წყალობით, შვილებს ლუკმა უნდა გამოვაცალო პირიდან და შენი ხაზის პატრონი გაკამდიდროს!.. ბარემ, უსინდისოდ ჩამიყავით ჯიბეში ხელი და ყველდღიურად 40 თეთრი ამომაცალეთ, — შეეპასუხა ქალი.

— საღოლ, ჩემს გამძლეობას! დღეში რამდენი ამოვა ამისთანა, მოდი და აიტანე! მეც ერთი პატარა ჭანჭიკი ვარ ამ წუთისოფელში, ჩემი ოჯახის ნევერმიც თქვენსავით, სხვადასხვა ტრანსპორტით მგზავრობენ, მეც თქვენსავით მიჭირს თავის გატანა, ჩემი მცირე შემოსავალი გადასახადებს და სურსათს ვერ აუდის. საღამოს სახლში მისვლა აღარ მინდა, შვილიშვილისთვის ვერ გამისწორებია თვალი, ხელეში შემომცქერის: ბაბუამ რა მომიტანაო?.. არადა, ყოველდღე ტკბილეული რომ ვუყიდო, აუცილებელ პროდუქტზე უნდა ვთქვათ უარი. რამდენჯერ მისთვის სურვილის დასაკმაყოფილებლად, შექრიანი წყალი დაგვიღვივებია, იმდენი სიკეთე და სიხარული ჩემს ოჯახს! — შუბლზე მომდგარი სიმწრის ოფლი მოიწმინდა მძღოლმა.

— ეგეც თქვენი პრეზიდენტი და პარლამენტი: ხმას რომ აძლედი, მაგაზე მაშინ უნდა გეფიქრაო. რამდენჯერ მოგიწოდებთ, ქუჩაში გამოსულიყავით და ჩვენ გვერდით დამდგარიყავით, მაგრამ შორიდან თვალთვალი არჩიეთ. ჯერ სად ხართ?! ხალხი დახარბდა: არიქა, მთავრობა პენსიებს გვიზრდისო! — მაგრამ ის კი არ უფიქრიათ, რომ ამასთან ერთად, ისე გაუძვირებდა ცხოვრებას, 100-დოლარიანი პენსია მალე პურის ფულადაც არ იქნება საკმარისი, — განავრძო თემა ოპოზიციონერმა მგზავრმა.

— როგორ გეკადრებათ, რა შუაშია აქ ხელისუფლება?! მთელ მსოფლიოში სასურსათო კრიზისია, მსოფლიო ვალუტა — დოლარი ვარდნას განიცდის, ძვირდება ენერგომატარებლები... ხომ არ გავიწყდებათ, რომ საქართველოც მსოფლიოს ნაწილია და ყველა მიმდინარე პროცესი ადრე თუ გვიან, ჩვენზეც აისახება?! — სამარშრუტო ტაქსიში გამართულ დისკუსიაში დარბაისელი მამაკაცი ჩაერთო.

— კარგი, ერთი!.. იმაში, რომ ჩემს უფიც მეზობელს, რომელიც კავშირების წყალობით, ხელისუფლებაში აღმოჩნდა, 2.000 ლარი აქვს ხელფასი, მე კი ენათმეცნიერების ინსტიტუტში სახელმძღვანელოების

შედგენას ვახლი თავს და თვიდან თვემდე, 125 ლარს ძლივს ვიღებ, „დამნაშავე“ მსოფლიო პროცესებია?! იქნებ, ისიც სხვას დავაბრალოთ, რომ მე ხორცის გემო დამავიწყდა, ჩემი მეზობელი კი სოსისებს და ძხვებს თავის ძალს აჭმევს?! ვერ ხედავთ, რომ რაც დრო გადის, მდიდრები სულ უფრო მდიდრდებიან, გაჭირვებულ კაცს კი უფრო მეტი გასაჭირი ადგება ყველაფერი, რასაც მთავრობა აკეთებს, სანახაობაა მხოლოდ. ამ სანახაობით მოხიბული კი ვერც კი ამჩნევ, თანდათან ბოლო ლუკმასაც როგორ გაცლიან პირიდან, — გამოსვლას აგრძელებდა ოპოზიციონერი.

— შვილებს გეფიცებთ, მე სრულიად აპოლიტიკური ადამიანი გახლავართ. მთავრობის შეცდომებსაც ვხედავ და ოპოზიციის არაპროფესიონალიზმსაც, ამიტომაც პოლიტიკურ დისკუსიებში ნაკლებად ვერევი. ვცხოვრობ ჩემთვის, როგორც შემიძლია და რითიც შემიძლია, ქვეყანას ვემსახურები. ამ ცოტა ხნის წინ კი მომავლის შიში დამეფულა. გახსოვთ ალბათ, წინასაარჩევნოდ ხელისუფლების მიერ ინიცირებული პროგრამა „რაც ჩემია — ჩემია“. წლებია უკვე, ჩემი სახლის მახლობლად პატარა მიწის ნაკვეთი შემოვლოვ და ხეხილი გავაშენე. ვერ ვიტყვი, რომ ნამდვილი ნალკოტია, მაგრამ ადრიან განაფხულზე ბალი მწიფდება, მოგვიანებით ალუბლის ხე მამლევს ნაყოფს, შემდეგ კი თანამიმდევრობით: გარგარი, ატამი და ვაშლი. გამიხარდა, როდესაც ამ ბაღის დაკანონების შესაძლებლობა მომეცა. როგორც მერიის „ცხელ ხაზზე“ მიჩივს, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს მივაკითხე, ყველა საჭირო დოკუმენტი მივიტანე და ერთი თვე ველოდი, როდის მოვიდოდნენ ტექნიკურს თანამშრომლები ნაკვეთის ნახაზის შესადგენად. რამდენიმე დღის წინ კვლავ დავრეკე მერიასში, შევასხენე ჩემ შესახებ და იცით, რა მითხრეს?.. ეს კანონი დროებით შეჩერებულია და ვერაფერსაც ვერ დაგიმტკიცებთო. არადა, რამდენი ჩემისთანა ელოდება, რომ მიშენებას, სხვენს და მიწის ნაკვეთებს დაუკანონებენ? სიმართლე ყოფილა თურმე, რომ ჩვენი მთავრობა მხოლოდ წინასაარჩევნოდ მუშაობს, არჩევნების შემდეგ კი, ბოდიში და, ხალხი სულ ფეხებზე ჰკიდია!

— მართალი ბრძანდებით, სამწუხაროდ, წინასაარჩევნოდ, ხმების მოგროვების გამო, ხელისუფლება ბევრ უკანონოზე ხუჭავს თვალს, ოღონდ კი ხალხის გადაბირება შეძლოს. რამდენიმე წელია, თავს ვაჭრობით ვირჩენ, ბაქოდან ჩამომავქს საქონელი და მცირე ფასნამატი ვყიდი თბილისში. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ ხელისუფლებამ სასათბურე პირობები შევქმენა, აზერბაიჯანიდან საქონელი ლაგოდეხის „ტეკვის“ გავლით შემოგვქონდა და განბაჟებისთვის ერთ თეთრსაც არ ვიხდიდით. რა თქმა უნდა, ვხვდებოდით ამ „სიკეთის“ მიზეზს, იმასაც ვაცნობიერებდით, რომ ნებსით თუ უნებლით, კანონს ვარღვევდით, მაგრამ ალბათ უარესზეც წავალთ, ვაჭირვებას რომ დავაღწიოთ თავი. ამ ცოტა ხნის წინ კიდევ მინდოდა ბაქოში სავაჭროდ წასვლა, მა-

გრამ გავიგე, რომ არჩევნების შემდეგ ერთი კუმეტრი ტვირთის განსაბაჟებლად, 650 დოლარს ითხოვენ. ვაჭრობა ჩემთვის შემოსავლის ერთადერთი წყარო იყო, ასეთი საგადასახადო წნეხის ქვეშ კი რა აზრი აქვს ბაქოდან საქონლის ჩამოტანას?! იცით, რამდენი ჩემნაირი აღმოჩნდა ამის გამო, სარჩოს გარეშე და უმუშევართა არმიას კიდევ ათასობით ადამიანი შეემატა!.. — ჰყვებოდა შუახნის ქალბატონი.

— უწინ ქუჩაში მხოლოდ ბოშები ვაჭრობდნენ, ახლა კი ქართველ ქალებს გარეთ ძაღლებივით ყოფნა და ვაჭრობა სახვეწარი გაგვიხდა!.. ავადმყოფი ქმარი მყავს, მეორე ჯგუფის ინვალიდია და შრომისუუნარო. სამი მთასავით ვაუკაცი მყავს, წლების განმავლობაში მოსკოვში იყვენ გადახვეწილი და მშენებლობაზე მუშაობდნენ. შემდეგ, პოლიტიკური შუღლის გამო, იქ ქართველებს დაერივნენ და ჩემი შვილებიც „გამოადემორტეს“. ვინ არ შევანუხებ, რა ღონე არ ვიხმარეთ, მაგრამ მათთვის სამსახური ვერსად ვიშოვეთ. სხვა გზა არ მქონდა, ლილოს ბაზრობაზე ქალის თეთრეული ვიყიდე და მარჯანიშვილის მეტროსთან ქუჩაში დავდექი, რომ ერთი-ორი ლარით მეტად გამეყიდა. შარშანდელი ნოემბრიდან აქამდე იქ დგომა და ვაჭრობა არავის დაუშლია, არც ადგილისთვის მოუთხოვია ვინმეს ფული. მართალია, მრცხვენოდა, როდესაც ნაცნობი გამოივლიდა და მკლავზე გადაკიდებული ბიუსტალტერებით მხედავდა, სამაგიეროდ, კმაყოფილი ვიყავი, რომ საღამოს სახლში პური და შაქარი მიმიქონდა. გუშინ კი საპატრულო პოლიცია დაგვრია: გარევაჭრობა ისევ აიკრძალო, ჩანთების ჩალაგება ძლივს მოვაწარი, სულ კინისკვრით ნა-მოგვყარეს ჩვენი ადგილებიდან. გაგვაფრთხილეს: მეორედ თუ დაგინახავთ, ქუჩაში ვაჭრობდეთ, განყოფილებაში ნავიყვანთო!.. არაფერი მინდა ამ ხელისუფლებისგან, ერთ-ორ ლუკმას როგორც ვიშოვი, მხოლოდ ერთ რამეზე ვითხოვ პასუხს: თუ ნოემბრიდან დღემდე ნებადართული იყო გარევაჭრობა, ახლა რა შეიცვალა?..

კიდევ ბევრი რამ ითქვა სამარშრუტო ტაქსიში, ხალხის გასაჭირსა და სატყვივარზე ზოგმა ისიც თქვა: დიხელის სიძვირის გამო, გლეხებს მინების დიდი ნაწილი დაუშუბავებელი დარჩათ და შემოდგომაზე ქართული ნობათის დეფიციტსა და გაძვირებას ვერ გადავურჩებითო. რაიონიდან ჩამოსულმა მგზავრებმა დაიჩიულეს: მართალია, მთავრობამ დანაპირები შეასრულა და ჩვენს სოფლამდე გზის მილი ვიხივანა, მაგრამ თითოეულ ოჯახს, გაზიფიკაციისთვის, 300 ლარს გვთხოვენ და ამდენი ფული ერთად კარგა ხანია, არ გვინახავსო!.. ისიც თქვენ: სოფლების გაზიფიკაცია ძველი მიწებით მოხდა, უხვიათმა მიწებმა ბუნებრივი აირის წნევას ერთი თვე ვერ გაუძლო და უამრავი ხვრელიდან გაზი უჩონავსო!.. სანამ სამარშრუტო ტაქსიდან ჩამოვიდოდი, ისიც კი მოვისმინე, როგორ იმუქრებოდა ხალხი: ასეთ გაჭირვებულ ყოფაში ეს ოთხი წელიც თუ გადავგორეთ, მომავალ არჩევნებზე ვუჩვენებთ ამ ხელისუფლებას, როგორ უნდა თვალში ნაცრის შეყრაო!..

# გარე მოვარჯიშე: „ქართველ ქალებს თხაბივით გვეჩვენებინ“

„სად ხართ, შვილო, აქამდე, ჩვენმა მთავრობამ სასიკვდილო განაჩენი გამოგვიტანა. იქნებ, ჟურნალისტებმა მაინც შეგვიბრალოთ და პრეზიდენტს ჩვენს გასაჭირზე უამბოთ“, — ამ სიტყვებით შემეგებნენ პატრულისგან დარბეული გარე მოვარჯიშეები, რომლებიც ავტოსადგურის ტერიტორიაზე, ერთი პატარა ქუჩის კუთხეში იყვნენ შეყუყულები. ალბათ, მკითხველს ახსოვს, რომ ამ ადამიანებს შარშან, გარევაჭრობის უფლება საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის

დადგენილებით მიეცათ, მაგრამ სულ რამდენიმე დღის წინ, როდესაც არჩევნები დასრულდა და ოპოზიციაც „შეებულებაში“ გავიდა, მოვარჯიშეებისგან თბილისის ქუჩების გათავისუფლება დღის წესრიგში ისევ დადგა. რა მდგომარეობაში აღმოჩნდა სოციალურად დაუცველი ფენა, რომელიც ქუჩაში ვაჭრობით ირჩენდა თავს და რა ალტერნატივას სთავაზობს მათ თბილისის მერია? — ამის გარკვევას დარბეულ მოვარჯიშეებსა და დედაქალაქის მერთან საუბრისას შევეცადეთ.

# ქალაქის მერი: „ნებისმიერი ადამიანის ბედი გვეაღვსავს“

ხათუნა ბახტურიძე

**ლოლო ნაჭყიაძე, 53 წლის:**  
— უკიდურეს სიღატაკში ვცხოვრობ. აფხაზეთის ომში 19 წლის უღამაზესი შვილი მომიკვლეს, მეორე ცოცხალი გადავირჩა, მაგრამ სამ ადგილასაა დაჭრილი, ფიზიკურად ვერ მუშაობს და მისი ცოლ-შვილი ჩემი სარჩენია. თუ ვაჭრობას ამიკრძალებენ, მთელი ოჯახი შიმშილით ამომიწყდება.

— **სავაჭროდ ბაზრის ტერიტორიაზე რატომ არ შედისართ?**

— როგორ შევიდე, როდესაც გადასახადი დღეში 15-დან 25 ლარამდეა? ეს იყო პრეზიდენტის დანაპირები — საქართველო სიღარიბის გარემოშია! ამაუშაოს ფაბრიკა-ქარხნები და ქუჩაში სავაჭროდ არ გავალთ. იმის მაგივრად, რომ ღარიბი ხალხისთვის გარკვეული შეღავათები დაენჭებინა ან საშუალო ადგილები გამოენახა, აქედან დაგვერია და არსებობის წყაროს გვისპობს. ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ცოდვას სად წაუვა?! პროდუქტის და მგზავრობის ფასებს დღითი დღე რომ გვიზრდის, რას ფიქრობს, ხალხმა როგორ უნდა გადავირჩინოთ თავი?

— **თქვენ დღიური შემოსავალი რამდენ ლარს შეადგენს?**

— მთელი დღის განმავლობაში ექვს ლარს თუ მოვაგროვებ, თავი ბედნიერი მგონია. ავადმყოფი ქალი ვარ — შვილის გარდაცვალების შემდეგ, ნერვიულობის ნიადაგზე დავავადდი, მაგრამ ჩემს ნაბალს ვერ ვყიდულობ, რადგან ფული მხოლოდ იმისთვის მყოფნის, რომ ბავშვებს პური მივუტანო. ამ ხელისუფლებას ჩვენი ბედი სულ არ ანაღვლებს. შევარდნაზე იმიტომ შემზიზღდა, რომ საქართველო გაყიდა და მაგისი პოლიტიკის წყალობით, ჩემი შვილი დღეს მინაშია. სააკაშვილს მხარში დავუდექი, რადგან მეგონა, ეგ იქნებოდა შავოსანი დედების ნეტები და იმედი, მაგრამ ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. გაჭირვებულებს ნიხლს გვაჭერს. უნდა, რომ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებმა და ცლილებებმა ჩვენნიარი ხალხის

ზურგზე გადაიაროს. თავის ფულიან დამქაშებს ხელფასები გაუორმაგა, ჩვენ კი საარსებო საშუალებას გვისპობს და მშვიერს გვკლავს. ეგ კიდევ არაფერი, გულმოკვლულ დედას, ჩემი შვილის ტოლი ბიჭები (პატრულის თანამშრომლებს ვგულისხმობ) გამომიყიდნენ და სავაჭრო საქონელი ნამართვეს. თხუთმეტი ვაჭრები ერთდროულად დამესია, ავადმყოფ ქალს!.. რას მერჩიან, რა უნდათ ჩემგან, აფხაზებს გადავურჩი და ესენი მკლავენ? ამდენი ტანჯვისა და ნამების გაძლება აღარ შემიძლია. ნეტავ, საზღვარგარეთ მაინც წამიყვანა და ვილაცის მოსამსახურედ მამუშავა. საქართველო ძალიან მიყვარს, მაგრამ აქ აღარ დამედგომება. ჩვენი პრეზიდენტისათვის შადრეები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე — ადამიანები. მეც მაქვს სიღამაზის აღქმის უნარი, ღამაში შენობაც მომწონს, კარგი გზაც და სუფთა ქუჩებიც, მაგრამ როცა შინ მშვიერი შვილი და შვილიშვილი მეგულება, ყველაფერი ფას

კარგავს. ჩემსავით გამწარებული ბევრია. პრეზიდენტს ვთხოვ, ხალხს მოთმინება არ დაგვაკარგინოს, თორემ ქვებით, ჯოხებით და ხელკეტებით გამოვალთ ქუჩაში. ავტომატიან პოლიციას თუ მოგვისევენ, ეგეც აღარაფრად გვენაღვლება, მაინც სასიკვდილოდ ვართ განწირულები.

**ნანა ბაბუა, 34 წლის:**

— ორი პატარა ბავშვის დედა ვარ. არც მშობლები მყავს და არც — ქმარი. ეს ხელისუფლება შვილებს მშვიერს მიტოვებს. როდესაც პრეზიდენტმა თქვა, — საქართველო სიღარიბის გარემოშია! — ალბათ, ღარიბი ხალხის განადგურება იგულისხმა. აბა, სხვა რა ვიფიქრო? ბაზარში რომ შევიდე, ადმინისტრაციისთვის მთელი ჩემი ნავაჭრის ჩაბარება მომიწევს. რისთვის ვიშრომო, ხელისუფლებისთვის? ბატონყმობა თუ რა ხდება?! აღარ ვიცი, შვილები რით ვარჩინო. შეჭირვებულთა დახმარებაზე უარი მითხრეს, — ახალგაზრდა და შრომისუნარიანი ხარ და არ გვეუთვნისო. შრომისუნარიანი კი ვარ, მაგრამ სად ვიმუშაო, ვინ მასაქმებს? სულაც არ მისარია, მთელი დღე, ქარში, წვიმასა და მზეში ქუჩაში დგომა, მაგრამ შვილების გამო-საკვებად სხვა საშუალება არ მაქვს.

**ნათო ჭიჭაბლაძე, 49 წლის:**

— ორი სტუდენტი შვილი მყავს სარჩენი. სიგარეტს ვყიდი და კოლოფზე 10 თეთრი მრჩება. დღის განმავლობაში 5 ლარის თუ ვივაჭრე, ღმერთს მაღლობას ვწირავ. ახლა მეუბნებიან, ქუჩის იერს ამახინჯებ, ბაზარში შედიო. იქ ყველაზე ცოტა გადასახადი 5 ლარი მაინც იქნება და მთელი ჩემი ნავაჭრი მაგათ მივცე? მერე, ჩემს შვილებს რა ვაჭამო? მაგათი შვილების კარგად ყოფნა მეყოფა?! იძულებული ვარ, ჩემსად ვივაჭრო. გულს მტკუნს ის ფაქტი, რომ პატრულის თანამშრომლები, დედის ტოლ ქალებს, ძალზე უდიდრად გვეცევიან. რამდენჯერმე დავგარბიეს, ხან სად შეგვყარეს, ხან — სად. ქართველ ქალებს თხეზივით გვერეკებიან. არც ჩვენს თავმოყვარეობას დავიდევენ და არც — ჯანმრთელობას. მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ, მაგრამ



**პრობლემა**

ინვალიდობის პენსია მომიხსნეს. მითხრეს, — უნდა კვდებოდე, დახმარება რომ მოგცეთო. ვინმემ მაინც გამაგებინეთ, თუ მოვკვდი, ფული რაღას მიშველის?! სოფელში წავიდოდი და მინას დავამუშავებდი, მაგრამ სანავაიცი გააძვირეს. რა გავაკეთო?!

**გიგი უზულაზა, თბილისის მერი:**

— ყველა ეს პრობლემა ძალიან კარგად გვესმის. ილუზია არ გვაქვს, რომ გარე მოვაჭრეები მილიონებს აკეთებენ და ცხოვრებას იწყობენ. ბევრი მათგანისთვის ქუჩაში ვაჭრობა შემოსავლის და გადარჩენის ერთადერთი წყაროა, მაგრამ იმ ხალხის მდგომარეობაც გასათვალისწინებელია, რომელიც საჩივრებით მოგმართავს და გარევაჭრობის შედეგად წარმოქმნილი ანტისანიტარიისაგან დაცვას გვთხოვს. შევეცადეთ, მდგომარეობიდან გამოსავალი მოგვეძებნა — გარე მოვაჭრეებს ბაზრებში გადანაწილებას და მათთვის არსებული გადასახადების გადახდას ვთავაზობთ. სტატისტიკური მონაცემებით, თბილისის ცენტრალურ ქუჩებში 1700-მდე გარე მოვაჭრეა, დღეს არსებულ მოქმედ ბაზრებში კი 2000-მდე თავისუფალი ადგილია. თბილისის მერია დედაქალაქში არსებული ბაზრების ხელშეწყობა პროგრამას ახორციელებს და მალე, იქ ყველა პირობა იქნება შექმნილი იმისათვის, რომ მყიდველს ლაბორატორიულად შემოწმებული და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შექმნა ხელმისაწვდომ ფასად შეეძლოს.

**— გარე მოვაჭრეებისათვის შეღავათი რამდენი ხნის განმავლობაში გაგრძელდება?**

— თბილისის მერია 6 თვის განმავლობაში გადაიხდის იმ გადასახადს, რომელიც ამა თუ იმ მოვაჭრეს უნდა გაეღო. ყველა ის არგუმენტი, რომლის გამოც გარე მოვაჭრეები არ ან ვერ შედიან ბაზარში, მალე გაქარწყლდება.

**— 6 თვის შემდეგ გადასახადის ოდენობა რა იქნება?**

— სავარაუდოდ, 5 ან 10 ლარი.

**— ზოგიერთი გარე მოვაჭრის დღიური შემოსავალი 5 ლარს არ აღემატება. ფიქრობთ, რომ ეს ადამიანები 6 თვის შემდეგ გადასახადის გადახდას შეძლებენ?**

— ნებისმიერი ადამიანის ბედი გვაღელვებს. ამიტომაც, ამ 6 თვის განმავლობაში საკითხს საფუძვლიანად შევისწავლით, წლის ბოლოს კი შედეგებს შევაჯამებთ და შესაბამის გადამწყვეტილებას მივიღებთ. შესაძლოა, შეღავათები მომავალ წელსაც გაგრძელდეს. ალბათ, იმასაც გავითვალისწინებთ, თუ ვინ რა პროდუქტებით ვაჭრობს.

გარე მოვაჭრეების ფიზიკური შეურაცხყოფისა და მათთვის გასაყიდი საქონლის ჩამორთმევის თაობაზე, კომპეტენტური პირისათვის, რამდენიმე კითხვის დასმა მინდოდა. მერიაში მირჩიეს, ამ საკითხებზე სასაუბროდ გიგი უზულაზას მოადგილესთვის — ნიკო ხაჩეიშვილისთვის მიმემართა, მაგრამ მისმა პრეს-ცენტრმა დღის განმავლობაში ჩვენი შეხვედრა ვერ უზრუნველყო.

**ქერა**



**ქართული სოფელი, საღვს კათოლიკეები  
ქართლელად იხატებიან**

**მამა იოსების ღვანლის შეღავატი...**

სოფელი არალი ადიგენის რაიონში მდებარეობს. იქ 800-მდე ოჯახი ცხოვრობს და მათი დიდი ნაწილი კათოლიკეა. სოფელში, სადაც დაახლოებით 20 წლის წინ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მართლმადიდებლურ ტაძარში არ შეუშვეს, ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა.

**თამუნა კვინიკაძე**

დღეს იქ მართლმადიდებელი მოძღვარი, მამა იოსები (გაჩავა) მოღვაწეობს და ცოტა ხნის წინ, წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მშენებლობაც დაიწყო. ზოგიერთი კათოლიკე მართლმადიდებლად ინათლება, ეკლესიური ცხოვრებას იწყებს და იმედს იტოვებს, რომ მალე მას სხვებიც მიჰბაძავენ. მამა იოსები ადგილობრივი ბავშვების (და არა მარტო მათი) დიდი მეგობარია. ხელოვნებით დაინტერესებული პატარებისთვის, სკოლის ბაზაზე, მას სხვადასხვაგვარი წრე აქვს გახსნილი, მათთან ერთად ბუნების ნიაღში გადის, რელიგიაზე ესაუბრება და თან, ფოტოგრაფიას ასწავლის. გასულ კვირას, „შერატონ მეტეხი პალასის“ საგამოფენო დარბაზში ამ მოზარდების მიერ გადაღებული ფოტოების გამოფენა-გაყიდვა მოაწყო. შემოსულ თანხას, ხანძრის შედეგად დაზიანებული, აბასთუმნის დედათა მონასტრის ალდგენას მოახმარენ.

**ილუზინა ბარბარე, აბასთუმნის დედათა მონასტრის წინამძღვარი:**

— აბასთუმნის დედათა მონასტერში გაჩენილ ხანძარს შენობის მცირე ნაწილი გადაურჩა, რომელიც ისე შევაკეთეთ, რომ იქ ცხოვრება შესაძლებელია.

**— მონასტერში რამდენი დედა ცხოვრობთ?**

— 11. ხანძრის შემდეგ არსად წავსულვართ, მონასტერი ერთი ნუთითაც არ დაგვიტოვებია. ტიპიკონი ჩვეულებრივად სრულდება. ხშირად, მამა იოსებთან ერთად, მოსახლვრე სოფელ არალში

დავდივართ და მას წირვის ჩატარებაში ვეხმარებით. ჯერ ერთი წელიც არ გასულა, რაც მათ მართლმადიდებელი მოძღვარი ჰყავთ და მოსახლეობის ნაწილი უკვე მოინათლა. გვჯერა, რომ ღვთის წყალობით, დედათა მონასტრის ალდგენასაც მალე მოვახერხებთ.

**მამა იოსები:**

— ილუმენია ბარბარე არალში ძალიან უყვართ. ეს აქცია საზოგადოების გამოფხიზლებას ემსახურება. 6 თვეა, რაც მღვდელი ვარ. არალში ახალგაზრდები ნელ-ნელა, მამაპაპისეულ სარწმუნოებას უბრუნდებიან. დღეს მათ მიერ გადაღებული ფოტოების გამოფენაც მოვანწყვეთ.

**— მგავსი აქციები სამომავლოდ თუ იგეგმება?**

— კი. ახლა ადგილობრივი მოსახლეობა წმინდა ადგილების მოსალოცად მიგვყავს. შარშან, ბოდბისა და გელათის მონასტრებში ნათლობა მოვანწყვეთ.

**საუბარში მრევლის უხუცესი ნეკრი, სოფელ არალის მკვიდრი, 77 წლის პატრიარქის ავრამაშვილი ჩაგვერთო:**

— მამა იოსებმა ბრძნული ლაპარაკით, ტკბილი სიტყვა-პასუხით დანახვისთანავე მომიხიბლა. ვთხოვე, — მომნათლე-მეთქი. უარი არ უთქვამს, მაგრამ ჯერ წირვას დამასწრო და შემდეგ მომნათლა. ეს 3 თვის წინ მოხდა. მამა იოსები ყოველდღე თუ არ ვნახე, ვერ მოვისვენებ.

**— მარხულობთ?**

— როგორ არა! რასაც მეტყვის, ყველაფერს ვასრულებ, მისგან ბევრ რამეს ვსწავლობთ. ფოტოგადაღებაც მასწავლა.

როგორც სოფელ არალის საშუალო სკოლის პედაგოგმა, **ლილი აზრია-გაშვილამ** გვითხრა:

— სკოლაში ამჟამად 200-მდე ბავშვი სწავლობს, 20-25 წლის წინ კი კლასში 35-40 ბავშვი იყო. ბოლო წლებში მიგრაციის დონე იმდენად მაღალია, კლასში 12-15 ბავშვიც ძლივს მოგროვდება. ჩვენთან ისწავლება რელიგია (მართლმადიდებლობა). გაკვეთილებს, როგორც მართლმადიდებელი, ასევე კათოლიკე ბავშვებიც ესწრებიან...

„შერატონ მეტეხი პალასის“ დარბაზში გამოფენილ ფოტოებს სიამაყით შეჰყურებდნენ მათი პატარა ავტორები, სოფელ არალის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

**აქტო კაჰკაჰიშვილი:**

— ყოველ კვირას მამა იოსებთან ვიკრიბებოდით და მასთან ერთად ფოტოების გადასაღებად, ბუნების ნიაღში გაველოდით.

**ნინო ჩილინგარაშვილი:**

— მამა იოსებმა მოსაზღვრე სოფელ ბალისშიც წაგვიყვანა, სადაც ფოტოები თემაზე — „სამება“ გადავიღეთ. მასთან ერთად ყოფნა ძალიან გვსიამოვნებს.

**როინ აზრიაგაშვილი:**

— მე და ჩემი და ბოდბის მონასტერში მოვიწინათ. დედა კათოლიკე გვყავს, მამა — მართლმადიდებელი. წინაპრები, ყველანი კათოლიკეები იყვნენ, მე კი მართლმადიდებლურ ეკლესიაში დავდივარ, ვმარხულობ და სტიქაროსანი ვარ. მამა იოსებისგან ბევრ რამეს ვსწავლობ.

საგამოფენო დარბაზში იმყოფებოდა ლონდონში მცხოვრები ქართველი — გიორგი ლალიაშვილი, რომელიც პრო-

ფესიით ხელოვნების ექსპერტი გახლავთ. მას ვთხოვე, ჩემთვის საკუთარი შთაბეჭდილებები გაუზიარებინა.

— ძალიან საინტერესო პროექტია. ბავშვების ნამუშევრებით აღფრთოვანებული დავრჩი. მათ ფოტოებში პროფესიონალიზმი შეინიშნება (ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ). ბავშვების ასაკი 10-15 წელი იქნება და ფიქრობ, მათ ნიჭს ხელშეწყობა სჭირდება. მე, როგორც რიგითმა ქართველმა, ამ მოზარდების წინაშე პასუხისმგებლობა ვიგრძენი. ლონდონში ვცხოვრობ და საგალერეო გაერთიანებაში ვმუშაობ, რომელიც თანამედროვე მხატვართა სურათებს ყიდის. სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით, ლონდონის ბაზარზე ვერც ერთი თანამედროვე ქართველი მხატვრის ნამუშევარი ვერ მოხვდა... ამ ბავშვების სკოლის დირექტორს შევთავაზე, რომ 10-12 ნიჭიერი მოზარდი შეარჩიონ, რომლებსაც 2 კვირით ლონდონში წავიყვანთ და ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს დავათვალიერებინებთ. როგორც მითხრეს, ეს ბავშვები არა მარტო ფოტოგრაფიით, არამედ ინგლისური ენის შესწავლითაც არიან დაინტერესებულნი. საგანგებოდ მათთვის შევიმუშავებ პროექტს და ლონდონში მოვიძიებ სპონსორებს. იმედი მაქვს, რომ ქართველი ბიზნესმენებიც დაგვეხმარებიან. მინდა, ამ პატარებს დაუვიწყარი დღეები ვაჩუქოთ. ისინი ამას ნამდვილად იმსახურებენ!..

სოფელ არალში ბევრი ისეთი ოჯახი ცხოვრობს, რომლის წევრებიც სხვადასხვა ალმსარებლობის მიმდევრები არიან. ქალბატონმა **ლია დილიკაშვამ** ასეთი რამ მიაბო:

— თიანეთის რაიონში დავიბადე და გავიზარდე. 17 წელია, რაც სოფელ არალში ვცხოვრობ. მართლმადიდებელი გახლავართ. ჩემს ქმარს ცოლად ისე გავეყვი, არც კი ვიცოდი, რომ კათოლიკე იყო. ჯვარი კათოლიკური წესით დავინერეთ.

— **კი, მაგრამ ეს ხომ მართლმადიდებლისთვის მიუღებელია?**

— მაშინ სარწმუნოებას

ასეთ ყურადღებას არავინ აქცევდა და არ ვიცოდი, რომ მიუღებელი იყო. ჩემი მეუღლის ოჯახის წევრები კათოლიკურ ეკლესიაში დადიოდნენ და შვილებიც კათოლიკეებად მომანათლებინეს. ჯერ 1 წელიც არაა გასული, რაც აქ მამა იოსებმა დაინყო ქადაგება. უამრავი კათოლიკე



მათ ნიჭს ხელშეწყობა სჭირდება

მართლმადიდებლად მოინათლა, მათ შორის — ჩემი 2 შვილიც.

— **თქვენი მეუღლე ამის წინააღმდეგი არ იყო?**

— რა თქმა უნდა, წინააღმდეგი იყო... ჩემი უფროსი გოგონა, რომელიც 15 წლის გახლავთ, კათოლიკურ ეკლესიაში დადის და პოლონეთიდან ჩამოსულ მღვდელს ემსახურება. იმედი მაქვს, მალე ისიც მოეგება გონს. როცა ჩემმა მეუღლემ უმცროსი შვილების მართლმადიდებლად მონათვლის შესახებ შეიტყო, მითხრა: ამ საკითხზე სერიოზულად დავილაპარაკებო. ოჯახის დანგრევის ფასადაც რომ დამიჯდეს, ჩემს სარწმუნოებაზე უარს არ ვიტყვი და მან ეს კარგად იცის. ანალოგიური სიტუაციაა არაერთ ოჯახში. ეს ის სოფელია, რომელშიც 18-20 წლის წინ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მართლმადიდებლურ ტაძარში არ შეუშვეს. იმ ტაძარს ირმის ეკლესიას ეძახდნენ: გადმოცემის თანახმად, ყოველ აღდგომის დღეს ეკლესიაში ირემი მიდიოდა, ცოტას დაისვენებდა, შემდეგ კი მას ტაძარს სწირავდნენ. ერთ-ერთ აღდგომის დღესასწაულზე ირემს მისვლა დააგვიანდა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ის ისე დაკლეს, რომ დასვენება არ აცალეს. ამბობენ, — ამ დროს ირემს ადამიანის ხმა აღმოხდა და დაინწყვლა. სულ მალე კი ეკლესიის ნაწილი დაინგრა, გუმბათი-ც ჩამოიქცაო... პატრიარქს სწორედ ამ ეკლესიაში შესვლისა და ხალხთან დალაპარაკების საშუალება არ მისცეს. ის ადამიანები დღესაც ცოცხლები არიან და ამ ფაქტს, სამწუხაროდ, სიამაყით იხსენებენ...



საუბარში მრევლის უხუცესი წევრი, სოფელ არალის მკვიდრი, 77 წლის პეტრე აფრამაშვილი ჩაგვეერთო



გამოსახვა საკმაოდ რთულია.

— ახლა შენს შვილებზე მესაუბრე. ისინი თუ არიან დაინტერესებულნი თქვაზე მუშაობით?

— ორი შვილი მყავს: ელენე 14 წლისაა, ბარბარე კი მალე 6 წლის გახდება. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ პატარები არიან, თქვაზე ისინიც სიამოვნებით მუშაობენ. სულხან-საბას განმარტებით, „თქვა“ სიკეთეს ნიშნავს. ჰოდა, ჩემი შვილებიც პატარაობიდანვე სიკეთის ქმნას ეჩვენებინა.

— მე და შენ ხომ პარტნიორები ვართ? ჰოდა, ძალიან მაინტერესებს, ჩვენი ტანდემით კმაყოფილი ხარ?

— პირველ რიგში, მინდა, მკითხველს ვუთხრა, რომ მე და შენ ჯგუფელები ვიყავით, ერთად სცენაზე გვითამაშია და უნდა აღვნიშნო, რომ სცენაზე არაჩვეულებრივი პარტნიორი იყავი. მალხაზ, ყველაფერთან ერთად, შენ კარგი მეგობარი ხარ. რაც შეეხება ბიზნესპარტნიორობას, უკვე ორი თვეა, საქმე წამოვიწყეთ და ამ ხნის განმავლობაში, ერთი პატარა შეცდომაც კი არ დაგიშვია. მიმაჩნია, რომ ჩვენი ტანდემი შედგა.

— დაბოლოს, მაინტერესებს, სცენას აღარ დაუბრუნდები?

— წინასწარ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რა იქნება ხვალ. ყველაფერი უფლის ნებაა!..

**ქრნალიტი** — ცისანა ქოთილაიძე  
**რესპონდენტი** — მალხაზ შპირიძე

— **ჟურნალისტობა არასდროს მიცდია და იმედი მაქვს, არც ეს საქმე გამიჭირდება... მალხაზ, მაინტერესებს, საოცნებო როლი თუ გაქვს?**

— სიმართლე გითხრა, ჰამლეტის როლზე არასოდეს მიოცნებია. ბავშვობიდანვე მინდოდა, სახასიათო როლები მეთამაშა. სურვილი მქონდა, ისეთი ტიპი განმესახიერებინა, რომელიც სასაცილო იქნებოდა და ხალხს შეუყვარდებოდა. მოგეხსენება, სცენაზე მსახიობის ყოველი გასვლა ძალიან მნიშვნელოვანია. მთავარია, რომ შენი, თუნდაც მეორეხარისხოვანი როლით, მაყურებელს თავი დაამახსოვრო. „სამანიშვილის დედინაცვალში“ ერთი პატარა როლი მქონდა, კოსტია ვიყავი და ერთადერთ ფრაზას ვამბობდი: „ბრავო, აი, ბრავო!“ ამ ფრაზას მაყურებელი ისეთი ოვაციით ხვდებოდა, რომ ჩემი გმირი ძალიან შემეყვარდა. ისე, დღემდე ვერ ვხვდები, რატომ მოსწონდათ ეს ფრაზა... როცა ტელეფერიალში — „ძილის წინ“ ვთამაშობდი, ჩემი გმირი — გიო ცერცვაძე

ძალიან მიყვარდა, რადგან მაყურებელს ისიც ესიმპათიურებოდა. ეს კი მსახიობისთვის ბევრს ნიშნავს. თან, ჩემთან ერთად, ამ სერიალში მედია ჩახავა და იმედა კახიანი მონაწილეობდნენ, მათთან ერთად მუშაობა კი ძალიან სასიამოვნო გახლდათ.

— **მალხაზ, საკუთარი თავი სცენის გარეშე თუ წარმოგიდგენია?**

— არ ვიცი, ამ საკითხზე არ მიფიქრია... მაგრამ როგორც ამბობენ, სცენამ მონატრება იცისო.

— **მართალი ხარ. იცი, ზოგჯერ პატარა-პატარა ნოველებს, პიესებს,**

**ლექსებს ვწერ და შენ წარმოიდგინე, წერის პროცესი ისეთივე სასიამოვნოა, როგორც სპექტაკლში რაიმე როლის თამაში... ძალიან მაინტერესებს, პირადად შენ, მსახიობი მალხაზ ქვრივიშვილი ნარუჯეთ რატომ დაინტერესდი?**

— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს შენი წამოწყებული საქმეა. ვიცი, პატიოსანი და ნიჭიერი ადამიანი ხარ. გარდა ამისა, ვხედავ, როგორი მონდომებით აკეთებ ყველაფერს და ისიც შევამჩნიე, რომ ჩემი მხარში ამოდგომა გჭირდებოდა... მინდა, კიდევ უფრო საინტერესო რამ შევთავაზოთ მომხმარებელს, ნარუჯეთ რომ ყველა ფენის ადამიანისთვის ხელმისაწვდომი იყოს.

— **დაახ, სწორედ შენი დამსახურებით ვიპოვეთ ინვესტორი, რომელმაც ამ საქმეში ფული ჩადო...**

— ეს ჩემი კი არაა, შენი დამსახურებაა — სახლში შენ მიერ დამზადებული სანათი და შირმა რომ არ წამეღო, ასე არ მოხდებოდა. როცა ჩემი მეგობარი, დათო კოდუა მესტუმრა, შენს ნახელავზე გადვირია და თქვა: ამ საქმეს დიდი სიამოვნებით დავაფინანსებო. თვითონაც შემოქმედი ადამიანი და ამ ყველაფერს შემოქმედებითად მიუდგა. შენი ნამუშევარი ჭეშმარიტად, ქართული ბრენდია.

— **მალხაზ, მოდი, შენს შვილებზეც მესაუბრე...**

— უფროსი გოგონა უკვე 16 წლისაა და სამოდელო სააგენტოში დადის, მოდელობას აპირებს; მეორე შვილი — 2 წლის ლუკა მართალია, ჯერ პატარაა, მაგრამ ძალიან მაგარი ბიჭია. ის საოცრად ჭკვიანი

და თბილი ბავშვია.

— **ამას წინათ, ჩემმა პატარა შვილმა გაიღვიძა და მკითხა: გევენები, მითხარო, მსოფლიოში ყველაზე კარგი პროფესია რომელია? ვუპასუხე — მე ყველაფერზე მეტად, წერა მსიამოვნებს-მეთქი. დაფიქრდა და მითხრა: მწერალი ქალი არ გამიგია, მაგრამ მაინტერესებს, მაშინ მსახიობობა რატომ აირჩიეო? ამით იმის თქმა მინდა, რომ 5-6 წლის ბავშვები უკვე პროფესიის არჩევაზე ფიქრობენ. შენს შვილებს თუ ურჩევ მსახიობობას?**

— გააჩნია, როგორი დრო იქნება. პირადად მე, ჩემი პროფესიით ოჯახის



რჩენა ძალიან გამიჭირდა. გარდა ამისა, მსახიობობას დიდი ენერჯია მიაქვს. ამიტომ, ჩემს შვილებს არაფერს ვურჩევ. მათ თავად უნდა გადანყვიტონ, თუ რომელ პროფესიას დაუფლებიან...

— **ამჟამად თეატრში რა როლები გაქვს?**

— სეზონი უკვე დამთავრდა და ბოლო სპექტაკლიც ვითამაშეთ. ახლა ახალ სპექტაკლზე მუშაობენ, რომელშიც მე არ ვარ დაკავებული... იმედი მაქვს, რომ სექტემბრიდან ჩვენი სერიალს — „პუშკინები“ გადაღება გაგრძელდება. როგორც ჩემთვის ცნობილია, ის ცოტა განსხვავებული ფორმატის იქნება.

— **სულ ბოლოს, მაინტერესებს, თავისუფალი დრო თუ გაქვს და რითი ერთობი?**

— ამ ბოლო დროს, ჩემდა ჭირად, კომპიუტერი ვისწავლე. მართალია, ტექნიკაში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ კომპიუტერის შესწავლა მაინც მოვახერხე. ეს ჩემთვის საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. ჰოდა, ერთი სული მაქვს ხოლმე, სახლში როდის მივალ, რომ კომპიუტერს ჩაუჯდე. შესაბამისად, გამოდის, რომ თავისუფალი დრო არ მაქვს.

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, მსგავსი სადისტურ-მანიაკური ფაქტების სიხშირე განსაკუთრებით თვალში საცემი და საგანგაშოა. გასულ კვირას, ხანში შესული მამაკაცის მიერ 8 წლის გოგონას არაერთგზის გაუპატიურების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ საზოგადოება შეძრა და გააოგნა. მოსახლეობის აღშფოთება გასაგებია, მით უმეტეს, რომ ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ და აქამდე, პედოფილის სხვა შემზარავი ფაქტებიც დაფიქსირებულია. ბევრია გაუხმაურებელი დანაშაულიც, როცა დაზარალებულის ოჯახის წევრები თავად ცდილობენ, მომხდარი საშინელება სამართალდამცველების ყურამდე არ მიიტანონ და მოზარდის ისედაც დანგრეული ცხოვრება საქვეყნოდ სალაპარაკო არ გახადონ. ხშირად, საშინელ საიდუმლოს თავად დაზარალებული ბავშვი არ ამხელს...

ასე ხდებოდა კახეთის რეგიონში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახშიც. 11 წლის გოგონა, თითქმის ერთი წლის მანძილზე, საშინელ ტანჯვას იტანდა, ოჯახის წევრებს არაფერს უმხელდა და შესაძლოა, საზარელი დანაშაული საიდუმლოდ კიდევ დიდხანს დარჩენილიყო, რომ არა შემთხვევითობა. ერთ დღეს, საწოლზე მწოლიარე, გაშიშვლებულ ბავშვს თავზე უმცროსი ძმა წაადგა. პატარა ბიჭს ძალიან შეეშინდა, როცა ოთახში ასევე შიშველი, მისთვის კარგად ნაცნობი ვაჟა ძია დაინახა (ყველა სახელი და გვარი შეცვლილია). „...მე და გოგი (მეზობლის ბავშვი) ერთად ვიყავით, გოგის ეზოში და მის ახალ ველოსიპედს ვათვალიერებდით. გოგიმ მითხრა, — საღამოს გათხოვებო. ამ დროს გავიგონე, ვიღაცამ დამიძახა. ვიფიქრე, ჩემი დამეთქი და სახლისკენ წავედი. ლიზიკო ვერ დავინახე და შინ შესვლა დავაპირე, მაგრამ კარი დაკეტილი დამხვდა. სახლში მარტო მე და ლიზიკო ვიყავით. უკანა ეზოდან სამზარეულოში შესასვლელია. იქიდან შევედი და ოთახში რომ არ იყო, საძინებლისკენ წავედი. ლიზიკო ინვა და ტანზე არაფერი ეცვა. დავინახე, რომ ვაჟა ძიაც შიშველი იყო, საწოლთან მივიდა და ლიზიკოს ზემოდან დაანვა. მე რომ შევედი, ის იმ მომენტში დაანვა... მე შემიშინდა და გავიქეცი. ფარულში შევედი, დავიმალე და დეიკოს მოსვლას დაველოდე...“ — ეს დაზარალებულის ძმის, 8 წლის ანზორ ლალიაშვილის სასამართლო ჩვენებაა, რომელიც მან პედაგოგისა და ფსიქოლოგის თანდასწრებით მისცა. დაკითხ-

# „მე იმას არ გააკვირვებ, რასაც ბიჭყვი, ამ დანიშნულ დაბჭვრი...“

## 46 წლის მამაკაცი ნათესავ ბავშვს თვიახის მანძილზე აუჯახიურებდა

ვისას ბავშვმა ისიც თქვა, რომ ადრე მსგავსი ფაქტი არასდროს უნახავს, ვაჟა ძია კი მათ ოჯახში საკმაოდ ხშირად დადიოდა.

ვაჟა 46 წლის გახლდათ. იგი წარსულში სხეულის განზრახ მიძიმე დაზარალებულის ნასამართლვე იყო და დაზარალებულის ოჯახისგან ოდნავ მოშორებით, მეუღლესთან და მოხუც დედასთან ერთად ცხოვრობდა. ბავშვებს, როგორც ისინი ჩვენებებში აღნიშნავენ, მისი ყოველთვის უშინოდ, რადგან იცოდნენ, რომ ნაციხარი იყო, მუდამ თვრებოდა და ხშირად ბრაზობდა... მიუხედავად ყველაფრისა, ის დაზარალებულის ოჯახთან წლების მანძილზე ახლობლობდა და მათგან საკმაოდ კარგი, თბილი დამოკიდებულებით სარგებლობდა.

საქმის მასალების მიხედვით, შემთხვევის დღეს მშობლები — ლია და ვალერი ლალიაშვილები ლოცინად ჩავარდნილი, მომაკვდავი ნათესავის მოსახსულებლად მეზობელ სოფელში წავიდნენ. „ლიზიკო მარჯვე ბავშვი იყო. პატარა ასაკის მიუხედავად, საოჯახო საქმეებშიც მესმარებოდა და ძმასაც ყურადღებას აქცევდა. მისი იმედი ყოველთვის მქონდა. ამიტომაც, მათი მარტო დატოვების არასდროს შემშინებია. თანაც, ვიცოდი, რომ შინ ძალიან მალე დავბრუნდებოდი. საქმის კურსში იყო გვერდით მცხოვრები მეზობელი ქალიც, რომელიც დამპირდა, რომ დროდადრო ბავშვებს მიაკითხავდა და თუკი შეგვაგვიანდებოდა, მათ თავისთან გადაიყვანდა“, — აღნიშნა დაკითხვისას დაზარალებულის დედა.

გაირკვა, რომ მეზობელ ქალს ბავშვებისთვის არ მიუკითხავს, რადგან მიიჩნია, რომ მშობლების წასვლიდან არც ისე დიდი დრო იყო გასული. უფროსები შინ დაახლოებით ორ საათში დაბრუნდნენ. „შინ მარტო ლიზიკო დავხვდა, ანზორი კი არსად ჩანდა. ლიზიკო დაბნეული და შეშინებული მეჩვენა, მაგრამ მისთვის არაფერი მიკითხავს, არც თვითონ უთქვამს რამე. პირველ რიგში, ანზორიკოს ადგილსამყოფლით დავინტერესდი. ლიზიკომ მითხრა, — გოგისთან ერთად თამაშობსო და შეილის დასახლებლად მეზობლის ოჯახისკენ წავედი. იქ მითხრეს: ბავშვი

ერთ საათზე მეტია, რაც შინ წავიდა, საღამოს კი გადმოსვლას აპირებდაო. ვერსად ვიპოვე და ავფორიაქდი. ხმამალლა ვეძახდი, საკუთარ ეზოში დავუწყე ძებნა. არ ვიცი, რატომღაც ძალიან ველავდი. ადრეც დამჭირვებია მისი ძებნა, მაგრამ ასე არასდროს მინერვიულია, ახლა კი გული რაღაცას ცუდს მიგრძნობდა. სწორედ იმ მომენტში, როცა ეზოში ვიდექი და ვეძახდი, მისი ხმა გავიგონე, — დედაო. ფარდულის კარი ღია იყო, შიგნით შუქი არ ენთო და ბავშვი არ ჩანდა, მაგრამ მივხვდი, იქიდან მეძახდა. გარეთ არ გამოდიოდა. მეც შევედი და მაშინ მითხრა ის ყველაფერი, რაც დაინახა... თავს კონტროლი ვერ გავუწიე და კივილი მოვრთე. ფარდულიდან გარეთ გასვლას, ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ვახერხებდი, ჩავიჩოქე და ავიკვლდი. რამდენიმე წამში ქმარი მოვარდა, მაშინვე გამოჩნდა მეზობელი ქალიც — ქეთევანი. რადგან ანზორიკოს ვეძებდი, დარწმუნებული იყო, რომ ბავშვს რაღაც დაემართა და ამიტომ ვკივიდი. ანზორი ჩემ გვერდით იდგა, მაგრამ ანერვიულებულმა ვერც შენიშნა და გაჰყვიროდა, — რა დაემართა ანზორსო? იმ მომენტში გონება დავკარგე და როცა აზრზე მოვედი, უკვე შინ, საძინებელში ვინექი. საძინებლის დანახავზე კივილი დავიწყე და ოთახში შევნიშნე მეზობლებიც, რომლებმაც უკვე ყველაფერი იცოდნენ... ანზორიკოს უთქვამს...“ — წერს ჩვენებაში ლია ლალიაშვილი.

ეს ამბავი რომ გაიგო, თავზარდაცემული მამა — ვალერი ლალიაშვილი და მეზობელი მამაკაცები ვაჟს ოჯახში მიუცვივდნენ. ის შინ არ დახვდათ. სახლში არ იყვნენ არც მისი მეუღლე და დედა. მოგვიანებით, ოჯახის წევრების ადგილსამყოფელი სამართალდამცველებმა გაარკვიეს და ისინი დაპკითხეს კიდევ. მათ თქვეს, რომ ვაჟა შინიდან დილით გავიდა და მას შემდეგ არ დაბრუნებულა. მომხდარის შესახებ მათ იმავე დღეს, მეზობლებისგან შეიტყვეს და მათივე რჩევით, სახლი დატოვეს, რადგან დაზარალებულის მამის შეეშინდათ — ის ვაჟს მოკვლით ემუქრებოდა, ალუღებულ მას ყველგან დაეძებდა...

პოლიციამ დანაშაულში ეჭვმიტა-

წილი მეორე დღეს, თელავში, მისი ერთ-ერთი ნაცნობის ბინაში დააკავა. მან ჩადენილი დანაშაული არ აღიარა. საქმის მასალების მიხედვით, ვაჟამ დილით, სოფლის ცენტრში, მეზობელ მამაკაცებთან ერთად რამდენიმე ჭიქა ლუდი და არაყი დალია, შემდეგ კი ვალერი ლალიაშვილის სახლისკენ გაემართა. ის, რომ სხენებულ ოჯახში მართლაც მივიდა და შინ ღიბი დახვდა, არც ბრალდებულმა უარყო. მან თქვა, რომ არ იცოდა, თუ შინ მხოლოდ გოგონა დახვდებოდა. ბრალდების თანახმად, როცა ბავშვი მარტო დაიგულა, ვაჟამ მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება მოისურვა და გოგონას უბრძანა, დამორჩილებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოკვლით დაემუქრა. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოძიების ინფორმაციით, ეს გაუპატიურების პირველი შემთხვევა არ ყოფილა. დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, ვაჟამ მასთან სქესობრივი კავშირი პირველად 2006 წლის ოქტომბერში ანუ გახმაურებულ შემთხვევამდე 10 თვით ადრე დამყარა. „...იმ დღეს სკოლიდან ადრე გამოგვიშვეს. სახლში არავინ იყო. მშობლები წასულეები იყვნენ, მაგრამ ეზოში ვაჟა ძია იჯდა. მთვრალი იყო. მითხრა, — მამაშენს ველოდები, შენი სადღერძელი ერთად უნდა დავლიოთო. არაფერი მითქვამს. მისი ყოველთვის მეშინოდა, რადგან ხშირად ყვიროდა და ჩხუბობდა. სანამ სახლში შევი-

დოდი, სკოლიდან ჩემი უმცროსი ძმაც მოვიდა. ვაჟა ძია ოთახში შემოგვეყვა და ანზორიკოს უთხრა: ჩემს სახლში გამეგზავნე. საკუჭნაოში ხელსაწყოებით სავსე პარკი უნდა იყოს, მომიტეხე და მომიტანეო. ანზორიკოც მაშინვე გაიქცა. ამის შემდეგ, ვაჟა ძიამ მითხრა, — საძინებელში შევსულიყავი და ტანზე გამეხადა. ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა, მაგრამ შემეშინდა და ტირილი დავიწყე. მაშინ მაგიდიდან დანა აიღო და თქვა: თუ იმას არ გააკეთებ, რასაც გეტყვი, ამ დანით დაგჭრიო...“ — თქვა დაკითხვისას დაზარალებულმა. გოგონას თქმით, მან იცოდა, რომ ვაჟა ლალიაშვილს სიმთვრალეში ცუდი ხასიათი ჰქონდა და ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ის მუქარას შეასრულებდა. „...დედისთვის ამის გამხელას არ ვაპირებდი, რადგან ძალიან მეშინოდა... შინ მაშინ მოდიოდა, როცა მშობლები არ იყვნენ... იმ დღეს, როცა ჩემი ძმა მოულოდნელად შემოვიდა და გაიქცა, თავი დამანება, მაშინვე ჩაიცვა და გაეკიდა...“ — აღნიშნავს ჩვენებაში დაზარალებული. მისი თქმით, იმ დღეს ვაჟა ძიამ მისი გაუპატიურება ვერ მოასწრო, მაგრამ მანამდე, ეს პერიოდულად, საკმაოდ ხშირად ხდებოდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა სქესობრივი კავშირის ფაქტი დაადასტურეს, მაგრამ დაკითხვისას, დაზარალებულმა გოგონამ ამ შემთხვევების ზუსტი დრო და სხვა გარემოებები ვერ გაიხსენა. შესაბამ-

ისად, ეს ეპიზოდები საბრალდებო დასკვნაში დეტალურად ვერ დაფიქსირდა. ღიბი ლალიაშვილის თქმით, მოძალადე მას მშობლების დახოცვითაც ემუქრებოდა. დაზარალებულის, სხვა მონემების ჩვენებებისა და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გამოძიებამ ლალიაშვილს წინასწარი შეცნობით, დამამძიმებელ გარემოებებში, მუქარით, არაერთგზის და უმწეო მდგომარეობაში მყოფი მცირეწლოვნის გაუპატიურების მუხლი წაუყენა. ბრალდებულმა დაზარალებულის სიტყვები კატეგორიულად უარყო და სასამართლო პროცესზე გამართლება მოითხოვა. მისმა ადვოკატმა გამოძიება ტენდენციურობაში დადანაშაულება, დაზარალებულისა და მისი ძმის ჩვენებები კი ბავშვურ ფანტაზიებს მიაწერა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ბრალდების მხარის პოზიცია სავსებით გაიზიარა და ჩადენილი დანაშაულისთვის განსაჯელს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა (მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით). დაცვის მხარის პოზიციამ და განცხადებებმა როგორც დაზარალებული მხარე, ასევე სოფლის მოსახლეობა კიდევ უფრო გააღვიძინა. აღშფოთებული ხალხი მსჯავრდადებულის სოფლისთვის დააქცემას და ლინჩის წესით მისი გასამართლებას მოითხოვდა. მათი აზრით, ასეთი ბოროტმოქმედისთვის 16-წლიანი პატიმრობა მეტისმეტად მსუბუქი სასჯელი იყო...

## შეშინებული ტოკიოს ძუძუები

„აინაბარაში ხალხის მოსაალავედ მოვიდი... ცხოვრებამ ძალიან დამალა...“

იაპონიის დედაქალაქში მომხდარი შემზარავი ფაქტის გამოსაძიებლად მრავალრიცხოვანი საგამომძიებო ჯგუფი, ექსპერტები და ფსიქოლოგ-ფსიქიატრები მუშაობენ. ისინი 25 წლის იაპონელის — ტომოხირო კატოს სადისტური ქმედების ახსნას ცდილობენ და საქმის მასალებში საზარელი დანაშაულის ზუსტი მოტივის დაფიქსირებას აპირებენ. მართალია, ამ დროისთვის გამოძიებას რამდენიმე ვერსია აქვს, მაგრამ ვერც ერთ მათგანს ვერ ყრდნობიან. 2008 წლის 8 ივნისს, ავტონაწილების გამყიდველმა ტომოხირო კატომ, არენდით გამოყვანილი სატვირთო ავტომანქანით, ტოკიოს ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩისკენ, მკვლევობების ჩასადენად გასწია. მანქანა ელექტრონ-

იკის სავაჭრო ცენტრთან ახლოს გააჩერა, გადავიდა და დანამომარჯვებული ხალხის მასაში შეიჭრა. ის დანას ურტყამდა ყველას, ვისაც კი მისწვდებოდა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. გამვლელებზე თავდასხმისას მან 7 ადამიანი მოკლა, 11 კი მძიმედ

დაჭრა... ხალხში საშინელი პანიკა ატყდა, რაც ახლომხლო მყოფმა სამართალდამცველებმაც შეამჩნიეს და საშიში დანაშავე იქვე, შემთხვევის ადგილზევე დააკავეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ განზრახვის სისრულეში მოყვანამდე 20 წუთით ადრე, ტომოხირო კატომ საკუთარი გეგმა ინტერნეტით გაავრცელა, ხოლო პირველი დაკითხვისას გამოძიებლებს განუცხადა: „მე აკიხაბარაში (ტოკიოს კვარტალი, სადაც დანაშაული მოხდა) ხალხის მოსაკლავად მოვედი. ცხოვრებამ ძალიან დამალა...“ მოკლულთაგან 6 მამაკაცი (მათ შორის, 19 წლის ახალგაზრდა და 76 წლის მოხუციცაა) და ერთი გოგონა (21 წლის) გახლავთ. შემთხვევის ადგილას მოქალაქეები დღემდე იკრიბებიან და გარდაცვლილთა სულებს პატივს მიაგებენ. იაპონური ტრადიციისამებრ, მათ იქ ყვავილები, ტკბილეული, ყავა, ლუდი და იაპონელებისთვის განსაკუთრებით საყვარელი — კომიქსები მიაქვთ. სამართალ-





დამცველების აზრით, ერთ-ერთი სა-  
ვარაუდო მიზეზი, რის გამოც დანა-  
შაული მოხდა, კატოს დარღვეული ფსი-  
ქიკაა, მაგრამ ექსპერტ-ფსიქიატრები  
ამას გადაჭრით არ ადასტურებენ. მათი  
თქმით, — აშკარა შურაცხადობა სახ-  
ეზე არაა. კატოს ფსიქიკური მდგო-  
მარეობის გამოკვლევა ჯერ არ დაუს-  
რულებიათ და საბოლოო დასკვნას უახ-  
ლოეს დღეებში გააკეთებენ; მეორე ვერ-  
სიით, დამნაშავე იაპონიაში მოქმედი  
რელიგიური სექტის წევრია და იმ  
დღეს სწორედ სექტის იდეოლოგიის  
თანახმად იმოქმედა; მესამე ვერსიით,  
კატო არა რომელიმე სექტის, არამედ  
ცნობილი მაფიოზური დაჯგუფების —  
ე.წ. იაკუძას კლანის წარმომადგენე-  
ლია. სამართალდამცველები აღნიშნულ  
ვერსიაშიც ხედავენ გამომრიცხავ ფაქ-

ტორებს. მათი ვარაუდით, კატოს ნამო-  
ქმედარი მაფიოზის ხელნერას არაფ-  
რით ჰგავს — ის სრულიად უდანა-  
შაულო ადამიანებს დაესხა თავს და  
კონკრეტული სამიზნე არ ჰყოლია.  
გამომძიებლებმა დასაკითხად კატოს  
ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და თან-  
ამშრომლებს მიაკითხეს. ისინი მომხ-  
დართი აღშფოთებული არიან და ამ-  
ბობენ, რომ ტომოხიროსგან მსგავს  
საქციელს ვერასდროს წარმოიდგენდნენ.  
ისიც აღნიშნეს, რომ მისთვის ფსი-  
ქიკური მოშლილობის მსგავსი არას-  
დროს არაფერი შეუშინებიათ. ახ-  
ლობლების თქმით, ტომოხირო კატო  
კომპიუტერული თამაშებით, კომიქსე-  
ბითა და მულტიფილმებით ერთობოდა.  
ერთ-ერთის თქმით, კომპიუტერთან საა-  
თობით იჯდა და არაა გამორიცხული,

რომ მის ფსიქიკაზე გავლენა აგრესი-  
ულ თამაშებსაც მოეხდინა. „ალბათ,  
თამაშებიდან ვერ გამოვიდა, საკუთარი  
თავი რომელიმე გირი ეგონა და ხალხ-  
ის დასახოცად წავიდა. დაავიწყდა, რომ  
კომპიუტერთან არ იჯდა და ამ ყვე-  
ლაფერს ერთი ლილაკის დაჭერით,  
საწყის მდგომარეობაში ვერ დაა-  
ბრუნებდა...“ — აღნიშნა მონემე გა-  
მომძიებელთან საუბრისას.

ოფიციალური ცნობების მიხედვით,  
ტოკიოში მძიმე დანაშაულის მაჩვენე-  
ბელი მალალი არაა, მაგრამ ბოლო  
დროს მასობრივი მკვლელობების შემთხ-  
ვევები საკმაოდ გახშირდა. მსგავსი  
ფაქტი 2008 წლის მარტშიც დაფიქ-  
სირდა: დანით შეიარაღებული ახალ-  
გაზრდა მამაკაცი ერთ-ერთი სავაჭრო  
ცენტრის მომხმარებლებს დაესხა თავს  
და 7 ადამიანი დაჭრა, ერთი კი —  
მოკლა. ამავე წლის იანვარში სადის-  
ტური დანაშაული 16 წლის ბიჭმა ჩაი-  
დინა. შემთხვევით გამვლელებზე თავ-  
დასხმისას, მან 2 მოქალაქე დაჭრა.  
ყველაზე საზარელი და განმაურებუ-  
ლი კი ქალაქ ოსაკასთან ახლოს მდე-  
ბარე სკოლაში მომხდარი ფაქტია. მა-  
შინ ფსიქიკურად გაუწონასწორებელი  
მამაკაცი, ცივი იარაღით ხელში, მოს-  
წავლეებს შორის შეიჭრა და 7 ბავშვი  
მძიმედ დაჭრა. ■

## თაღლისობაში ბრალდებული ჟურნალისტი სამსჯავროს წინაშე წარდგება

რუსი ჟურნალისტი — ოლეგ ლურეს წინააღმდეგ აღძრუ-  
ლი სისხლის სამართლის საქმე უკვე სასამართლოში გადა-  
იგზავნა. ცნობილ ჟურნალისტს თაღლითობასა და გან-  
საკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გამოძალვაში ადან-  
აშაულებენ. ლურე ბრალს დღემდე კატეგორიულად, მა-  
გრამ ბევრისთვის ნაკლებდამაჯერებლად უარყოფს. მისი  
დაპატიმრების სანქცია ტვერის სასამართლომ, 2008 წლის  
26 იანვარში გასცა. ბრალდების მხარემ მოსამართლეს  
ჟურნალისტის კანონსწინააღმდეგო ქმედებების დამადას-  
ტურებელი მასალები გადასცა, რომლის თანახმად, ლურე  
სენატორ ვლადიმირ სლუცკერის გარემოცვას სისტემატ-  
ურად აშანტაჟებდა და მათგან, მაკომპრომეტირებული პუბ-  
ლიკაციების დაბლოკვის სანაცვლოდ, დაახლოებით 80 ათას  
დოლარს მოითხოვდა. თავად ლურე აცხადებს, რომ მასზე,  
აღნიშნული ბრალდების შეთითხვნით, ერთ-ერთმა მალა-  
ჩინოსანმა იძია შური. ჟურნალისტის თქმით, შურისძიების  
წყურველი მის მიერ გამოქვეყნებულმა მასალებმა გამოი-  
წვია. აღსანიშნავია, რომ ის მალაჩინოსნის გვარს არ

ასახელებს, რასაც  
ოჯახის წევრების უს-  
აფრთხოებაზე ზრუნ-  
ვით ხსნის.  
ბრალდების თანახ-  
მად, დუმილის სანაც-  
ვლოდ, ლურემ 50 ათასი  
დოლარი ცნობილ  
ბიზნესმენ ქალს —  
სენატორის მეუღლეს,  
ოლგა სლუცკერს გა-  
მოსძალა, 30 ათასი  
დოლარი კი სენატო-  
რის ერთ-ერთ თანაშემწეს. მართალია, გამოძიებამ ბრალდ-  
ებულისგან აღიარება ვერ მიიღო, მაგრამ როგორც სამარ-  
თალდამცველები ამბობენ, ჟურნალისტის ჩვენებებში იმ-  
დენი წინააღმდეგობა და დაუკვირვებელი განცხადებაა,  
რომ ეს მისგან აღიარების ტოლფასია. ■



ოლეგ ლურე

## გაუპატიურებაში ეჭვმიტანილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

ამერიკის შტატ ნიუ-ჯერსიში, გაუპატიურებაში ეჭვი-  
ტანილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.  
ექსპერტების თქმით, 28 წლის ჰაგის დუგლასმა თავი  
პისტოლეტიდან გასროლით მოიკლა, ტყვია შუბლში დაიხ-  
ალა... ქალაქ სომერსეტის პოლიციის უფროსის, რენდი  
ქოქსის თქმით, თვითმკვლელობას წინ ოჯახური დავა  
უძღოდა. ცოლთან ჩხუბის შემდეგ, დუგლასი საკუთარ  
საძინებელში ჩაიკეტა და იქიდან თვითმკვლელობით იმუ-  
ქრებოდა. ცოლმა პოლიცია გამოიძახა. შემთხვევის ადგ-  
ილას მისული პატრულები, ეჭვმიტანილთან მოლაპარაკე-

ბებს თითქმის 3 საათის განმავლობაში აწარმოებდნენ და  
მას ოთახიდან გამოსვლას სთხოვდნენ. მოულოდნელად,  
გასროლის ხმა გაისმა და პოლიციელებმა საძინებლის  
კარი მხოლოდ ამის შემდეგ შეამტვრიეს. მათ ოთახში  
გარდაცვლილი დუგლასი დახვდათ...  
სამართალდამცველების თქმით, დუგლასი გაუპატიურე-  
ბის 4 ეპიზოდში იყო ეჭვმიტანილი და წინასწარი პატიმ-  
რობიდან თავდებით გათავისუფლდა. ■

ლოურანს შიცი ერთ-ერთია იმ უცხოელი ჟურნალისტებიდან, ვინც სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ სამომარ მოქმედებებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ინტენსიურად აშუქებდა. თუმცა მის სამოქმედო არეალში მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნები როდი შედიოდა — მან მსოფლიოს თითქმის ყველა „ცხელი წერტილი“, მათ შორის, ერაყი და ცენტრალური აზია მოიარა. სიუჟეტებისთვის, რომლებშიც, ამერიკის მიერ ავღანეთში დაწყებული სამხედრო ოპერაციები და მაზარ ე შარფში „თალიბანის“ სისხლიანი აჯანყება იყო ასახული, ლორენსს სტენფორდის უნივერსიტეტმა „გმირი ჟურნალისტის“ სტატუსიც კი მიანიჭა. შიციც აგრეთვე, საქართველოში „ვარდების“ და უკრაინაში „ნარინჯისფერი“ რევოლუციების შესახებაც მოუშადა მრავალრიცხოვანი რეპორტაჟები.



# უცხოელი კონფლიქტოლოგის თვლით ღანახული ქართული პრობლემა

„სოხუმი დაცემამდე ორი დღით ადრე დავტოვე“...

## ლალი პაპასკირი

— მიჩიგანის უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით დავამთავრე და სწავლა იმავე უნივერსიტეტში, რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე გავაგრძელე. მოგვიანებით კი NBC-ის და Reuters-ის ტელევიზიების პასუხისმგებელ რედაქტორად დავინიშნე. ამჟამად ნაციონალური რადიოს (NPR) მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელი ვარ და აქტიურად ვაშუქებ როგორც კავკასიაში, ისე პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე მოვლენებს. ჩვენი რადიო ამერიკაში ერთ-ერთი გავლენიანი საინფორმაციო საშუალებაა და უამრავი მსმენელი ჰყავს. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის ჩემს დაინტერესებას, ეს თანდათან მოხდა. საბჭოთა კავშირის დაშლას ამ რეგიონში არეულობა მოჰყვა. პირველი, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი იყო, რომელსაც აზერბაიჯანული მხრიდან ვაშუქებდით, რადგან სომხეთიდან იქ შეღწევა შეუძლებელი იყო. უცხოელი ჟურნალისტები ამ კონფლიქტს „უცნაურ მოვლენას“ ვუწოდებდით. ჩემი თვლით მაქვს ნანახი, ბრძოლის წინა ხაზზე სხვადასხვა მხარეს მდგომი ადამიანები როგორ ქეიფობდნენ საღამოებით ბაქოს გარეუბნებში. ომი არც სომხეთის და აზერბაიჯანის ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებს უნდოდათ, მაგრამ ბრძოლები მაინც მიმდინარეობდა...

### — საქართველოში როდის ჩამოხვედით?

— თქვენს ქვეყანაში პირველად, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში ჩამოვედი და საკუ-

თარი თვლით ვნახე იმ დროს შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, რომელსაც სამოქალაქო ომი მოჰყვა. შეფასებებისგან თავს შევიკავებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ რუსეთს ამ ახალბედა სახელმწიფოში სიტუაციის არევა არ გასჭირვებია... სულ მალე დაიწყო სამოქალაქო ომი (ჩვენ ასე ვუწოდებთ) ჩეჩნეთშიც, რაც პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევსა და ადგილობრივ ოპოზიციას შორის განხეთქილებას მოჰყვა. საერთოდ, 90-იან წლებში კავკასიაში რამდენიმე ომის კერა ერთდროულად გაჩნდა... აფხაზეთში პირველად 1992 წელს, „იაკ-40“-ის ტიპის თვითმფრინავით, ქართველ სამხედროებთან და რიგით მოქალაქეებთან ერთად ჩავფრინდი. სოხუმის აეროპორტში სიბნელე და საშინელი არეულობა იყო. „მხედრონისა“ და ეროვნული გვარდიის მეომრები ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მამაკაცებს, იქაურობის დატოვების საშუალებას არ აძლევდნენ, — სამშობლოს დატოვების უფლება არ გაქვითო... „მხედრონისა“ და ეროვნული გვარდიის ბიჭებთან ერთად, სოხუმის ტერმინალთან ახლოს, რაღაც ბარაკის მაგვარ ნაგებობაში პირდაპირ მიწაზე მეძინა, თუკი შეიძლება ამას ძილი დაერქვას. ტრანსპორტით გადაადგილება ნამდვილ ფუფუნებას წარმოადგენდა. მოვლენების გასაშუქებლად, თითქმის სულ ფეხით დავდიოდი. ერთადერთი ადამიანი, ვინც ჩემზე ზრუნავდა, ადგილობრივი ჟურნალისტი და სოხუმის ვიცე-კომენდანტი, ალექსანდრე (საშა) ბერულავა იყო. მან იცოდა, რომ სოხუმი დაცემოდა, მაგრამ მაინც იბრძოდა. მასხოვს, საშამ

შევარდნაძის ნაჩუქარი წიგნი მომცა და მითხრა, — მაშინ დამიბრუნე, როცა ერთმანეთს კიდევ ერთხელ შევხვდებითო. საშა სოხუმში მოკლეს და ქართველი კოლეგის ნაჩუქარ წიგნს დღემდე ვინახავ... მე როგორღაც შევქელი და სოხუმი დაცემამდე ორი დღით ადრე დავტოვე. მერე, ჯერ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში და შემდგომშიც, კიდევ რამდენჯერმე ჩავედი აფხაზეთში...

### — კავკასიურ კონფლიქტებს დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, რა თავისებურებებით გამოირჩევა იგი?

— თუ პარალელების გავლებას გულისხმობთ, ეს შეფასების ადვილი ფორმაა. ზოგადად, ნებისმიერი კონფლიქტი რადიკალურად განსხვავდება ერთიმეორისგან, ისე კი, ამ კონფლიქტებს საერთო „ავტორი“ ჰყავთ — რუსეთი, რომელიც გასული საუკუნის დან მოყოლებული, წარმატებით ახერხებდა, საფუძველი ჩაეყარა და შემდეგ ემართა კიდევ კონფლიქტი ისე, რომ ოფიციალურ მხარედ არ დაფიქსირებულყო. ბოლო დროს მსოფლიომ პატარა ქვეყნების საშინაო პრობლემებში რუსეთის როლზე ლაპარაკი დაუფარავად დაიწყო, მაგრამ რუსეთი ამას ირონიულადაც კი უყურებს, ყოველ შემთხვევაში, მის კრიტიკას ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია... მთელ კავკასიაში ყველაზე ჩახლართული, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტია. მართალია, ამ ფაქტს არავინ აღიარებს, მაგრამ საქმე გვაქვს დაპირისპირებასთან სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. სისულელეა იმაზე

გაგრძელება იხ. გვ. 100

## კლუბის ნავიგატორი

გონებამახვილი იაპონელები სამყაროს ახალ-ახალი სიმპათიური გამოგონებებით კვლავაც ახარებენ. ამჯერად, საავტომობილო ნავიგატორის შესახებ გიამბობთ, რომელიც პლუმის დათუნიაშია ჩამონტაჟებული. მოლაპარაკე დათუნია პატრონს სივრცეში ორიენტირებაში ეხმარება და მიმართულებას თათით მიანიშნებს. წინა კიდურებისა და კისრის არეში მოთავსებული ნავიგატორი, მოძრავი მექანიზმის მეშვეობით მოძრაობს. დათუნას გიდის ფუნქციის შესრულებაც შეუძლია — თავში წამორტყმა საკმარისია, რომ მან ახლომდებარე ობიექტის შესახებ მოგიხროთ, ზოგჯერ კი ჯაჯღანა ცოლის როლსაც ასრულებს: ავტომობილის სიჩქარის მკვეთრი მომატებისთანავე დათუნია ბუზღუნს იწყებს: „ფრთხილად!



ფრთხილად!“ ალკოჰოლის სუნის შეგრძნებისას კი მკაცრად კითხულობს: „შემთხვევით, ნასვამი ხომ არ ხარ?“ როგორც წესი, მძღოლები ამგვარ თანამგზავრთან ერთად, თავს შესანიშნავად გრძნობენ, მით უმეტეს, რომ თუ დათუნია თავს მოაბეზრებს, ცოლისგან განსხვავებით, მისი გამორთვაც შეიძლება.



## უფროს საზღვარსაღარ ინსაქტორებს კორნოს ყურაბასასახურობრივ მოვლოვალ ქაქათ

როგორც ადგილობრივი მასმედია იუწყება, უნგრელი საგადასახადო სამსახურის მუშაკები უკიდურესად უკმაყოფილონი არიან. საქმე ისაა, რომ სურათის „ფილმები უფროსებისთვის“ რეჟისორი ფერენც ხოპკა, საკუთარი „ცხელი“ ბლოკბასტერების გადაღებისას გამოყენებული ავეჯის ღირებულების კომპენსაციის სახით, 20 ათასი დოლარის საგადასახადო გადარიცხვების უკან დაბრუნებას ითხოვს. ამიტომაც საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებს, მათ შორის ქალებსაც, ისლა დარჩენიათ, რომ ხოპკას ყველა ნამუშევარს გულდასმით გაეცნონ და ისიც ზუსტად გაარკვიონ, ფული სინამდვილეში რაში დაიხარჯა. აღნიშნული სამსახურის უფროსის, მარია ნაგის თქმით, „სამუშაო ძალზე მძიმეა. პორნოფილმები იმითაა ცნობილი, რომ იქ, ძირითადად, თავად მოქმედება ნაჩვენები და არა საწინაო ან ხალიჩა, რომელზეც ეს ყველაფერი ხდება. ხოპკას ფილმებში კი ბევრ სიმიშვლეს და ეკრანის კუთხეში აბრეშუმის ნაჭრის პატარა ფრაგმენტს ვხედავთ, რომლის მიხედვითაც უნდა დავაკვანათ, არის თუ არა ეს საწინაო ნაწილი, რომელშიც რეჟისორმა, მისსავე სიტყვების თანახმად, ფული დახარჯა“...

## სანდალი იბალიაში

„მილანის კლინიკა Santa Rita საავადმყოფოს კი არა, უფრო საშინელებათა ოთახს მოგაგონებდათ: ერთ პაციენტს იმ მოტივით — ბარემ რაკილა დავაძინეთ და გავჭყრით, ეს რალას უზამსო და, მარცხენა მუხლზედა მყესის ნაცვლად, წვივისწინა მყესი ჩააკერეს...“ — ისხენებს ამის თვითმხილველი ქირურგი. ახლახან, ლომბარდიის გუბერნატორმა რობერტო ფორმიგონიმ განაცხადა, რომ აღნიშნული საავადმყოფოს ხელმძღვანელობისა და ექიმების სასამართლო პროცესზე რეგიონს პირადად წარადგენს. მისი თქმით, დაახლოებით ერთი წლის წინ, ამ კერძო კლინიკის საქმიანობის შეჩერებასთან ერთად, სამართალდამცველებმა 1,5 მილიონი ევროს ოდენობის მომსახურების დოკუმენტაციის შესწავლას მიჰყვეს ხელი, რადგან საავადმყოფოს ხელმძღვანელობისა და მედპერსონალის მხრიდან შარლატანობისა და მკურნალობის უკანონო მეთოდების გამოყენებაზე მიიტანა ეჭვი. თუმცა, საბოლოოდ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. გრაცია პრადელასა და ტიცინანო სიჩილიანოს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, თაღლითობის, დასახიჩრებისა და მკვლელობის ბრალდებით

უკვე 14 ადამიანი დააპატიმრეს. ასევე გამოქვეყნდა Santa Rita-ს ორი თანამშრომლის — ექიმ მარლონესა და დოქტორ პიერ პაოლო ბრეგ მასონეს საუბარიც. კერძოდ, მარლონე სამედიცინო დანესებულების უფროსზე, ნოტარიუს ფრანჩესკო პაოლო პიპიტონეზე ამბობს: „გასაგებია, რომ სამუშაოს მიმცემის სიტყვები „რაც მეტ ოპერაციას აკეთებ, მით მე ფულს გიხდი“, ქირურგს აგრესიული ქმედებისკენ უბიძგებს... ყოველთვის გუბნებოდა, რომ ის ექიმებზე კარგი პრაქტიკის, ავადმყოფობის ისტორიების და სამეცნიერო მიღწევების შესაბამისად კი არა, მხოლოდ წარდგენილი ანგარიშების მიხედვით მსჯელობდა“. მალე ამ კლინიკაში დასახიჩრებული ადამიანები თუ მათი ახლობლებიც ალაპარაკდნენ და ყველაფერი, რაც მათ Santa Rita-ში გადაიტანეს, დღის სინათლეზე გამოიტანეს.

რო სკოკეტიმ განაცხადა, რომ 2006 წლის 11 დეკემბერს გარდაცვლილ მის დას — მარია ლუიზას მკვრდის კიბოს ბოლო სტადია ჰქონდა, თუმცა Santa-Rita-ში მას რატომაც ფილტვის ოპერაცია გაუკეთეს. „ექიმებს ვეფენებოდი, ჩემი დისთვის მშვიდად სიკვდილის საშუალება მიეცათ, — ისხენებს სკოკეტი, — მაგრამ ისინი ჯიუტად მარწმუნებდნენ, რომ მის გადასარჩენად ყველაფერს ვაკეთებთ“. „საბოლოოდ, საბრალო ქალმა სიკვდილის წინ შემზარავი რვადღიანი აგონია გადაიტანა. ეს ნამდვილი მხეცობა იყო“, — ნათქვამია გამოძიებლების დასკვნაში.



76 წლის ალფრედო სკორდოს 2005 წლის აპრილში გაუკეთეს ოპერაცია. ფილტვების ანთების შემდეგ გამოჯანმრთელების პროცესში მყოფ მოსუცს ექიმებმა ლიმფური კვანძები ამოაჭრეს და ფილტვზე ჩრილი გაუკეთეს. „მე ზურგი გამიჭრეს და ოთხი საათი საოპერაციოში ასე მამყოფეს. ახლა, როცა ამინდი იცვლება, ყველაფერი მტკივა“, — წუხს ალფრედო სკორდო.

გასული წლის სექტემბრის ბოლოს, გამოძიების დანებების შემდეგ, ან უკვე პატიმრობაში მყოფმა, მკერდის ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელმა მასონემ ერთ-ერთ კოლეგას შემდეგი SMS-შეტყობინება გაუგზავნა: „ველარ ვიძინებ. სასონარკვეთილებში ვარ ჩავარდნილი. ვინ იცის, რამდენ ავადმყოფობის ისტორიას იპოვიან და შარლატანობისთვის დამაპატიმრებენ“.

ექიმი არაბელა გალასო კი ერთ-ერთ მოსმენილ საუბარში პიპიტონეზე ამბობს: „ის ყველაზე პირნაგარდნილ სისხლის სამართლის დამნაშავეებს დაიქირავეს, რომლებიც მილიონების მიღების საშუალებას მისცემენ. თუ მათ დაიჭერენ, დამნაშავეები ექიმები აღმოჩნდებიან, თავად კი წყლიდან მშრალი გამოვა“.


ამჟამად ფრანჩესკო პაოლო პიპიტონე შიდა პატიმრობაში იმყოფება. გამოძიების მონაცემებით, მის კლინიკაში პაციენტთა 88 პროცენტს სრულიად უსარგებლო ოპერაციები გაუკეთდა, რომლებმაც მძიმე დასახირებები და თვით სასიკვდილო დაავადებებიც კი გამოიწვია. ხუთი პაციენტი კი იმ ოპერაციების შემდეგ, რომლებიც მათ მხოლოდ იმიტიმ გაუკეთეს, რომ ეროვნული სანიტარული სამსახურის მიერ კლინიკისთვის გადასახდელი კომპენსაციების თანხები გაეზარდათ, გარდაიცვალა. მილანის პოლიცია Santa-Rita-ს პაციენტთა 55000-დან 4000 ისტორიას ორი წლის მანძილზე სწავლობდა და გამოიანგარიშა, რომ კლინიკამ 2,5 მილიონი ევროს არალეგალური შემოსავალი მიიღო.

ბევრი პაციენტი კლინიკის ექიმებს თითქმის ბოლო დრომდე ენდობოდა. „ახლა აღარც კი ვიცი, რა ვიფიქრო“, — განაცხადა La Repubblica-სთვის მიცემულ ინტერვიუში 56 წლის მედეა როზანა სტოპამ. მას რევმატიზმი აწუხებდა, მაგრამ ლავინის სიმსივნეზე ეჭვის მიტანის საბაბით „არანორმალური და ძალიან დამანგრეველი“ ოპერაცია გაუკეთეს. „როგორ გავიგო, სინამდვილეში მქონდა თუ არა სიმსივნე, როცა ტკივილებმა მართლა გამიარა?“ — კითხულობს საბოლოოდ დაბნეული როზანა სტოპა.

გამომძიებლები დღეს ათობით ანალოგიურ შემთხვევას — არარსებულ ქალაქვინის ტრავმებისა და ცხვირის მოტეხილობების, მეტასტაზებში გადაზრდილი ანთებების ისტორიებს სწავლობენ. „მე შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები მქონდა და ოპერაციის გაკეთებას მიპირებდნენ, — განაცხადა 76 წლის ლუიჯი რ-მ, მაგრამ ანალიზების გაკეთების შემდეგ რატომღაც ლიმფური კვანძის ანთება აღმოიჩინეს. ამიტომაც შარდის ბუშტის ოპერაციამდე, ფილტვის ოპერაცია გამიკეთეს“. ერთი პაციენტი, ორი ოპერაცია — ასეთი იყო ზედმეტი კომპენსაციის მიღების სანტა რიტასული კარგად ნაცადი მეთოდი...

# შინ „დასუფრეფა“ მანუა „კვის“ მუხნარისტაით სუმაჩი დაფრთსო

**რუბრიკის — „ერთი დღე“ — სტუმარი ამჯერად, ესპანელი მზარეული მანუელ ფაუნტესია. როდესაც დაფრეკეთ და მასთან ერთად დღის გატარების უფლება ვითხოვეთ, სიამოვნებით დაგვთანმდა, ბინის მისამართი ჩაგვანერინა (ლესია უკრაინკას ქუჩაზე ცხოვრობს) და დასძინა: მე ყოველთვის დილის 7 საათზე ვიღვიძებ და თუ ამ დროისთვის მესტუმრებით, ერთად ვისაუზმოთო. ამ შესაძლებლობას ხელიდან როგორ გავუშვებდით და რვის ათ წუთზე მის კართან ვიდექით. კარი თავად მანუელმა გაგვიღო.**



საწოლიდან ვღებები თუ არა, სამზარეულოში შევიღვარ

## ნიწო მაისურაქმ

— ოჰ, რა პუნქტუალურები ყოფილხართ! მოზრძანდიიით... ჩემი მეუღლე ახლახან წავიდა სამსახურში და შინ მარტო დავრჩი.

— **შვილები სად გყავთ?**

— ორივე გოგონა გათხოვილია

და თავ-თავიანთ ოჯახებში ცხოვრობენ.

მე და ფოტოგრაფს მანუელი სამზარეულოსკენ გაგვიძღვა, სადაც ერბოკვერცხის სურნელი ტრიალებდა.

— **ბატონო მანუელ, მართლა ასე ადრე საუზმოთ ხოლმე?**

— საწოლიდან ვღებები თუ არა, სამზარეულოში შევდივარ და აუცილებლად შემწვარ ან მოხარშულ კვერცხს გეახლებით. მე და ჩემმა მეუღლემ უკვე ვისაუზმეთ. ახლა თქვენ მოგხედავთ...



მაცივრის კარი გამოაღო. რამდენიმე კვერცხი გამოიღო და საქმეს შეუღა

მაცივრის კარი გამოაღო. რამდენიმე კვერცხი გამოიღო და საქმეს შეუღა. ნაწილი — შეწვა, ნაწილი — მოხარშა, სუფრა გაშალა და თვითონაც შემოგვიერთდა. მოხარშულ კვერცხს ნაჭუჭი და ცილა შემოვაცალე და მხოლოდ გულს შევექეცი. მანუელმა გაკვირვებულმა შემომხედა:

— მთელი ვიტამინები ცილაშია და რატომ არ გიყვარს? მე ამ ინგრედიენტის გარეშე ვერ ვძლებ.

— **საუზმეს ყოველთვის თქვენ ამზადებთ?**

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი


ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. მერინოსი ნაზბენვიანი ცხვრის ჯი-შია.
2. თუფაქ შაკური 25 წლის ასაკში მოკლეს.
3. ობერონი, პლანეტა ურანოსის თან-ამგზავრია.
4. ერთ გრამ კობრას შხამს 50 ადამი-ანის მოკვლა შეუძლია.
5. ბიზონის ენა ინდიელი ბელადების საოცნებო საჭმელი იყო.
6. თეთრ დათვს ყინვისგან, ქონის 13-სანტიმეტრიანი შრე იცავს.
7. სენეკტუსი სიბერის საღმერთი იყო ბერძნულ მითოლოგიაში.
8. „ზარიაჟაი! ცელსია! პლიი!“ — არ ისვენებს მისაილ ზადორნოვი.
9. მსატვრული ფილმი „ირმებზე ნად-ირობა“ მაიკლ ჩიმინოს გადაღებულია.
10. ინგლისის ჯარში სამსახურისას პრინც ჩარლზს ვერტმფრენის მართვა უნ-ევდა.
11. რომის პაპის წარმომადგენელს, რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან ნუნციუსი ჰქვია.
12. მენესტრელი — მოხეტიალე პოეტი-მუსიკოსი იყო შუა საუკუნეების ინგლისსა და საფრანგეთში.
13. მოტოციკლს ეტლი იმ მხარეს უმ-აგრდება, რომელ მხარესაც არის მოძრაო-ბა მოცემულ ქვეყანაში.



14. ჩანგლის კონსტრუქციაში უმთავრესი ცვლილება რომელზეა შეიტანეს: მანამდე ყველა ჩანგალი ცალკე იყო.

15. სვასტიკა (ბოლოებშეტყვილი ჯვარი) მარადიული წრებრუნვის, კვლავშობისა და ბედნიერების სიმბოლო იყო ინდუსთა რელიგიაში.
16. მაჭიკი — საყველე რძის შესადედე-ბელი მასალაა, რომელსაც ჩვილი მცონხავი საქონლის კუჭიდან იღებენ. მეორენაირად მას დვრიტა ჰქვია.
17. ჰონკონგის ხუთვარსკვლავიან სას-ტუმროებში დამსვენებელს 5.000 დოლარ-ად შეუძლია, შამპანურის აბაზანა მიიღოს.
18. „იესტ ეშო პოროს ვ პოროხოვნი-ცაბ!“ — ამბობენ რუსები. „იესტ ეშო პოხრენ ვ პოხრენავნიცაბ!“ — ამბობს ევგენი პეტრო-სიანი.
19. „ფეხბურთი ეს არის თამაში, რომელ-საც 22 კაცი თამაშობს და რომელიც ყოველთვის გერმანელთა გამარჯვებით მთავრდება“, — ამბობდა ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი ჰარი ლინეკერი.
20. ბრამსი, იოჰან შტრაუსის დიდი თაყვანისმცემელი იყო. ერთხელ, „ვალსების მეფის“ მეუღლემ სთხოვა, — ოჯახურ ალბომში სამახსოვროდ, რამდენიმე



ყვავილებს ჩემი მეუღლე უვლის

აზრზე მოსასვლე-ლად, ერთი-ორი დღე მჭირდება.  
— **შოტლანდია-ში რა მისიით იმე-ოფებოდით?**

— თბილისის ტუ-რისტულ კოლეჯში ვმუშაობ, სადაც კუ-ლინარიის გაკვეთი-ლებს ვატარებ. სწო-რედ ამ კოლეჯიდან წავედიო ქალაქ დან-დის ტურისტულ კო-ლეჯში და გარკვე-ულწილად, ერთმანეთს გამოცდილება გაეუ-ზიარეთ. მოკლედ, გა-ცვლილი პროგრამა იყო. იქიდან ჩამოვი-ტანე შოტლანდიური კერძების კულინარი-ული წიგნი. ახლა სწორედ ამ წიგნში

— საუზმეს, სადილს, სამხარსა და ვახშამსაც მე ვამზადებ. ეს ჩემი პროფესიაა.

— **თქვენი მეუღლე როგორი კულინარია (ცნობისთვის, მანუელ-ის მეუღლე ქართველია)?**

— სხვათა შორის, ამ საქმეში ტოლს არ მიდებს. ამდენი წელია, ერთად ვცხოვრობთ და „დავასპეცე“ (იცინის).

ვისაუზმეთ თუ არა, სამზარეუ-ლოდან მისაღებ ოთახში გადავი-ნაცვლით.

— **დღეს რა გეგმები გაქვთ?**

— დღეს ვისვენებ და უიკენდს ყოველთვის შინ ვინჯობ. ორი დღის წინ დავბრუნდი შოტლანდიიდან და

მოცემულ კერძებზე ვმუშაობ. მალე საქართველოშიც შეეძლება ამ კერ-ძების დაგემოვნება და შეყვარება.

— **მთელი დღე შინ უნდა იყოთ?**

— დიახ! 3-4 საათისთვის ჩემს ნათესავს ველოდები. რაც შოტლან-დიიდან დავბრუნდი, არ მინახავს. მოდი, მის მოსვლამდე, სამუშაო ოთახში გადავინაცვლოთ.

კაბინეტში კომპიუტერს მიუჯდა.

— რაც კომპიუტერი შევიძინე, ძირითადად, შინ ვმუშაობ. დღის დიდ ნაწილს სწორედ ამ ოთახში ვატარებ. **შუადღე - 15.00 სთ.**

კარზე ზარის ხმა გაისმა.

— ეს ალბათ ჩემი ნათესავია!



რაც კომპიუტერი შევიძინე, ძირითადად, შინ ვმუშაობ



ბატონ მანუელს სტუმრად ნათესავი ეწვია

სამ წუთში მანუელი მამაკაცთან ერთად შემოვიდა. კომპიუტერში გახსნილი ფოლდერი ჩაკეცა და კვლავ სასტუმრო ოთახში გავედით. მისი სტუმარი გაკვირვებული შემოგვეყურებდა. როდესაც მოულოდნელად, ფოტო გადავუღეთ, უფრო გაოცდა და მანუელს მიაჩერდა. მანუელმა აბსოლუტურად სერიოზულად უთხრა, — ესენი პოლიციის მუშაკები არიან და ჩემს ყველა ნაბიჯს აკონტროლებენო... ბოლოს და ბოლოს, დაბნეული სტუმარი სიტუაციაში გავარკვიეთ და შვევით ამოიხსნა.

სანამ სტუმარ-მასპინძელი საუბრობდა, ჩვენ ოთახში მცენარეებს ვათვალიერებდით.

— ამ მცენარეებსაც თქვენ უვლით?

— საუზმიდან დანყებული, ვახშით დამთავრებული, — ყველა კერძს ხომ მე ვამზადებ, ახლა კიდევ — ყვავილები (იციინის)?!. ყვავილებს ჩემი მეუღლე უვლის. კიდევ, ოთახებს ალაგებს (იციინის).

სალამო — 16.00 სთ.

მოგვიანებით სტუმარი დაგვემშვიდობა და წავიდა. სალამოს მანუელს მეუღლემ დაურეკა და სამსახურიდან შინ წამოყვანა სთხოვა.

— თქვენც წამომყევით, ჩემს მეუღლეს სამსახურიდან წამოყე-

ვან და „სტიკ ჰაუზში“ ერთად ვივასშმოთ.

ჩვენ (საქმეების გამო) ბატონი მანუელის მიპატიჟება ვერ მივიღეთ და ამიტომ, მხოლოდ რედაქციამდე მიყვანა ვთხოვეთ.

— იმდენად შეგეჩვიეთ, რომ დიდი ხნის მეგობრები მგონიხართ. მშვენიერი დღე გავატარე თქვენთან ერთად. დიდი მადლობა!

ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა ბატონი მანუელი და თვალს მიეფარა.



მშვენიერი დღე გავატარე თქვენთან ერთად. დიდი მადლობა!

ინფორმაციულ-ჟეპეხეპიტი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკრძან:

სტრიქონი ჩამინერეო. ბრამსმა შტრაუსის ვალსის — „მშვენიერ ცისფერ დუნაიზე“ — პირველი ტაქტები ჩაწერა და მიანერა: „სამწუხაროდ, მუსიკა ჩემი არ არის“.

21. ინგლისში გავრცელებული იყო ორცხენიანი ეტლები, რომლებშიც ცხენები არა გვერდიგვერდ, არამედ ერთმანეთის მიყოლებით იყვნენ შებმული. ამგვარი აუცილებლობა გზების სივინროვით იყო გამოწვეული.

22. კაროლინის შტატში სპილოებით მინის ხვნა კანონით აკრძალულია. ეს, დღევანდელი თვალსაზრისით, აბსურდული კანონი მაშინ შემოიღეს, როცა ადგილობრივი ცირკის მსახიობი და ცხოველების მომთვინიერებელი ხალხის გასართობად, მსგავს სანახაობას აწყობდა — გუთანში სპილოებს აბამდა და მინას ასვენებდა.

23. — რა დაგემართა, რა ცხვირი ჩამოგიშვია? — ჰკითხა ერთხელ, მოწყენილი სახით მდგარ ქართლოს კასრამქს ნიაზ დიასამიძემ. — დისშვილი აბარებს თეატრალურზე... — ამოიხსრა ქართლოსმა. — მერე, მომზადებული არ არის? — მომზადებული კია, მაგრამ ძალიან დიდი კონკურსია, ადგილები კი ცოტა. — მაინც, რამდენი ადგილია? — დაინტერესდა ნიაზი. — რამდენი და ორი, — ხელი ჩაიქნია ქართლოსმა. — ორი?!. შე კაცო, ფაკულტეტი თუ „ლოდჯა“?!. — გაუკვირდა ნიაზს.

24. „გეორგიევსკის ტრაქტატის“ 200 წლისთავთან დაკავშირებით, ჩვენმა კინოსტუდიამ მრავალსერიანი ფილმი გადაიღო, რომლის სადამდგემლო ჯგუფში ბიძინა კვერნაძეც შედიოდა. ერთ-ერთ მოსამზადებელ თაბაშირზე გამოითქვა აზრი, პირველი ორ სერიას „ნიგნი ფიცისა“ დავარქვათ, ხოლო მესამესა და მეოთხეს — „ბოლო ნათელი“. ბიძინა კვერნაძემ მხრები აიჩინა: „დაარქვით ბარემ — „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებს“ — და გათავდება საქმე“. სიცილმა დარბაზი შეზაზნარა. რაღა გასაკვირია, რომ ფილმის სათაურად, მხოლოდ მისი პირველი ნახევარი დარჩა.

25. ერთხელ როდენს, ადამიანის ნატურალური სიდიდის მქონე სკულპტურის თაობაზე შარი მოსდეს, — თაბაშირში მენატურე გყავდა ჩანვენილი და ამ გზით დამზადებულ ყალიბში ჩაასხი სპილენძი, თორემ ასეთ სრულყოფილ ქანდაკებას როგორ შექმნიდიო?!. იმ ხანებში ეს მართლაც, დანერგილი პრაქტიკა იყო. არავინ იცის, როდენი თუ მიმართავდა ამგვარ ხერხს, თუმცა თავისი „მოაზროვნის“ შესაქმნელად, თაბაშირში დანტე ალიგიერის რომ ვერ ჩაანვენდა, ცხადზე უცხადესია.



# „ძილად ყაჩაღი ყაჩაღი ჯერ იყო“ ...

## გიგი წარათაღა ჟურნალისტის შებენს გაუძლო

მისი საცვარელი მწერლები — გურამ რჩეულიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე უშუკინი, ანტონ ჩეხოვი არიან. ახალგაზრდობაში ბევრს კითხულობდა, დღეს კი პოლიტიკური საქმიანობის გამო, მხატვრული ლიტერატურისთვის დრო ნაკლებად რჩება. უმეტესად ანალიტიკურ, პოლიტიკურ ლიტერატურასა და ცნობილ მოღვაწე თა ბიოგრაფიებს კითხულობს. თანამედროვე ქართულ მწერლობას იშვიათად ეცნობა. ამბობს, რომ წიგნი არასდროს მოუპარავს.

წიგნის ქურდს „დიდ ქურდს“ უწოდებს და დასძინა: „მე რომ ვინმემ წიგნი მომპაროს, ძალიან მენწყინება და გაგზრზდება“. მას ასე „ერუდიტის“ სტუმარი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი — გიგი წარათაღი გახლავთ.



### თამუნა კვიციანი

- ლათინურის შემდეგ, მსოფლიოში ყველაზე მეტად, რომელი ანბანური სისტემაა გავრცელებული?
- იაპონური ან ჩინური იეროგლიფები.
- ცდებით, სწორი პასუხია — არაბული. XX საუკუნეში, მცხეთაში ცხოვრობდა ბერი, რომელიც უფლის ნებით, სასწაულებს ახდენდა. დღეს მისი საფლავიდან აღებული სასწაულმოქმედი ზეთით ბევრი ადამიანი იკურნება. რა ერქვა ამ წმინდა ბერს?
- ეს გახლდათ მამა გაბრიელი.
- ვინ არის სიმღერის — „სულიკო“ მუსიკის ავტორი?
- (იცინის) ვარინკა წერეთელი. აკაკი წერეთლის ბიძაშვილი გახლდათ.
- თქვენთვის კარგად ცნობილი ნაწარმოებების — „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ — ავტორია მარკ ტვენი. ეს მისი ფსევდონიმია. დაასახელეთ მისი ნამდვილი სახელი და გვარი.
- სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ. ისე, ვიცი, რომ მარკ ტვენის თამბაქოს გამორჩეულად მოყვარული ადამიანი იყო.
- მისი სახელი და გვარია — სამუელ კლემენსი. რომელი ქვეყნის დედაქალაქშია აღმართული თანამედროვე მინის პირამიდები?
- პარიზში.
- რომელი ცხოველის ბენვისგანაა შეკერილი ქუდი, რომელიც დიდი ბრიტანეთის სამეფო გვარდის ჯარისკაცებს ახურავთ?
- მელიის ბენვისგან, არა?
- დათვის ბენვისგან. რა ერქვათ მარიამ ღვთისმშობლის მშობლებს?
- (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ.
- იოაკიმი და ანა. არაბული თქმულების მიხედვით, ამ მცენარის მასტიმულირებელი მოქმედება თხებმა „აღმოაჩინეს“. მწყემსმა შენიშნა, რომ თხები, რომლებიც ამ მცენარის ბუჩქებს ჭამდნენ, დიდხანს დარბოდნენ. მას შემდეგ, ის ძალზე პოპულარული გახდა. მის მარცვლებს მთელ მსოფლიოში იყენებდნენ.
- ეს ყავა გახლავთ.
- მარინისტული ჟანრის სურათია ტილო, რომელზეც გამოსახულია...
- ზღვის პეიზაჟი.
- რომელია პირველი ქართული მხატვრული ფილმი?
- გავისხენებ, ამ ფილმს ქალის სახელი ჰქვია (ფიქრობს). შემახსენეთ, რა, დავითანჯე.

- „ქრისტიანე“. ვინ იყო ნიკოლაი ჩაუშესკუ?
- მთლად კარგი კაცი ვერ იყო.
- უფრო ზუსტად რომ თქვათ?
- რუმინელი დიქტატორი გახლდათ.
- ამ ხის რტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გერბზეა გამოსახული და მშვიდობის სიმბოლოდ მიიჩნევა.
- ეს არის ბრტყელ სივრცეზე განლაგებული მსოფლიოს რუკა, რომელსაც ზეთისხილის რტო არტყია გარს.
- ვინ იყო ლავუაზი?
- ფრანგი ქიმიკოსი.
- დიახ, ის მდიდარ ადამიანად მიიჩნეოდა და ქონება, სახელმწიფო გადასახადებისგან თავის არიდების გზით დააგროვა... „ესე არაკი მართალი, ჩინს ქვასა ზედა სწერია“... რომელი უკვდავი აფორიზმი წერია „ჩინს ქვასა ზედა“?
- „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.
- რა ეწოდება მონეტების, ორდენების, მედლებისა და სხვა სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელ სახელმწიფო საწარმოს?
- ზარაფხანა.
- 1981 წელს, თბილისის „დინამო“ ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო. ვინ იყო იმ ლეგენდარული გუნდის მწვრთნელი?
- ნოდარ ახალკაცი.
- ყველაზე მეტჯერ რომელი ქვეყანა იყო მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში?
- ბრაზილია.
- წლეგანდელ ჩემპიონატში თქვენ რომელი ქვეყნის გუნდს გულშემატკივრობთ?
- ჰოლანდიას.
- ინგლისის რომელი ქალაქიდან იყვნენ ლეგენდარული ჯგუფის — „ბილზის“ წევრები?
- ლივერპულიდან.
- ვაჟა-ფშაველას პოემის გმირმა, მინდიათ ქაჯებთან ტყვეობაში ყოფნისას მალულად, მათი სადილი მიირთვა. „ესმის დღეიდან ყოველი, რასაც ფრინველი გალობენ,/ ან მცენარენი, ცხოველი/ როდის ილხენენ, წვალობენ“, — რისგან იყო ეს კერძი მომზადებული?
- გველის ხორცისგან.
- რომელი ქართველი მწერალი მოღვაწეობდა გერმანიაში?
- გრიგოლ რობაქიძე.
- მირიან III, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, დემეტრე II. ჩამოთვლილთაგან, რომელი მეფე არ იყო ქრისტიანი?
- ფარნავაზი.
- ნათლობის გარდა, კიდევ როდის სცხებენ

მირონს ადამიანს?

— ზიარების თუ წესის აგების დროს.  
— ცდებით, მეფედ კურთხევის დროს. ის 1633 წელს გამეფდა და პირველი მაჰმადიანი მეფე იყო საქართველოს ტახტზე. რომელ მეფეზეა ლაპარაკი?  
— არ ვიცი.  
— სოსრო-მირზა. იგი 1633 წელს ქართლის მმართველად დაინიშნა. ეს პროდუქცია XIX-XX საუკუნეებში 8 ოქროს, 3 ვერცხლისა და 21 ბრინჯაოს მედლით აღინიშნა. ვინ იყო ის ქართველი მენარმე, რომელმაც ასეთ ნარმატებას მიაღწია და რა პროდუქციას უშვებდა ის?

— დავით სარაჯიშვილი, მისი ნარმოებული კონიაკი საქვეყნოდ ცნობილი გახდა.

— ეს ქვეყანა ყველაზე დიდ ნახევარკუნძულზე მდებარეობს. მის ტერიტორიაზე არც ერთი დიდი მდინარე არ მიედინება... მიგანიშნებთ, ამ ქვეყნის დედაქალაქია ერ-რადი.

— საუდის არაბეთი ყოფილა. ვფიქრობდი, მაგრამ არ ვთქვი.

— საუდის არაბეთიდან საქართველოში გადმოვინაცვლოთ. რომელი უღელტეხილით უკავშირდება იმერთი რაჭას?

— მაღროვეთ, გავისხენებ (ფიქრობს).

— გეტყობათ, დიდი ხანია, რაჭაში არ ყოფილხარ.

— არჩევნებისწინა პერიოდში თითქმის მთელი საქართველო მოვიარეთ. რაჭაში მართლა არ ვყოფილვართ.

— მიგანიშნებთ: ეს უღელტეხილი ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზაზე, ზღვის დონიდან 1218 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

— (ფიქრობს) მაინც ვერ გიპასუხებთ.

— ნაქერალას უღელტეხილი. რომელი სრუტით არის ერთმანეთთან დაკავშირებული წყნარი და ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე?

— ბერინგის სრუტით.

— რომელი ზღვა მიიჩნევა დედამიწაზე ყველაზე თბილ ზღვად?

— წითელი ზღვა.

— ეს ნავსადგური ორი ღირსშესანიშნაობითაა ცნობილი: ოპერის შენობით და ხიდი. ცათამბჯენები ქალაქს საქმიან ნაწილში დგას, რომელიც სამეფო ბოტანიკურ ბაღს ესაზღვრება. რა ჰქვია ამ ქალაქს?  
— სიდნი.

— კაპადოკია მისი უძველესი სახელია. სწორედ იქიდან წამოვიდა წმინდა ნინო საქართველოში, ქრისტიანობის გასაფრცვლებლად. სად მდებარეობს ეს

ისტორიული ადგილი?

— თურქეთში.

— დიას, ჩრდილოეთ ანატოლიისა და თავრის მთებს შორის მოქცეულია ანატოლიის ზეგანი, რომელსაც დასავლეთ, შუა და აღმოსავლეთ ნაწილებად ყოფენ. წმინდა ნინო შუა ანატოლიიდან წამოვიდა.

— კიდეც რამდენ კითხვას უნდა ვუპასუხო? ბევრი დარჩა?

— თქვენთვის მომზადებული 40 კითხვიდან 75%-ს უპასუხეთ. რამდენი კითხვა დაგრჩათ პასუხგასაცემი?

— (იციან) ესეც მე უნდა გამოვიცნო?... 10 კითხვა დარჩა?

— დიას. კოლოფში 10 წითელი, 8 ლურჯი, 8 მწვანე და 4 ყვითელი ფანქარია. რამდენი ფანქარი უნდა ამოიღოთ კოლოფიდან, რომ მასში აუცილებლად დარჩეს ყველა ფერის თითო ფანქარი?

— თუ შეგიძლიათ, გამიმეორეთ (ამ დროს ფურცელს და კალამს იმარჯვებს და ფანქრების რაოდენობას იწერს. მცირე პაუზის შემდეგ მპასუხობს). როგორც გამოვიანგარიშე, კოლოფიდან 26 ფანქარი უნდა ამოვიღოთ.

— დიას. რამდენი ორნიშნა რიცხვი არსებობს?

— 9.

— მგონი, დაიბენით...

— ორნიშნა (იციან)? მართლა დავიბენი; 10, 11, 12 და ა.შ. 99-ს ჩათვლით. რამდენი გამოდის? (ფიქრობს) 90 ორნიშნა რიცხვი არსებობს.

— რას ეძახიან ნატრიუმის ქლორიდს?

— მარილს.

— რომელია შექაპირის მშობლიური ქალაქი?

— სტრატფორდი.

— ვინ არის შემდეგი სტროფის ავტორი: „ქალაუ, ისე თეთრი ხარ,/ როგორც საყდარში კირიო,/ ღამილამ მომაგონდები,/ წამოვჯდები და ვტირიო“?

— ვიცი, რომ ვაჟა-ფშაველას არ ეკუთვნის. მგონი, ხალხურია, ასეა?

— დიას. რას ნიშნავს ლათინურად სიტყვა „დეპუტატი“?

— რწმუნებულს, წარმომადგენელს.

— ვისი შემოქმედების მიხედვით შეიქმნა ცნობილი კინოფილმი — „ნატყრის ხე“?

— გოგლა ლეონიძის.

— რომელ დღეს დაესხა თავს ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს?

— 1941 წლის 22 ივნისს.

— დაასრულეთ აინშტაინის ცნობილი გამონათქვამი: „მე არასდროს ვფიქრობ მომავალზე, ის ისედაც--

— „...სწრაფად მოდის“.

— ყოჩაღ, ბატონო გიგი! თქვენ შესაძლოა, „წლის ერუდიტიც“ გახდეთ.

— თქვენი რუბრიკა ძალიან მომეწონა, ღამენათვევი და გადაღლილი ვარ, თორემ პასუხს ყველა კითხვას გავცემდი.



იკუდი +

სიშუაღმისი (ლათ.) — რისამე (მაგ, ავადმყოფობის) მოგონება, ვინმეს მოტყუების, შეცდომაში შეყვანის მიზნით.  
სტიმუმი (ბერძნ.) — ნაჩხვლეტი, დაღი, ნიშანი. ძველ საბერძნეთში მონის ან დამნაშავეის სხეულზე დასმული დამლა.  
პარსკილი — აფხაზურ ენაში უმანკო ქალწულის მიერ შობილი გმირი.  
აშიტაცია (ფრანგ.) — ძლიერი შფოთვა, აგზნებული მდგომარეობა.  
არემოლოგია (ძვ. ბერძნ.) — ეთიკის დარგი, რომელიც შეისწავლის სათნოებას.  
გუპირანანტი (ფრანგ.) — ბავშვის აღმზრდელი, თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ ოჯახში.  
გნომი (გერმ.) — დასავლეთ ევროპულ მითოლოგიაში, მახინჯი ქონდრისკაცი, რომელიც მიწისქვეშეთის განძეულობას განაგებს.

# შაჰრიბაჰალი ანა

## დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

ნანილი ბიორა



დასაწყისი იხ. „გზა“ №23-25

### ინგა ჯაყელი

#### შეხვედრა ანა-მარიასთან

საკმაოდ გვიან გამეღვიძა.

ეკამ მითხრა, რომ ერთ საათში ირაკლი მოგვაკითხავდა და მალაზიებში წაგვიყვანდა, შოპინგზე:

— შენს პატივსაცემად, საზეიმო ვახშამი იმართება!..

ეკამ გრძელი, შავი ხავერდის კაბა შემარჩევინა. მალაზია, სადაც ის შევიძინეთ, ცნობილი პარიზელი დიზაინერის საკუთრება ყოფილა. როცა კაბა ტანზე მოვირგე და მის შესამომწებლად პოდიუმზე გავიარე, ეკას გვერდით შევბრუნე ადამიანი, რომელიც ვერც გავარჩიე — ქალი იყო თუ მამაკაცი, რადგან გრძელი ხეუღლი თმით და ცალი საყურით, უამრავი სამკაულით, მოტყევილი ჯინსის შარვლით ორივე სქესის წარმომადგენელს ერთნაირად ჰგავდა. მან ტაში დამიკრა. ეკა აკისკინდა:

— ბატონი ანრი ამ მალაზიის პატრონი და დიზაინერია. ძალიან მოეწონე და თანამშრომლობას გთავაზობს. სურს, მოდელად აგიყვანოს!

— უთხარი, რომ ჩემს ასაკში მოდელები პენსიაში გადიან და საერთოდ, არა ვარ ამ საქმისთვის გაჩენილი! — პოდიუმიდან ჩამოვედი. მუსიე ანრი ჩემს დარწმუნებას კარგა ხანს ცდილობდა და კატეგორიული უარის მიუხედავად, თავისი სავიზიტო ბარათი მომცა, რესტორანშიც დამპატიჟა და რაც მთავარია, კაბის ფასი ლამის გამინახევრა — სიმბოლურ ფასად მოგვიყიდა. როცა ეს ამბავი ეკამ ირაკლის უამბო, ბიჭმა ქართული ხასიათი გამოამჟღავნა და უხეშად შეიგინა:

— უჰ, მე მაგის „პედარასტი“ დედა ვატირე. ხომ არ უნდა, ის საყურიათი ყური ავახიო და კიკინით ვითრიო?!

— რა სისულელეა, ირაკლი, მას მხ-

ლოდ საქმიანი წინადადება ჰქონდა, რაზეც ბევრი ქალი ოცნებობს.

— მოდელი — მოდელია, ანა — ანა! — გაურკვეველი არგუმენტი მოიშველია ირაკლიმ და მანქანა დაამუხრუჭა. — ანა-მარიას რბილი სათამაშოები უყვარს, კიდევ — კოსმეტიკა. აქ სათამაშოსაც შევარჩევთ და საბავშვო კოსმეტიკასაც...

სალამოს საგანგებოდ მოვიკაზმეთ. ეკა ჩემით აღტაცებული იყო, როცა თავადაც უნაკლო სხეული აქვს. ირაკლი ღიმილით შემოგვცქეროდა და ბოლოს, თქვა:

— არა, ძმებს ცოლებში მართლა გაგვიმართლა! მერწმუნეთ, მთელ პარიზს და ნახევარ საქართველოს შეშურდება ჩვენი!

„ცოლის“ ხსენებაზე გული მომეწურა და გავიფიქრე: „დათო ცოცხალი რომ იყოს, ნეტავ, მაშინ თუ მელირსებოდა მის ცხოვრებაში ამ ადგილის დაკავება“?!

ირაკლიმ გამომაფხიზლა:

— აქ საფრანგეთის ბომონდი ცხოვრობს: ზოგი — მუდმივად და ზოგიც მაშინ, როცა სამშობლოში ჩამოსვლას ახერხებს. მათ შორის, პოლიეუდის ფრანგი ვარსკვლავები. აქ მხოლოდ ორი ქართული ოჯახია... მასპინძელმა გთხოვა, რამაც არ უნდა გაგაკვირვოს, რეაქცია არაფერზე გქონდეს.

— მეტი რა გზაა! — ავიჩიჩე მხრები და ირაკლის უკან მივეყვი. ძალიან ველაფედი, მაგრამ ეს ლეღვა ანა-მარიას უფრო უკავშირდებოდა.

ეკამ დისახლისი გამაცნო. მას ნამდვილად პირველად ვხედავდი, მაგრამ როცა იმ ოთახში შემიყვანეს, სადაც ოჯახის უფროსი ერთ-ერთ სტუმარს ბილიარდს ეთამაშებოდა, მართლა დავიბენი — შორიდან ერთზეც ბევრი გამეგონა და მეორეზეც, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა, მათ რაიმე საერთო ჰქონოდათ: კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტს და „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთ მონაწილეს. ლოთს რომ არყის ბოთლის დანახვამ გააცივებს, დაახლოებით ისე დამიარა ჟრუანტელმა. იმწუთას, დიქტოფონსა და ფოტოაპარატში მილიონის გადამხდელი ვიყავი...

— ეს ანაა, ჩემი რძალი! — წარმადგინა ირაკლიმ.

მამაკაცებმა თამაშს თავი მიანებეს და მარჯვენაზე რიგრიგობით მეამბორონენ.

— დათოს რჩეულს ყველანაირს მივიღებდით, მაგრამ თქვენი გაცნობა ორმაგად სასიამოვნოა!

ყელში მობჯენილმა ბოლმამ ლამის სული შემიხუთა და გავიფიქრე: ერთი ამისთვის მაკითხვინა, ვინ დაუკვეთა დათოს იმ ტერაქტის მოწყობა, რომელსაც ემსხვერპლა და თუ გინდა, მომკლა. აქვიც

არ მეპარება, იცის. უჰ, თქვე დამბლებო, როგორ შეგიძლიათ ყველას და ყველაფრის ლალატი... თქვენი იმედი აქვთ უბედურ ქართველებს?!

— მაპატიეთ... ანა-მარიას გამო ძალიან ველაფე და სხვა რამეზე ფიქრი არ შემეძლია! — გავამართლე ჩემი დაძაბულობა.

— ძიძამ ბავშვები ეზოში გაიყვანა. ნამო, შორიდან დაგანახვო შენი შვილი! — ხელკავი გამომდო მასპინძელმა (რომელსაც, რადგან მისი ვინაობის გამხელის უფლება არა მაქვს, პირობითად — ვაჟას დავარქმევ) და აივანზე გამიყვანა. ბავშვები უზარმაზარ ნაგაზს დასდევდნენ: ორი ბიჭი იყო და სამი გოგონა. მაშინვე მივხვდი, რომ ანა-მარია ყველაზე უმცროსი იყო. ბავშვის დანახვამ ორიოდ წუთის წინ განცდილი შოკი დამავიწყა:

— დედად რომ არ მალიაროს?! — შემკრთალი შევცქეროდი კაცს.

— გამოირცხულია! მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ჩამოდიხარ, დედაზე ლაპარაკით ყურები გამოგვიჭედა. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ დათო დედის პატივისცემას ჩვილობიდანვე ასწავლიდა... ანა, ირაკლი გადმოგცემდა ჩემს თხოვნას, მაგრამ შენ ისეთი თვალებით უცქერდი ჩემს სტუმარს, მაინც საჭიროდ ჩავთვალე, პირადად გითხრა: აქაურობაზე კრინტის დაძვრის უფლებაც არ გაქვს. იტყვი რამეს და ძალიან ცუდ დღეში ჩაგყვრი ჩვენც და საკუთარ თავსაც... რომ არა დათოს ავტორიტეტი და პატივისცემა, შენ ამ წრეში ვერასოდეს შემოალენედი. უფრო მეტიც, დათო ცოცხალი რომ იყოს, ამ სამყაროსთან შენს ზიარებას თავადაც არ დაუშვებდა... იმ შემთხვევაშიც კი, თუ საცხოვრებლად პარიზში დარჩები, შეიძლება, მეტად ველარც შევხვდეთ ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ პატარა ანა-მარია ჩემი ნათლულია და შვილებზე ნაკლებად არ მიყვარს...

— რომელია თქვენი შვილი? — გადავხედე მოყრიაშულე პატარებს.

— ესენი ჩემი ახლობლების შვილები არიან, ჩემები კი უკვე დიდები არიან და სხვა გასარტობს ირჩევენ. მოგვიანებით მათაც გავატყობ. სხვათა შორის, აი, იმ ბიჭს, — ათიოდ წლის ბიჭზე მიმიითა ვაჟამ, — ანა-მარიას მსგავსად, მამა ამ მთავრობამ მოუკლა და ეს ამბავი იცის. თუ რაიმე არ შეიცვალა და მამამისის სიკვდილში ეჭვიტანალები არ „გაქრნენ“, ცოტა ხანში ნიკუშა მათ სისხლს დალევს!

— როგორ შეიძლება, ბავშვს ამის სურვილი ჰქონდეს? რატომ არ აარიდეთ ასეთ განცდას?!

— ხომ გავიგონია: „მაგრამ მარტო

წერთნა რას იზამს, თუ ბუნებამ არ უშველა“?.. სისხლი აქვს ვაჟუკაცის!

— ვინ იყო მამამისი?  
— აი, ამას კი ვერ გეტყვი, ისედაც ბევრი გითხარი...

აივნის კარი ირაკლიმ შემოაღო:  
— ბატონო ვაჟა, სასტუმრო ოთახში გველოდებიან!

— ახლავე! — თქვა კაცმა, მერე ხელკავი გამომდო და სასტუმრო ოთახში შემიძღვა, სადაც ოცდაათამდე კაცს მოეყარა თავი. ჩვენ ირგვლივ წრე შეიკრა. რატომღაც, იმ კონკრეტულ ვიგრძენი თავი, ეტლად ქცეული გოგორით წვეულებაზე რომ ამოყო თავი:

— გაიცანით ჩვენი ოჯახის ახალი წევრი — ანა, ჯაფარიძეთა მშვენიერი ასული, ჩვენი ძმისა და მეგობრის, დიდებული ვაჟუკაცის, დავითის რჩეული, მეუღლე და მისი შვილის დედა. გთხოვთ, მიიღეთ და დააფასეთ!..

ყველა მამაკაცი სათითაოდ მომიხლოვდა და ხელზე მამბობდა. ერთი კაცის დანახვამ გამაოგნა, რადგან ის საქართველოში დიდი ხნის წინ გამოაცხადეს მკვდრად...

— თქვენი? — ლამის თვალები გადმომცვივდა მოულოდნელობისგან.

— ბატონო ვაჟა, ეს მომხიბლავი ქალბატონი ჯიჰმს ბონდის ნათესავი ხომ არაა? — მიმართა მან მასპინძელს.

— ჩვენიანია. შეგიძლია, მშვიდად იყო!

— მხარზე ხელი მოუთათუნა კაცმა.

— მე ჟურნალისტი ვარ... თქვენს „მკვლელობაზე“ ვცადავ ჟურნალისტური გამოძიება ჩამეტარებინა, რადგან ბევრი რამ საეჭვოდ მომეჩვენა! — მაინც ვერ მოვთოვე ემოცია.

— და რა გაარკვიეთ?

— არც არაფერი... ეგ კია, ჩემი პუბლიკაცია კითხვის ნიშნით დაავითარე: არავინ იცის, იმ საფლავეში მყოფი მიცვალებული ახლა ზეციურ სამოთხეშია თუ მიწიერ ედემში იმყოფება და ჩვენს გულუბრყვილობაზე იციან-მეთქი.

კაცს გაეცინა...

ვაჟა მეუღლესთან ერთად მომიხლოვდა. ქალმა თბილი ხელი ლოყაზე მომიტათუნა და მკითხა:

— ბავშვი აქ შემოგიყვანოთ თუ მასთან შეხვედრა სხვა ოთახში, მონწეების გარეშე გირჩევენია?

— ცალკე მირჩევენია, რადგან ძალიან ვეღვავე და არ მინდა, ჩემი ემოციის მონწე უამრავი სტუმარი გახდეს...

— მეც გამოგყვით? — იკითხა ვაჟამ.

— არა, ამ საქმეს ქალები მივხედავთ!

— დიასახლისთან ერთად, ეკაც გამომყვა. ვაჟას ცოლს დალი ერქვა. ის გავიდა და ცოტა ხანში ანა-მარიასთან ერთად დაბრუნდა:

— ანუკი, ეს შენი დედიკოა, მასაც ანა ჰქვია... იცი, შენს წასაყვანად ჩამოვიდა...

ბავშვი ქალს ხელიდან დაუსხლტა, გამოიქცა და ფეხებზე მომეხვია, თავით მუცელზე მომეხუტა:

— მა მელ, მა მელ (ჩემი დედიკო)! — იმეორებდა დაუსრულებლად. მისი სიტყვები ეკამ მითარგმნა:

— ამბობს, რომ ძალიან ლამაზი ხარ და სიზმრებში სწორედ ასეთს გხედავდა...

ბავშვი ხელში ავიტაცე და სახე დავუკოცნე:

— ძალიან მიყვარხარ, ანა-მარია, შენ საუკეთესო შვილი ხარ... აწი ვერავინ დაგვაშორებს, ჩემო პატარავ...

— ძალიან ლამაზი ხარ, ძალიან... ჩემს მეგობარს არ სჯეროდა და ამბობდა, — ჩემი დედა ყველაზე ლამაზიაო! — ისევე უღურტულედა ანა-მარია, აცრემლებული ქალები კი მისი ნათქვამის თარგმნას ერთმანეთს ასწრებდნენ... მერე გოგონა იქვე მდგომ ქალბატონს მიუბრუნდა:

— ჟანეტ, მეც მინდა ლამაზი კაბა!

— ეს ანა-მარიას ძიძაა! — გამაცნეს ახალგაზრდა ქალბატონი, რომელსაც ასევე, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. გადავხვიე და ფრანგულად ვცადავ, მისთვის მადლობა მეთქვა. შემაჩერა და აქცენტით, მაგრამ ჩინებულ რუსულით მითხრა:

— ალბათ, ამ ენაზე უფრო ადვილად ვიურთიერთებთ...

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ რუსული ენის გაგონება ასეთ სიამოვნებას მომანიჭებდა. რა თქმა უნდა, დავინტერესდი, საიდან იცოდა ჟანეტმა რუსული...

ანა-მარიას შავი ხავერდის თეთრმაქმანებთან კაბა შეუერთნით და გაშლილ, შავ ხეველ თმაში თეთრი ბაფთა ჩავუბნით:

— შენსავით ლამაზი ვარ?! — შემომცინა შვილმა.

— ათასჯერ უფრო ლამაზი ხარ! — გულში ჩავვიკარი პატარა და უზარმაზარი ძალა ვიგრძენი...

სტუმრებს ანა-მარიასთან ერთად გამოვეცხადე. ვაჟამ მაშინვე შეგვაძინა. ეტყობა, ისიც ღელავდა და განიცდიდა ჩვენს პირველ შეხვედრას. მიხვდა, ყველაფერი კარგად რომ იყო და სახე ღიმილმა გაუბადრა.

ირაკლი წამოდგა, ანა-მარია ხელში აიტაცა და ლოყები დაუკოცნა. გოგონამ რალაც თქვა — მივხვდი, ბიძას პატარა დათუნაზე, ბიძაშვილზე ჰკითხა რალაც...

— დღეს დედა-შვილი პირველად შეხვდა ერთმანეთს! — ღვინით სავსე ფიალა ასწია ვაჟამ და მამაკაცები ფეხზე წამოდგნენ...

ლხინი ტრადიციული ქართული წესით გაგრძელდა — სადღეგრძელოებით, ცეკვით და სიმღერებით, ბაფთიანი გიტარის თანხლებით... მე, რა თქმა უნდა, ანა-მარიამ სუფრასთან დიდხანს ჯდომის საშუალება არ მომცა, თავს მეგობრებს ჩემი თავი წარუდგინა და კიდევ უფრო გაიხარა, როცა პატარებმა მიმიღეს და ერთხმად დაასვენეს, რომ წამდვილად „კარგი და სასურველი“ დედიკო ვიყავი...

ძილის წინ ანა-მარია გაჭირვებულა და ძიძას დასაძინებლად არ გაჰყვა. მან კატეგორიულად მოითხოვა, რომ გვერდით მე მივწოლოდი!.. სიმართლე გითხრათ, სუფრასთან დარჩენის არავითარი სურვილი აღარ მქონდა და ბავშვს სიამოვნებით გავეყვი.

ძილის წინ გოგონა უნდა გვებანავებინა. აბაზანა სურნელოვანი შამპუნით ავახვე და ანა-მარია ფრთხილად ჩავსვი წყალში. ჩემდა გასაოცრად, დედის როლი მშვენივრად მოვირგე. შორეული ბავშვობა გამახსენდა: როცა თოჯინებით დედობანას ვთამაშობდით...

P.S. ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 71.89.39.

კალიდოსკოპი

# დანიაში სილამაზის ხონაურსი — „მის ჰიჯაბი“ ჩატარდა

დანის ტელეარხმა — DR1 — მოდისა და სილამაზის კონკურსი „მის ჰიჯაბი“ (ჰიჯაბი — მუსლიმან ქალთა სამოსი, რომელიც ქალის სახესა და სხეულს მთლიანად ფარავს) ჩაატარა. კონკურსში 46 ახალგაზრდა მუსლიმანი ქალი მონაწილეობდა. „მის ჰიჯაბის“ საპატიო ნოდება 18 წლის ერაყელმა იმიგრანტმა, ხუდა ფალაჰმა მოიპოვა. მუსლიმანთა უკმაყოფილების გამოწვევის შიშით, უიურიმ კონკურსანტთა გარეგნობის შეფასებისგან თავი შეიკავა და ყურადღება სამოსზე გაამახვილა. ხუდა ფალაჰის ცისფერი ჰიჯაბი „უბრალოდ, ფანტასტიკური და გამოგონებელი იყო, — აღნიშნა უიურიმ, — ჰიჯაბი უმეცობისა და უბინოების სიმბოლოა. ჩვენ არ გვსურს, რომ გოგონებმა საკუთარი სხეული ყველას დასანახავად გამოამზეურონ“, — განაცხადა მუსლიმანური სათვისტომოს პრესმდივანმა, ბეტინა მისინერმა. ხუდა ფალაჰი იმედოვნებს, რომ კონკურსში მისი მონაწილეობა დანიელ მოზარდებსა და იმიგრანტ მუსლიმან ახალგაზრდებს შორის ურთიერთგაგებას გაზრდის. გოგონამ საზგასმით აღნიშნა ისიც, რომ ჰიჯაბი მისი საუკეთესო მეგობარია: „ქალი აღმასს ჰგავს. ყველას თვალწინ მისი გამოჩენა არ შეიძლება“, — ამბობს კონკურსში გამარჯვებული, რომელიც დანის ერთ-ერთი სამოდელო სახლისგან ჰიჯაბს და ინგლისურენოვანი ჟურნალ — Muslim Girl Magazine-ის ერთწლიან ხელმოწერას მიიღებს ჯილდოდ.



# ბიზნესმენისა და შემოქმედის „უთანასწოხო“ მეგობრობა

კარგი მეგობარი ხიდის მოაჯირს ჰგავს, შეიძლება, ხიდი ისე გადაიარო, მოაჯირი არც დაგჭირდეს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, შენს უსაფრთხოებაზე იზრუნებს, მეორე ნაპირზე მშვიდობიანად გადაგიყვანსო, — როცა ლაპარაკი მეგობრობაზე ჩამოვარდება, მამუკა ხაზარაძეს ყოველთვის ეს სიტყვები ახსენდება, რომელიც ერთ დროს, მეგობრის მამისგან მოისმინა. ამჯერად, მასთან ერთად, „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელს, ჯემალ ჭკუასელს წარმოგიდგინო. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები არიან, ბევრი რამ აქვთ საერთო და უკვე წლებია, მეგობრობენ. მათი ეს შეხვედრა ჩვენი თხოვნით შედგა. გულთბილი მოკითხვის მერე, ბატონმა მამუკამ უფროს მეგობარს უთხრა: ინტერვიუს შემდეგ გეტყვით, თქვენთან რაღაც საქმე მაქვსო, — მაგრამ მერე ეს „რაღაც“ ჩვენი თანდასწრებით გაუშოლა. მათი მეგობრობა კი ასე დაიწყო...



რით ანერვიულებს დედას მამუკა ხაზარაძე და რატომ არ უსრულებს მას დანაპირებს ჭემალ ჭკუასელი

## თამუნა კვინიკაძე

### მამუკა ხაზარაძე:

— პირველად 1993 წელს შევხვდით ერთმანეთს. მოგესხენებათ, ამ პერიოდში როგორი ვითარება იყო საქართველოში. მე კი რამდენიმე მსხვილი ევროპული ბანკის წარმომადგენელთან კომპანია „ბორჯომში“ ინვესტიციის ჩადებაზე მოლაპარაკებას ვანარმობდი. როგორც იქნა, დავითანხმე და ინვესტორები საქართველოში ჩამოვიყვანე. ვფიქრობდი, ეს ადამიანები ჩვენი ქვეყნით როგორ მომეხიბლა. ბატონ ჯემალს დავუკავშირდი და ვთხოვე, ამ საქმეში დამხმარებოდა. დათქმულ დროს, ბორჯომში, რომანოვების სასახლეში შევიკრიბეთ. უცხოელები „ერისიონის“ კონცერტით აღფრთოვანებული დარჩნენ. მათ საქართველო სულ სხვა კუთხით დაინახეს. გადაუჭარბებლად შემიძლია

ვთქვა, რომ კომპანია „ბორჯომის“ ბედი იმ საღამომ გადაწყვიტა. ეს იყო უნიკალური გარიგება: მაშინ ქვეყანაში 26 მილიონი დოლარი შემოვიტანეთ.

### ჯემალ ჭკუასელი:

— ეს მაშინ, როცა ქვეყანაში სულ ნეგატიური ამბები ხდებოდა: სროლა, უშუქობა, ყაჩაღობა. ასეთი ფონის მიუხედავად, უცხოელების მოხიბვლა ჩვენი ფოლკლორით შეეძლებოდა. იმ საღამოს კარგი ქართული ქეიფიც მოვაწყვეთ...

### მამუკა ხაზარაძე:

— იმ საღამოს ჯანსუღ კახიძის „მრავალჭამიერი“ ბატონი ჯემალის შესრულებით, პირველად მოვისმინე.

### ჯემალ ჭკუასელი:

— რომ იცოდეთ, მამუკა თავადაც მშვენივრად ლილინებს. კარგი თამადობაც იცის. როცა ჩემთან ოჯახში სუფრაა გაშლილი და შვილების სადღეგრძელოს წარმოვთქვამ და ჩემს შვილსაც ვადღეგრძელებ, მეუღლე შენიშვნას მაძლევს: მამუკა რატომ დაგავიწყდაო?!. ასაკით ჩემი შვილების ტოლია, მაგრამ თავს მაინც მის ტოლად ვგრძნობ. ღვინოს მასზე არანაკლებს ვსვამ და ზოგჯერ სიმღერასაც „მასწავლის“...


### მამუკა ხაზარაძე:

— მიუხედავად მოუცლევლობისა, ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ვხვდებით. მე და კიდევ ერთ ჩემს მეგობარს სიმღერას გვასწავლის, მაგრამ სუფრაზე ერთად თუ ვიმღერებთ, შემდეგ გვაფრთხილებს, — ჩემთან ერთად რომ იმღერეთ, არსად წამოგცდეთო... ჩვენი მეგობრობა საქმიან ურთიერთთანამშრომლობაშიც გადაიზარდა. მისი თაოსნობითა და ჩემი მხარდაჭერით, არაერ-

თი პროექტი განვახორციელეთ. ბოლო ერთობლივი პროექტი არის „ბანი“ — მომლერალი ოჯახების კონკურსი. ახლა კი ჩემი მეგობრები, რომლებიც ევროპაში ყველაზე დიდ საპრომოუტერო კომპანიას ხელმძღვანელობენ, „ერისიონით“ დაინტერესდნენ და მთხოვეს, ბატონ ჯემალთან დამეკავშირებინა: მათი მიწვევით, შემოდგომაზე ჰოლანდიაში ანსამბლის დიდი ტურნეა დაგეგმილი.

### ერთად თავს გადახდენილი ამბავი გაიხსენეთ...

— ბორჯომში, კომპანია „ბორჯომის“ დაფინანსებით, ლიანა ისაკაძის კონცერტები იმართებოდა. მას არაერთი ცნობილი ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის გახლდათ ბატონი ჯემალიც. საუბრის დასაწყისში უკვე გითხარით, რომ ის ჩვენთან ერთად სიმღერაზე ყოველთვის ხუმრობს. ვიფიქრე, პატარა სიურპრიზს მოგუნყო-მეთქი. საბანკეტო სუფრა „კომპოზიტორთა სახლის“ ეზოში გავშალეთ. ფოტოკორესპონდენტები წინასწარ გავაფრთხილე, — როცა ბატონი ჯემალი სიმღერას დაიწყო, მეც ავეყვები და ფოტო გადავიღეთ-მეთქი. ბატონი ჯემალი დედაჩემის კერპია, დედა წარმოშობით გურიიდანაა და მისი წარმატება ორმაგად ახარებს. როცა ვუბნები, — დღეს ჯემალთან ერთად ვიმღერე-მეთქი, — ნერვიულობს: თავს ნუ მჭრი. ჯემალთან სიმღერას როგორ ბედავო?!. ერთი სიტყვით, იმ ბანკეტზე ჩემი ჩანაფიქრი განვახორციელე, ფოტოებიც გადაგვიღეს. მეორე დღეს სახლში დაბრუნებულს, დედაჩემი შეწუხებული მხვდება. ხელში გაზეთი უჭირავს, რომლის პირველ გვერდზეც ნახსენე-



ბი ფოტოა დაბეჭდილი და ხმამალ-  
ლა ვიშვიშებს. — დედა, რა დაგე-  
მართა, ცუდად ხარ-მეთქი? — იმლ-  
ერე, იმლერე, მაგრამ ისე გათავხედ-  
დი, სურათების გადაღებაც დაიწყე?!  
— მთელი სერიოზულობით მისაყვე-  
დურა. ასე რომ, ბატონო ჯემალ, ის  
დოკუმენტი, ჩვენ რომ ერთად გვიმ-  
ღერია, მაქვს!..

**ჯემალ ჭაუასელი:**

— ერთ დღეს მამუკამ დამირეკა და  
მეკითხება — სად ხარო? — გური-  
იდან მოვდივარ, თქვენ სად ხართ-მეთ-  
ქი? ჩვენ დასავლეთისკენ მოვდივართ,  
ერთმანეთს გზაში შევხვდებითო. მარ-  
თლაც, ერთ-ერთ რესტორანთან შევჩ-  
ერდით, თითო ჭიქა დავლიეთ. მამუკა  
სამტრედიაში, სოფელ ბაშში თავისი  
აშენებული ეკლესიის გახსნაზე მიდ-  
იოდა. მასთან ერთად იყო ჩვენი საერ-  
თო მეგობარი — დავით საგანელიძეც.  
მეც თან გაყვევი. გზაში სიმღერა წა-  
მოვიწყეთ. ერთს მეორე მოჰყვა, მე-  
ორეს — მესამე. დავით საგანელიძეც  
შესანიშნავად მღერის, მაგრამ შევეჩ-  
ინე, რომ სიმღერის დროს პირზე ხელს  
იფარებს. ეს არც მამუკას გამოჰპარვია:  
დათო, რა გჭირს, რა მოგივიდაო? —  
ჰკითხა გაკვირვებულმა. — ვმღერი,  
მაგრამ თან მეშინია, ჯემალი ძიამ  
ხელი არ მტყიცოსო (იციან)..  
ასე, სიმღერ-სიმღერით ჩავედით ბაშში.  
მამუკას თვისებებიდან, ყველაზე მეტად  
ის მსიბლავს, რომ მან არა მარტო ის  
იციის, თუ როგორ შეიძლება ფულის  
შოვნა, არამედ ისიც, საკუთარი ქვეყ-  
ნისთვის როგორ დახარჯოს.

— **ბატონო მამუკა, როგორ  
ფიქრობთ — რამ განაპირობა თქვენი  
წარმატება?**

— ეს 99%-ით შრომის და 1%-ით —  
ნიჭის შედეგია. არ მჯერა ადამიანებ-  
ის, რომლებიც ამბობენ, — არ გამიმა-  
რთლაო. თუ კაცს მიზანი აქვს დასახუ-  
ლი და მის მისაღწევად ძალისხმევასა  
და ენერჯიას არ იშურებს, სანადვლს  
აუცილებლად მიაღწევს.

**ბედისწერის გვერათ?**

— მე ღმერთის მჯერა და ბო-  
ლომდე მასზე ვარ მინდობილი.

— **რისკზე რამდენად ხშირად  
მიდიხართ? ბიზნესში რისკი გამა-  
რთლებულია?**

— ბიზნესი თავიდან ბოლომდე,  
რისკია. პირადად მე სარისკო  
ნაბიჯის გადადგმა ყოველ-  
დღიურად მინწევს.

— **გქონიათ თუ არა ისეთი  
მომენტი, როცა ყველაფერი  
თითქოს თქვენ საწინააღმდეგოდ  
იყო და საქმე მაინც ბოლომდე  
მიგიყვანიათ?**

— საკმაოდ ხშირად. თავიდან  
წინააღმდეგობებთან გამკლავება  
უფრო მიჭირდა, ვიდრე დღეს.  
გამოუცდელი ვიყავი და ემოციე-  
ბს ავყვებოდი ხოლმე. ახლა კი  
ვიცი, რომ ეს ნორმალურია. როცა  
წინააღმდეგობა არ მხვდება, ყვე-  
ლაზე მეტად, მაშინ მეშინია. პრობ-  
ლემები აღარ მაფრთხობს, მათ გა-  
დასაჭრელად მზად ვარ. მე და  
ჩემი კომპანიის გუნდმა ამ წარ-  
მატებას 15-წლიანი თავდაუზოგავი  
შრომის შედეგად მივაღწიეთ. დაწყე-  
ბის დღიდან ყოველ 4-5 წელიწადში  
„ბორჯომში“ უსიამოვნო სიურპრიზი  
ხდებოდა, მაგრამ ამას არ შევუშინ-  
დით. დღეს 28 ქვეყანაში ვანარმოებთ  
ექსპორტს.

— **რამ შეიძლება გამოგიყვან-  
ოთ წონასწორობიდან?**

— იმდენი რამ მინახავს და გან-  
მიცდია, წონასწორობიდან ადვილად  
აღარ გამოვდივარ. ყველაზე მეტად,  
ტყუილი მალიზიანებს, მაგრამ ზოგჯერ  
ტყუილიც მისატყუებელია.

**როგორი უნდა იყოს ლიდერი?**

— ლიდერის ინსტიტუტი საქარ-  
თველოში სწორად არ ესმით. ლიდერად  
ჩვენში (ვალთარებ, ერთ დროს მეც ვცო-  
დავდი ამ საკითხში) ისეთ კაცს მიიჩნ-  
ევენ, რომლის სიტყვა — კანონია. სი-  
ნამდვილეში, ლიდერი არის ადამიანი,

ბიზნესი თავიდან  
ბოლომდე რისკია




რომელიც საკუთარ გუნდში თავისზე  
ძლიერ ადამიანებს მოიზიდავს. თუ არ  
შეგიძლია, გუნდში მიიყვანო შენზე  
ძლიერი ადამიანი, რომელიც თუნდაც,  
შენი ადგილის დაკავების ღირსი იქნება,  
მაშინ, საერთო საქმეს კი არა, საკუ-  
თარ სკამს ემსახურები. ოჯახი მაშინაა  
წარმატებული, როცა მისი ყველა  
წევრია წარმატებული და არა მხოლოდ  
ერთ-ერთი მათგანი. ჰარვარდის ბიზ-  
ნესსკოლაში ასეთი რამ მასწავლეს: როცა  
ხარების გუნდი ლიდერს კარგავს, მათ  
შორის დაუსრულებელი ომი იწყება,  
საბოლოოდ, ძლიერი იმარჯვებს; იხვები  
გუნდში, სამკუთხედის ფორმით მწკრივ-  
დებიან და ასე მიფრინავენ. ის იხვი,  
რომელიც წინ მიუძღვის, რადგან მასზე  
ქარის დანოლა მეტია, გარკვეული პე-  
რიოდის შემდეგ უკანა რიგში გადა-  
დის და მის ადგილს მეორე იკავებს.  
ამგვარად, იხვებს ლიდერის ტვინი  
აქვთ, მაგრამ არა — ძალა. მათი  
დანაშნულება, ერთი ადგილიდან მე-  
ორემდე მიღწევაა. ხარებს კი ლიდ-  
ერის ტვინი არა აქვთ. მათი ერთ-  
მანეთთან ჩხუბით ზოგჯერ, სხვა ცხ-  
ოველი სარგებლობს — თავს ესხმის.  
აქედან გამომდინარე, ფილოსოფიური  
თვალსაზრისით, იდეალური გუნდი —  
„მფრინავი ხარების“ გუნდია...

**კალიფორსკოში**

**ბიბლიური წარსული**

გერმანიაში, ქალაქ ჰაიდელბერგის მახლობლად, „ბიბლიური პარკი“  
აშენდება. 70 ფეხბურთის მოედნის ზომის ტერიტორიაზე, ბაბილონის  
გოდოლი და „წმინდა წიგნი“ მოხსენიებული სხვა ობიექტები განთავს-  
დება. პარკში ცენტრალური ადგილი 150 მ სიგრძისა და 15 მ სიგანის  
ნოეს კიდობანს დაეთმობა, რომლის შთამბეჭდავი ზომები მნახველს



გააოგნებს. სპეციალური ხმის ეფექტე-  
ბი მსოფლიო წარღვნის სრულ ილუ-  
ზიას შექმნის. პარკის ტერიტორიაზე  
40 ატრაქციონი იმუშავებს. პროექ-  
ტის ღირებულება 25 მილიონ ევროს  
აღწევს. „ბიბლიური პარკი“ პირველ  
სტუმრებს 2012 წელს მიიღებს. აღ-  
სანიშნავია, რომ მსგავსი თემატური  
პარკი — „წმინდა მიწაზე“ — ამერიკა-  
ში (ფლორიდის შტატი, ქ. ორლან-  
დო) უკვე მოქმედებს, რომელიც უფრო  
„სახარებისულია“, რადგან მნახველს  
ძირითადად, იესო ქრისტეს ცხოვრე-  
ბაზე მოუთხრობს.

— ბოლო დროს ბევრი ხელოვანი და ბიზნესმენი პოლიტიკაში მიდის. ამ მოვლენას როგორ აფასებთ?

**ჯემალ ჭკუასაძი:**

— ლამის ინფარქტი დამემართოს... ისეთ დრო მოვიდა, რომ მეპურესთან აღარავინ დადის — ყველა თვითონ აცხობს. ერთხელ ჯანსუღ კახიძემ მეგობრები თავისთან გვიხმო. გვითხრა, — მოდი, უნდა გაცინოთო. იმ პერიოდში ის ცოტა ხნის დანიშნული იყო ოპერის ხელმძღვანელად. კარგი სპექტაკლი დადგა, საქმე კარგად დაიწყო. მასთან სტუმრად მისულებს გვითხრა: ცოტა ხნის წინ, შევარდნაძემ დამიბარა და მითხრა, — ოპერაში საქმე ისე კარგად აანწყევ, რა

დამნიშნესო, — ნათქვამს გულიც ამოაყოლა. — მერე, მაგაში ცუდი რა არის-მეთქი? — თანამდებობის მიღების შემდეგ სუფრასთან რამდენჯერაც მოვხვდი, თამადაობაზე უარი მითხრეს: წადი და შენს აღმასკომს მიხედო! აღმასკომში მივედი და რაიკომის მდივანმა მითხრა, — შენ ამ საქმის არაფერი გაგაგება, წადი და სუფრასთან ითამადო; ახლა არც აქა ვარ და არც — იქ, თუ კაცი ხარ, მირჩიე, რა გავაკეთო, ვეღარ გამიგიაო... ადამიანმა ის უნდა აკეთოს, რაც კარგად იცის. მე ხელოვანი კაცი ვარ და არსად წასვლის სურვილი არ მაქვს.

— თქვენს სფეროში მომუშავე ადამიანები სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას რამდენად გრძნობთ?

— კარგი ახლა, პოლიტიკაზე ნუ მალაპარაკებ...

— თქვენი პასუხი გასაგებია. ბატონო მამუკა, 5-6 წლის წინ ერთ ინტერვიუში ამბობდით, — საქართველოში ბიზნესს კეთება ფრანტისნა საზღე დგომის ტოლფასიაო. დღესაც ასე ფიქრობთ?

— არა, დღეს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ბოლო 4 წლის მანძილზე, ქვეყანაში უამრავი ინვესტიცია შემოვიდა. ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, მსოფლიო მასშტაბით, პირველ ოცეულში შევიდვართ. ეს არის ქვეყნის სწორად მშენებლობის საწყისი. დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული, მთავარია, სტაბილურობა იყოს: ეკონომიკა ქაოსს ვერ იტანს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მთავრობის მიერ ეკონომიკურ საკითხებში მიღებულ ბევრ გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები.

— თქვენზე ამბობენ, მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად, თავს ფუფუნებაში ცხოვრების ნებას არ აძლევსო...

— ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. 15 სახლში ერთდროულად ვერ იცხოვრებ, 10 მანქანაში ერთდროულად ვერ ჩაჯდები და იმაზე მეტს ვერ შეჭამ, ვიდრე ჩვეულებრივი მატერიალური მდგომარეობის მქონე ადამიანი ჭამს... შეძლება იმისთვის მინდა, რომ 2 საქმე ვაკეთო: პირველი — შევქმნა ახალი სამუშაო ადგილები. მერნშენეთ, იმაზე დიდი ბედნიერება

არ არსებობს, ვიდრე ხედავდე, რომ გუშინ ჩამქრალი თვალები, დღეს ანთებულია, რადგან კაცს სამსახური აქვს და ოჯახის რჩენა შეუძლია. ათასობით ადამიანზე ვლაპარაკობ: მე და ჩემი მეგობრები ყოველწლიურად, 1000-დან 15000-მდე სამუშაო ადგილს ვქმნით. მეორე საქმე, რომელსაც ვემსახურები გახლავთ ის, რომ დავეხმარო ადამიანებს, რომლებსაც მუშაობა არ შეუძლიათ.

— თქვენი მატერიალური შესაძლებლობების გამო, ალბათ ბევრი ცდილობს თქვენთან დაახლოებას. არ გიჭირთ იმის გარჩევა, თუ ვინ არიან ნამდვილი მეგობრები და ვინ ცდილობს, ანგარების გამო დაგვიანლოვდეთ?

— ასეთი შემთხვევა არ მახსენდება, ალბათ იმიტომ, რომ მეც არ ვტოვებ ისეთი კაცის შთაბეჭდილებას, რომელიც ვინმეს ადვილად დაუმეგობრდება. მყავს მეგობრები, რომლებთან ერთადაც, ბავშვობიდან მოვიდვარ; ნაწილი ცხოვრებამ შემძინა. ბიზნესის გამო არავის დავმეგობრებოვარ. როცა სიტყვა ამ თემაზე ჩამოვარდება, ყოველთვის ჩემი ერთი მეგობრის, ექიმ გია ჯავრიშვილის მამის ნათქვამი მახსენდება: კარგი მეგობარი ხიდის მოაჯირს ჰგავს, შეიძლება, ისე გადაიარო, არც დაგჭირდეს, მაგრამ იცი, რომ საჭიროების შემთხვევაში, საფრთხეს აგარიდებს, მშვიდობიანად გადაგატარებსო.

— ბატონო ჯემალ, რას ჰკითხავთ თქვენს უმცროს მეგობარს? **ჯემალ ჭკუასაძი:**

— მამუკა, მუხრანში საქიფოდ როდის მივდივართ?

— ინტერვიუს დაწყებამდე ხომ გითხარით, თქვენთან საქმე მაქვს-მეთქი! ჰოდა, მუხრანში წასვლაზე მინდოდა დაგლაპარაკებოდით. უახლოეს დღეებში დაგირეკავთ (შემდეგ მე მომმართავს). ისე, ბატონ ჯემალს რომ ვურეკავ, მინდა, რაც შეიძლება დიდხანს არ მიპასუხო...

— ალბათ იმიტომ, რომ მისი ზუმერის — „ერისონის“ შესრულებული კახური „მრავალუამიერის“ მოსმენა გსიამოვნებთ არა?..

— გამოიცანით.

— ახლა კი თქვენი ჯერია: რას ჰკითხავთ ბატონ ჯემალს?

— (იცინის) მე, დათო საგანელიძესა და გია ჯავრიშვილს რომ დაგვპირდით, — სიმღერას „ზამთარო“ გასწავლითო, — პირობა როდის უნდა შეასრულოთ?

— უჰ! ეგ ისეთი რთული საქმეა, მაგის თქვენთვის სწავლებას მირჩენია, შენ ბანკი ვმართო...



ყველაფერში ზომიერებაა საჭირო

იქნება, ცოტა ხნით „თბილისის დინამოშიც“ გადახვიდეთ?.. ჯანომ გვკითხა, — რა ვქნა, ბიჭებო, წავიდეთ?

**მამუკა საზარაძე:**

— ბიზნესმენების ერთი ნაკადი პოლიტიკაში 10 წლის წინაც წავიდა... მე ვფიქრობ, რომ არჩევანი თავად ადამიანმა უნდა გააკეთოს.

— როგორ ფიქრობთ — ისეთივე წარმატებულები იქნებიან პოლიტიკაში, როგორებიც ბიზნესში არიან?

— ისინი ნიჭიერი ადამიანები არიან, ჩემი აზრით, პოლიტიკაშიც არანაკლებ წარმატებას მიაღწევენ.

**ჯემალ ჭკუასაძი:**

— ეს ამბავი წლების წინ მოხდა. ქუთაისში შემთხვევით, ერთი ძველი ნაცნობი შემხვდა. მსიარული ადამიანია, კარგი თამადაობა იცის, იმ დღეს კი მოწყვნილი მეჩვენა. — რა დაგემართა, შენკენ ხომ მშვიდობაა-მეთქი? — ვიკითხე. — დევილუმე, ბიჭო, ჯემალია, აღმასკომის თავმჯდომარედ



# შეშინებული ბავშვები და გზააზნაული მუშაკები

ბავშვობაში გაჩენილი შიში ფობიით შეპყრობილ, გამრუდებულ ფსიქიკის მქონე ადამიანს აყალიბებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ადამიანებისთვის ბუნებრივი — შიშის გრძნობა ნორმის ფარგლებს სცილდება და მისი მუდმივი თანამდევი ხდება.

## როგორ ყალიბდება ადამიანი საბედისწარმო ფობიები


### მარეს ჭონიძე

**წელი, 30 წლის:**  
 — მას შემდეგ, ბევრი დრო გავიდა, მაგრამ ის, რაც 5 წლის ასაკში განვიცადე, დღესაც არ მაძლევს მოსვენებას. მშობლები ექიმები მყავდნენ და მეც ხშირად მიწვევდა მათთან ერთად საავადმყოფოში ყოფნა. ერთ-ერთი ასეთი „ვიზიტის“ დროს, მშობლებმა უყურადღებოდ დამტოვეს. როგორც ყველა ბავშვი, მეც ცნობისმოყვარე და მოუსვენარი ვიყავი, ოთახებში დავიწყე სიარული და თავი ექიმად წარმოვიდგინე. ერთ-ერთ ოთახში თურმე მიცვალებული ესვენა. როცა იქ შევედი, მეგონა, ეძინა, მასთან მივედი და ხელი მოვიკიდე. გამუშეებული, ცივი ადამიანი რომ შემერჩა ხელთ, ძალიან შეშემინდა. დაყვირება მინდოდა, მაგრამ ვერ ვახერხებდი, ხმა თითქოს წამერთვა. კარისკენ გავიქეცი, მაგრამ ამ დროს ის ვიღაცამ ჩაკეტა, ეტყობა, ვერ დამინახა. გონება დავეკარგე... თვალი რომ გავახილე, ჩემი მშობლები და ექიმები დავინახე. ამ ამბის შემდეგ თავს კარგად ვერ ვგრძნობდი: ღამე ვერ ვიძინებდი, კარის დახურვის ხმაზე გული მიმდიოდა, ეს შიში ჩემი მშობლების დახმარებით, დროთა განმავლობაში დაფიქვით, მაგრამ იმ ნერვიულობას უკვალოდ არ ჩაუვლია. მიცვალებულის ახლაც მეშინია და რაც უნდა ახლობელი ადამიანი დავეკარგო, გასვენებაში ვერ მივდივარ.

**ლევანი, 19 წლის:**  
 — მრცხვენია თქმის, ვიცი, ბევრი გაცივინებს კიდევ, როცა ჩემს ამბავს ნაიკითხავს, მაგრამ ბავშვობიდან მაშლის მეშინოდა. სადაც კი დავინახავდი, შიშის გრძნობა მიპყრობდა და თავქუდმოგლეჯილი გავბობდი, მაგრამ რატომ მეშინოდა, ამას ვერ ვხვდებოდი. ოჯახშიც რთული მდგომარეობა გექონდა: ჩემი მშობლები სულ ჩხუბობდნენ. მამა სვამდა; მოვიდოდა მთვრალი და დედას შეურაცხყოფას აყენებდა. დედამ ვერ გაუძლო ამდენ ნერვიულობას და გარდაიცვალა. მაშინ 10 წლის ვიყავი. დედის სიკვდილის შემდეგ, მამა სახლიდან წავიდა და სხვა ცოლი შეირთო. სწორედ იმ დროს მიმატოვა, როდესაც ძალიან მჭირდებოდა მისი ყურადღება. ბებიასთან დავრჩი, ის მზრდიდა, მაგრამ მოხუცი იყო და

სათანადო ყურადღებას ვერ მაქცევდა. დედის სიკვდილმა, მამის მიტოვებამ ჩემზე ცუდად იმოქმედა. დებრესიაში ჩავვარდი. თითქმის აღარ ვლაპარაკობდი, სახლიდანაც არ გავდიოდი. სიარულის მანერაც კი შემიცვალა. ამ ამბავს ბებია ძალიან განიცდიდა. ერთხელ მეზობელმა მას ურჩია, ფსიქოლოგთან წავეყვანე, მაგრამ მე სახლიდან გასვლა არ მინდოდა. დიდი ხვეწნის შემდეგ დამითანხმა და ამას არც ვნანობ. ფსიქოლოგთან სიარულის დროს, მედიტაციის გზით გავიხსენე ის, თუ რატომ მეშინოდა მაშლის: ასე, 3 წლის ვიქნებოდი, მშობლებმა სოფელში ნათესავთან რომ წამიყვანეს. ოჯახში, სადაც ვისვენებდი, აგრესიული მამალი ჰყოლიათ. როდესაც ეზოში სათამაშოდ გავედი, მამალი გამოვივლიდა, გავიქეცი, მაგრამ ფეხი დამისხლა და დავეცი, მამალი დამაფრინდა და მინისკარტებდა. განწირული ხმით ვყვიროდი, მაგრამ ფრინველს ვერაფრით ვიშორებდი. ჩემს ყვირილზე მშობლები მოცვივდნენ და მისხნეს მაშლისგან, მაგრამ ის შიში, რომელიც მაშინ განვიცადე, წლების მანძილზე გამყვანა.

**დათო, 50 წლის:**  
 — ორი შვილიშვილი მყავს — ბიჭი და გოგო. ეზოში სათამაშოდ რომ ჩადიან, მიყვები ან ფანჯრიდან ვუყურებ, ვაკვირდები ბავშვებთან ერთად როგორ ერთობიან. ჩემი შვილი და რძალი ამის გამო მსაყვედურობენ, — ბავშვებს კუდში დასდევ, მოსვენებას არ აძლევო, — მაგრამ ეს ასე არ არის; ხშირად, ბავშვური ხუმრობა ტრაგედიად იქცევა, ამიტომ მათ ყურადღება არ უნდა მოაკლო. ჩემს ამბავს მოგაყვებით: სოფელში გავიზარდე, ძალიან მშინარა ბავშვი ვიყავი, თითქმის ყველაფრის მეშინოდა, განსაკუთრებით — კალიები. ამის შესახებ ჩემმა თანატოლებმა იცოდნენ. ერთხელ მოუგროვებიათ კალიები და მინდორში სათამაშოდ რომ წავედით, მაისურში ჩამიყარეს. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ იმას, რაც მაშინ განვიცადე. მთელ ტანზე დაცოცავდნენ, მაისურის გახდას ცვდილობდი, მაგრამ ვერ ვახერხებდი, შიშისგან ხმა წამერთვა... ის ბავშვებზეც ცუდ დღეში ჩაცვივდნენ; 5-6 წლის გოგო-ბიჭებს



ჩემთვის ცუდი აბა, რა უნდა ნდობობდათ?! მაგრამ ამ უბრალო ხუმრობამ საგაღალო შედეგი გამოიღო — ვეღარ ვლაპარაკობდი. მშობლებს სოფლიდან სოფელში დავყავი. ვინც კი კარგი შემლოცველი იყო, ყველამ გამომილოცა, არც ექიმთან სიარული დაუკლიათ... არ ვიცი, რამ მიშველა, მაგრამ 15 წლის რომ ვიყავი, ხმა დამიბრუნდა. ჩემი მშობლების სისიარულს საზღვარი არ ჰქონდა. განვიკურნე, მაგრამ ის შეგრძნება, რომელიც განვიცადე, აქამდე არ მტოვებს, კალიებს დღესაც ვერ ვიტან. ამიტომ ვუფრთხილდები ჩემს შვილიშვილებს. მინდა, მათ ყოველგვარი ხიფათი ავარიდო.

**დათო, 30 წლის:**  
 — სოფელში დავიბადე და აღვიზარდე. როდესაც ტელევიზორში ფეხბურთი ან რაიმე ფილმი გადიოდა, უზნის ახალგაზრდები ვიკრიბებოდით და ხან ერთის, ხან მეორის სახლში ერთად ვუყურებდით. ერთხელ „მონანიებას“ ვუყურებდით. ფილმი გვიან დაიწყო და გვიანაც დამთავრდა. ალბათ ყველამ იცის, „მონანიება“ რა მძიმე საყურებელია, მით უმეტეს, 10 წლის ბავშვისთვის. ფილმი რომ დამთავრდა, უკვე დაღამებული იყო. მარტოს მომიწია შინ დაბრუნებამ, თან სასაფლაო მქონდა გასაველელი. მეშინოდა, მაგრამ ვერ ვაფხილე, ვიფიქრე, მეგობრები დამცინებენ-მეთქი. სასაფლაოს რომ მივუახლოვდი, მუხლები ამიკანკალდა. თანაც, ამ დროს დავინახე ხე, რომელზეც კაცი იყო მისვენებული და გულზე ხელები ჰქონდა დაკრეფილი. შიშისგან დანივლებაც ვერ გაზედე, თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი... მთელი ღამე არ მიძინებია, დილით კი სიცხემ ამინია. მეორე დღეს მეგობრებზეც მოვიდნენ და გამიმხილეს: გახუმრება გვინ-



დოდა და თუ ასე შეგეშინდებოდა, ვერც კი წარმოვიდგენდი. თუ დამიჯერებთ, ამ ფაქტის შემდეგ „მონანიება“ აღარ მიხანახას...

**ალექსანდრე, 46 წლის:**

— მამაჩემი ძალიან მკაცრად მზრდიდა, თუ რამე არ მოეწონებოდა, მცემდა კიდეც. პატარაობიდანვე მეშინოდა მისი. ვცდილობდი, სწირად არ მენახა: სანამ შინ მოვიდოდა, მანამდე ვიძინებდი. როცა წამოვიზარდე, ეზოში ჩასვლას და ბიჭებთან თამაშს მაიძულებდა, მაგრამ მე სახლში ყოფნა და მუსიკის მოსმენა მერჩინა. დედას ესმოდა ჩემი და მამის ასეთი შემოტყვის დროს, ყოველთვის მი-

დებ შეიცვალა და თითქმის აღარ მცემდა ხმას. ახლა ძალიან ცუდადაა, ლოგინადაა ჩავარდნილი, მე ვუვლი. თითქმის ყოველდღე პატივებს მთხოვს, მეუბნება — ჩემი ბრაღია, ასე მკაცრად არ უნდა მოგტყუოდიო.

შიშის გრძნობა ყველაზე მეტად ბავშვებს ტანჯავთ, რაც ბუნებრივია: მოზარდს ხომ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფსიქიკა აქვს. რისი ეშინიათ ბავშვებს, რა ასაკიდან უწინდებათ შიშის გრძნობა და როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები, რომ შეშინებამ საბედისწერო კვალი არ დააჩნიოს მათ ცხოვრებას მომავალში? ამ საკითხებზე ფსიქოლოგი **სოფიო შერულაშვილი** გვესაუბრება:

— შიში ნორმალური მოვლენაა, თუ ის სიტუაციის შესაბამისად გვეუფლება. მაგალითად: როდესაც დიდი კავკასიური ნაგაზი მოექანება შენკენ ან ქვეწარმავალს დაინახავ და შეგეშინდება, ეს ბუნებრივი რეაქციაა. მაგრამ თუ არ არსებობს კონკრეტული მიზეზი და ფიქრობ, — ვაიმე ძალღი არ გამოვარდესო! — ეს უკვე ფობიაა და ამას მკურნალობა ესაჭიროება. არსებობს ბევრნაირი ფობია. როგორც ნესი, ის ბავშვობის ასაკში ყალიბდება და თუ მალევე არ აღიკვეთა ფსიქოლოგის ან სხვა სპეციალისტის ჩარევის შედეგად, არ არის გამორიცხული, მყარად დაიმიკვიდროს ადგილი ადამიანის ფსიქიკაში.

**რა ასაკიდან უწინდებათ ბავშვებს შიშის გრძნობა?**

— დამტკიცებულია, რომ შიშს ბავშვები მუცლად ყოფნის პერიოდიდანვე განიცდიან: ფეხმძიმობის პერიოდში, მომავალი დედის მიერ განცდილი შიში, გაღიზიანება, კონფლიქტი, პანიკა შეიძლება იმის საფუძვლად იქცეს, რომ ბავშვი მიდრეკილი იქნება შიშისკენ და მეტიც: შესაძლოა, შიში მას ფობიის სახით ჩამოუყალიბდეს. ეს ფაქტი მშობლისთვის შეიძლება 2-3 წლის ასაკიდან გახდეს თვალსაჩინო.

**ყველაზე მეტად რისი ეშინიათ ბავშვებს?**

— პატარებს მრავალგვარი შიში ახასიათებთ. ეს არის: დახურული სივრცის, ქვეწარმავლის, ობობის, სიბნელის, მიტოვების — ბავშვს ძალიან ეშინია, რომ მიატოვებენ. ჩვენ, ფსიქოლოგები ვამბობთ, როდესაც ლაპარაკია შიშზე, ეს არის მშობ-

ლის პრობლემა; თუ მშობელი ყურადღებიანია, მის შვილს ნაკლებად შეიძლება განუვითარდეს შიში იმდენად, რომ ფობიად ჩამოუყალიბდეს. სამწუხაროდ, სწირად თვითონ მშობლები ამინებენ ბავშვებს: „ჭკვიანად მოიქეცი, თორემ გუდიანი კაცი წაგიყვანს“, „ჭამე, თორემ, ბავშვთა სახლში ჩაგაბარებ“... მშობელი ამ დროს ვერ ხვდება, რომ ფაფის ერთი ულუფის დატოვების გამო მის შვილს არაფერი დაუშავდება, დაშინებას კი ასე ალალე შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

**რა დაავადებები შეიძლება გამოიწვიოს შიშმა?**

— მაგალითად, ენაბლუობა და ენურეზი (უნებლიე შარდვა). როცა ბავშვს ვაშინებთ, მან შესაძლოა, ჯერ პროტესტის ნიშნად არ გაგცევს ხმა, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ენაბლუობა დაემართოს. ბავშვს სათუთი ფსიქიკა აქვს და ძალზე სათუთ მოპყრობას მოითხოვს. შიშმა შეიძლება ხელი შეუშალოს სწავლასა და ნორმალურ განვითარებაში. მას გაუჩნდება ურთიერთობის პრობლემა — როგორც თანატოლებთან, ასევე უფროსებთან. არის შემთხვევები, როცა გარკვეული შიშები ასაკთან ერთად, უკვალოდ ქრება, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ წლების შემდეგ, ძველ შიშს ის ფობია ჩაენაცვლოს, რომელიც ზრდასრული ასაკისთვისაა დამახასიათებელი...

**სწირა შეთხვევა, როდესაც შეშინებული ბავშვები გამომლოცველებთან მიჰყავთ. რას იტყვი ამასთან დაკავშირებით?**

— საქართველოში ისტორიულად ლოცვებისა და შელოცვების მდიდარი ტრადიცია არსებობს, რომელიც სამწუხაროდ, თანდათან დაიკარგა, რადგან შემლოცველები, რატომღაც, არ ასწავლიდნენ სხვებს მკურნალობის საიდუმლობებს. გამოლოცვაში ცუდი არაფერია, პირიქით, იქ ჩადებულია ძალიან ბევრი დადებითი ფაქტორი — მაგალითად, სმენაზე ორიენტირებული დამამშვიდებელი ფონი. მაგრამ თუ ბავშვში ძლიერი ფობიაა ჩამოყალიბებული და მას ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს, შემლოცველი ვერ უშველის; შეიძლება, დროებითი ეფექტი მივიღოთ, მაგრამ აუცილებელია ჩაუტარდეს ფსიქოლოგიური მკურნალობა.

**როგორ უნდა მოიქცეს მშობელი?**

— მშობელი უნდა დააკვირდეს, როგორც ბავშვის, ასევე საკუთარ ქმედებას. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი დაბადებიდანვე, დამოუკიდებელი ინდივიდია და რომ პატივი უნდა ვცეთ მის პიროვნებას. ყოვლად დაუშვებელია ბავშვის გაღიზიანება და შეშინება: ბავშვთა სახლში ჩაბარებით, გუდიანი კაცით თუ ჭინკებით დაშინებით, ვერაფერს მივალწევთ. კარგი იქნებ, თუ ბავშვს ვასწავლით ლოცვასა და პირჯვრის გადწერას: ღვთის რწმენა მას შიშის დაძლევაში დაეხმარება.



დაუშვებელია ბავშვის გაღიზიანება და შეშინება: ბავშვთა სახლში ჩაბარებით, გუდიანი კაცით თუ ჭინკებით დაშინებით

ცავდა. მამას ეს არ მოსწონდა და დედას ეჩხუბებოდა: ქალიაღ ნუ ზრდი, ჩემი შვილი ვაჟკაცი უნდა იყოსო. მე-2 კლასში ვიყავი, ამხანაგებთან ერთად სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი. გზაში ერთ ბიჭთან ჩხუბი მომივიდა, ის მომერია, წამაქცია. დაცემისას ხელი ტანის ქვეშ მომყვა და საშინლად მესტკინა. შინ ატირებული დავბრუნდი. მხოლოდ მამა დამხვდა, ატირებული რომ მნახა, გამომკითხა, თუ რა მოხდა. მეც ყველაფერი დანვრილებით მოვუყევი. მამა გაბრაზდა, ჩხუბი დამინცო, თან მიყვიროდა: ტირილს არ სჯობდა, შენც გეცემა და საკადრისი პასუხი გაგეცა, შინ რას მორობდიო?! ხელი დამავლო და იმ ოთახში გამომანყვდია, რომელსაც სათავსად ვიყენებდი. იქ ძალზე ბნელოდა, პატარა ვიყავი და, რა თქმა უნდა, შეშინებდა. მამას ვეხვეწებოდი, კარი გაეღო, მაგრამ ჩემმა მუდარამ არ გაჭრა... დედამ გულწასული მიპოვა. რამდენიმე დღის განმავლობაში ხმას არ ვიღებდი, შემდეგ კი აღმოვაჩინე, რომ ენა მებმოდა. დედამ ექიმთან წამიყვანა, მაგრამ არაფერმა მიშველა. მამა ამის შემ-

# ქართული ტრანსსექსუალის ოთხი თველი და მისით მოხიზლული მამაკაცები

„გზაში“ დაბეჭდილი ინტერვიუს შემდეგ, კესი ჩვენი ქალაქიდან უეცრად გაქრა. ცოტა ხნის წინ კი თავად შეგვეხშიანა, მოგვიკითხა და გვითხრა: თბილისში დავბრუნდი და ახალი ცხოვრება მინდა დავიწყოო... თურმე ის ერთ-ერთ ლამის კლუბში ფრანგ პროდიუსერს უნახავს და მისით დაინტერესებულა. კესისთვის სურათები გადაუღია, პორტფოლიო დაუმზადებია და საფრანგეთში სამოდელო სააგენტოსთვის გაუგზავნია. ახლა კესი მოუთმენლად ელოდება პასუხს — მიიწვევენ თუ არა ფრანგები სააგენტოში სამუშაოდ. თუმცა საუბარი მასთან ცოტათი შორიდან დავინწყე.

## ლალი შანია

— ერთი წლის განმავლობაში ქალაქში არ იმყოფებოდი. სად და რატომ წახვედი?

— მყავდა რამდენიმე მეგობარი, რომლებსაც ვენდობოდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათ გართობის მეტი არაფერი უნდოდათ. მათთან ურთიერთობამ დამლაღა, არადა, ცხოვრებაში ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი. მხოლოდ დღევანდელი დღით ვერასდროს ვიცხოვრებ. ამიტომ, ავდექი და თბილისიდან წავედი. ჩემს მშობლიურ კუთხეს, იმერეთს დავუბრუნდი. დავისვენე, განვიტვირთე, ბევრ რამეზე დავფიქრდი და ახალი ენერჯით სავსე დავბრუნდი. ამ ხნის მანძილზე მივხვდი ერთსა და მთავარს, რომ ყველას არ უნდა ვენდო. ზოგჯერ საკუთარ თავსაც...

— შარშანდელ ინტერვიუში საუბარი ისე დავასრულეთ, რომ ოპერაციის გაკეთებას გვგმავდი. ხომ არ გადაიფიქრე სექსის შეცვლა?

— არ გადამიფიქრებია. ოპერაცია საჭიროა, მაგრამ საზღვარგარეთ მინდა წასვლა და ალბათ ოპერაციას იქ გა-

ბუნება ზოგჯერ ისეთ სიურპრიზს შემოგთავაზებს, რომ გაოგნებული მიმოიხედავ, — რა ხდება ამ ცოდვით საგვ მიწაზეო?! აბა, სხვა რა უნდა უწოდო ადამიანს, რომელსაც ვერც ქალს დაარქმევ და ვერც მამაკაცს, თუ არა ბუნების შეცდომა?.. ალბათ გახსოვთ, შარშან „გზაში“ ადგილი ტრანსსექსუალ კესი აბრამიძეს დავუთმეთ. მაშინაც გაგვაკვირვა იმით, რომ ბევრისთვის დაუძლეველი ბარიერი დასძლია და ეს ამბავი დაუფარავად გაგვიჩხილა...



## „ყველასათვის მისაწვდომი ქალი არ ვარ“...

ვიკეთებ.

— რატომ? აქაც ხომ აკეთებენ სექსის შეცვლის ოპერაციას?

— კი, მაგრამ ჯერ ჩვენიან არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ კაცი ქალად ექციათ, საპირისპირო ოპერაცია კი რამდენჯერმე გაუკეთებიათ.

— ამ თემაზე ივა კუზანოვთან არ გისაუბრია?

— კი, როგორ არა. სწორედ მან დაადგინა ის, რომ ვარ „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალი“ (ასე ჰქვია დიაგნოზს, რომელიც მას დაუსვეს. — ავტ.) და ერთწლიან გამოკვლევაზე გამიშვა. მითხრა, — ამ გამოკვლევის გავლის შემდეგ, ოპერაციას გაგიკეთებო. ახლა ვფიქრობ, თუ მექნა იმის შანსი, რომ საზღვარგარეთ გავიკეთო, უკან არ დავიხვე.

— ჩვენთან რა ვდება ეს ოპერაცია?

— 10.000 დოლარი. უცხოეთში უფრო ძვირია, მაგრამ სატელეფონო საუბრები მაქვს ერთ

რუს ტრანსსექსუალთან და შეიძლება, ის დამეხმაროს.

— როგორ გგონია — საზოგადოება შენ და შენწიარ ადამიანებს, როგორ აღიქვამს? და საერთოდ, შეგიძლია მითხრა, როგორები ხართ ტრანსსექსუალები?

— უპირველესად, ვიტყვი იმას, რომ ჩვენც ადამიანები ვართ... მაგალითად, მე ჩვეულებრივი ქალი ვარ, ოღონდ, როგორც ტრანსსექსუალი, ნებისმიერ ქალზე უფრო სხარტად ვაზროვნებ. შემიძლია ვთქვა, რომ ორი თვალის ნაცვლად, ოთხი მაქვს და ოთხით ვუყურებ სამყაროს. ეტყობა, ჩემში მაინც არის კოდირებული ის, რომ ბიოლოგიურად მამაკაცი ვარ და ვიცი ორივე სექსის წარმომადგენლის ხასიათი. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ უფრო ღრმად და სწორად ვაზროვნებ. ჩემი რჩევა ბევრ მეგობარსა თუ დაქალს გაუთვალისწინებია. თავს არ ვიქებ, მაგრამ ისინი ყოველთვის სწორ გზაზე დამიყენებია. დაქალები „პატარა ფსიქოლოგს“ მეძახიან.

— მერედა, როგორია ოთხი თვალთ დანახული რეალობა? ბევრს ორი თვალთაც უჭირს სამყაროს აღქმა...

— რთულია, ადვილი არ არის, რადგანაც უფრო მეტს ვხედავ... მთავარია,



მე ჩვეულებრივი ქალი ვარ

ამით არ „დავიგრუზო“. მაგალითად, არაერთხელ შეესწრებივარ, თუ როგორ ცდილობდა მამაკაცი, „დაეხა“ ქალი ანუ მისი გული მოეგო, ქალს კი მამაკაცის ზღაპრებით გაბრუნებულს, ყველაფერი სჯეროდა... უმეტესწილად ქალი ვერ გრძნობს, რომ ატყუებენ. რალაცნაირად შტერდება, რადგანაც ემოციებს ჰყვება და ბოლოს მოტყუებული რჩება. არადა, კაცის გადმოსახედიდან ხომ ვიცი, მამაკაცი იმ დროს რას ფიქრობს?!

— რას ფიქრობს?

— ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ისე ხდება, რომ ქალთან წამიერი გართობა სურს... ამას მამაკაცის გამოხედვიდან, მიმოვიდანაც ვხვდები. ამრიგად, შეიძლება, ქალები ადვილად მოტყუდნენ, მაგრამ მე მამაკაცი ვერ მომატყუებს. ერთიც არის: ადამიანს ჯერ არ მივიღებ, მაგრამ თუ ვინმე გულთ შემიყვარდა, მას ბოლომდე ვუერთგულვებ. უდიდესი სიყვარული შემიძლია. მაგრამ სანამ ვინმეს მივიღებ, მას გარკვეული ბარიერის გადალახვა დასჭირდება. გამოცდის ჩაბარება მოუწევს, მასში რომ ბოლომდე დავრწმუნდე...

— მე და შენ ქუჩა ერთად გამოვიარეთ და გზაში უამრავმა მამაკაცმა გამოგაყოლა თვალი. რას გრძნობდი ამ დროს?

— ყოველთვის ასე ხდება. ხალხმრავალ ადგილებში თუ მოვხვდები, სადაც არც კი იციან ჩემი ორიენტაციის შესახებ, ყოველთვის მამაკაცების ყურადღების ცენტრში ვექცევი. ეტყობა, რალაც იდუმალი ხიბლი მაქვს. ეს ჩემი თანდაყოლილი, „საფერმო ნიშანია“... ყურადღება, როგორც ნებისმიერი ქალისთვის, ჩემთვისაც სასიამოვნოა, არანაირ დისკომფორტს არ მიქმნის. უკვე შეჩვეული ვარ და მგონია, რომ ჩვეულებრივი რამ არის, როდესაც ყურადღების ცენტრში ვექცევი.

— ეი. ხნჯად გულში არაფერი გაქვს?

— ხინჯს რაც შეეხება, თუ მასზე მუდმივად ვიფიქრებ, დავიტანჯები. ამიტომ მიმანია, რომ შინაგანად, საკმაოდ ძლიერი ვარ, ყველაფერი უკვე გადავლახე... ვიცი, რომ ვარ ქალი და თანაც, მამაკაცებისთვის სასურველი. როდესაც კაცი კონტაქტში შემოდის, მაშინვე ვუბნები, რომ ტრანსსექსუალი ვარ და — მორჩა! არ ვატყუებ.

— რა დრო დაგჭირდა ამ ყველაფრის გადასალახვად?

— რამდენიმე წელი არ ვუმჯღავნებდი საკუთარ თავს, რომ ტრანსსექსუალი ვიყავი. მეშვიდე კლასიდან ჩემში ვამჩნევდი რალაც არატრადიციულს და ვერ ვხვდებოდი, რა იყო ეს. ვამბობდი, მამაკაცი ვარ-მეთქი. არადა, ჩემში აშკარად ქალი იყო... მერე, როცა მივხვდი, რომ მამაკაცი მხოლოდ ბიოლოგიურად ვარ, წერტილი დავუსვი ყველაფერს და აღარავის ვატყუებ. ისე, იმასაც ვიტყვი,

რომ ყველასთვის მისანვდომი ქალი არ ვარ... სხვათა შორის, ახლა შეყვარებული ვარ და რალაც, კარგად ვგრძნობ თავს.

— როგორ უყურებ შენს მომავალ ცხოვრებას? ისეთი დაკვირვებული ყოფილხარ, რომ ვფიქრობ, რალაცები წინასწარ გათვლილიც გეჩნება...

— წინასწარ არაფერი მაქვს გათვლილი. მინდა, ვიყო ნატურალური ქალი; საყვარელ ადამიანთან ერთად მქონდეს



თავის მოვლას ბევრ დროს ვუთმობ

ოჯახი; ვიცხოვრო ეკლესიური ცხოვრებით. თუმცა ეკლესია, როგორც ტრანსსექსუალს, მაინცდამაინც მხარს არ მიჭერს. ამიტომ, საკუთარ ნაჭუჭში ვარ მოქცეული, მაგრამ ღმერთის რწმენა არ დამიკარგავს.

— ყოფილხარ მოძღვართან?

— კი... ერთმა მოძღვარმა მითხრა: თუ სულით ქალი ხარ, ქალი უნდა იყო, რადგანაც სხული მოკვდავია; ამიტომ, მთელი ცხოვრება ლოცვაში უნდა გაატარო. მეორე მოძღვრის ნათქვამი ცოტა ვერ გავიგე და მისთვისაც გაუგებარი და მიუღებელი ადამიანი აღმოჩნდი.

— აღნიშნე, რომ საყვარელ ადამიანთან ოჯახის შექმნის სურველი გაქვს. ეს გასაგებია, მაგრამ შეიძლება არ გინდა გყავდეს? ამაზე არ გიფიქრია?

— კი, მიფიქრია. ადრე ვამბობდი, ბავშვს ავიყვან-მეთქი, მაგრამ გადავი-

ფიქრე. საკუთარი შვილი მაინც სხვაა. ხომ შეიძლება, ისეთი რამ მოხდეს, რომ სანამ ოპერაციას გავიკეთებ, მეგობარი გოგონასგან ხელოვნური განაყოფიერების გზით, შვილი შემიძინოს?!

— ჩვენ წინა ინტერვიუ სოლამაზის სალონში ჩვენერთ, სადაც სტილისტ-ვიზაჟისტად მუშაობდი. პარალელურად, მასსოვს, სამოდელო სააგენტოსთან თანამშრომლობდი. თბილისიდან წასვლის შემდეგ ყველაფერს დაანებე თავი?

— კი, თავი დავანებე. სტილისტ-ვიზაჟისტობა აღარ მინდა, სათანადო ხელფასი არ არის, არ მიღირს. თუმცა სამოდელო სააგენტოებთან ისევ ვითანამშრომლებ. მას მერე, რაც ჩამოვედი, დიზაინერები მირეკავენ, ჩვენებზე მიწვევენ. ასე რომ, პოდიუმზე გამოსვლას მართლაც, ვგეგმავ. ყველაზე მეტად კი ის მაინტერესებს, თუ რა პასუხს მეტყვიან ფრანგები. მოვეწონები თუ არა მათ და დადებენ თუ არა ჩემთან კონტრაქტს. სიამოვნებით წავიდოდი საფრანგეთში სამუშაოდ. მოკლედ, დიდი მოლოდინში ვარ.

— ახლა რთი ხარ დაკავებული?

— მიყვარს ფოტოკამერის წინ პოზირება და ფოტოების გადაღება, პოდიუმზე გასვლა... პოდიუმის ის ადგილია, სადაც მაქსიმალურად ვიხსენები. თავის მოვლა, მაკიაჟის გაკეთებაც მიყვარს. უნდა გითხრათ, რომ ძალიან კარგად ვცეკვავ. მინდა, ძალები სიმღერაშიც მოვსინჯო, მეუბნებიან, რომ ეს საქმე გამომივა და სცენაზე გამოსვლა მომიხდება.

— ყველაზე მეტ დროს რას უთმობ?

— თავის მოვლას ბევრ დროს ვუთმობ. გარდატეხის ასაკში გამომწვევად და ვულგარულად ვიცვამდი, სახეზე ბევრ მაკიაჟს ვიკეთებდი. ახლა მივხვდი, რომ ასეთი გამომწვევი ჩაცმა არ მჭირდება: რაც უფრო ნაკლები მისვია, რაც უფრო სადად მაცვია, საკუთარი თავი მით უფრო მომწონს. თმის ვარცხნილობას მუდმივად ვიცვლი, მრავალფეროვნება მსიამოვნებს. ცოტა ხნის წინ, სიყვარულის ნიშნად, მუცელზე ტატუ (შავი ვარდი) გავიკეთე. სოლარიუმში სიარული არ მიყვარს. უპირატესობას მზის სხივებს ვანიჭებ. ამ ზაფხულს აუცილებლად წავალ ბათუმში, ისე, ანტილიამიც მეპატიუებიან. სხვათა შორის, არაჩვეულებრივად ვცურავ. წყალში, როგორც თევზი, ისე ვგრძნობ თავს.

**PS.** შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მკითხველთა ერთი ნაწილი კესის გაკიცხავს, ზოგში შესაძლოა, აგრესიაც კი გამოიწვიოს, მაგრამ შეუწყნარებლობა ხომ პრობლემას არ აღმოვფხვრის. ფაქტია: ასეთი ადამიანებიც იბადებიან და მათ დახმარება თუ არა, თანაგრძნობა მაინც ესაჭიროებათ. ■

# მეგობრებო! ძველი ღარდი, ნუხილი და ღაქრასია

„გზის“ №25-ში დაიბეჭდა ინტერვიუ ბავშვებთან, რომლებიც რესპუბლიკის მოედანზე მდებარე შადრევანთან ისხდნენ და „გულს იგროვებდნენ“. მათ ისაუბრეს გართობაზე, თინეიჯერულ პრობლემებზე და ასევე, თავიანთ მეგობრებზე — დიტოზე, რომელიც არატრადიციული ორიენტაციის გახლავთ. ამ ინტერვიუმ, ისევე, როგორც გიო-გიოს მესიჯმა, მკითხველებს უბიძგა იმისკენ, რომ საკუთარი გულისტკივილი ჩვენთვის გაეზიარებინათ.



„ხელი ვყარი მაშინ, როცა შეიძლება, სწორ გზაზე დამდგარიყო“

## ლიკა ქაჩია

გიორგი, 22 წლის:

„მე არატრადიციული ორიენტაციის ვარ და მინდა, ჩემი განცდების, გრძობებისა და სულიერი ტკივილის შესახებ გიაზმობო. ცხოვრება უკვე მომბერდა (თუ ამასაც ცხოვრება ჰქვია), ჩემთვის ყველაფერმა აზრი დაკარგა. საკუთარ თავში ველარ გავრკვეულვარ, გაორებული კი არა, მილიონ ნაწილად ვარ დაყოფილი. აზრებს, ფიქრებს თავს ველარ ვუყრი, ჩემ გარშემო ყველაფერი ერთ დიდ უაზრობად, სიმახინჯედ და ქცეულად და ამ სიმახინჯეში ჩაძირული, მისგან თავს ვერ ვაღწევ. „სიცოცხლე“ — რა ლამაზი სიტყვაა, მაგრამ მე კი ვარ სიცოცხლის ღირსი?! ეჰ, არც სიკვდილი მიხსნის ამ ტანჯვისგან. ვეძებ დამნაშავეს, მაგრამ ვერ მიპოვია. ალბათ, ყველაზე დიდი დამნაშავე თავად ვარ. რეალობას სწორად ვერასდროს აღვიქვამდი, მისგან ხშირად გავრბოდი და თავს ოცნებებს ვაფარებდი. ოცნებებში კი ბედნიერი ვიყავი, რადგან ყველაფერს ისე ვხატავდი, როგორც მინდოდა, ყოფილიყო. მაგრამ ეს იყო წარსულში, ახლა აღარც ოცნება შემიძლია და სიზმრებშიც აღარ ვარ ბედნიერი. ჩემნაირები, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანებში მხოლოდ ზიზღს იწვევენ და დაცინვის ობიექტები ხდებიან. ამას სხვას როგორ ვუსაყვედურებ, როცა თავადაც მეზიზღება საკუთარი თავი... მაგრამ რა ვქნა, ასეთად გაჩნდი! მომავლის ძალიან მეშინია. საიქიო მომავლისაც, რადგან ვიცი, იქაც საუკუნო სატანჯველი მელის... ძალიან დიდი მსახიობები ვყოფილვართ ადამიანები, განსაკუთრებით მე, რადგან ისე ვთამაშობ, ჯერ ჩემში ეჭვი არავის შეუტანია, მაგრამ ყველაფრით დავილაღე, სული გამოუბედურდა. დარდი, ნუხილი, დეპრესია ჩემს საუკეთესო მეგობრებზე იქცნენ, მაგრამ ირგვლივ მყოფები ამას ვერ ამჩნევენ, რადგან სახეს ყალბი ღიმილი მინათებს, სულში ჩახედვის საშუალებას კი თქვენ გარდა,

არავის ვაძლევ. თუმცა ამას არც არავინ ცდილობს. ზოგჯერ მინდებოდა, მთელი სამყაროს გასაგონად ვიყვირო: რატომ ვარ ასეთი? რატომა ჩემი სული და სხეული სრულიად განსხვავებული? ნეტავ, ასეთი რომ არ დავბადებულიყავი, როგორი ცხოვრება მექნებოდა? ნუთუ, ჩემი წილი ბედნიერების ღირსი არ ვარ? ალბათ, არა. დამნაშავედ ვგრძნობ თავს იმ ადამიანების წინაშე, რომლებსაც ვუყვარვარ და ჩემგან ყოველთვის წესიერებას ელიან. რომ გაიგონ, მათგან განსხვავებული ვარ, გაგიჟდებიან, ძალიან დაიტანჯებიან, იმედი გაუცრუდებით, ეს კი ნამდვილად არ მინდა და ამიტომაც ვიტანჯები. ამბობენ, გამოსავლის პოვნა ყოველთვის შეიძლებაო, მაგრამ ვერაფერსაც ვერ ვპოულობ. ის კი არა, ღმერთსაც ვერ ვთხოვ დახმარებას, რადგან ამის უფლება არ მაქვს. ლიკა, დიდი ბოდიში, მარტო შენ რომ გნერ ჩემს ტკივილს ბედნიერად!.

ილიანა, 15 წლის:

„პატარა ვიყავი, როცა ჩემი ძმა (იგი ჩემზე 10 წლით უფროსია) და მისი მეგობარი ოთახში ჩაიკეტნენ და მათთან სათამაშოდ არ შემიშვეს. მახსოვს, როცა იმ ოთახში ჩემი მშობლები შევიდნენ, სამიწელი ყვირილი ატყდა. მერე დედას გული წაუვიდა, მამა კი შვილს მოკვლით ეშურებოდა. ამ ამბის შემდეგ, ძმა არ მინახავს. რამდენიმე წლის წინ გავიგე, რომ ის გვიყოფილა. ძალიან განვიცადე და უფალს მადლობა შევნიერე იმიტვის, რომ ჩემ გვერდით არ იზრდებოდა...“

რამდენიმე წლის წინ ძმამ სკოლაში მომაკითხა და ჩემთან დალაპარაკება სცადა. არ ვიცი, რა უნდოდა, რადგან ახლოს არ გავიკარე. სხვათა შორის, დღეს ამ საქციელს ძალიან ვნანობ, რადგან მგონია, რომ რალაც უჭირდა, მე კი ხელი ვყარი მაშინ, როცა შეიძლებოდა, სწორ გზაზე დამდგარიყო. შეიძლება, ვცდები და მას მხოლოდ ჩემთან ურთიერთობა უნდოდა და არა არჩეული გზის შეცვლა, მაგრამ ვამბობ იმას, რაც მინდა, მოხდეს. იმედი მაქვს, ის თქვენი ჟურნალის მკითხველია და მინდა, მივმართო: თუ შეიცვლება, მივიღებ, თუ არა და, სამუდამოდ ნავლი ჩემი ცხოვრებიდან, რადგან მის გამო ძალიან მრცხენია“.

## პანო:

„მე მყავს არატრადიციული ორიენტაციის მეგობარი — ნიკა, რომელიც ძალიან კარგი მეგობარია. ის თბილი ადამიანია და თავისი მუშტებით ბევრ ნამდვილ მამაკაცს დაჩაგრავს. მიუხედავად ამისა, სულაც არ მემამყება, რომ ცისფერია. პირიქით, ამას მშობლებისა და ახლობლებისგან საგულდაგულოდ ვძალავ... ის კლასში ბევრ გოგოს მოსწონს და მათ არ სჯერათ, რომ ნიკას ქალები არ აინტერესებს. ამას წინათ გაიცნო ბიჭი, რომელთანაც სერიოზული ურთიერთობა აქვს. მის პარტნიორს არ ვიცნობ, რადგან ამის არაერთი სურვილი არ მაქვს. ზოგჯერ, როცა მათ ერთად წარმოვიდგენ, გულის რევის შეგრძნება მუფულება, მაგრამ მხოლოდ ორიენტაციის გამო, ნამდვილი მეგობრის დაკარგვა არ შემიძლია და იმედი მაქვს, ამის გამო არ გამოვიცხავთ“.

## იკუშაბანი:

„მოკლედ, მას შემდეგ, რაც ამ თინეიჯერების ინტერვიუ წავიკითხე, საფიქრალი გამიჩნდა. მათი ცხოვრების სტილი მხოლოდ ცხოვრების ბრალაია. ვერ ვიტყვი, რომ მათ ასაკში მეც ასეთი ექსტრემალური და კატეგორიული ვიყავი, მაგრამ ალბათ დამერწმუნებით, რომ 6 წლის წინ სულ სხვა სიტუაცია იყო და ასეთ თვითნებობას ვერ ვებდავდი. მათი ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ ასეთი დასკვნა გამოვიტანე: არ მოსწონთ ცხოვრების ასეთი წესი და მხოლოდ იმიტომ არიან ქუჩაში, რომ სხვა გამოსავალი არა აქვთ. მინდა, მათ მშობლებს მივმართო: მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ შვილებს. გარდატეხის ასაკში მოზარდებს სიტბო და მხარდაჭერა სჭირდებათ. თქვენი მოვალეობა მხოლოდ შვილის მატერიალური უზრუნველყოფით არ ამოიწურება... თინეიჯერებს ვურჩევ, მშობლებზე გაბრაზებულებმა საკუთარ თავს ზიანი არ მიაყენონ. სავსაოდ ჭკვიანი და მოაზროვნე თაობა მოდის, მათ ერთმანეთის გატანაც იციან და კარგსაც და ცუდსაც უფროსებზე უკეთ არჩევენ ერთმანეთისგან... გაურკვეველი ორიენტაციის ახალგაზრდების მომრავლება ნამდვილად არ მხარებს, მაგრამ ყველასა და ყველაფერს გამართლება შესაძლებელია. ასე რომ, ერთმანეთს პატივი ვცეთ!“



# „სოლავ ჩომ მიკასტოვა, მს ქალთა მოღვაწის კი ზრა, შენი პრალია!“

„გზის“ №25-ში დაიბეჭდა გიო-გიოს მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანთა და იმისთვის, რომ მშობლებს მისთვის ხელი არ ეკრათ, ცოლად მოიყვანა მასზე უზომოდ შეყვარებული გოგონა, რომელმაც მეუღლის ორიენტაციის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც ბავშვი შეეძინათ და შვილთან ერთად, სახლიდან წავიდა. გიო გვწერდა: „ახლა გოგონების მიმართ აგრესია გამიჩნდა. ვცდილობ, ყველას თავი შევავარო, მერე კი ისევე მივაგადო, როგორც მე მიმაგდეს... ხალხნო, მხარში ამომიდექით, თორემ ძალიან ცუდად ვარ“.

## „იქნებ, ხაუთარი ხაჯდომის მოთხოვნილებას ომი გამოუცხადო?“

### ლოლო:

„იცი, რისი სურვილი მაქვს?... მინდა, რომ მაგრად გამოვლანძლო. ცისფერი ხარ და შენ ამ უბედურებას სხვებს რატომ აბრალებ? ნებისმიერი ნორმალური ქალი ისევე მოიქცეოდა, როგორც შენი ცოლი. ახლა იმას კი არ უნდა ცდილობდე, რომ სხვებს ცხოვრება დაუნგრიო, არამედ უნდა შეეცადო, პირადი ცხოვრება შეიცვალო და გაილაშაზო. სხვებს გულს ნუ სტკენ და შვილზე იფიქრე“.

### უპარება:

„საქართველოში გეების არსებობა უკვირთ. საბერძნეთში ჩამოდი, აქ თამამად შეიძლება, კაცზე დაქორწინდე... უფ, მართლა, გოგონებს ნურაფერს გვაბრალებ, გაიგე?! კაცები თუ გიყვარს, ჩვენ რა შუაში ვართ? აბა, მალე გათხოვებას სასურველ!“

### მარნია:

„ასეთი ნაცნობიც კი არ მყავს და მინდა, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები არ არსებობდნენ. გიო-გიოს ნაამბობმა გული მატკინა, მაგრამ მისი დახმარება არაფრით შეიძლება. უბრალოდ, მინდა ვთხოვო: გოგონების მიმართ აგრესიული ნუ იქნები, სხვისი ტანჯვით საკუთარი ტკივილის დაამებას ნუ შეეცდები. მერნშუნე, ეს შვებას ნამდვილად ვერ მოგიტანს!“

### პიკა:

„ნარსული დაივინე და შენს ცოლს დაუმტკიცე, რომ ასეთი აღარ ხარ! ხომ არ გინდა, შენი შვილი შენ გარეშე გაიზარდოს? ეკლესიაში იარე და ილოცე, ეს დაგესმარება! სხვების ჭორაობას ყურადღებას ნუ მიაქცევ. უფალი გფარავდეს“.

### ნათია:

„შენ დახმარება გჭირდება იმი-სთვის, რომ ამ უბედურებას თავი დააღწიო? მაშინ, რატომ ითხოვ, რომ შენნაირები გამოგესმარონ? ნუთუ, საკუთარი თავის კონტროლი არ შეგიძლია? იფიქრე, რომ კაცი ხარ, დაიბრუნე მამაკაცური იერი და ცხოვრება გაილაშაზე. საქართველოში რომ ვიყო, შენს დახმარებას შევეცდებოდი“.

### სპარლემ:

„პრივეტ“, ლიკ. რამდენი ხანია, მესიჯებს აღარ მიქვეყნებ და იქნებ, ამ „ესემესს“ მაინც ეღიროსო დღის სინათლე. გიოს

ამბავმა შემძრა, მაგრამ მის მიმართ ზიზღიც ვიგრძენი... გიო-გიო, იცოდე, ღმერთი ყველაფერს ხედავს და თან, გამწარებულ ქალზე საშიში არაფერია. მე შემიძლია დაგესმარო. დამიკავშირდი“.

### ბარი:

„არასწორად მოიქეცი, როცა გოგო საკუთარი მიზნისთვის გამოიყენე და ცოლად მოიყვანე. არც ახლა იქცევი სწორად, როცა გოგონებს „ანვალე“... ვფიქრობ, გეობა ავადმყოფობა არაა. მე მყავს ლესბოსელი დაქალი და ის ჩვეულებრივი ადამიანია. თუ სურვილი გაგიჩნდება, დამიკავშირდი“.

### ტანცარა:

„გიო, ვერ გაგამართლებ. მაპატიე, მაგრამ ქართველ კაცს, წმინდა გიორგის სახელის მატარებელს გეობა არ გეპატიება. არაკაცო, გოგონებს თავი დაანაბე, გაიგე?!“

### ლიპა:

„ფუჰ, გულის ამრევია. ყველაფერზე მაშინ უნდა გეფიქრა, როცა ბიჭთან გააბი რომანი. ეგ უდიდესი ცოდვაა და ამისთვის უფალი დაგსჯის. ეკლესიაში იარე და მოძღვარს დაელაპარაკე“.

### სოზუსპი:

„შეცდომა მაშინ დაუშვი, როცა გოგო ისე მოიყვანე ცოლად, რომ მან არაფერი

დამიჯერე, მათ საკმაო პატივს ვცემთ. ალბათ, ადამიანურობაა მთავარი... ვფიქრობ, ორიენტაციაზე მეტად, სასირცხვილო შენი ამჟამინდელი საქციელია!“

### ბაპი:

„გოგონებზე შურისძიება საუკეთესო გამოსავალი ნამდვილად არაა. თუ ცოლმა ვერ გაგიგო, სხვებმა რა დავაშავებ? ცოლის მხრიდან ასეთი სიმკაცრე და ბავშვის წართმევა — უსამართლობაა, მაგრამ მისი მესმის. იყავი ძლიერი და საკუთარი თავის არ შეგრცხვეს“.

### უცნობი:

„შენს ადგილას, ქალზე შურისძიების ნაცვლად, კარგ ფსიქოლოგს და სექსოპათოლოგს გავსინჯებოდი. ალბათ, დახმარებაზე უარს არც მშობლები გეტყვიან. დღეს, ჰომოსექსუალური ურთიერთობების შესახებ ახალგაზრდებში ისეთი აგიტაცია ხდება, რომ ბევრს ეს ჩვეულებრივი ამბავი ჰგონია, ბევრი მოზარდი კი გარყვნილი არაკაცის მსხვერპლი ხდება და შემდგომში, ბედს ეგუება. ჯობს, თავს დროზე უშველო — იპოვე კარგი სპეციალისტი, მოინანიე ცოდვები და ცხოვრება თავიდან დაიწყე“.

### ნათუშაპი:

„შენმა ცოლმა, შენივე შვილის საკეთილდღეოდ, საუკეთესო გზა აირჩია. შენს ცოლს მაშინ გავამტყუნებდი, რომ სცოდნოდა შენი დუნდულების „პოზიცია“ და მაინც გამოგყოლოდა. საერთოდაც, რას ამარიაყებ და ათამაშებ უკანალს?.. P.S. ნეტავ, გიო-გიოს და დიტოს ქურდულ „რაზბორკებს“ დაამსწრო, რა“.

### ბანაძის გაპიზავილი:

„ლიკ, შეიძლება, აზიატად მიმიჩნიო, მაგრამ ეს მირჩევნია ისეთ „ვეროპელებს“, რომლებსაც გეობა ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ. გიო-გიო, ალბათ, ჩემი საქმე ნამდვილად არაა, თუ შენს უკანალს არადანიშნულებისამებრ იყენებ, მაგრამ ამის აფიშირება რაღა საჭიროა? როგორც თავად აღნიშნე, 100%-ით გოგონებზე ხარ გადართული და ბიჭებისთვის აღარ გცალია. ჰოდა, იქნებ ისევე ნორმალურ ორიენტაციას დაუბრუნდე და საკუთარი საჯდომის მოთხოვნილებას ომი გამოუცხადო? P.S.

„ჯარჯა მომრდილ  
ტაფას ვბლიჭავდი მაგ  
უბვინო ბოგრამი...“

იცოდა. ორ ადამიანს შორის მთავარი, გულახდილობაა. გონებას მოუხმე და თავად უბედურმა, სხვას მაინც აცადე ბედნიერება“.

### ლიპა, 36 წლის:

„შევდივარ შენს მდგომარეობაში და ძალიან მეცოდები. იყავი ის, რაც ხარ. ბევრი გეი თანამშრომელი მყავს, მაგრამ

ლიკა, შენი ხათრით, ჩემი პოზიცია ცოტა „ლაითად“ დავაფიქსირე“.

**აზილი:**

„ერთმა იკითხა: მართალია, რომ ბოროტება სიკეთით უნდა გადაფუხადო? სიკეთეს სიკეთით უნდა გადაფუხადო, ბოროტებას — სიმართლით. გიო-გიო, მთავარია, შურისძიების გრძობა მოიშორო... შენი ყოფილი მეუღლის ადგილას რას იზამდი? ნუ გგონია, რომ გოგონების „მიგდებით“ „მოგმუშება“. უფალი შეიყვარე და ილოცე... ასეა, ხმელი ფოთლებივით მოგვაქანებს ცხოვრების მღვრიე ნაკადი, წინ კი მრავალი წყალქვეშა კლდეა... P.S. მე მაპატიეთ“.

**წილი:**

„ძალიან ცუდ სიტუაციაში ხარ, მაგრამ შენი გაგება რომ შევძლოთ, ცოტა ხნით მაინც უნდა ვიყოთ შენს მდგომარეობაში. მხოლოდ ერთს გირჩევ, ყველას ერთი სა-

ლობ, ყველა შენსავით უბედური გახადო. სამიწილი ადამიანი ყოფილხარ“.

**ჯაბარი:**

„მადლობა თქვი, მშობლებმა ოჯახის შემარცხველი, მაინც რომ მიგიღეს. შენი ცოლი ვალდებული არ იყო, გარყვნილი და ბინძური „კაცის“ გვერდით ეცხოვრა. ჩემს დას შენნაირი ნა... რომ გაეკაროს, ნამებით მოვკლავ. შენ გულუბრყვილო გოგონებს იყენებ და „აგდებ“, ახლა კი რჩევა და მხარში ამოდგომაც მოგიწევს. შენი ცუდად ყოფნა ფეხებზე მკიდია, თავის შეცოდებას სჯობს, გოგონებს შეეშვა და შვილის მომავლის უზრუნველყოფაზე იფიქრო... და კიდევ, თუ ვინმე ეკლესიაში სიარულს გირჩევს, არ დაუჯერო, რადგან ეკლესია შენისთანების წასაბილნი არაა. P.S. ლიკა, გთხოვ, დამიბუქდე და იქნებ, აზრზე მოვიდეთ“.

**ლოლა:**

„გამარჯობა, ლიკა. ძალიან მწყინს, „ესემესებს“ რომ არ მიბუქდავ, მაგრამ მაინც ჯიგარი ხარ და ვიცი, ახლა მაინც გამომიქვეყნებ. მინდა, გიო-გიოს გამოვეხმაურო: შენ სამკურნალო ხარ და თან, სერიოზულად. პირველ რიგში, ტვინის რენტგენია საჭირო, რადგან არა მგონია, დალაგებული იყო. ცოლ-შვილი დაიბრუნე და ნორმალურად იცხოვრე. ადამიანო, რას ხუნტრუცობ და რაებს მიეღ-მოედები, არ გრცხვნიან? ასე რამ დაგამდაბლა? გამოფხიზლდი, ბიჭო! გოგონებს ჩაუკარი თვალი, კაცებზე რამ გადაგრიან? ღვთის მადლით, კაცად გაჩნდი და კაცურად იცხოვრე. ეშმაკს სული როგორ მიჰყიდევ, ბიჭო? თუ კაცი ხარ, საკუთარ თავს მოუარე, გოგონებს რას ერჩი? მითხარი, რით შეიძლება დაგეზმარო ანუ რამ შეიძლება, კაცად გაქციოს? ასე რამ გაგაფრენინა, ბიჭო?! გონს მოეგე, სანამ გვიანი არაა!“

**აბაზონა:**

„მხარში ამოდგომას რა უფლებით ითხოვ? რა დაგიშავე, ვთქვამთ, მე, რომ შემეყვარდე წრფელად, უანგაროდ?... იქნებ, ხვალ შენმა მსხვერპლმა მოგვენეროს რაიმე და მას რაღა უფრჩიოთ?... რაც დაგემართა, ეს მხოლოდ შენი ბრალია და ამაზე პასუხი სხვამ არ უნდა აგოს. ნუ იქცევი უკანასკნელი ნაძირალასავით და იცოდე, როცა რაღაცას ითხოვ, უნდა გერგებოდეს. ეკლესიაში იარე და ბოლმისგან გათავისუფლდი“.

**ბაბა:**

„ეს ბიჭი პიო-პიო უფროა, ვიდრე — გიო-გიო. ძალიანაც კარგი, ცოლი თუ გაექცა. მის ადგილას კარგად „გავინისლექვებდი“ და კარგა მოზრდილ ტაფასაც ვგლიჯავდი მაგ უტვინო გოგრაში. ვისაც შენ შეუყვარდები, შენსავით დებილი იქნება. რჩევა გინდა? კი, ბატონო: წადი და კაცურად მაინც „დაიბრიდე“ თავი“.

**ცრემლუბა:**

„შენმა მესიჯმა საშინლად გამაღიზიანა. გაბოროტებული ხარ და ვერ აცნობიერებ, რომ საკუთარი არასრულფასოვნების წყალობით, უამრავ გოგოს აუბედურებ. დახმარებისთვის ფსიქოლოგს მიმართე და იქნებ, მან შეძლოს შენი დახმარება“.

**ტლიკინა:**

„შენ ისეთივე ადამიანი ხარ, როგორიც ჩვენ და ერთი წამითაც არ იგრძნო თავი გარიყულად. შენ გვერდით მიგულე. იცოდე, ღმერთი გამოცდას გინდობს და ამას აუცილებლად გაუშვავდები. არაფერზე ინერვიულო“.

**პხელი სალომი:**

„იდეალურად ახასიათებ საკუთარ თავს. შენ ღმერთმა კაცად გაგაჩინა, კაცაააა!!! მაგრამ რაკი სხეულში ეშმაკი ჩაგისახლდა და ცოდვების ოკეანედ გადაიქციე, ყველაფრის მონანიებაზე უნდა დაფიქრდე, თორემ ერთხელ ვილაც თავს გაგიჩქვავს (მაგრამ არა მგონია, ამით ჭკუა ისწავლო). თუ სადმე გადაგეყვარე, თავის განჩქვავს არ გაკმარებ“

„ორიენტაციაზე მეტად, სასირცხვილო – შენი ამეამინდელი საქციელია!“

ზომით ნუ „გაზომავ“ და ნურავის შეურაცხყოფ. ეცადე, სიკეთე თესო, ეს სულიერ სიმშვიდეს მოგიტანს!“

**უცნობი:**

„საკუთარი თავი ხელში აიყვანე, ასეთი აგრესიული ნუ ხარ. საყვარელი ადამიანის გამო, მეც დიდი ტკივილი გადავიტანე, ყველა და ყველაფერი დაკარგე, სანაცვლოდ კი რა მივიღე?... მან 4 თვის ფეხმძიმეს მუცელი ხელოვნური მშობიარობით მოამოორებინა...“

**ვატალისტა:**

„აუ, პირდაპირ გეტყვი, რომ მაგრად გაკლია. ვაპირებდი, უფრო დამრიგებლური „ესემესი“ მომეწერა, მაგრამ გამახსენდა: მგლის თავზე „სახარებას“ კითხულობდნენო... — და გადავიფიქრე. თუ ძალიან განუხებეს ის, რომ ჩვენთან ცისფრებს არაფრად აგდებენ, პოლანდიაში წადი (დედა, ყველა გზას აცდენილს იქ როგორ ვუშვებ?!). ჰოდა, შენც დაისვენებ, მეც დავისვენებ და „ტრიფონაც დაისვენებს“ :)“.

**პუსკა:**

„ცოლმა რომ მიგატოვა, ეს ქალთა მოდემის კი არა, შენი ბრალია! სხვების გამწარებას, გირჩევნია, ცოლ-შვილის დაბრუნებაზე იფიქრო. ერთხელ მაინც თუ სცადე შერიგება? სამაგიეროდ, უკვე ბევრი უდანაშაულო ადამიანის გამწარება მოგისწრია. ბოროტებას განზრახ სჩადიხარ და მერე, ცხოვრებიდან სიკეთეს და ბედნიერებას მოითხოვ?“

**NIKE:**

„შენი მესიჯი რომ წავიკითხე, საშინელი ზიზღი ვიგრძენი, მაგრამ არა იმიტომ, რომ გეი ხარ, არამედ იმიტომ, რომ ცდი-



„სიბიჟაელა შაიუკარლა გეზიკაჟის კაისუვილი...“

**უცნობი, 28 წლის:**

„არ ვიცი, რა ვქნა. სიგიჟემდე შემეყვარდა ბები-აჩემის (დედაჩემის დეის) ძმისშვილი. მთელი 3 წელი ერთად ვიყავით, ახლა კი გაურკვეველ სიტუაციაში ვარ. ის თავისი კაცური სიტყვით, ცოლობას შემპირდა, მაგრამ როგორც ამბობს, დედაჩემის ეშინია. უკვე ერთი წელია, აღარ მეკონტაქტება. მირჩიეთ რამე, გთხოვთ. არადა, საქმე ისაა, რომ პატარა აღარ ვარ“.

P.S. თუ უცნობის წერილის წაკითხვის შემდეგ მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენ დახმარების იმედი აქვს — და კიდევ თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (სადაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდავას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გასურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.

# „გზა“ ძალიან მიეცა ხს...“

## „გზად ვარ, უანგაროდ ვამსახურო საყვარელ ქონალს“

„ძვირფასო რედაქციო! ძალიან მიყვარს-ართ. მე თქვენი ჟურნალის მუდმივი მკითხველი ვარ. 2006 წლის „გზის“ №45-ში მოთავსებული იყო სტატია, სათაურით — „დედამ ხელი მკრა, მას რატომღაც, ვეზიზღებოდი“, — რომელშიც მოთხრობილი იყო 17 წლის გიორგი საყულაშვილის ტრაგიკული ცხოვრების ამსახველი ამბავი. გიორგი, ანრი ჯოხაძესთან შეხვედრას ითხოვდა და ეს თქვენი დახმარებით მოახერხა კიდევ. მათ ისაუბრეს და ბიჭმა, საყვარელი მომღერლისგან კარგი რჩევებიც მიიღო. ძალიან მინტერესებს, როგორ წარიმართა მისი ბედი, ჩამოყალიბდა თუ არა დისკოკლუბი? ამ პატარა ბიჭმა ჯოჯოხეთური ცხოვრება გამოიარა, მაგრამ არ გაბოროტდა, ცხოვრებაზე ხელი არ ჩაიქნია და კეთილი ადამიანების დახმარებით, კარგ პიროვნებად ჩამოყალიბდა. გთხოვთ, მისი კოორდინატები დამიდგინოთ ან ჩემი მისცეთ. მისი გაცნობა ძალიან მინდა... ჟურნალ „გზაში“ ძალიან მომწონს „გზანელები“ და „მოზილიზაცია“. სამწუხაროდ, მე მოზილური ტელეფონი არ მაქვს და ამიტომაც, ვერ გიმეორებ. მე თითოეული მგზავნი მიყვარს, განსაკუთრებით კი სტიქია, მონასტრის ბიჭი, კაკუ, ილინი, მგელი, მილანი და ლეო 91. ერთი იდეა მაქვს: თელავში მკითხველთა კლუბი დავაარსოთ. ჩამობრძანდით ჩვენს რაიონში, შეხვედეთ ერთმანეთს და ვილაპარაკოთ საკუთარ პრობლემებზე, ხოლო კლუბის თავმჯდომარედ მარი ჯაფარიძე დავნიშნოთ... მინდა, ცოტაოდენი რამ ჩემ შესახებაც მოგიტხროთ: ვარ 46 წლის ქალი, II ჯგუფის ინვალიდი. ოჯახში მყავს მამა — უსინათლო მოხუცი. ჩემს თავზე ისევე ვიქცევი, როგორც მამა. თორემ სხვა ყველაფერი გამოვცადე: იყო ლალატიც, იმედგაცრუებაც, მაგრამ ცხოვრება მაინც მშვენიერია. რაც უნდა მოხდეს, ჩვენ საკუთარ თავში უნდა ვიპოვოთ ძალა, რომ ცხოვრება განვგრძოთ!.. ერთი სათხოვარი მაქვს: გთხოვთ, „თინეიჯერულ პონტებში“ მოინვიეთ თბილისის „დინამოს“ ვებერანი ფეხბურთელები, ის ბიჭები, რომლებმაც 1981 წლის 13 მაისს ქართველ ხალხს დიდი სიხარული მოგვითხროს. დღევანდელმა ახალგაზრდობამ მათ შესახებ არაფერი იცის. სამაგიეროდ, რონალდინოსა და კაკას შემოქმედებასა და ცხოვრებას კარგად იცნობენ. მოდი, ის ლამაზი წლები ერთად გავისვენოთ. დავაარსოთ ახალი რუბრიკა, სადაც ერთდროულად მოვიწვევთ ძველ და ახალი თაობის ფეხბურთელებს და ისინი ისაუბრებენ საყვარელი სპორტის სახეობაზე, იმსჯელებენ იმაზე, თუ როგორ გადაარჩინონ ქართული ფეხბურთი, რათა ის ისევ ისეთი წარმატებული იყოს, როგორც 1978-82 წლებში გახლდათ. დავილალოთ ამდენი პოლიტიკით... ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და მთელი საქართველო. მერწმუნეთ, მალე ჩვენთვისაც დადგება განაჯიღი. პატივისცემით, ნინო ბურკაძე, თელავის რაიონის სოფელ რუსიპირიდან“.

„გამარჯობათ. მე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ. ვარ აქტიური ახალგაზრდა, „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი და თქვენთან თანამშრომლობა მსურს“.

— **გეგმილით მოხვიდეთ რედაქციაში და გაგვესაუბროთ. ვფიქრობთ, საერთო ენასა და თანამშრომლობის ფორმას გამოვინახავთ.**

„ლიკუმ, იმედს ვიტოვებ, რომ „მოზილი“ გამორთული გაქვს... იცი, რა უნდა გთხოვო? — მინდა, ჩემი რომანის დებიუტი „გზაში“ შედგეს და იქნებ, მიშუამდგომლო? ჰო, ჩემი დანერგვის — „ბედისწერის“ ფილოსოფიის“ შემოთავაზება მინდა. მიუხედავად იმისა, რომ 18 წლის თინეიჯერის დანერგვა, მგონი, არც ისე ბანალური და უინტერესოა — ჩემი სიყვარულის ამბავს პლუს ცოტა ფანტაზია, ცოტა დეტექტივი და მზადაა... ლიკუმ, არ გინდა, ნახო და შეაფასო? ინტრიგა იქნება და ვიცი, მკითხველიც ეყოლება. „მტკვარნალებულს“ არაფრით ჩამოუვარდება და „ქარის საიდუმლოსაც“, „პაჩიტა“ უტოლდება. იცი, მან უკვე კრიტიკის ქარცეცხლიც გამოიარა და კარგი შეფასება აქვს. იფიქრე, რა, ამაზე, „პლიზ“. ლიმონა-მანიუ“.

— **ლიმონა-მანიუ, მოიტანე შენ ნამუშევარი. მას რედაქცია აუცილებლად გაეცნობა და ვნახოთ, იქნებ, შენმა ნაწარმოებმა მოწონებაც კი დაიმსახუროს.**

„მიხარია, რომ ჩემმა საყვარელმა ჟურნალმა, ასე თუ ისე, ჩემი თავის რეალიზების შანსი მომცა. ვერ გეტყვი, რომ ჟურნალისტიკაში ძალიან კარგად ვერკვევი,

მაგრამ საინტერესოდ წერა ნამდვილად შემეძლია. არ იფიქროთ, რომ ამ ყველაფერს ფულის სანაცვლოდ გთავაზობთ, მზად ვარ, უანგაროდ ვემსახურო საყვარელ ჟურნალს (ეს მეც ნამადგება). მეჯერა, უყურადღებოდ არ დამტოვებთ. ლევანი“.

— **ლევან, გვაპტიყვებით რედაქციაში და იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენს ჟურნალთან თანამშრომლობას შეძლებთ.**

„გზა“ ძალიან მიყვარს. თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს: თუ შესაძლებელი იქნება, ერთი კროსვორდიც დაამატეთ, რა“.

„გთხოვთ, თქვენს ჟურნალში მედიცინის გვერდი გააძლიეროთ და აქცენტი სხეულის მოვლის მეთოდებზე გააკეთოთ. გმადლობთ. რუსიკო“.

„უშუამგრესი ჟურნალის უფუშამგრეს რედაქციას: გთხოვთ, დაბეჭდოთ სტატია დადიანებზე. მინტერესებს, სად არიან დაკრძალული ეკატერინე, სალომე, ნიკო და სხვანი. ასევე მინტერესებს, მათი ყოფილი სასახლეებიდან დღესდღეობით რომელი ფუნქციონირებს მუზეუმის სახით. ძალიან, ძალიან გთხოვთ, ეს თხოვნა შემისრულოთ. უერთგულესი მკითხველი“.

„გამარჯობათ. მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. მინდა, თხოვნით მოგმართოთ. ძალიან მიყვარს მსახიობი ლევან აბაშიძე, მაგრამ მის შესახებ არაფერი ვიცი. იქნებ, მასზე რაიმე დაგეგნოთ? და კიდევ, აფხაზეთის მოვლენებსაც თუ გააშუქებთ, კარგი იქნება. ეს თემა ჩემი თანატოლებისთვის უცნობია. მართალია, ამის შესახებ ბევრი რამ წამიკითხავს, მაგრამ ბევრი რამ არ ვიცი. მგონი, აფხაზეთის ამბებზე ბევრს დაინტერესებს. თაკო, 18 წლის“.

„მსოფლიო რეკორდების წიგნში შეტანილია სახლი, სადაც ყველაფერი მოძრაობს. ეს სახლი 300 ათასი კვადრატული მეტრია. მასში განთავსებულია 50 ოთახი და არსებობს პულტი, რომლითაც ყველაფერი იმართება. ეს სახლი მორბერტო რანისის განსუფავდა. კარგი იქნება, თუ ამ საინტერესო ამბის ირგვლივ უფრო დეტალურ ინფორმაციას მოგვანდით“.

— **ალბათ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ არაერთხელ დაგვითმია ჟურნალის ფურცლები იმ თემებისა თუ ადამიანებისთვის, რომელთა შესახებ რაიმეს დაბეჭდვასაც თქვენ გთხოვთ. მიუხედავად ამისა, ჟურნალი „გზა“ თქვენს თხოვნებს აუცილებლად გაითვალისწინებს და უახლოეს მომავალში ცნობისმოყვარეობასა და სურვილებს შეძლებისდაგვარად დაგიკმაყოფილებთ. ასე რომ, ველით თქვენს მესიჯებს ტელეფონის ნომერზე: 8(99) 17.35.27 ან ელფოსტაზე: gza.fantazia@gmail.com. ■**



# როგორ შევაფასოთ ცხოვრების ხარისხი



როგორ განვსაზღვროთ ცხოვრების ხარისხი? გამოთქმა — „ცხოვრების ხარისხი“ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში და იაპონიაში გაჩნდა, რაც სწრაფი ეკონომიკური წინსვლის შედეგად ერთ სულ მოსახლეზე მატერიალური კეთილდღეობის დაჩქარებული ტემპით ზრდით იყო გამოწვეული.

## მაგარიკა

იყო დრო, როცა მიაჩნდათ, რომ რაც უფრო მეტი ხანგრძლივი მოხმარების ახალი ნივთი ჰქონდათ ოჯახში, ადამიანებიც მით უფრო ბედნიერები იყვნენ. ამიტომაც, ცხოვრების ხარისხის პირველი კვლევები დღეს ხშირად მხოლოდ ღიმილსა გვგვრის. მაშინ ხომ ძირითადად, ტელევიზორების, მტვერსასრუტების, ავეჯის გარნიტურების და სხვა უზრალო ადამიანური სიხარულების სწრაფად შექმნის სიჩქარეც გამოითვლებოდა, რომელსაც მოხმარებლები ბედნიერებამდე მიჰყავდა. ცხოვრების მაღალ ხარისხად კი სწორედ გზის ის მონაკვეთი მიიჩნეოდა, როცა ადამიანები ასეთი ბედნიერების „მისაღდგომებთან“ აღმოჩნდებოდნენ. რა თქმა უნდა, ცხოვრების ხარისხის განსაზღვრის ასეთი ხერხი მხოლოდ აბსოლუტურად მდგრად სიტუაციაში თუა შესაძლებელი. ჯერ ერთი, ყველას უნდა სჯეროდეს, რომ მატერიალურ სიკეთეებს უცილობელი ბედნიერებისკენ მივყავართ. მეორე, ზედა თამასა (საიდანაც „ბედნიერება“ იწყება) მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. დღევანდელი საზოგადოება მსგავს ილუზიებს სრულიად მოკლებულია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტექნოლოგიების უსწრაფესი ზრდის გამო, დღეს ცოტა ვინმეს თუ წარმოუდგენია, კონკრეტულად რამდენი ნივთი სჭირდება საბოლოო და შეუქცევადი ბედნიერებისთვის; სხვისი ზესიმდიდრის გამუდმებული აქცენტრებით საკუთარი მოთხოვნილებების ზუსტი განსაზღვრა სულ უფრო შეუძლებელია; ჭრელაჭრულა რეკლამების წყალობით კი იმის გაცნობაც თითქმის არასდროს გვტოვებს, რომ რაღაც მნიშვნელოვანს მუდმივად მოკლებულნი ვართ. ბევრი რომ აღარ გვაგვრძელოთ, ცხოვრების ხარისხის ცხოვრების დონესთან გატოლება როგორც ამ საკითხის მკვლევართათვის, ისე ნებისმიერი უზრალო მოკვდავისთვის, მხოლოდ დამლუბველი თუ აღმოჩნდა.

## სმოხიარება

ცხოვრების ხარისხის განსაზღვრის მცდელობები ამით არ დასრულდებულა. უზრალოდ, ქანქარა საპირისპირო მხარეს გადაქანდა და მალევე გადაწყდა, რომ ცხოვრების ხარისხი ეკონომიკაზე მეტად, ადამიანის პირად შეგრძნებებსა და საზოგადოებაში კომფორტულ არსებობაზე დამოკიდებული. მაგრამ ამ შემთხვევაში კომფორტის ხარისხი როგორღა უნდა განვსაზღვროთ? სოციოლოგებმა, პირველ რიგში, ემოციური ბალანსის გაზომვა შემოგვთავაზეს. კერძოდ, უნდა გამოთვლილიყო, რამდენი დადებითი ემოცია განიცადა ადამიანმა საანგარიშო პერიოდში, შემდეგ მას უარყოფითი ემოციების რაოდენობა უნდა გამოჰკლებოდა და გასაგები გახდებოდა, თუ რამდენადაა ადამიანი ცხოვრებით კმაყოფილი. ერთი შეხედვით, ეს საკმაოდ წარმატებული იდეაა — თუ იმაზეც თვალს დაგვუჭავთ, რომ სიღრმის მიხედვით ერთმანეთის თანაბარი ემოციები იშვიათობაა, ზოგიერთი მათგანის ცალსახად დადებითად ან უარყოფითად გაზარება კი საერთოდ შეუძლებელია.

## შეიკავიკება

ემოციებთან დაკავშირებით განცდილი წარუმატებლობის შემდეგ გადაწყდა, რომ ცხოვრების ხარისხის განსაზღვრისას ყურადღება ადამიანს კი არა, საზოგადოდ ცხოვრებას და კონკრეტულად იმ ყველაფრის — ოჯახის, სამუშაოს, ჯანმრთელობის, საცხოვრისის, მეგობრული კავშირების — ხარისხს მიჰქცეოდა, რაც მას გარს აკრავს. მაგრამ აქ უკვე კიდევ ერთი საინტერესო დეტალი გამოიკვეთა: როცა რესპონდენტებს მათი ცხოვრების ერთ-ერთი სფეროს შეფასება სთხოვეს, მათ პატიოსნად უბასუსხეს, რომ მართალია, სამსახურში მაინცდამაინც არ გაუმართლათ, მაგრამ სამაგიეროდ, მეგობრები მართლაც შესანიშნავი ჰყავთ. ხოლო როცა იმავე რესპონდენტებს უკვე საკუთარი ცხოვრების მთლიანობაში შეფასება შესთავაზეს, ისინი ყველანაირად შეეცადნენ იმის დამტკიცებას, რომ ცხოვრებით ძალიან კმაყოფილნი არიან და, შესაბამისად, მისი ხარისხიც სათანადო სიმაღლეზეა. ანუ ამის საშუალებით, საკმაოდ სერიოზული პრობლემა — პირადი შეფასების ზედმეტი სუბიექტურობა ამოტივტივდა. საკითხისადმი კიდევ ერთი მიდგომა ცხოვრების ხარისხის სოციალურ ფონის მიხედვით შეფასებაა. კერძოდ, მკვლევრებმა საზოგადოებას ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის განსაზღვრა შესთავაზეს, რომელიც სიცოცხლის ხანგრძლივობას, განათლების დონეს, ერთ სულ მოსახლეზე საერთო ეროვნულ შემოსავალს და მთელ რიგ სხვა პარამეტრებსაც მოიცავდა. თანაც, ამ შემთხვევაში, ისიც თავიდანვე იქნებოდა გათვალისწინებული, რომ ადამიანური პოტენციალის განვითარების მაღალი ინდექსი იმის უცილობელი დასტური როდი იქნებოდა, რომ ვთქვათ, 80-ს მიღწეული უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი თავისი ცხოვრებით სრულიად კმაყოფილი აღმოჩნდებოდა. ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი უფრო იმის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო თუ რამდენად ეფექტურად ზრუნავს ქვეყანა თავის მოქალაქეებზე.

## ცხოვრების ხარისხის პარალოქსია

აღბათ ისიც საკითხავია, ცხოვრების ხარისხის განსაზღვრას დიდი და პატარა ასე მაინც

### აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია  
**www.elva.ge**  
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. უცხ.	წ. ფუ.
1. ოჯახის ზღვრება	0.88	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.08	35.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.90	65.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	59.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3



პრების  
გაერცელების  
სააგენტო

ქ. თბილისი  
თბილისის ქ. № 49  
ტელ: 42-43-40;  
38-26-73; 38-26-74.  
ფაქსა: 38-26-74  
E-mail: elva@kvirspalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა  
დასაზელების ჟურნალ-გაზეთები

რატომ მიეჯაჭვა? იმიტომ, რომ ეს ადამიანთა ფართო წრის, მაგალითად, გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა რეალური კეთილდღეობის გარკვევის საშუალებაა. ასე მაგალითად, ჟურნალ Economist-ის მონაცემებით, ცხოვრების ხარისხის რეიტინგში რუსეთს (საქართველოზე საერთოდ არაფერია ნათქვამი) მსოფლიოს 111 ქვეყანას შორის 105-ე ადგილი უკავია. ანუ ცხოვრების უარესი ხარისხი მხოლოდ ნიგერიაში, ბოტსვანში, ჰაიტიზე, ზიმბაბვეში, უზბეკეთსა და ტაჯიკეთში თუ არის.

დღესდღეობით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ცხოვრების ხარისხის ერთდროულად რამდენიმე პარამეტრით შეფასებას გეთავაზობს:

- ფიზიკური: ენერჯიულობა, დაღლა, ფიზიკური დისკომფორტი, ძილი და დასვენება;
- ფსიქოლოგიური: თვითშეფასება, კონცენტრაცია, დადებითი ემოციები, ნეგატიური განცდები, აზროვნება;
- დამოუკიდებლობის ხარისხი: ყოველდღიური აქტიურობა, შრომისუნარიანობა, წამლებსა და მკურნალობაზე დამოკიდებულება.
- საზოგადოებრივი ცხოვრება: ყოველდღიური აქტიურობა, სოციალური კავშირები, მეგობრული კავშირები, ადამიანის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, პროფესიონალიზმი.
- გარემო: საცხოვრებელი და ყოფა, უსართობება, თავისუფალი დრო, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ეკოლოგია (კლიმატი, დაბინძურების დონე, დასახლების სიმჭიდროვე).
- სულიერი და პირადი მრწამსები.

ჯერჯერობით ერთადერთი, რისი გაკეთებაც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პარამეტრებით საკუთარი თავის შეფასება და შემდეგ მათ მიზეზებზე დაფიქრებაა. და თუ ამგვარი შეფასებისას სოციალური მიზეზების გარდა, პირადი გამოჩნდება, ეს საკუთარი ცხოვრების შეცვლის მნიშვნელოვანი მიზეზი უნდა გახდეს.


**პოლონელმა ქალმა მთავარი გოგონა გააჩინა**

მშობიარობის დროს მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა პოლონელმა ქალმა გააჩინა გოგონა, რომლის სისხლში ალკოჰოლის შემადგენლობა მძლოლებისთვის ნებადართულ ნორმას თითქმის 15-ჯერ აღემატებოდა.

ვარშავის გარეუბანში მდებარე ოტცოვკის საავადმყოფოს ექიმებმა პოლიციაში მას შემდეგ დარეკეს, რაც მათთან მთვრალ მდგომარეობაში მყოფი, თითქმის მშობიარობადანწყებული ქალი მიიყვანეს. პოლიციის წამომადგენლის — დოროთი ტეცის თქმით, 38 წლის ქალის სისხლში ალკოჰოლის დონემ 1,2 პრომილე შეადგინა, რაც ერთი ბოთლი ღვინის ანდა ორი ბოთლი ლუდის მიღების ტოლფასია.

ალკოჰოლი პლაცენტის მეშვეობით გადანანილდა, რის შედეგადაც ბავშვი სისხლში ალკოჰოლის (2,9 პრომილე) შემცველობით დაიბადა. და ეს მაშინ, როცა მძლოლის სისხლში ალკოჰოლის მაქსიმალურად დასაშვები ნორმა პოლონეთში 0,2 პრომილეს არ აღემატება, ხოლო მოზრდილი ადამიანისთვის ალკოჰოლის სასიკვდილოდ სამიზ დოზად საზოგადოდ 5,5-6,0 პრომილე მიიჩნევა.

მართალია, ამ მდგომარეობას ბავშვის სიცოცხლისთვის უშუალო საფრთხე არ შეუქმნია, მაგრამ ექიმები



შიშობენ, რომ ის მის შემდგომ ზრდასა და განვითარებაზე მანც უარყოფითად აისახება. გოგონას დედას, შვილის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდებასთვის, ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრება.

**სიასლა!**

**ჩანართი გათვვის, ვისაც  
სახლში პაპარა კყავს**

პედიატრიული  
ჩანართი თქვენს  
ჟურნალში

**ოჯახის  
პედიატრი**



შეკითხვები  
პედიატრს



0-დან 1-მდე




ბავშვის  
ფსიქოლოგია



როგორ  
შეეურჩიოთ  
ბავშვს ფაფა

**შეაგროვე  
და აკინძა**



საქართველო



ექვეთვის ქალბატონებო!



გამოხმაურება

„ცხოვრება“ ზვერ თაქეს ვასწავლის...“

მარინა ბაბუნაშვილი

ველავ ბევრი გამოხმაურება მივიღეთ ერთერთი მკითხველი გვწერს, რომ სხვათა გულახდილობამ მასაც გაუჩინა სურვილი ჩვენთვის საკუთარი ცხოვრების შესახებ მოეთხორო ყველას მოფუსმენტ და ადგილს დაფუთობით უურნალის ფურცლებზე, ვისაც კი ეს მოესურვება. ახლა კი, ის გამოხმაურებები, რომლებიც წინა ნომერში გამოქვეყნებულ ამბავს მოჰყვა:

„უმჯობესი იქნებოდა, გამზრდელ მშობლებს თავიდანვე გაემხილათ შვილისთვის სიმართლე. ინგასთვის ყველაფერი გაცილებით ოლი და უკეთესიც იქნებოდა. გამაოცა მისმა მიტევების უნარმა. ბევრი მის ადგილას ასე ვერ მოიქცეოდა. რაც შეეხება რამაზს, ის თანაგრძნობას იმსახურებდა, რადგან ინგამ მასაც აპატია დანაშაული, რომელიც საყვარელი ქალის სიყვარულმა ჩაადენინა. თამუნა“.

„ინგას ამბავმა მეც ამატირა. მეც-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ აღარ მეგონა, რაზე თუ ამბავებდა, იმდენი დარდი და ტკივილი მიმიჩუმებია გულში. ნატოს ამბავაც შემძრა („ქორწილში შემოჭრილი სატვირთო და ორი სამკუთხედი“, „გზა“ №24). ისეთი ამბები გაქვთ მოთხრობილი, ქვის-გულის მქონე ადამიანსაც აატირებს და დააფიქრებს. მეც მეორე ცოლი ვარ ჩემი ქმრისთვის. ძალიან მიყვარს მისი პირველი შვილები. თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ ნატოს დიდსულოვნებამ გამაოცა. ამდენს მეც ვერ შევძლებდი. ის საოცრად კეთილშობილი და სულით ხორცადე ქრისტიანი ადამიანი ყოფილა. აფერუმ მის ქალობას! ნუნუ“.

„უპირველესად, მადლობა მინდა გადაგიხადოთ, ჩემი გამოხმაურება რომ დაბეჭდეთ. კიდევ, მინდა

გითხრათ, რომ არაჩვეულებრივი რუბრიკა გაქვთ. არ მეგონა, ასეთი ლამაზი ამბები რეალურად თუ ხდებოდა. ინგა საოცრად კეთილი და ღირსეული ქალია, მაგრამ გამიკვირდა, პირველი სიყვარულის დავინწყება როგორ შეძლო? მან შვილის მამას დიდსულოვნად აპატია დანაშაული და ეს მისაბაძი მაგალითია.

მარინა, მადლობთ, რომ ცხოვრებისეულ ამბებს მოგვითხრობ და სხვისი მაგალითით გვასწავლი, როგორ უნდა მოვიქცეთ მსგავს სიტუაციებში. თანის“.

„გამარჯობა, მარინა! ვიცოდი, პირისპირ საუბარს ვერ გავბედავდი, ამიტომ მესიჯით გამოხმაურება ვამჯობინე. მინდა, ჩემს პრობლემებზე მოკლედ გიამბოთ: იქნებ, მერე სურვილი გაგიჩნდეთ, რომ უფრო დანწრილებით გაეცნოთ ჩემს ცხოვრებას და დაბეჭდოთ კიდევ“.

17 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი. მეგონა, ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ ქორწინებიდან სამი თვისთავზე ჩემი მეუღლე დაიჭირეს. საშინელი ამბავი მოხდა (ამაზე უფრო ვრცლად მაშინ გიამბობთ, თუ შევხვდებით)! ის უდანაშაულოა, მაგრამ ამას არ აღიარებს. მე უკვე 18-ის გავხდით. მალე პატარა მეყოლება, მაგრამ ჩემი მეუღლის ნათესავები ყველანაირად ცდილობენ, მას დამაშორონ. გთხოვთ, მიჩიეთ, რა ვქნა? მაკა“.

P.S. მაკა, გელოდებით რედაქციაში. შენს ამბავს გამოვაქვეყნებთ და გულშემატკივარი მკითხ-

ველისგანაც აუცილებლად მიიღებ კეთილ და საგულისხმო რჩევებს.

„ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომწონს რუბრიკა „ცხოვრება“ და როგორ თანაფუგრძნობ მის გმირებს. სიმართლეს გეუბნებით, არ ვაჭარბებ. როცა ნატოს ცხოვრებას ვეცნობოდი („ქორწილში შემოჭრილი სატვირთო და ორი სამკუთხედი“), ცხარე ცრემლებით ვტიროდი. საამაყო მისი შვილობაც, ცოლობაც და დედობაც. ძლიერი ქალი ყოფილა. თავისი სიკეთით და სიმშვიდით შეძლო, მოწინააღმდეგეები მეგობრებად ექცია. მიხარია, რომ ჩემს ქვეყანაში ნატოსნაირი ქალები არსებობენ. რალაც კითხვები გამიჩნდა და მარინას ვთხოვ, ინტერესი დამიკმაყოფილოს!

მანტიერესებს, რა ბედი ეწია გელას?! ჰყავს თუ არა ცოლ-შვილი? როგორ არიან ნატოს მშობლები და შვილთან როგორი ურთიერთობა აქვთ? ანა, ბაღდათის რაიონი“.

P.S. ჩვენი მკითხველის სურვილებს ყოველთვის ვითვალისწინებთ. ანას კითხვებს კი, რა თქმა უნდა, პასუხს გავცემთ და მის ინტერესს დავაკმაყოფილებთ: გელამ დიდი ხნის მერე შეირთო ცოლი. მას შემდეგ, რაც ნატო ქორწილიდან გაექცა, ხალხში გამოჩენას ერიდებოდა. მამის რისხვა თავად მან „გაანელა“ და სთხოვა, რომ ნატოსა და ვაჟასთვის არაფერი ევნო. მერე რუსეთში იყო ორი წელი. ახლა, თავის ქალაქში ცხოვრობს. ჰყავს ცოლი და სამი შვილი.

ნატოს მშობლებს სიბერე შეეპარათ, მაგრამ ჯანმრთელად არიან, ქალიშვილს მხარში უდგანან და ცდილობენ, მარტოობა გაუადვილონ.

„ინგას მსგავსად ჩემმა მეგობარმაც გვიან გაიგო, რომ ნაშვილები იყო. მან ვერ აპატია გამზრდელებს ტყუილი და ოჯახიდან წავიდა. ერთ ავარა ბიჭს უყვარდა. თეას კი — არა, მაგრამ ისე იყო გამწარებული თავის გამზრდელებზე, რომ მათ ჯინაზე ადგა და იმ ბიჭს ცოლად გაჰყვა. წელიწად-ნახევარში ბავშვიანად უკან დაბრუნდა. ვერ შეძლო მასთან ცხოვრება. მასხოვს, ეშინოდა, ვაითუ, მშობლებმა აღარ მიმიღონო, მაგრამ მათ გულში ჩაიხუტეს შვილი. თეასაც უნდოდა ნამდვილი მშობლების გაცნობა, მაგრამ ვერ იძოვა. აღარც უდარდია. მიხვდა, რომ ვინც გაზარდა და ვისაც ამაგი ჰქონდა მასზე, ისინი უნდა დაეფასებინა. თავისი 5 წლის პატარა ძალიან უყვარს, მაგრამ დღემდე ვერ აპატიო საკუთარ თავს, რომ გამზრდელებს ცუდად მოექცა, მიატოვა და გული ატყინა. სიყვარულისა და ამაგის დაფასება დიდი ნიჭია. ღმერთმა არ მოგაკლოთ ეს ნიჭი. ღია დევდარიანი“.

„გმადლობთ საინტერესო რუბრიკისთვის. „ცხოვრებიდან“ ბევრს ისწავლის ადამიანი, ერთმანეთისგან გაარჩევს ავსა და კარგს (სამწუხაროდ, ბევრს უჭირს ამის გარჩევა). ინგას საქციელს მოვუწონებ. რალა თქმა უნდა, მთავარი ისაა, ვინ და როგორ გაგზრდის, თორემ გაჩენას რა უნდა? ისიც მომეწონა, რომ რამაზთან გააგრძელა ცხოვრება. მართალია, თავის დროზე, რამაზს შეეშალა, რომ შანტაჟის გზას დაადგა, მაგრამ სიყვარული ხომ ბოლომდე ამოუხსნელი გრძნობაა, რა იცი, როდის რას ჩაგადენინებს. რამაზს ინგა უყვარდა და ბოლომდე იბრძოლა მისთვის. ეკა ჯალალონია, თბილისი“.

# გადაუდასხავი ბარიერი

ისეთ გრძნობებს, როგორც სიყვარული და მეგობრობა, ყველი არ გასდის ეს რუბრიკაც ამ გრძნობებმა წარმოშვა. მართალია, ჩვენს მკითხველს ძველ ამბებს ვასვენებთ და მათ გაგრძელებასაც ვთავაზობთ (ესეც იმიტომ, რომ თავის დროზე დიდი გამომხაურება მოჰყვა), მაგრამ სიამოვნებით მივიღებთ ახალ, თქვენი ცხოვრების ამსახველ ამბებსაც ასე რომ, მხოლოდ გამომხაურებებით ნუ შემოიფარგლებით. მოგწერთ — რა განუხებთ, რა გტკივთ, რა აღმართულა თქვენ წინაშე პრობლემად.

იკითხეთ „კვირის პალიტრა“ (რუბრიკა „თქვენთვის, ქალბატონებო“) და უურნალი „გზა“. გაეცანით სხვების ცხოვრებას და თქვენი თავგადასავლის შესახებაც გვიამბეთ.

## მარინა ბაბუნაშვილი

თავი პირველი

### წლების წინ, 9 აპრილს დაწყებული რომანი

სასიყვარულო ურთიერთობებში ყველაზე გავრცელებული ე.წ. სასიყვარულო სამკუთხედია, მაგრამ როცა ამ სამკუთხედში ერთ-ერთი „კუთხე“ ძალიან ახლობელია (კიდევ უარესი — სისხლით ნათესავი), ამბავი ტრაგიკულ ელფერს იძენს.

წერილი — „სიყვარულმა შეწიწიო-ბა არ იცის“ 2002 წლის 15 აპრილს დაიბეჭდა „კვირის პალიტრაში“ (რუბრიკით „თქვენთვის, ქალბატონებო“). მისი მთავარი მოქმედი პირი — ნუციკო გახლდათ. მასხოვს, აბის თხრობისას როგორ წერვიულობდა, ცრემლებს ძლივს იკავებდა. სანერვიულო კი, უდავოდ, ჰქონდა...


მეცხრე კლასში სწავლობდა, როცა თავისი სკოლელი, მასზე ერთი წლით უფროსი, გურამი შეუყვარდა. ბიჭი ყველასგან გამოირჩეოდა თავისი სპორტული აღნაგობით, სწავლით და დახვეწილი ქცევით. ბევრ გოგოს მოსწონდა და ნუცა ვერასდროს იფიქრებდა, რომ ასეთი ბიჭი მაინც-დამაინც მას დაადგამდა თვალს. სასწაულები რეალურ ცხოვრებაშიც ხდებო, — მაშინ გაიფიქრა ნუციკომ, როცა მეგობრის დაბადების დღეზე გურამმა ამდენ გოგონაში ის გამოარჩია. მთელი საღამო მის გვერდით იყო, ყურადღებას არ აკლებდა, მხოლოდ მასთან ცუკავდა... მეორე დღეს მთელი სკოლა ახალ და ლამაზ წყვილზე ლაპარაკობდა. ისინი ხშირად გაკვეთილებიდან იპარებოდნენ, ხან — მეგობრებთან ერთად, ხან მარტონი კინოში მიდიოდნენ ან ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ სეირნობდნენ. მალე, ნუციკოს მშობლებმაც გაიგეს ქალიშვილის სიყვარულის ამბავი, მაგრამ არ გაბრაზებულან: გოგო-

ნას ურჩიეს: სიყვარული მშვენიერი გრძნობაა, მაგრამ ზღვარს ნუ გადახვალთ, არ აჩქარდეთ და სისულელე არ ჩაიდონოთ, ჯერ უნდა ისწავლოთ, ურთიერთობას კი არ დაგვიშლით.

ნუციკოს ორი წლით უფროსი და ჰყავდა — რომელიც პატარაობიდანვე ცუკვით იყო გატაცებული და ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლობდა ნუციკო მიაშობოდა: „ნანა საოცრად ლამაზი გოგო იყო (და ახლაც მშვენიერი ქალია). მეც ბევრს მოვწონდი, მაგრამ ნანას მაინც სხვანაირი ხიბლი ჰქონდა, ამას ერთვოდა მოცუკვავისთვის დამახასიათებელი ჰეროვნება და სინატიფე მშობლები საერთოდ, უმცროს შვილებს უფრო ანებივრებენ, მაგრამ ჩვენში ასე არ იყო. ნანა გახლდათ ოჯახის კერპი“.

1989 წლის აპრილის დღეები იდგა. იმდენი ხალხი იკრიბებოდა რუსთაველზე, გაკვეთილებზე გული არ უჩერდებოდათ მოსწავლეებს. ნუციკოც და გურამიც მეგობრებთან ერთად, ბოლო გაკვეთილებიდან იპარებოდნენ და ეროვნულ ტალღას უერთდებოდნენ. გულით უხაროდან, რომ საქართველომ ხმამაღლა თქვა გაბედული სიტყვა... იმ საბედისწერო დღეს, ქაშუეთის ეკლესიის წინ იდგნენ ნუციკო, გურამი და მათი რამდენიმე მეგობარი. მშობლებმა უმცროსი დის წამოსაყვანად, ნანა გაგზავნეს. საღამოს მ საათი იყო. როგორც იქნა, მოძებნა და და მკაცრად მოსთხოვა შინ გაჰყოლოდა. ნუცამ თავის სიცოცხლეში პირველად უთხრა ნანას უარი: ფეხსაც არ გამოვადგამ, აქ უნდა ვიყო დილაამდე; გურამი ეკლესიაშია შესული სანთლების საყიდლად, არაფერია საშიში, ხომ ხედავ, რამდენი ხალხია თავმოყრილი! ამ დროს გურამიც გამოჩნდა ნანა ინტერესით დააკვირდა ბიჭს.

— ჰო, მართლა, გაიცანით ერთმანეთი! გურამ, ეს ჩემი დაა! — მიუბრუნდა ნუციკო გურამს და ნანა წარუდგინა. მონუსხულივით მიაჩ-



ერდა ბიჭი ახალგაწიობილს. ნუციკოს მხედველობიდან არ გამოჰპარვია ეს მხერა. დიდხანს აღარ გაჩერებულა ნანა, გურამს უთხრა, — შენ გაბარებ ჩემს დასო, — და წავიდა. იმ ღამეს რაც მოხდა, ყველამ ვიცით... როცა დარბევა დაიწყო, გურამმა ნუციკოსა და მის მეგობარ ლიას ხელები ჩასჭიდა და გაქცევით უშველეს თავს. დილით სამივე ცუდად გახდა. მომწამვლელი გაზის გამო პირი უშრებოდათ და თავბრუ ეხვეოდათ. ნუციკო მშობლებმა საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ იქ მასზე უარესად მყოფი, აურაცხელი ხალხი დახვდათ. მკურნალობა დაუნიშნეს და გამოუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ არც გურამი იყო კარგად, დღე არ გავიდოდა, ნუციკო არ მოენახულე ბინა. ამ პერიოდში დაუახლოვდა ნანას... იმ წელს გურამმა სკოლა დაამთავრა და სტუდენტი გახდა. მშობლებმა ნუციკოს უთხრეს: ხომ ხედავ, როგორი ნიჭიერი და მიზანსწრაფული ბიჭი ყოფილა გურამი, ახლა შენც მიხედე სწავლას, რომ მის მშობლებს არ ათქმევინო, ჩვენს ვაჟს მისთვის შეუფერებელი გოგო უყვარსო. მართლაც, ბევრთად შეუდგა ნუცა მეცადინეობას, მაგრამ მერე ისე განვითარდა მოვლენები, რომ სწავლისთვის აღარც ეცალა...

გურამმა ნუციკოსთან სიარულს მოუხშირა, მაგრამ ხშირად ისეთ დროს მიდიოდა, როცა ნანას გარდა, შინ არავინ იყო...

ერთხელ კი სკოლიდან დაბრუნებულ ნუციკოს ასეთი სურათი დახვდა: ნანა და გურამი სამზარეულოში გუგულებივით ისხდნენ და ყავას მიირთმევდნენ. ნუცას დანახვაზე დაიბნენ. მერე ნანა აჩქარდა, — უი, რა დრო გასულა, სასწავლებელში მაგვიანდებაო, — თქვა და კარი გაიხურა. გურამმა კი იმ დღეს გადანყვიტა, სიმართლე ეთქვა გოგოსთვის...

ამონარიდი წერილიდან: „გურამმა გაბზარული ხმით დაიწყო: მე შენ არასოდეს მომიტყუებინა, არ შემიძლია, ვიცხოვრო, ამიტომ, რაც უნდა მკაცრად მოგჩვენოს, სიმართლე უნდა გითხრა. რადგან ასე გაგრძელება აღარ შეიძლებაო. ყურებზე ხელი ავიფარე, მაგრამ გურამს, ეტყობა, საბოლოოდ გადაწყვიტა ყველაფრის თქმა (ალბათ, ნანამ უბრძანა ასე) და თითებს შორისაც კარგად აღწევდა ჩემთვის შემზარავი სიტყვები: ნანა მიყვარს, ერთი დღეც არ შემიძლია უიმისოდ; უნდა გაგვიგო, შენზეა დამოკიდებული ყველაფერი. ნანა ცოლად იმ შემთხვევაში გამოიყვება, თუკი შენ იქნები ამაზე თანახმა; შენს ხელშია ჩემი ბედი, იცოდე, ნანას გარეშე ვერ გავძლებო. რალა უნდა მექნა? თავი დაუქნიე და ესლა ამოვლერღე — როგორც გინდათ, ისე იცხოვრეთ-მეთქი“.

ნუციკომ ვეღარ შეძლო ოჯახში

ყოფნა და მარტოხელა მამიდასთან გადავიდა საცხოვრებლად... სექტემბერში კი ნანამ და გურამმა ხელი მოაწერეს და ქორნილიც გადაიხადეს. აღარ გამოდიოდა ნუციკოს „დამალვა“ — დას და სიძეს გაბედნიერება მიულოცა...

ცხოვრება თავისი გზით გაგრძელდა. ნანა ერთ-ერთ პრესტიჟულ ანსამბლში ცეკვადა. უახლოეს მომავალში საფრანგეთში უწევდა გასტროლები, არადა, ორსულად იყო. უნდა აერჩია: ან — ბავშვი, ან — კარიერა. გურამმა სთხოვა: დარჩი და ბავშვის გაჩენის შემდეგ წადი მორიგ გასტროლებზეო. ნანას ამის გაგონებაც არ უნდოდა. როცა დედამაც იგივე უთხრა, ლამის ისტერიკა დაემართა: არავინ ფიქრობთ ჩემს კარიერაზე, სამზარეულოში გინდათ გამოიკეტოთ, ამიტომ ამერიიდან, საკუთარ თავზე მე ვიზრუნებო. არავისთვის უთქვამს, ჩუმად წავიდა და აბორტი გაიკეთა. როცა ეს გურამმა გაიგო, ლამის თავზე დაამხო ყველაფერი. ნანა მისი სახლიდან წამოვიდა, ერთ თვეში კი ანსამბლთან ერთად, პარიზში გაემგზავრა. გურამს გაუჭირდა მის გარეშე, ძალიან დარდობდა და როცა ნანა ჩამოვიდა, შესარიგებლად პირველი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ნანას იგი უკვე აღარ აინტერესებდა. იქ, მასზე გაცილებით უფროსი, მდიდარი ფრანგი კაცი გაიცნო და წელიწად-ნახევრის მერე ცოლად გაჰყვა.

გავიდა წლები. გურამიც დაოჯახდა, გოგონა შეეძინა, მაგრამ ბედმა უზუხთლა. ცოლ-ქმარი წვეულებიდან ბრუნდებოდა, როცა დილის ტრასაზე ავარია მოუხდა — ცოლი ადგილზევე გარდაიცვალა, გურამიც მძიმედ იყო, მაგრამ გადარჩა...

ნუციკო არ გათხოვილა. სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და ერთ-ერთ საავადმყოფოში პედიატრად მუშაობს. ნანა იშვიათად ჩამოდის თბილისში, თუმცა მშობლებსა და დას იქიდან ხშირად უგზავნის ფულსა და საჩუქრებს...

**თავი ზოგად  
წლების შემდეგ.**

**თავ-თავიანთი გზებით...**


ერთ დღეში შეიძლება, ადამიანის ცხოვრება შეიცვალოს — ან თავდაყირა დადგეს ყველაფერი, ან აღმაველი გზით წავიდეს.

6 წელიწადში ბევრი რამ მოხდა. ნუციკომ ვერ შეძლო გურამის დავიწყება, ამიტომ, ბევრ თავყანისძეუმელს ცოლობაზე უარი უთხრა.

**ნუციკო:**

— რაც დრო გადიოდა, მით მეტად ნერვიულობდნენ მშობლები, — შენმა დამ შეილიშვილი არ გვადირსა,

შენ კი შინაბერობას აპირებო?! ერთსა და იმავეს ვისმენდი ყოველდღე, შინ შესვლა აღარ მინდოდა. ერთხელ ვიჩხუბე კიდეც: თავს თუ არ დამანებებთ, მეც ნანასავით, საზღვარგარეთ წავალ და გადავიკარგები-მეთქი... ნანას სერიოზული პრობლემები ჰქონდა: პირველი აბორტის მერე აღარ დაორსულებულა. მაინცდამაინც, არც წუხდა ამაზე... პირველად როცა საფრანგეთში ჩავაკითხე, თავად ჩამომიგდო ლაპარაკი გათხოვებაზე. ეტყობა, მშობლებმა სთხოვეს, ურჩიე რამეო. ძალიან გავბრაზდი: ჩემი და კარგად მიცნობს, იცის — ასე იოლად



არ შემიძლო იმ ადამიანის დავიწყება, რომელიც მთელი გულით მიყვარდა. ცივად შევანყვეტინე: მორჩი ქვუადარიგებას, შენსავით უსიყვარულოდ და ანგარებით ვერ გავთხოვდები-მეთქი. ხმა აღარ ამოუღია. სამაგიეროდ, ერთი კვირის მანძილზე თან გადამყვა, სად აღარ წამიყვანა, რა არ მანახვა! უამრავი რამ მიყიდა და მშობლებისა და ახლობლებისთვისაც ბევრი საჩუქარი გამომატანა. სიძეს მხოლოდ გვიან ღამით ვხვდებოდი; ის სულ დაკავებული იყო. აშკარა იყო, რომ ნანას აღმერთებდა, უშვილობას არც ის განიცდიდა. მითხრა: გათხოვდი და ბევრი შეილი გააჩინე, ერთს კი ჩვენ ვიშვილებთ და გავზრდითო. გულში გავიფიქრე, — შენლა მაკლდი-მეთქი!... თბილისში დაბრუნებულმა, ჩვეულებრივად გავაგრძელე ცხოვრება. ჩემმა უახლოესმა მეგობარმა ლიამ ამაზე მომიტანა, — გურამი ძალიან დარდობს შენს დაკარგვას. ასე მითხრა: არაკაცი ვარ, ნუციკოს ცუდად მოვექეცი და იმიტომაც დამსაჯა ღმერთმაო. გული მომწურა. ისე ძველებურად მიყვარდა გურამი, მაგრამ მასთან ყოფნის უფლება აღარ მქონდა...

არასოდეს დამავიწყდება ის დილა,

როცა გურამი ყველაფერში გამო-  
მიტყდა და ისიც დასძინა, — შენს  
ხელშია ჩემი ბედიო... ლიამ შემო-  
მაპარა: ისიც მარტოა და შენც, იქნებ,  
გეცადათ ბედიო?... კატეგორიული  
უარი ვთქვი და ხელები გავასავსავე,  
ამ თემაზე აღარ დამელაპარაკო-მეთქი.  
თურმე, ლიას ნიადაგი მოუსინჯავს,  
რადგან გურამს უთხოვია, ნუციკოს  
შემახვედრეო; მერე, რადგან ლიას  
ავუკრძალე გურამზე ლაპარაკი, თავად  
გურამი დამიკავშირდა.

იმ დღეს თავს ვერ ვგრძნობდი კარ-  
გად და შინ ადრე დავბრუნდი. დედამ  
მითხრა, ვიღაც კაცმა ორჯერ დაგირეკა,  
არ მითხრა, ვინ არისო... როგორც კი  
ყურმილში კაცის ხმა გავიგონე, მაშინვე  
მივხვდი, თუ ვინ მელაპარაკებოდა.  
გურამმა თბილად მომიკითხა, მე ძლივს  
მოვახერხე რაღაცის თქმა. მერე მთხოვა,  
ხვალ შეხვედიო...

ის ღამე თეთრად გავათენე. დილ-  
ით ლიას შევეხმიანე, ვუთხარი, —  
გურამმა დამირეკა, დღეს უნდა შევხ-  
ვდე და თუ იცი, რა უნდა მითხრას-  
მეთქი. გაცინა და მიპასუხა, — არ  
გაგიკვირდეს ცოლობა თუ გთხოვავო.  
ლამის გადავიფიქრე პაემანზე წასვლა,  
მაგრამ ბოლო ნუთებში თავი ხელში  
ავიყვანე და შეხვედრაზე გავუშურე...  
ისევ ის გურამი იყო... თუმცა არა,  
ვცდები: წლებსა და დარდს თავისი  
კვალი დაეჩნია მისთვის. საუბარი მე  
წამოვიწყე, შვილზე ვკითხე: სევდი-  
ანად გაელიმა და მიპასუხა, — წელს  
სკოლაში შედისო. აღარ ვიცოდი,  
რაზე მელაპარაკა. ხან რას გადავწყვი-  
დებო, ხან — რას. ისიც კი ვუთხარი, ნანას-  
თან რომ ვიყავი პარიზში ჩასული.  
ვიგრძენი, არ ესაიამოვნა ნანას ხსენება,  
სხვა რამეზე გადაიტანა საუბარი.  
სკოლა გავისხენეთ, გულიანად ვი-  
ცინეთ, მერე 9 აპრილის ღამე მოვ-  
იგონეთ... ერთი სიტყვით, ყველაფერზე

ვილაპარაკეთ, გარდა მთავრისა.  
გურამმა ვერ გაბედა ამდენი ხნის  
მერე პირდაპირ ეთქვა სათქმელი.  
მერე კი ლიასთვის უთქვამს, — ხელი  
რომ მეთხოვა, ხომ იფიქრებდა, რაღა  
ქვრივობისას გავახსენდიო?! ალბათ,  
ვერასოდეს გაგებდავ, მისი ღირსი  
არა ვარო... იმ დღის მერე რამდენ-  
ჯერმე კიდევ შევხვდით ერთმანეთს.  
მივხვდი, გურამი თავის სათქმელს  
თავს ვერ მოუყრიდა, ამიტომ მე  
წამოვიწყე ის საუბარი, რომლისაც  
ორივეს გვემინოდა.

— გურამ, ვიცი, რომ წვალობ,  
რაც გულში გაქვს, ვერ მეუბნები.  
მე კი უნდა გითხრა, რომ არ  
შემიძლია ჩვენი თავი ერთად წარ-  
მოვიდგინო... ერთი ნუთითაც არ  
იფიქრო, უარს იმიტომ გეუბნები,  
რომ ქვრივი ხარ და შვილი გყავს.  
შენ რომ ნანას ქმარი არ ყო-  
ფილიყავი, თუნდაც ცხრა შვილი  
გყოლოდა, უკან არ დავისხევდი.

გურამი გაფითრებული იჯდა  
და მისმენდა. მერე წამოდგა, მაკოცა  
და ძლივსგასაგონად თქვა: ვიცოდი,  
რომ ამას მეტყოდი, ტყუილუ-  
ბრალოდ ვებლაუქებოდი იმედსო,  
— შებრუნდა და წავიდა.

წავიდა და ჩემი გულიც თან  
გაიყოლა...

შარშან კვლავ გამომიჩნდა საქმრო.  
კარგი კაცი იყო, სიმპათიურიც,  
საქმიანიც, მაგრამ გურამზე წინ  
მანაც ვერ დავაყენე. როცა მოვიდა  
და ჩემი მშობლების თანდასწრებით  
ხელი მთხოვა, ძლივს ამოვლერღე  
— მე სხვა მიყვარს-მეთქი. ძმაკაცთან  
ერთად იყო და ძალიან ეწყინა, მისი  
თანდასწრებით უარის მიზუნად, სხვა  
კაცი რომ დავასახლე. რეზო (ჩემი  
თაყვანისმცემელი) არ ელოდა ჩემგან  
უარს, რადგან ორჯერ შევხვდი და  
გავისეირნეთ კიდევ. მაშინ ისეთი

არაფერი უთქვამს და რატომ ჩათ-  
ვალა ჩვეულებრივი გასეირნება იმის  
საბაბად, რომ ხელის სათხოვნელად  
მოსულიყო, არ მესმის...

დედაჩემმა იმ დღეს, კარგახნიანი  
დუმილი დაარღვია და მეჩხუბა: ბო-  
ლოს და ბოლოს, თქვი, რა გინდა?  
35 წლის ქალი ვის რას უმტკიცებ?  
ვინმეზე ჯავრის ამოყრა თუ გინდა,  
ესეც გაგვაგებინეო! კარგი იყო, გურ-  
ამს ცოლად არ გაჰყოლოდა შენი და,  
მაგრამ რადგან ასე მოხდა, ან რაღა  
ემშველება მაგ ამბავსო?!

იმ დღიდან წელიწად-ნახევარი  
გავიდა. მე და გურამი ერთად არ  
ვართ, თუმცა ის ძველებურად მი-  
ყვარს. ლია მიმტკიცებს, გურამსაც  
უყვარხარ და შენ გარდა, სხვა ქა-  
ლის ხსენება არ უნდაო... ორი თვის  
წინ ნანა იყო ჩამოსული. როგორც  
ადრე, ახლაც ერთ ოთახში გვეძინა.  
მხოლოდ გამგზავრების წინაღამეს  
გამომიტყდა: შენთან დამნაშავე ვარ,  
გურამს როგორც უნდა ვყვარებოდი,  
შენ გამო უარი უნდა მეთქვა; ჩემზე ნუ  
იფიქრებ, მე მისით მხოლოდ გატაცე-  
ბული ვიყავი, ისიც — ძალიან ცოტა  
ხანს; თუკი მიგაჩნია, რომ მასთან  
ბედნიერი იქნები, მასთან მიდიო...

ასეთი გულახდილი და სინანუ-  
ლით სავსე არასოდეს მინახავს ნანა.  
მანაც ვერ ვდგამ იმ ნაბიჯს, რო-  
მელიც გულის სიღრმეში ყოველთვის  
მიტრიალებდა. გურამი უცოლოა.  
ვართ ასე, ცალ-ცალკე და მივდივართ  
ჩვენ-ჩვენი გზით. არც ის ვიცი, ეს  
გზები ოდესმე თუ გადაიკვეთება.

ეს გახლავთ ამბავი, რომლის  
გაგრძელებაც სასურველი ფინალით  
არ დამთავრებულა. მკითხველო,  
ნუციკოს თქვენი რჩევა სჭირდება.  
გამოუხმებურეთ!

P.S. ავტორის შეგიძლიათ დაუკავ-  
შირდეთ ტელ: 8.99.27.25.61. ●

**სხვადასხვა COOL თინეიჯერული ჟურნალი**

# ოსკარა

ჟურნალი სულ მალე  
მკითხველს  
სუპერთანამედროვე  
საფლერტაო  
ქარტს მისთავაზობს.

არ გამოგრძას!  
შეაბროვა!  
აფლერტავთ თანატოლთა ოსკარ-ფლერტით!

შენ ხომ სხვადასხვა თანამედროვე ხარ!

მშაბარნი "ოსკარნი" მშაბარნი სიუზუქიჯობით!

# სკანდალური პორტენი დაჰი და პორტენი პორტენი



დასაწყისი იხ. „გზა“ №25

კორტნის ერთი თაყვანისმცემელი ნარკომანი გახლდათ, მეორე — შემოქმედებითი პაუზის გამო, ცხარე ცრემლით ტიროდა და დეპრესიაში იყო; მესამეს ისეთი გარეგნობა ჰქონდა, თითქოს გამუდებით ვილაცის თუ რალაცის შიშის ქვეშ იმყოფებოდა. კორტნი კი თითოეულ მათგანზე უგონოდ იყო შეყვარებული. ის სიბრაღულსა და სიყვარულს ერთმანეთში ურევდა. 18 წლის კორტნიმ ზედმიწევნით კარგად იცოდა, გამოძრომას ნებისმიერი სიტუაციიდან შეძლებდა და მიაჩნდა, რომ საყვარელ ადამიანებს აუცილებლად დახმარებოდა, თუკი მათ ეს დასჭირდებოდათ. ერთხელ, მორიგი ბოიფრენდისთვის უსიამოვნებები თავიდან რომ აეცილებინა (მან არალეგალურ კაზინოში სოლიდური

თანხა წააგო), ტაივანში გაემგზავრა, რათა საჭირო თანხა სტრიპტიზბარში გამოსვლით მოეგროვებინა. კორტნი ბაზრობებზე დაეხეტებოდა და უმი თევზითა და ბოსტნეულით იკვებებოდა, ლამლამობით კი თოჯინის ტანისამოსში გამოწყობილი სტრიპტიზს ცეკვავდა. იაპონიისგან განსხვავებით აქ მას საკუთარი ოთახი ჰქონდა. ნაშოვნ ფულს ოკეანის გაღმა, მეგობარ მამაკაცს უგზავნიდა. როდესაც ტაივანში კონტრაქტის ვადა ამოწურა, ჩინეთში გაემგზავრა. პირველსავე საღამოს, კორტნი თავის სუფრასთან ერთ-ერთმა გემთმშენებლობის მაგნატმა მიიწვია. ის მთელი საღამო ისე გულუხვად ფლანგავდა ფულს, რომ კორტნიმ უცებ დაიანგარიშა: თუ მის სუფრასთან ნახევარსაათს გაატარებდა, ამერიკა-

მდე ჩასასვლელი ბილეთის ფულს მოუყრიდა თავს. დიდი რაოდენობით არყის დაღვევის შემდეგ, მაგნატმა გოგონა ფილიპინებზე სამოგზაუროდ დაპატიჟა. კორტნი დათანხმდა და მოგზაურობისთვის ახალი ტანისამოსის შესაძენად, მაშინვე 10 ათასი დოლარი მიიღო.

ნახევარი საათის შემდეგ, თეთრ, ატლასის კაბასა და ძვირფას ქურქში გამოწყობილი კორტნი ჰონკონგის საერთაშორისო აეროპორტში, საღაროსთან იდგა და მოლარეს არწმუნებდა, რომ პასპორტი დაკარგა და დოკუმენტის გარეშე ბილეთის შეძენას ყველანაირი ხერხით ცდილობდა. საბოლოოდ, მან მოლარის დარწმუნება მოახერხა და რამდენიმე წუთის შემდეგ, პირველი კლასის სალონში, ხელში ღვინის ბოკალით იჯდა და ამერიკაში მიემგზავრებოდა.

კორტნიმ მშობლიურ ქალაქში ახალი ქალთა ჯგუფი — „შაქრის თოჯინები“ შექმნა. სულ მალე, 3 ქერა მომღერლის შესახებ ყველა ამერიკული გამოცემა ალაპარაკდა. კორტნიმ ძალები კინოშიც მოსინჯა და მისი მეორეხარისხოვანი როლი ფილმში — „პირდაპირ ჯოჯოხეთში“, კინოკრიტიკოსებს შეუშინეველი არ დარჩენიათ.

კორტნი წარმატებით ტკბებოდა და ჟურნალისტებთან ფლირტსაც აბამდა. ერთხელ კი უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, „ნირვანის“ კონცერტზე წავიდა.

კობეინთან სკანდალური ნაცნობობის შემდეგ, მათ ერთმანეთი 6 თვე არ ენახათ.

ფანატიკოსებით გარშემორტყმული კობეინი მეგობრებს ეუბნებოდა: „მინდა, ვიპოვო ისეთი ქალი, რომელთან ცხოვრებასაც შევძლებ. სიმშვიდე და საკუთარ ძალებში დარწმუნება მჭირდება. მომწყ-



იმიჯის შეცვლა  
ქნელია, თუ ის  
ჩვეულებას შეესაბამება.

ინდა ინტრიგები და ხანმოკლე რომანები. მე ძველმოდური ადამიანი ვარ და ასეთი ურთიერთობები მღლის“.

ამასობაში, კორტნი „ნირვანის“ ერთ-ერთ წევრს დაუ-

ნაძღვეს დებდნენ: ვინ უფრო მალე გაითქვამდა სახელს და ვინ უფრო მალე გახდებოდა ვარსკვლავი...

„მე გავხდები ვარსკვლავი, ბევრი ფული მექნება და

კურტი უკვე ჰეროინის აქტიური მომხმარებელი გახლდათ და მას ხველის საწინააღმდეგო საშუალებასთან ერთად იღებდა. მას ბრონქიტი და კუჭის ტკივილი ტანჯავდა


და საკმაოდ ფერმკრთალად გამოიყურებოდა. გამხდარი კორტნიც კი მასზე 10 კილოგრამით მეტს იწონიდა. კურტი ისეთი უსუსური იყო, რომ კორტნის მის მიმართ ლამის დედობრივი სინაზისა და მზრუნველობის გამოვლინება უხდებოდა.

ისინი ნახევარი წლის შემდეგ დაქორწინდნენ. ამერიკის ყველაზე მოწყენილმა მომღერალმა, კურტი კობეინმა, პირველი ერთობლივი ინტერვიუს დროს, სახეგაბრწყინებულმა განაცხადა: „სიყვარულმა ისე დამაბრმავა,

რომ ხანდახან ჩემი ჯგუფის წევრებიც კი მავიწყდებიან. კორტნის გულისთვის მუსიკის მიტოვება ახლავე შემიძლია“.

ამ სიტყვების მოსმენისას ახალგაზომცხვარი ცოლი ბედნიერად იღიმებოდა. მან უკვე იცოდა, რომ ფეხმძიმედ იყო. ცოლ-ქმარი დღეებს დიდ, ლამაზ ბაღში ჩადგმულ სახლზე ოცნებაში ატარებდა, რომელიც მცოცავი ვარდების ღობით იქნებოდა გარშემორტყმული, ეზოში კი ფარშავანგები ისეირნებდნენ. კურტს ძალიან უნდოდა, რომ 2 ნასუქი ღორი ეყიდა, რომელსაც საღამოობით სიამოვნებით დაფხანდა ზურგს.

სახლი მათ მართლაც შეიძინეს. მართალია, ფარშავანგების გარეშე, მაგრამ სამაგიეროდ, ორანჟერეთ. 2 თვის შემდეგ სახლში კანალიზაციის მილი გასკდა და კურ-



ახლოვდა და სწორედ მისგან შეიტყო, რომ თურმე კობეინს ის ძალიან მოსწონდა და გამუდმებით მასზე ლაპარაკობდა. თანაც, აღმოჩნდა, რომ სწორედ იმ დროს, კურტი მორიგ მეგობარ ქალს დაშორდა. აღტაცებულმა კორტნიმ სასიამოვნო ამბის მაცნე გულიანად გადაკოცნა... კურტისთვის საჩუქრად, სასწრაფოდ, გულის ფორმის, ვიქტორიანული ზარდახშა შეიძინა და ათასგვარი წვრილმანით გაავსო. მან ზღვის ნიჟარები, ნაძვის ხის პანანინა გირჩები, გამხმარი ვარდის კოკრები ზარდახშაში მოათავსა და ზემოდან თავისი საყვარელი ფაიფურის თოჯინა დადო. საჩუქარს თავისი სუნამოც გულუხვად მოასხურა, აბრეშუმის ბაფთა სამჯერ შემოახვია, როგორც ბავშვობაში ასწავლეს და სამჯერ ჩაიხურჩულა: „ჩემი გახდი“. მთელი ამ მანიპულაციების შემდეგ კურტს საჩუქარი ფოსტით გაუგზავნა. ის ნაძირალა კი არც გამოეხმაურა. ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს ერთობლივი კონცერტების დროს შეხვდნენ და ისევ ერთურთის ლანძღვას მოჰყვნენ. სხვების გასაგონად ერთმანეთს ათას საზიზღრობას ეუბნებობდნენ და

ცოლს ბრილიანტის ბეჭედს ვუყიდი“, — მის გამოსაჯავრებლად ამბობდა კობეინი. „ვინ გამოგყვება ცოლად? სარკეში ჩაიხედე და დარწმუნდები, რომ მახინჯი ხარ“, — პასუხობდა კორტნი. ერთ მშვენიერ დღეს კი მათი მორიგი ჩხუბი კორტნის სახლში სექსით დასრულდა.

დილით გაღვიძებულმა კორტნიმ ტირილი მორთო: „მართლა მოგნონვარ?“ — სლუკუნით ჰკითხა კურტს და ვიდრე ახალგაზომცხვარი კობეინი საჭირო სიტყვებს მრძებნიდა, ისევ თავადვე განაგრძო: „ასე მგონია, არასოდეს არავის შეუწყვარდები“. „მეც ასე მგონია“, — ამოღერლა მამაკაცმა. ამ დღიდან ისინი აღარასოდეს განშორებიან ერთმანეთს, ვიდრე სიკვდილმა არ დაამორა...

მათი შეხვედრის დროს,



წამძვლებს ჯაციონსებსათანას დაყავშირებოლი. თუ ეს იყისებს ამ ვაჭებს, მაშინ წამძვლებს გამსწვირებოლით.

ტის საყვარელი გიტარა შავი ტალახით დაიფარა. ტალახმა გააფუჭა ასევე კურტის აუდიო-ჩანაწერები და ბლოკნოტები, რომლებშიც სიმღერის ტექსტები ეწერა. კურტს ორკვირიანი, ღრმა დეპრესია დაეუფლა. არავის ნახვა აღარ სურდა და თვითმკვლელობის სურვილი გაუჩნდა. სწორედ მაშინ მიხვდა კორტნი, რომ ერთ დღეს ეს საშინელება აუცილებლად მოხდებოდა. გასაოცარი ნიჭის მქონე მომღერლის ზურგს უკან ხომ ყველაზე დაუნდობელი მტერი — ჰეროინი იდგა.

ცოლ-ქმარი ბავშვის დაბადებას შიშით ელოდა — ხომ შეიძლებოდა მათ გზარეულ ცხოვრებას ახალშობილზე კვალი დაეტოვებინა?! ისინი კლინიკაში ერთდროულად მოთავსდნენ. კორტნი სამშობიარო განყოფილებაში, კურტი — ნარკოლოგიურში. მან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ჰეროინზე აღარ ყოფილიყო დამოკიდებული და აუტანელ ტანჯვას უძლებდა. ის ხანდახან კორტნისთან მიდიოდა, საწოლზე ჩამოუჯდებოდა და ტკივილისგან გატანჯული, ცხარე ცრემლით ტიროდა.

როდესაც კორტნის სამშობიარო ტკივილი დაეწყო, სანიტრებს უბრძანა, რომ საკაცით კურტის პალატამდე მიეყვანათ. ქმარს საბანი გადახადა და დაუყვირა: „აბა, ახლავე ადექი! არ ვაპირებ, რომ მარტომ, უშენოდ გავაჩინო ბავშვი!“ კურტმა წელი ძლივს აითრია და გაჰყვა, მაგრამ გზაში გული წაუვიდა და იატაკზე გაიშხლართა.

მეორე დღეს კურტმა კლინიკაში იარაღის შეტანა შეძლო. ის ფიქრობდა, რომ მისი უმთავრესი მისია ამონურული გახლდათ. კორტნიმ ქმარს იარაღი ხელიდან გამოჰგლიჯა და უთხრა: „არა, ამის უფლებას არ მოგცემ, მე პირველი დავიხლი ტყვიას!“ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. გოგონა ჯანმრთელი დაიბადა და ფრენსისი დაარქვეს. ბედნიერმა მშობლებმა მისი ოთახის მოსაწყობად უამრავი ფული დახარჯეს. მათი ერთობლივი ფოტოები ცნობილი ჟურნალების გარეკანზე გამოჩნდა. 1 თვის შემდეგ, კურტი ისევ ნარკოტიკებს მიეძალა. კორტნის ცხოვრება ნამდვილ ომს

დამსგავსა — ის იმ სიყვარულისთვის იბრძოდა, რომელსაც წლების განმავლობაში დაეძებდა. კორტნი ქმარს ფულს ართმევდა, რომ ჰეროინის საყიდელი თანხა არ ჰქონოდა. ერთხელ კურტს თავის სამუშაო მაგიდაზე კორტნის მიერ შეგროვებული უამრავი წერილი დახვდა. წერილების ავტორები კურტის ფანები იყვნენ და ყველა მათგანი მომღერალს სთხოვდა, რომ ჰეროინისთვის თავი დაენებებინა. 10 წლის ბიჭუნა სწერდა: „თქვენ თუ მოკვდებით, მე როგორღა გავაგრძელო ცხოვრება?“

კორტნიმ „ნირვანის“ ყველა წევრი შინ მიიწვია, რომ მეგობრებს კურტზე ზეგავლენა მოეხდინათ. რამდენიმე საათის განმავლობაში ისინი ემუქრებოდნენ კურტს, რომ მიატოვებდნენ, ჯგუფიდანაც გააძევებდნენ და სამუდამოდ დაივიწყებდნენ, თუ ნარკოტიკს სამუდამოდ არ შეეშვებოდა, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში კურტი უხმოდ იჯდა და მათ წასვლას მოთმინებით ელოდა, რომ ჰეროინის შემდეგი დოზა მიეღო.

მას მთელი კვირა არ ეძინა, მონადირის ტანისამოსში გამოწყობილი, ოთახიდან ოთახში დადიოდა და ყურადღებას არაფერს აქცევდა. მთელი მისი შემოსავალი ჰეროინსა და იარაღში მიდიოდა. ის ახალ-ახალ პისტოლეტსა თუ თოფს ყიდულობდა. კორტნის ყოველგვარი იმედი გადაეწურა.

დიდი ძალისხმევით შემდეგ კორტნიმ ისევ დაიყოლია ქმარი, რომ ლოს-ანჯელესში, ნარკოლოგიურ კლინიკაში ემკურნალა. კორტნი მასთან ერთად გაემგზავრა და სასტუმროში დაბინავდა, რომ კურტის პირველსავე დაძახილზე მასთან გაჩენილიყო.

რამდენიმე დღის შემდეგ კურტმა დაურეკა და უთხრა: „რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის გახსოვდეს, რომ მიყვარხარ“. კორტნიმ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო. ქმარმა ყურმილი დაუკიდა. რამდენიმე საათის შემ-

დეგ კურტი კლინიკის ლობეზე გადაძვრა და სიეტლში გაფრინდა.

შეშინებულმა კორტნიმ მთელი ლოს-ანჯელესი გადააბრუნა, ქმრის საკრედიტო ბარათი დაბლოკა, რომ ჰეროინის საყიდლად ფული არ ჰქონოდა. ქმრის ნაცნობ ყველა ნარკოდირს, მეგობარსა და ნაცნობს დაუკავშირდა, რომ მის შესახებ რაიმე ინფორმაცია მიეღო.


ამ დროს კურტი კობეინი თავისი სახლის ორანჟერეაში შევიდა, ნაბიჯი შეანელა და საფეთქელთან მიტანილი პისტოლეტის სასხლეტს თითი გამოჰკრა.

ამბობენ, რომ სიკვდილის წინ ის ცოლთან დაკავშირებას ლამობდა, მაგრამ ვერ შეძლო.

მისი თვითმკვლელობის შემდეგ კორტნის ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა. მან „გრემი“ მიიღო, მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა მისი აუდიოჩანაწერები, ითამაშა მთავარი როლი ფილმში — „ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ“.


ცუდი მოგონებების გასაფანტავად კორტნიმ სახლი გაყიდა, მაგრამ საკუთარ თავს ვერ აპატიო, რომ იმ საღამოს ტელეფონთან არ იყო. მას რომ ქმრისთვის ეპასუხა, კურტი ხომ ცოცხალი იქნებოდა.

და კიდევ... იმ დროიდან მოყოლებული, კორტნი ლავი ვერ იტანს ყვავილებს. განსაკუთრებით — ორქიდეებს.



# „...მოვიდა ღრო, სიყვარული აქვს“

ძველ მკითხველებს ალბათ ახსოვთ, რომ დროდადრო თქვენი მესიჯებიდან თუ წერილებიდან ამონარიდ, საინტერესო თუ კურიოზულ ფრაზებს გთავაზობდით ხოლმე. პოდა, ახლა ისევ ბლომად დამიგროვდა და მინდა, კვლავ გაგაცნოთ, ყოველგვარი კომენტარის გარეშე. ნიკს კი არც ერთ მათგანს არ მივანერ.



სახლში დამპატიოვა, მეთქვა: „კარგი, ნამოვალ“.

• „მე მისი ყველა მამაკაციური ღირსება მომწონდა. განსაკუთრებით — შავი „მერსედესი“.

• „მარ, არ ვიცი, კაცებს რატომ არ მოეწონვარ. მე ხომ ლამაზიც ვარ და სულელიც?“

• „გადავწყვიტე, კერძო გამოძიება ჩამეტარებინა და გამეგო, იმ 3 მამაკაციდან რომელი იყო ჩემი ცოლის საყვარელი. საწყენი იქნებოდა, თუ არც ერთი არ აღმოჩნდებოდა, რადგან ამდენ დროს ვკარგავდი“.

• „ყოფილი დაქალი ჩემზე საშინელ, „უცენზურო“ ჭორებს ავრცელებს. არადა, ზოგიერთი მათგანი მართალიც კი არ არის“.

• „დიდი მადლობა გრაფ თარხანს, რომ გაგებით მოგვიდა ჩემს პრობლემას, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მან მთხოვა; ჩემი პარტნიორის შესახებ დანვრილებით მომეყოლა, მე კი ვერ გადავწყვიტე, რომელ მათგანზე უყაბო“.

• „ჩემი ქმარი შაბათს შინიდან პურის საყიდლად გავიდა და 2 დღის შემდეგ დაბრუნდა. თანაც, უსინდისოდ მატყუებს, რომ პურზე რიგი იყო“.

• „ჩემი ქმარი ბიზნესში მართო თავით კი არ გადაუშვა, არამედ ყველაფერი იმით, რაც ცოლქმრულ ცხოვრებას სჭირდება“.

• „მეგობრის ქმართან სექსის შემდეგ დაქალს სულ სხვა თვალთ შევხედე — როგორ ღალატობს ასეთ სიმპათიურ და მგრძობიარე მამაკაცს?“

• „გამარჯობა, თარხან, როცა ჩემს დაქალს ქმარმა საყვარელთან შეუსწრო, მაგრად სცემა, მაგრამ კი არ გაიქცა, შინ დარჩა და „სასწრაფო“ გამოიძახა. ეს იმას ნიშნავს, რომ უყვარს, არა?“

• „მეგონა, რომ ცოლად მდიდარ ბიზნესმენს გავყევი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთკვირიანი საქორწინო მოგზაურობის დროს მე მთელი მისი დანაზოგის დახარჯვა მოვახერხე. ახლა რა ვქნა? ოჯახს ვინ არჩენს?“

• „იმ დროს ჩემი დეპრე-

სიით ყველას შეეძლო ესარგებლა, მაგრამ მხოლოდ მან ისარგებლა და ცოლად მომიყვანა. სამწუხაროდ, ლოთი აღმოჩნდა“.

• „მისი იმიჯი მომწონს, მაგრამ საშინელი გარეგნობა აქვს. ლამის გავგიჟდე“.

• „საინტერესოა, რა მოსწონდათ ადრე ქალებს მამაკაცებში, როცა არც ფული იყო და არც მანქანა?“

• „როცა ჩემმა საყვარელმა გამაბრაზა, ვიფიქრე, რომ სამაგიეროს გადავუხდიდი. ერთ დღეს მთვრალი მოვიდა და რომ დაიძინა, სასქესო ორგანოზე მარკერით ჩემი სახელი დავანერე. ცოლი რომ ნახავდა, მაგრად გაუხარდებოდა“.

• „სუფრასთან რომ დავსხედით, 2 ლევანს შორის მოვხვდი. ერთმა მითხრა, რომ თუ სურვილს ჩავუთქვამდი, აუცილებლად შემისრულდებოდა. ჩავუთქვი, მაგრამ მე კი არა, მათ აუსრულდათ“.

• „მე ხომ ცხვარი არ ვარ, რომ თოკი გამომაბან და თხასავით მატარონ?“

• „მას რომ ბოდიში არ მოეხადა, ჩვენს ურთიერთობას იმავე საღამოს დაესმებოდა წერტილი. ბოდიშის მერე კიდევ რამდენიმე დღე ვიყავით ერთად“.

• „მარ, მე ის ბიჭი ვარ, ნინა კვირას რომ მოგწერე, ბავშვობის მეგობარი მიყვარს-მეთქი. ახლა ზღვაზე ერთად ვისვენებთ. ბავშვობაში ნინო ჩემთან ერთად ტიტლიკანა დარბოდა ხოლმე და სულაც არ რცხვენოდა. ახლა კი ვატყობ, რომ ერიდება. მე ხომ ყველაფერი ისევ ისეთი მაქვს, უბრალოდ, 10-ჯერ უფრო დიდი“.

• „დიდი ნებისყოფა და ძალისხმევა დამჭირდა საიმისოდ, რომ როცა ვანომ თავისთან,

რომელიმე მამაკაცს დავხვებოდი და საბოლოოდ დავრწმუნდებოდი, ქალწული ვარ თუ არა“.

• „ძალიან მინდა, ისევე ვმღეროდე, როგორც ანიტა ცოი. სახითაც მაგრად ვგავარ“.

• „ჩვენს მეზობლებს ყოველდღე სექსი აქვთ და მათი სანოლისა და კვნესის ხმა გვანუხებს. ჩემმა ქმარმა მითხრა, ისინი რომ გაჩუმდებიან, ჩვენ სანოლზე ფეხებით ვიხტუნოთ და სექსის იმიტაცია შევქმნათო“.

• „მამაჩემი არაფერს მიჯერებს. როცა ვატყუებ, რომ ინსტიტუტში შემავიანდა, ისეთი თვალებით მიყურებს ხოლმე“...

• „გამარჯობა, გრაფო. იცი, ქალებთან საერთო ენის გამონახვა ძალიან მიჭირს. მე სამხედრო მოსამსახურე ვარ და ჯარისკაცურ, მკაცრ ინტიმს ვარ მიჩვეული“.


• „უცხოეთში ყოფნის დროს ერთ გერმანელ გოგონას დავუახლოვდი. მან ქმარს უღალატა და გულმა ვერ მოუთმინა, რომ მისთვის არ ეთქვა — მარკთან გიღალატე და მაპატიეო. მან კი უპასუხა, რომ აპატიო, რადგან მარკი თვითონაც უყვარდა“.

• „იმ გოგომ შემომთავაზა, რომ თუ ბავშვს გავაჩენინებდი, ჯარში აღარ წამიყვანდნენ. მე კი გამახსენდა, რომ ჯარში წასვლა ჩემი მოვალეობაა“.

• „როდესაც მან კაბა წამოიწია და ჩემი ხელი ფეხზე დაიდო, მივხვდი, რომ მოვიდა დრო, სიყვარული ამეხსნა“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საქართველოში დასაქმების პრობლემა არა მხოლოდ მოზარდებისთვის, ზრდასრული და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებისთვისაც აქტუალურია. მიუხედავად ამისა, ჩემი მეგობრები მაინც ახერხებენ, რომ ფული საკუთარი შრომით იშოვონ და პარალელურად, განათლების მისაღებად სასწავლო დაწესებულებებში იარონ. მართალია, მათი უმრავლესობის სამსახური არც ისე პრესტიჟულია (ბევრ მათგანს მუშაობა ეთაკილება კიდევც), მაგრამ იმედი აქვთ, რომ სრულფასოვანი განათლების მიღების შემდეგ, კარგ სამსახურს იშოვიან. რაც მთავარია, ასეთმა ახალგაზრდებმა შრომის ფასი უკვე იციან, გააზრებული აქვთ, თუ რა სურთ ცხოვრებაში და მიზნის მისაღწევად ისე იბრძვიან, როგორც შეუძლიათ.



# დაქარაღვლილი პირველი ჯანსაღობი

## ეთო ყორღანაშვილი

რას აკეთებენ ახალგაზრდები მატერიალური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად? რაში ხარჯავენ თავიანთ ხელფასს? რატომ ემალებიან ნაცნობებს მუშაობის პროცესში? ამის შესახებ, ისინი საკმაოდ გულახდილად მესაუბრნენ.

კოტე 17 წლისაა. ის ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეა. ჰყავს შეყვარებული და ბედნიერია, რომ მის დასაპატიჟებლად ან მისთვის საჩუქრის საყიდლად მშობლებისთვის ფულის თხოვნა არ უხდება.

— მუდმივი სამსახური არ მაქვს. ადრე ხის საამქროში ვმუშაობდი, მერე მზარეულობას ვსწავლობდი რესტორანში, მაგრამ მალევე წამოვედი, რადგან რესტორნის მეპატრონე ძალიან წუწკი ვინმე გახლდათ: უკვე კარგად ვამზადებდი კერძებს, ერთგვარი გამოცდაც მომიწყო და კმაყოფილიც დარჩა, მაგრამ

ჩემთვის ხელფასის დანიშვნა ვერაფრით გადაწყვიტა. შემდეგ მშენებლობაზე დავინწყე მუშაობა — პატარა სასტუმრო შენდებოდა.

— იქ კარგად ვიხდიდნენ?

— დღეში 10 ლარი მაკმაყოფილებდა. თან, ტრანსპორტის ხარჯებს მე არ ვიხდიდი. დილით, სპეციალურად ჩვენთვის, მუშებისთვის გამოყოფილი ტრანსპორტით მშენებლობაზე მივდიოდი და საღამოს, იმავე ავტობუსით, უკან ვბრუნდებოდი. სამუშაო ყოველდღიური იყო და ძალიან ვიღლებოდი, მაგრამ სამაგიეროდ, ძველი მობილი გავყიდე, მასში აღებულ ფულს ხელფასის ნაწილი დავამატე და ახალი ტელეფონი შევიძინე. რაც დამრჩა, იმ ფულით კარგად „გავიზმანე“ და ჩემს დებს 10-10 ლარიც ვაჩუქე... ახლა არ მითხრა, ძუნწი ხარო (იცინის).

— აღნიშნე, სამუშაო ყოველდღიური იყო. ამის გამო სკოლაში პრობლემები ხომ არ გექმნებოდა?

— კლასის დამრიგებელთან შეთანხმებული ვიყავი. იცოდა, რომ ვმუშაობდი და ყველანაირად ხელს მიწყობდა. თავდაპირველად, რატომღაც, ეჭვის ჭია შეუჩნდა. ჩემთან, სახლში რეკავდა და კითხულობდა: — კოტე სად არისო? ჩემიანებიც პასუხობდნენ: — სამსახურშიო. ალბათ, ეგონა, რომ მასაც ვატყუებდი და ოჯახის წევრებსაც. ვითომ მშობლებისთვის სკოლაში ვიყავი, მასწავლებლისთვის სამსახურში და ამ დროს, ვინ იცის, სინამდვილეში სად ვიყავი და რას ვაკეთებდი?!

— ახლა რას საქმიანობ?

— ერთი-ორი თვე უსაქმურად ვიყავი, სამსახური ვერ ვიშოვე. არასრულწლოვანი ვარ და ხშირ შემთხვევაში, ჩემთან თანამშრომლობაზე უარს სწორედ ამის გამო ამბობენ ხოლმე. ახლა კიდევ ერთი ობიექტი შენდება და იქ ვმუშაობ. ჩემს მშობლებსაც აქვთ სამსახური, მაგრამ ჩემ გარდა კიდევ ორი სტუდენტი შვილი ჰყავთ. ისინი ფასიან სექტორზე სწავლობენ, წარმოიდგინე ჩემი მშობლების მდგომარეობა, მე რომ შეყვარებულის სადმე დასაპატიჟებლადაც არ მქონდეს ფული



ზამთაცვების სიყვლილი  
ლოჯინში მოდის,  
ცნობისმოყვარეობას —  
მცოდნეობას.

და მამასთან მივდიოდე თანხის სათხოვნელად, ამდენს ნამდვილად ვერ გაუძლებდნენ. რვა მარტს შეყვარებულისთვის ყვავილების ლამაზი თაიგული მინდოდა მეჩუქებინა, მაგრამ იმ პერიოდში სამსახური არ მქონდა და ფული მამას გამოვართვი. ორი კვირის მერე ვალი კეთილსინდისიერად გავუსტუმრე.

არსებობენ ისეთი ახალგაზრდები, რომლებსაც თავიანთი სურვილების ასასრულებლად შრომა არ სჭირდებათ (ამაზე მათი მშობლები ზრუნავენ), მაგრამ ისინი მაინც მუშაობენ. ასეთი ადამიანების რიგს მიეკუთვნება 19 წლის ირმაც.

— ერთდღიან სარეკლამო აქციაში მივიღე მონაწილეობა — სარეკლამო ბუკლეტებზე დავარიგე ქუჩებში. სხვათა შორის, ძალიან შრომატევადი საქმეა, საშინლად დავიღალე.

**— რამდენი გადაგიხადეს?**


— 10 ლარი (იცინის). თანხის რაოდენობაში არაა საქმე. უბრალოდ, მსიამოვნებს, რომ ჩემი შრომით მოვიპოვე ეს ფული. სხვანაირად არ გამიგო, მაგრამ 10 ლარი ჩემთვის არაფერია. გამოცდაზე 100 ქულა მივიღე და მამამ 100 ლარი მაჩუქა. კიდევ ხუთი გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი და ზუსტად ვიცი, თითოში 90 ქულაზე ნაკლებს არ მივიღებ.

**— ოჯახის წევრებს რა რეაქცია ჰქონდათ, როცა გაიგეს, რომ 10 ლარისთვის იმუშავე?**

— 10 ლარისთვის არ მიმუშავია. ჩემი შრომით მოპოვებული ფულის გემო გავიგე და მინდა გითხრა, რომ ძალიან გემრიელია. რაიმე ნივთს, სუვენირს ვიყიდი და სამახსოვროდ შევინახავ. მშობლებისთვის არაფერი მიტევაძს, მაგრამ ცუდი რეაქცია რატომ უნდა ჰქონდეთ?

**მარინა (ლექტორი, 47 წლის)**

— რა თქმა უნდა, კარგია,



როცა მოზარდი ცდილობს, მატერიალურად დამოუკიდებელი იყოს და ფული საკუთარი შრომით იშოვოს. ასეთი ბავშვების მიმართ დადებითად ვარ განწყობილი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ჩემმა შვილმა რომ გამომიცხადოს, ვთქვათ, ოფიციალტად ვინყებ მუშაობასო, არ მესიამოვნება. ვიცი, რომ ეგოისტურად უღერს, მაგრამ მე თვითონ ვიგრძნობ თავს უხერხულად. თითქმის მთელი თბილისი მიცნობს და ხალხი იფიქრებს, რომ შვილს საცხოვრებლად კარგი პირობები ვერ შევუქმენი და ამიტომ დაინყო ოფიციალტად მუშაობა. არა, ბავშვს არ შევეწინააღმდეგები, თუ უნდა, იმუშაოს, მაგრამ გულის სიღრმეში არ მესიამოვნება.

ამას წინათ, ერთ-ერთმა სააგენტომ, რომელიც ახალგაზრდების (ძირითადად, სტუდენტების) დასაქმებითა დაინტერესებული, კასტინგი გამოაცხადა. შერჩევის მთავარი კრიტერიუმი კომუნიკაბელურობა გახლდათ. სააგენტოს ოფისში თავი ბევრმა ახალგაზრდამ მოიყარა. კასტინგის დაწყებამდე გაირკვა,

რომ სტუდენტებს თვენახევრიან აქციაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ამ ხნის განმავლობაში (ყოველდღე, კვირის გარდა), ერთ-ერთი ცნობილი ბრენდის პროდუქცია ხალხმრავალ ობიექტებში მომხმარებლისთვის უნდა შეეთავაზებინათ. ფიქსირებული ხელფასი 250 ლარი გახლდათ. ამას გარდა, უფრო მეტი თანხის გამოიმუშავების პერსპექტივაც არსებობდა.

დასაქმების მოსურნე ახალგაზრდებს შორის ყველაზე მეტად 18 წლის მაიკო ნერვიულობდა. ის დიდხანს ორჭოფობდა, გაეფორმებინა თუ არა სააგენტოსთან კონტრაქტი და ბოლო მომენტში, მაინც უარი განაცხადა. გადავწყვიტე, გაესაუბრებოდი:

**— მაიკო, ვიდრე გასაუბრებაზე შეხვიდოდი, რამდენჯერმე თქვი, ლამის უკან გაგბრუნდევო...**

— ჰო, ცოტა „მიტყდება“ მუშაობა...

**— რატომ, შრომაში რა არის სათაკილო?**

— სხვებმა დამაკომპლექსეს, თორემ შრომის არასდროს მრცხვენოდა. ყველა მდიდარი მამიკოს შვილიკო ვერ იქნება.

**— სხვებში ვის გულისხმობ?**

— ნაცნობებს, ამხანაგებს... გახსოვს, სტუდენტთა დასაქმების პროგრამა რომ იყო, ქუჩები და ეზოები უნდა დაგვესუფთავებინა? ჩემს მეგობარ ბიჭს გავუმხილე, სტუდენტურ დასაქმებაში ვაპირებ მონაწილეობას-მეთქი და დამცინა: — აბა, შენ იცი, ჩემი უბანი დაგავო! — ვიხუმრე-



ადამიანებმა თქვენს იცინა, მაგრამ დაშკებს ვერ ისწავლეს.

მეთქი, — ვუპასუხე, აბა, სხვა რა მეთქვა?! გამიმართლა და ისეთ ჯგუფში მოვხვდი, რომელსაც ქალაქის ცენტრიდან მოშორებით მდებარე უბნის დასუფთავება ევალებოდა. იქ ვერც ის ბიჭი და ვერც სხვა ნაცნობი ვერ მნახავდა.

**— ახლა რატომ თქვი სამუშაოზე უარი?**

— მუშაობისას ვინმე ნაცნობს რომ გადავანყდე, „დავიგრუზები“. სხვათა შორის, ერთი თვის წინ ასეთივე აქციაში ვმონაწილეობდი, ოღონდ ის რუსთავეში ეწყობოდა: ერთ-ერთ მსხვილ სუპერმარკეტში მყიდველისთვის ერთი ცნობილი ფირმის პროდუქცია უნდა შემეთავაზებინა. წარმოიდგინე,

„ბანძდება“. ამიტომ, ბიჭებთან შეხვედრებისგანაც თავს ვიკავებდი. როგორია, შენს მეგობარ ბიჭს 200-ლარიანი შარვალი რომ აცვია და შენ, ყოველ პაემანზე, ბაზრობაზე ნაყიდი 30-ლარიანი ჯინსით „ჩითები“?! ადრე სულ სწავლაზე ვიყავი გადართული, ახლა კი ხანდახან ფულსაც ვშოულობ. მართალია, უნივერსიტეტში ისეთი მაღალი ქულები აღარ მაქვს, როგორც ადრე მქონდა, მაგრამ არა უშავს... აუ, მართლა ძალიან მჭირდებოდა ფული, მაგრამ ამ აქციაში ისეთი ანაზღაურება არ არის, გულის დაწყვეტად რომ ღირდეს: თვე-ნახევარი ვირივით უნდა იმუშაო და ამაში 250 ლარი მიიღო.



ჩემი იდიოტური კომპლექსების გამო, ყოველდღე რუსთავეში დავდიოდი... სულ ვცდილობ, ისეთი სამსახური მოვძებნო, რომ ახლობლებთან შეხვედრის ალბათობა ძალიან მცირე იყოს.

**— ალბულ ფულს რაში ხარჯავ?**

— ძირითადად, ტანსაცმელში. ჩემს ოჯახს იმის საშუალება არა აქვს, რომ ნაირ-ნაირი სამოსი მიყიდოს. ყოფილა შემთხვევა, მთელი წელი ერთი შარვალი მცმია. ამის გამო, პაემნებზეც არ დავდიოდი: რაც უნდა მაგარი იყოს „ზმანი“, სულ ერთი და იგივე რომ გაცვია,

**— ტყუილად ჯდომას, ტყუილად შრომა სჯობიაო, არ გაგიგონა?**

— კარგი ერთი. ეგრე, სხვა სხვისა ომსა ბრძენიო, არ გაგიგონია?! საინფორმაციო სააგენტოში სტაჟიორად ვმუშაობ და

ტყუილად შრომა იქაც მეყოფა. ძალ-ლონეს არ დავიშურებ წარმატების მისაღწევად. იქნებ, ის ბიჭი, ჩემი საქმიანობის გამო რომ დამცინა, ოდესმე ჩემს კაბინეტთან ატუზულიც ვნახო. რა იცი, რა ხდება?!

მოუცლელობის გამო, ზემოთ ნახსენებ თვენახევრიან აქციაში მონაწილეობას ნამდვილად ვერ მივიღებდი. სამაგიეროდ, ერთ-დღიან სარეკლამო აქციაში სიამოვნებით ჩავერთვე: მთელი დღე, ერთ გოგონასთან ერთად, ბუკლეტებს ვარიგებდი. ჩემი უზარმაზარი ჩანთის გახსნა-ჩაკეტვა პრობლემას წარმოადგენდა (ჩანთის ელვა თავის ფუნქციას მაინცდამაინც კარგად არ ასრულებს), ჩემი მწყვილე გოგონა როგორც კი თავის ნაცნობს შენიშნავდა ქუჩაში, ისე მემუდარებოდა, ბუკლეტები სასწრაფოდ ჩანთაში დამალე და თავი ისე დაიჭირე, ვითომ ვსეირნობო, რომ მისი „ხათრით“, გაფუჭებული ელვაც კი პირნათლად ასრულებდა საკუთარ მოვალეობას. მე პირადად, არანაირი უხერხულობა არ მიგრძნია არც ნაცნობ და არც უცნობ მოქალაქეებთან, ყველას გულუხვად ჩამოვეურიგე ბუკლეტები. ერთი ისაა, ვერ გავითვალისწინე, რომ დაბალძირიანი ფეხსაცმელი უნდა ჩამეცვა და ისე მემუშავა, რის გამოც დღის ბოლოს დაღლილობისგან ფეხებს ვეღარ ვგრძნობდი. ამას ისიც დაერთო, რომ შარვლის უკანა ჯიბეში ჩაჩურთული ჩემი მცირედი ხელფასი ადგილზე არ აღმოჩნდა (ალბათ, შემთხვევით ჯიბიდან ამომივარდა), მაგრამ გავიგე, როგორი „გემო“ აქვს საკუთარი შრომით მოპოვებულ ფულს, როგორი მწარეა მისი დაკარგვა... იმედია, უყურადღებობით დაკარგული ჩემი შრომის საფასური ისეთმა ადამიანმა იპოვა, ვისაც მართლა სჭირდებოდა. ჰოდა, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს.



თუ აღმოჩნდა  
შეუცვლოვია, მას ვერ  
დააწინააღმდეგებ.

# პრობლემა

„ანას ისე მივჩვიე რომ ლამის საკუთარი ოჯახის წევრად მივიჩნევ. ძალიან კარგი ტიპია. ვერასოდეს მიხვდები, რას ჩაიდენს მომავალში. არაადეკვატური რეაქციები აქვს და მაგარი სვლები. ყოჩაღ!“



„ეს კაცი — გაბოა თუ ვილაც ჯანდაბაა, არ მომწონს. ნამდვილი დეგენერატია. ისიც კი არ იცის, ქალი როგორ უნდა შეაბას. ანასაც არ მოსწონს, მაგრამ ვშიშობ, ანკესზე არ წამოვგოს.“

„მარი, ცოტა ბევრი დანერგ, რა, უკვე აღარ შემიძლია ლოდინი, ისე მაინტერესებს, რა მოხდება. მაგარი რეალურია. გეფიცები, ნატალისა და ზურას ამბავს სჯობია.“

„მარი, თავბრუს რად გვახვევ? რა დაგიშავეთ? აქეთ ანაო, იქით — მაგდოო და უკვე აღარ ვიცი, რომელს ვუგულშემატკივრო. მოკლედ და კონკრეტულად მოგვიყვი და დაგვასვენე, რა!“

ახლა კი ამბის თხრობას იმ მომენტიდან განვაგრძობთ, როცა ანა გაბოსთან შესახვედრად მისსავე ნაყიდ, წითელ კაბაში გამოეწყო და სასტუმროს რესტორნისკენ გაემართა.

დასაწყისი — „გზა“, №11-25

## მარი ჯაფარიძე

ის იყო, ქვევით ჩასვლა დავაპირე, რომ კიბზე ამომავალი ირენი შევნიშნე. ის წელი ნაბიჯით ამოდოდა და თან, მობილურზე ქართულად ლაპარაკობდა.

— კარგი, დავრეკავ, მე თვითონ დავრეკავ, — მკაფიოდ გავიგონე მისი ნათქვამი. მაშინვე ნომერში შევბრუნდი და მის ვიზიტს დაველოდე. მივხვდი, ჩემთან მოდიოდა.

ირენმა შემოსვლისთანავე თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა.

— მგონი, უდროო დროს მოვედი, სადმე აპირებთ წასვლას? — მკითხა ფრანგულად.

— არა, უბრალოდ, დღეს ახალი ტანისამოსი შევიძინე და მოზომება გადავწყვიტე, — მეც ფრანგულადვე მიუთხუ.

— მშვენიერი კაბაა, — შენაძენი მომიწონა.

— გმადლობთ, მაგრამ ცუდ

დროს მომიხსნარით.

— რატომ? — გაუკვირდა ჩემი ნათქვამი.

— იცით, ეს კაბა თქვენთვის შევიძინე, საჩუქრად მინდოდა მომერთმია, მაგრამ გულმა არ მომიტოვინა და მაინც მოვისინჯე. ბედის ირონიით, სწორედ ამ დროს მოხვედით...

— მართლა? მადლობის მეტი რა მეთქმის.

— ახლავე გავიხდი, — ვთქვი და დაფაცურდი.

საწოლზე დაყრილ ჯინსსა და მაისურს ხელი წამოვავლე და სააბაზანოში შევედი. იქიდან გამოსულმა კაბა ირენს გავუწოდე.

— ისე, თუ მოისინჯავთ და დავრწმუნდები, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, ძალიან გამიხარდება.

— ახლავე, — თქვა და კაბა იქვე გადაიძრო.

ძალიან მოუხდა. ოდნავ იმაზე ვინროდ ჰქონდა, ვიდრე — მე.

„ჩემზე რამდენიმე კილო-

გრამით მეტი ყოფილა“, — გავიფიქრე კმაყოფილმა. ჩემ შიგნით ქალურმა ეჭვიანობამ თუ რაღაც სხვა გრძნობამ, კმაყოფილმა „გაიღიმა“.

— დაგხატათ, ძალიან გიხდებათ, მშვიდობაში, — ეს სიტყვები ქართულად ვთქვი.

— გმადლობთ, მართლაც საუცხოო კაბაა, — ქართულადვე მომიგო სარკეში ყურებით გართულმა ირენმა, რომელიც საკუთარი გამოსახულებით ტკბებოდა.

— როგორ, თქვენ ქართულად ლაპარაკობთ? — სახეზე ირონიული ღიმილი აღმებეჭდა.

ირენი შეცბა და გველნაკბენივით შემობრუნდა. თვალებში მრისხანება ჩაუდგა და მზერა გაუცივდა.

— ჰო, ცოტას ვლაპარაკობ, — ფრანგული აქცენტით, დამახინჯებულად მომიგო.

— ძალიან კარგი, როგორც თქვენ, ფრანგებს, — ბოლო 2 სიტყვა ხაზგასმით წარ-

მოვთქვი, — გიყვართ, როცა უცხოელები ფრანგულად ლაპარაკობენ, ისე ჩვენც, ქართველები განსაკუთრებული პატივისცემით ვეპყრობით მათ, ვინც ქართულად მეტყველებს.

ირენმა კაბა უსიტყვოდ გაიძრო, თავისი ტანისამოსი ნაჩქარევად ჩაიცვა და წასასვლელად შოემზადა. საჩუქარი პაკეტში მოვათავსე და მივანოდე.

— გმადლობთ, — მითხრა და კარისკენ გაემართა.

— ნახვამდის.

— ჰო, მართლა, იმისთვის მოვედი, რომ დაგმშვიდობებოდი. ხვალ ღამით, თქვენს გაცილებას ვერ შევძლებ. ამიტომ, ვიფიქრე, დღეს დაგმშვიდობებოდი. საჩუქრისთვის

ჯინსის შარვლით არ შემიშვებენ?

— როგორ არა, შეგიშვებენ, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, რაიმე სექსუალური და თავბრუდამხვევი ჩაგეცვა.

— ჭკუას ნუ მარიგებ, რაც მინდოდა, ის ჩავიცვი! — უცებ მოვუჭერი სიტყვა.

მაგიდასთან ათას სისულელეზე მელაპარაკებოდა, ხანდახან უადგილოდ იცინოდა და საათს ხშირად დაჰყურებდა.

— სადმე მიიჩქარი? — ვერ მოვიტომინე და ვკითხე, როცა კიდევ ერთხელ დახედა საათს.

— არა, არა, ჯერ არა...

— არ მოგერიდოს, თუ სადმე წასასვლელი ხარ, საქმეს ნუ გააფუჭებ.

გულში დავეთანხმე კიდევ.

— ჰოდა, მოდი, შენს სილამაზეს გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს! „მართალია, მჭკნარი ვარდი ვარ, მაგრამ მაინც ხომ ვარდი მქვიან და ზოგიერთებივით ჭინჭარსა და სარეველას არ მეძახიან“...

— ეგ ფუფალას სიტყვებია, — გაელიმა გაბოს.

— მერე, რით ვარ ფუფალაზე ნაკლები? „ეჰ, შიოლა... იცი, რა გოგო ვიყავ?“ — ვთქვი და ამოვიოხრე.

გაბომ ხმამაღლა გაიცინა. წელანდელი დაძაბულობა გაქრა და ისევ გახსნა შუბლი.

— ანა, მე ვიქნები შენი შიოლა, გინდა?

— კარგი, იყავი, — უცებ დავეთანხმდი, რამაც გაბოს გაოცება გამოიწვია.

— მართლა?

— ჰო, მართლა... შიიიიოლა ის კაცია, — დავინყე განელილად — რომელიც ფუფალას აუხდენელ ოცნებად დარჩა. ჰოდა, იმას ვერ ვიტყვი, რომ შენზე ოცნებაში სული მხდება-მეთქი, მაგრამ თუ შენ ასე გსურს, „შიოლაობაზე“ იოლი რაღაა?

— არა, ეს სტატუსი არ მაკმაყოფილებს, — უცებ გადაიფიქრა.

— ახლა უკვე აღარაფრის შეცვლა არ შემიძლია, — ვთქვი და მხრები ავიჩიჩე.

— სიტყვაზე დამიჭირე, არა?

— რას იზამ, კაცმა ყველა სიტყვა უნდა ანონ-დანონო, მარტო სიტყვა კი არა, საქციელიც, თორემ შესაძლოა, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა.

— ორაზროვნად ლაპარაკობ, — მიხვდა, რომ ჩემს ნათქვამში რაღაც ქვეტიქსტიცი იდო.

ხელი ჩავიქნიე, დაღლილობა მოვიმიზზეუე და რესტორნიდან წასვლა გადავწყვიტე.

გაბოს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

— დღევანდელი საღამოსთვის დიდი მადლობა, — ვუთხარი, როცა ჩემი ოთახის კართან შევჩერდი.

## ჩემ შიგნით ქალურმა ეჭვიანობამ თუ რაღაც სხვა გრძნობამ, კმაყოფილება „გაიღიმა“

კი კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ, — ლოყაზე მაკოცა და უკანმოუხედავად გავიდა ოთახიდან.

გაბოსთან პაემანზე მისვლა საკმაოდ დამიგვიანდა. ამიტომ, ირენი თვალს მიეფარა თუ არა, მაშინვე კიბეზე დავეშვი. გაბო ჰოლში მელოდა. ჩემი დანახვისთანავე, სახეზე ღიმილი გადაეფინა და ჩემკენ წამოვიდა.

— უფრო მშვენიერი ხარ, ვიდრე დილით, — დაგვიანებისთვის საყვედური არ დასცდენია. როგორც ჩანს, იცოდა, სტუმარი რომ მყავდა.

— გმადლობთ, — კომპლიმენტი შევიფერე.

— მაგრამ აქ, პარიზში ყველა ვალდებულია, ეტიკეტი დაიცვას და რესტორანში საღამოს კაბით მივიდეს.

— სამაგისო განწყობილებაზე არა ვარ, რესტორანში

— ცოტა მოგვიანებით, საქმიანი შეხვედრა მაქვს, მაგრამ ჯერ არ ვაპირებ წასვლას. ყველაზე მეტად კი ამ საღამოს გაფუჭება არ მინდა.

— ეგ შენზეა დამოკიდებული, — გუმანით ვხვდებოდი, რომ მისი საქმიანი ვიზიტი ირენთან იყო დაკავშირებული.

— ვიცი, ჩემზე ბევრი რამაა დამოკიდებული, — ორაზროვნად თქვა და ჭიქები ღვინით შეავსო.

— თუ სწორად მახსოვს, მითხარი, რომ დასასვენებლად ხარ ჩამოსული.

— კი, მაგრამ ერთსაათიანი, საქმიანი შეხვედრა დასვენებას ხელს არ უშლის. მეჩვენება, რომ გაღიზიანებული ხარ.

— მხოლოდ გეჩვენება.

— ძალიან ღამაზი ხარ, ანა.

— ვიცი, — კიდევ ერთხელ შევიფერე კომპლიმენტი და

— დღევანდელი საღამო ჯერ არ დასრულებულა, „პროდოლჟენიე სლედუეტ!“ — საზეიმო განწყობილებით გამოაცხადა, წელზე ხელი მომხვია, მიმიზიდა და კოცნა დამიპირა. ხელი ისეთი ძალით ვკარი, რომ კედელს მიენარცხა. ვიდრე ის ნონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა, ნომერში შევედი და კარი მივუჯახუნე.

სადაც მანამდე ელოდა. ირენი მანქანიდან გამოსვლას არ ჩქარობდა. ვინაიდან ავტომობილს თავი გადახდილი ჰქონდა, ორივეს კარგად ვხედავდი და ვხვდებოდი, რომ რალაცაზე კამათობდნენ. მძღოლს ვთხოვე, მათ მიახლოებოდა. ახლა მათი ლაპარაკი მკაფიოდ მესმოდა.

— გეჩქარება, არა? იქ მიდიხარ, იმასთან, თავბრუ

— მათი არსებობის შესახებ ხომ თავიდანვე იცოდი, არაფერი დამიმალავს...

— მე ჩემი ქალი მჭირდება, საკუთარი და არა — სხვასთან გასაყოფი. მის ვნებას მხოლოდ მე უნდა ვაცხრობდე, თუნდაც წელიწადში 2-3-ჯერ.

— ორივეს მივატოვებ...

— არა, ჩემი გულისთვის მსხვერპლს ნუ გაიღებ, არ არის საჭირო. ხომ იცი, მე სანდო კაცი არ ვარ.

— ვხვდები, იმ ქალმა დაგაბრმავა.

— იმ ქალმა? არ ვიცი, შესაძლოა, ისიც შენსავით 3-4 კაცს ერთად ხვდება, მაგრამ არც მასთან გათამაშება მანყენს. სხვათა შორის, კაბა, რომელიც შენ გაცვია, დღეს მე ვუყიდე ანას.

ამ სიტყვებზე ირენი მანქანიდან გამოსვიდა, კაბა ქუჩაშივე გაიხადა, მიწაზე მოისროლა, ტანზე შარფი შემოიხვია და სადარბაზოში გაუჩინარდა.

გაბომ მანქანა დაძრა, ძირს დაგდებულ კაბას ზედ გადაუარა და სიჩქარეს მოუმატა.

— სწრაფად, სასტუმროში დამაბრუნე, — ვუბრძანე მძღოლს და სავარძლის საზურგეს მივეყრდენი.

უკვე ლამის 2 საათი იყო.

სასტუმროსთან მისულმა დავინახე, რომ გაბომ ჩემზე ადრე მისულიყო და მანქანას აჩერებდა. დაველოდე, ვიდრე შენობაში შევიდოდა, მძღოლს ფული გადავუხადე და ნომერში სირბილით ავედი. სინათლე არ ამინთია. კარი ძალიან ფრთხილად მივხურე და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი თუ არა, ვაკუნნი გაისმა.

— უხ, შენი! — გულიანად შევუკურთხე და ტანისამოს-ფეხსაცმლიანად ლოგინში ვდურთე თავი. ვაკუნნი განმეორდა. საბანი კისრამდე გადავიფარე და გავიტრუნე. გავიგონე, როგორ დასწია სახელური. კარი გაიღო და ვილაც ფეხაკრეფით შემოვიდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## კაბა ქუჩაშივე გაიხადა, მიწაზე მოისროლა, ტანზე შარფი შემოიხვია და სადარბაზოში გაუჩინარდა

ცოტა ხნით კართან შევეკონდი და შიგნიდან მივაყურადე. ჩამიჩუმი არ ისმოდა. როგორც ჩანს, წავიდა. ტანისამოსი გამოვიცვალე, ნამდვილი ჯაშუშივით მუქი ფერის სამოსი გადავიცვი და დაბლა ჩავედი. ტაქსიში ჩავჯექი, მძღოლს ცოტა ხნით მოცდა ვთხოვე და გაბოს გამოჩენას დაველოდე. 10-15 წუთში ისიც გამოჩნდა თავისი წითელი კაბრიოლეტით. მძღოლს ვუბრძანე, უკან მიჰყოლოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გაბომ ერთ-ერთი შენობის კუთხესთან გაჩერდა. ორიოდ წუთში კი მის მანქანას ქალი მიუახლოვდა. ვიცანი, ირენი იყო და მის დანახვაზე გულიანად გამეცინა, რადგან სწორედ ის კაბა ეცვა, გაბომ რომ მაჩუქა და მე ირენს ვუსახსოვრე. ზემოდან თხელი, გამჭვირვალე, წითელივე შარფი ჰქონდა მოსხმული. „ეს საქმიან ვიზიტს კი არა, პაემანს ჰგავს“, — გავიფიქრე და ადგილიდან დაძრულ წყვილს ისევ უკან მივყევით. ისინი ერთ-ერთ რესტორანში შევიდნენ, სადაც საათ-ნახევარი დაყვეს. შემდეგ გაბომ ირენი კვლავ იმ სახლამდე მიაცილა,

დაგახვია, არა? კახა ყოფილა, თუ ლოგინში ჩაგორებაზე ასე მალე დაითანხმე. — ცხარობდა ირენი.

— დამშვიდდი, ხვალ დილით გნახავ, — ხმადაბლა ეუბნებოდა გაბომ.

— დღეს რა გიშლის ხელს, თუნდაც 1 საათით რომ ამოხვიდე?

— დღეს სამაგისო განწყობილება არ მაქვს, დავიღალე.

— მთელი 3 თვეა, ერთმანეთი არ გვინახავს და ღმერთმა იცის, კიდევ როდის ჩამოხვალ. არ მოგენატრე მაინც? — პოლიტიკა შეცვალა ირენმა, ხმას დაუნია და ახლა თავის შეცოდება სცადა.

— შენ წინაშე არავითარი ვალდებულება არ მიკისრია, — შეუვალი იყო მამაკაცი.

— რას ჰქვია, ვალდებულება?! ეს 4 წელი არაფერს ნიშნავს შენთვის?!

— კარგი, რა, ირინა, წელიწადში სულ 2-3-ჯერ ვხვდებით ერთმანეთს...

— როცა ადამიანი გიყვარს, ეგეც საკმარისია.

— როცა შენი ქმრისა და იმ იტალიელი საყვარლის გვერდით ხარ, მაშინ არ გიყვარვარ?

# „ტსოპრაბა საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას კვავს“

„მაგდა, შენ შეიყვარებ კაცს, რომელსაც სიკვითით, ხელოვნებით, ქალისა და საქართველოს სიყვარულით სავსე გული აქვს? ალბათ — კი; ასეთ ბიჭს ვინ არ შეიყვარებს? მაგრამ ასეთ ადამიანს გოგო არ შეხედავს იმის გამო, რომ მას 1 ხელზე თითები არ აქვს, უდედმამა, ძმა გიჟი ჰყავს, მას უჯლის და თან — რაიონიდანაა... ასეთ ბიჭს არ შეიყვარებს ქალი, იმიტომ, რომ ქალი ჯერ თვალთ ხედავს და იმის მიხედვით აფასებს მას. ხომ მართალი ვარ, მაგდა? მარი, ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე, რა... შენირული“.

— შენირულო, შენ „გზაფინილებიდან“ გიცნობ. შენს მესიჯებში ყოველთვის ჩანდა, რომ განსხვავებული ადამიანი ხარ, მაგრამ ასეთი ტრაგიკული ცხოვრება თუ გქონდა, ვერ წარმოვიდგენდი. ჩემი აზრით, ჩემთან ფლირტი კი არა, შენს მესიჯზე ჩემი პასუხით ჩემი პიროვნების, შინაგანი სამყაროს გამომხეურება უფრო გსურს. გინდა, ყველას დაანახვო, რომ ერთი მეტიჩარა და თავკერძა გოგო ვარ, რომელიც მამაკაცებს შინაგანი ბუნებითა და ღირსებით კი არა, გარეგნობითა და სხვა კრიტერიუმებით არჩევს. შესაძლოა, შენ მართალი ხარ და ახლა რასაც ვიტყვი, იმით ყველას გულისწყრომაც დაფიქსავს, მაგრამ მე მხოლოდ მეგობრობა შემიძლია შემოგთავაზო. ალბათ, ასე ცუდი გოგონები იქცევიან, მაგრამ არ უარყოფ, რომ მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ და ცხოვრების მიმართ გარკვეული ამბიციები მაქვს.

„მაგდუნია, გენათალევეოლო... იცი, რა კარგი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს? ახლა ჯერ ის უნდა გითხრა, რომ ცოტას ვეჭვიანობ. ვკითხულობ იმ მესიჯებს, რომლებსაც სხვა თაყვანისმცემლებს სწერ და გული ბოლმით მევესება. ვერ გიმეტებ სხვებისთვის და რა ვქნა? ახლა ავიშლი ეკლებს და ზღარბივით ავიბურძღვები. იცი, არ გენყინოს, მაგრამ ყველაზე მეტად შენი გათხოვება-გამოთხოვების ამბავი მაინტერესებს. მიამბობ? კაროლი“.

— გიამბობ, რადგან ასე გაინტერესებს. არ დაფიქვებ იმის მოყოლას, როგორ მომიტაცა საზიზღარმა მამაკაცი, როგორ იხმარა ძალა და როგორ ვერ შევიყვარე მოძალადე. პირდა-

პირ გეტყვი, საყვარელ ადამიანს ჩემი ნებით გავყევი და მეგონა, რომ ბედნიერი ვიქნებოდი. ერთმანეთი 1 წელი გვიყვარდა. პაემნებზე თითქმის ყოველდღე დავდიოდით. ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებდით და ერთ-ერთის აზრებიც უსიტყვოდ გვესმოდა. ის ძალიან ბანალურად, ქუჩაში გავიცანი. სამსახურიდან გამოსულს, ჩემი ავტომობილის წინა, მარცხენა კარზე მიყრდნობილი დამხვდა. სიგარეტს ეწეოდა. ამის გამო, საჭესთან დაჯდომას ვერ ვახერხებდი. ახლოს მივედი, მაგრამ არ გაინია. თუ შეიძლება, მანქანას მოსცილდით, თორემ ჩაჯდომას ვერ ვახერხებ-მეთქი, ვთხოვე. ის თუ იცით, რომ მანქანის გატაცებისთვის ცინეაო? — მკითხა. პერანგის სახელოში ორი თითი ჩაფჭიდე, მოვქაჩე და მანქანას მოვაშორე. კარი გამოვალე და რას ვხედავ? შიგ 2 უცნობი მამაკაცი ზის. — ღქვენ ვინ ხართ-მეთქი? — ვატოს ძმაკაცებიო, — თვალთ მანიშნეს მასზე. ჩემს მანქანაში რას აკეთებთ-მეთქი? — ეს შენი კი არა, ვატოს მანქანაა და თუ ძმა ხარ, ნუ გვეკაიფებო. უკან მივიხედე და თვალთ ვატო მოვძებნე. იდგა და მომაჯადოებლად იღიმებოდა. წარბები ასწია და თვალთ მანქანის უკანა მხარეს რალაც მიმანიშნა. გავიხედე და რას ვხედავ? თურმე, ჩემი მანქანა იქ არ დგას? ვატოს ზუსტად ჩემნაირი „ტოიოტა“ ჰყავდა და მანქანა ამრევია. ასე გავიცანი მომავალი მეუღლე. მგონი, ჯობს, რომ მეც გინეკოლოგივით მოვიქცე და ამბავი სხვა დროს გავაგრძელო. ეჭვიანობით კი ნუ იეჭვიანებ, აზრი არა აქვს. არც ერთის ტელეფონის ნომერი არ ვიცი და დიდი სურვილიც რომ მქონდეს, მარის გარეშე მათთან დაკავშირებას ვერ შევძლებ. დროებით, კაროლი. გკოცნი.



„მთა ქალივითაა, ლაბირინთით სავსე, მიგიშვებს ახლოს, საკუთარ წიაღში ჩაგახედებს, ექსტრემს განცდევინებს ან გაგიუცხოვდება. ხასიათი ცვალებადი აქვს, რომლის გამოცნობას არც უნდა შეეცადო. ეს ცხოვრებაა, რომელიც საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას ჰგავს — იუმორით და სევდით, ჯანსაღი ინტრიგით. ალბათ ამას ვეძებდი იქ, მაგრამ ვიპოვე თუ არა, პასუხი შენ გამეცი. არხიტექტორ“.

— **რა ლამაზად თქვით... თქვენგან გაცილებით უკეთესი მწერალი გამოვიდოდა, ვიდრე თავყვანისმცემელი. ეს, ხუმრობით, ისე კი საინტერესო ერთი რამაა, ისე ხართ მთაზე შეყვარებული, ნუთუ თქვენს გულში ქალისთვისაც დარჩა ადგილი?**

„რა ვიცი, რა შეიძლება, ჩემ შესახებ მოგიყვე? უხსოვარ დროს ცოლი მყავდა, ეროვნებით რუსი, ულამაზესი ქალი იყო. 3 წელი ვიცხოვრეთ ერთად, მაგრამ მერე გავცილდით. საქმე ის გახლავთ, რომ მაშინ რაიონში ვცხოვრობდი, ერთ-ერთი სამშობიაროს მთავარი ექიმი ვიყავი. მოსკოვში გაზრდილმა ქალმა იქაურ პირობებში ვერ გაძლო და მთხოვა, საცხოვრებლად თბილისში გადმოვსულიყავით, მაგრამ მე სამსახური ვერ მივატოვე იმიტომ კი არა, რომ თბილისში სამუშაოს ვერ ვიშოვიდი, უბრალოდ, როცა იმ სამშობიაროს მთავარ ექიმად დამინიშნეს, შენობა მთლად დანგრეული იყო, ექიმებს საკმარისი კვალიფიკაცია არ ჰქონდათ. ერთი სიტყვით, იქაურობა საშინელ მდგომარეობაში იყო. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ ყველაფერი ჩემს ჭკუაზე მომეყვანა. საამისოდ, მთელი 3 წელი დამჭირდა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც მოვახერხე. იქაურობა საკუთარი ოჯახივით მიყვარდა და ცოლის ხუმტურების გამო ვერ მივატოვებდი. ვუთხარი — თუ გიყვარვარ, ჩემთან ერთად ცივ ქვაზეც გაძლებ-მეთქი, მაგრამ ალბათ არ ვუყვარდი ან აღარ ვუყვარდი... შესაძლოა, მეც არ მიყვარდა, რადგან მას შეველიე, საქმეს კი — ვერა. შინიდან ისე წავიდა, არც დამშვიდობებია. სამსახურიდან შინ დაბრუნებულს აღარც თვითონ დამხვდა და აღარც მისი ნივთები. მივხვდი, რომ საბოლოო გადანაცვტილება მიიღო და არც გავკიდებოვარ, რადგან ამის შემდეგ ჩვენს ურთიერთობას აზრი აღარ ჰქონდა. კიდევ 2 წელი ვიმუშავე იმ რაიონში, შემდეგ კი ჩემი ადგილი ღირსეულ ახალგაზრდას დავუთმე და წამოვედი. გადავწყვიტე, რომ დროებით სადმე, პოლიკლინიკაში ან თუნდაც, „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადაში მემუშავე, თან რაიმე საქმე წამომენწყო და ჩემს პროფესიას საშუალოდ გამოვმშვიდობებოდი. ამ გადანაცვტილებას კი საფუძვლად ძალიან საინტერესო ამბავი დაედო, რომელსაც აუცილებლად გიამბობ, თუ შენი ნება იქნება. თუმცა, არ ვიცი, ღირს თუ არა ამ ამბის სახალხოდ მოყოლა. ახლა კი დროებით, მომავალ მესიჯამდე გინეკოლოგი“.

— **ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რომანს ვკითხულობდი. ალბათ, საინტერესო ბიოგრაფიის პატრონი იქნები. ძალიან მინდა, რომ ის ამბავი მომიყვე, რომლის გამოც საკუთარ პროფესიას შეელიე. იმეცია, თხოვნას გაითვალისწინებ და ჩემს ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებ. დროებით, მომავალ მესიჯამდე.**

„მაგდა, ცოლი მართლა არ მყავს. რომ მყავდეს, ნამდვილად ღირსეული მცხოვრებოდა და ჟურნალში არ დავინკებდი მესიჯების წერას. რაც შეეხება ჩემს საიდუმლო ნომერს, სასაცილოა, უბრალოდ. ერთ სიმბარათზე 4 ნომერი მაქვს დაინსტალირებული და რომელ ნომერსაც ვხმარობ, მათ შორის ორი ნომერი უკვე იცი. ერთს ვიტყვი, ნამდვილად არ მაქვს საიდუმლოებები. თუ რამე დაგაინტერესა,

„ყვავილს გაჩუქებ, ფერებით გაზრდილს, სულსაც გაჩუქებ, ქარს გამოვატან, გულსაც გაჩუქებ და იცი, როგორს? ყოველ ფეთქვაზე რომ თქვას — მიყვარხარ. მაგდა, ეს ლექსი გაძღვნებათ თქვენ. დონ კალოჯერო“.

— **შენ, ჩემო სხვისო სიცოცხლე, ჩემი რომ იყო, იცოდე, შენი სურნელით ვივლი და შენი თვალებით ვიცხოვრებ; წაგიყვან წმინდა ტაძარში, სადაც ბერებიც ტირიან, თვალების ყველა დახრაში, ცრემლნი გოდებით ივლიან, გადაგაფიქვებ კოცნებს და ლამაზ ბაგეთა იარებს, წაგართმევ ყველა ოცნებას, ნასხვისარ თვალის წიაღებს, სულ სხვა ტილოზე დაფარჩნევ, შენი სხეულის ნაპირებს, უკვე ნაფერი ბაგენი მკითხავენ, თუ რას ვაპირებ... მნამს, რომ თვალები ერთხელაც, ჩემთვისაც აწყლიანდება და ორი ბაგე, ცოდვილი, ჩემს ცაზე გამთლიანდება. ქალღმერთის ნაშობს დაგარქმევ და ეგვიპტური სამოსით, დაგაჩვევ სრულ უკვდავებას, მანდილს წარსულსაც ჩამოვხსნი, მხოლოდ მიმიშვი, შენს სულთან, რას ვიზამ, ღმერთმა იცოდეს, ნასხვისარ ბაგეს გპატიობ, შენ, ჩემო სხვისო სიცოცხლე, გეტყვი, მინდა, რომ გაგბანო, სველი აპრილის წვიმებით, ნაშრობ მინაზე გავშალო, სუფთა ცა, ცხელი თითებით, მინდა, როიალს უკრავდე, გაშლილი ზღვების რიალში, თითო აკორდი ესმოდეთ, სველ მედუზებსაც, სილაში. რათა შემოგჩრჩეს, სახსოვრად, ჩემივე სულის მინორი, მთვარეც მოესწროს, იქნება, შენს შუბლს, ჩემს ზურგზე მინოლილს.**

მომწერე ელფოსტაზე. მისამართს მარი მოგცემს“.

— **მარის ვკითხე შეიძლება თუ არა, რომ ელფოსტაზე მოგწერო ან „სკაიპში“ დაგეკონტაქტო და ბასუსად დასტური მივიღე, ოღონდ იმ პირობით, რომ ყველა წერილი (თუ ძალზე პირადული არ იქნება) გამოქვეყნდება. ამ პირობაზე თანახმა ხარ? — და 4 ნომერი რად გინდა? საიდუმლო აგენტი ხარ? :)))**



26.06. - 2.07.2008

# მგზავნილები



## კოვადეჟსაზი

**მორცხვი პატარძალი და გაწამებული სიძე ანუ კომპლექსს რა ვუყო?**

ესაო, ისაო და... თურმე ჩვენს მგზავნელებს რამდენი კომპლექსი ჰქონათოო... ეგ არაფერი, ყველაფერს შეიძლება ეშველოს, მაგრამ ამ ჩვენს

შეყვარებულ წყვილს, ილინსა და ბურძღლიანს რა ეშველება, არ ვიცი. მით უმეტეს, რომ თურმე, არანაირი კომპლექსი აღარ აწუხებთ და შუა რუსთაველზე ისეთ რამეს სჩადიან, თვალო, ნუ დაინახავ და ყურო, ნუ გაიგონებ... რას? ამას ილინის მესიჯის წაკითხვის შემდეგ გაიგებთ, ახლა კი თქვენი კომპლექსების შესახებ თანამიმდევრობით წაკითხეთ.

### მარი ჯაშარიძე

#### „ამაყი ქალი“

„შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალი ადამიანი ვარ, მაგრამ ცხოვრებაში ერთადერთხელ პარიჟანკაც დაემორჩილა უაზრო კომპლექსს. ვნანობ, რომ ფრანცუზს პირველი არ დავუკავშირდი. არადა, როგორ მათასებდა და როგორ

უნდოდა ჩემი გაცნობა... :( მერე კი წავიდა და ალბათ, აღარც ახსოვს „გზა“ და ერთი „პარიზელი“ გოგო. ძალიან მინდა, იმ ქვეყანაშიც ჩადიოდე ჩვენი ყურნალი და გაიგოს, რომ მაშინდელ გულგრილობას ვნანობ. გულგრილობას კი არა, საძაგელ კომპლექსს, რომელსაც „ამაყი ქალი“ ჰქვია. პარიჟანკა“.

#### მარის კომპლექსი

„ჩემი ბიძაშვილი, მარი და მე ქუჩაში მოვდიოდით. საშინლად მოგვწყურდა, მარკეტში შევედით და პატარა მინის ბოთლებით 2 „კოკა-კოლა“ ვიყიდეთ. გამყიდველმა იქვე გაგვიხსნა და მოგვანოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ჩემმა ბიძაშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა — ქუჩაში ვერ დავლევო. მოკლედ, მაგრად

ვერსებზე — ან დაღვევ, ან ხმას არ გაგცემ-მეთქი. მოკლედ, ერთი ყულუპი როგორღაც მოსვა, მაგრამ ბოთლი მაინც სახლამდე მიიყოლა. აი, ერთ-ერთი კომპლექსიც. ელისო“.

ნავდენ. ახლა, ბოლო 3-4 წელია, რაც თავადაც ვეღარ ვეგუებოდი ჩემს სიმსუქნეს და სისტემატური ვარჯიში დავიწყე. ერთ დღეს არ ვაგდებდი, რომ არ მევარჯიშა, რამაც ბოლოს შედეგიც

### აფეთქებული და უკომპლექსო

„სრულიად უკომპლექსო არანაა და მათ შორის არც მე, მაგრამ ზოგს ისეთი რამის კომპლექსი აქვს, გაგიყდება კაცი! მაგალითად, თავმოწონეობაში ნუ ჩამომართმევთ და მე უკვე მივეჩვიე ხარბ მზერას და მოჭარბებულ ყურადღებას, როცა მოკლე კაბას ვიცვამ. ამის გამო მე და ჩემმა დაქალმა იმ დღეს ვიკამათეთ კიდევ. მთელი დღე გასულეები ვიყავით, მოკლე კაბა მეცვა და ჩამოვარდნილ ყბებს და თვალის გამოყოლებებს ბოლო რომ არ მოელო, ჩემმა დაქალმა შენიშვნა მომცა — რომ ხედავ, ასეთი რეაქცია აქვს ხალხს, რატომ იცვამ, გსიამოვნებს, ყურადღების ცენტრში ყოფნაო? აი, აქ კი ავფეთქდი. რას ჰქვია, რატომ ვიცვამ? მიყურებენ და მიყურონ! აბა, ღმერთმა დამიფაროს ისეთი ვიყო, თვალი არ გამომაყოლონ. ჩემი აზრით, სირცხვილი ისაა, რომ არ გიხდება და მაინც იცვამ. ჯობია, იმათ შერცხვეთ, ცელუ-ლიტიან, მსუქან ხორცებს რომ გადმოყრიან ხოლმე, თორემ როცა რაღაც ძალიან გიხდება, ჩემი აზრით, საკომპლექსო არაფერია. პენსიონერი“.

### დაძინებული გმირი

„კომპლექსებიო? თვითკრიტიკით გამოვდივართ? ინტრიგით დატვირთული თემაა და გმირობის ტოლფასია, საკუთარ კომპლექსებზე აქცენტის გაკეთება. ამიტომ, ახლა ვცდილობ, ჩემში გმირი გავაღვიძო. ჩემი ცხოვრება კონტრასტებითა და პარადოქსებითაა სავსე. სტიქაროსნადაც ვმსახურებდი და 6 თვე ციხეც ვნახე მუშადაც მიმუშავია და პროგრამისტადაც; სხვა ქვეყანაც მინახავს; სიმდიდრეც და სიღარიბეც; მიცემია და ვუცემივარ. ჰოდა, ამდენი გამოცდილების დაბალანსება რომ ვცადე თავისებური კომპლექსი ჩამომიყალიბდა — სადაც ჩემი საქმე არ არის, ცხვირს არ ვყოფ და ავტომატურად, „მამაო ჩვენოს“ ვკითხულობ. როცა რაიმე მიჭირს, მრცხვენია და ვცდილობ, არავინ შემატყოს. შემიძლია, პირად ტრაგედიაზე იუმორით ვისაუბრო, ამ დროს კი შესაძლოა, გული ცრემლებში მქონჩობოდეს. სასაცილო კომპლექსიც მჭირს, რაც ხშირად უზერხულობას მიქმნის. როცა უცხო გოგო მემესიჯება, აუცილებლად წონას ვეკითხები, რადგან 3 წლის წინ მესიჯებით გაცნობილ გოგოს შევხვდი და ისეთი მძიმეწონოსანი აღმოჩნდა, რომ მომეხვია, უფანგბადობისგან სირაქლემის ბრონქოექსტაზები დამემართა და მისგან არეულ ძვლებს დღემდე ვისწორებ. ისე მრცხვენია ჩემი კომპლექსების, უღვაშები რომ მქონდეს, მოვიპარსავდი. P.S. კიდევ ერთი კომპლექსი მაქვს: როცა „მაგდანას ლურჯას“ ვუყურებ, ცრემლები ახალგაზსნილი შამპანურით წამსკდება ხოლმე. მოკლედ, კომპლექსების მთელი თაიგული მაქვს. ღირს კი, რომ მათგან თავის დაღწევაზე ვიზრუნო? აი, ხომ ხედავთ, ჩემში გმირი მაინც ვერ გავაღვიძე განძის მაძიებელი“.

### გაუთხოვარ-კომპლექსიანი მული

„როგორ ხართ? მე როგორ ვარ და... ისე, ისე, რომ... ნუ, 2 ძმა რომ მყავს, რა თქმა უნდა, არ იცით. არც ის გეცოდინებათ, ამ თვის დასაწყისში, ორივემ ერთად რომ მოაბრძანა ერთმა იმერელი, მეორემ მეგრელი მეუღლე. ასე რომ, მალე ბღღვნა იქნება, ბღღვნა და ჩემს ველად გაშლილ-გაფანტულ ბუმბულს კი არა და, თმის ღერებს ვგლოვობ, წინასწარ. :) კომპლექსებს რაც შეეხება: რის ვაი-ვაგლახით 22 წლის გავხდი და მთელმა ერმა ჩემი გასათხოვრობა-გაუთხოვრობის გამო შემოიკრა შუბლში „ტყუპი სილა“. დამაკომპლექსეს, კაცო, ეს რა ამბავია?! ქუჩაში ვიღაც რომ „წამიკომპლემენტებს“, მე ნაღვლიანად ვიღიმები და გულში ვფიქრობ: მარწყვივით გოგო კი არა, შინაბერა ვარ-მეთქი. არადა, სულაც არ მხიბლავს გათხოვების პერსპექტივა. სულ სხვა

### ჩემპიონი

„პატარაობიდან სიმსუქნის პრობლემა მქონდა. რას არ მპირდებოდნენ მშობლები, ოღონდ შენ „დასუსტდიო“, მაგრამ პატარა ვიყავი და ვერ ვხვდებოდი (ისე, მეპატიება, მაშინ ბავშვი ვიყავი, ჭამის მეტი სადარდებელი არაფერი მქონდა და მეც ვჭამდი), რომ ჩემზე ზრუ-

გამოიღო. შედეგი კი ის არის, რომ დღეისათვის, წინანდელთან შედარებით საკმაოდ „დასუსტებული“ ვარ; გარდა ამისა, არც ამდენმა ვარჯიშმა ჩამიარა ფუჭად: წინა კვირას მკლავჭიქში ჩატარებულ შეჯიბრებაზე პირველი ადგილი დავიკავე. ასე რომ, ყველას ვურჩევ, არასდროს არის გვიან, გათავისუფლდე საკუთარი კომპლექსებისგან. კოზანოსტრა“.

გეგმები მაქვს, მაგრამ ვინ გაძლევს გასაქანს? დამდევენ და გათხოვდიო, სკანდირებენ („გადადექი, გადადექის“ პონტიში), „დავსტრესდი“ გოგო, აღარ შემიძლია! მარ... მომენატრე. კარდიოლოგი“.

### უნაკლო

„კომპლექსები, კომპლექსები, კომ-პლექ-სეე-ბი! მდაა, რა კომ-პლექსი მაქვს ახლა, მე? „ვაფშე“, მაქვს, რო? „მაშენტი“, კი მაქვს, 1 კომპლექსი — სრულყოფილების კომპლექსი! უჰუ, არ მოგჩვენებია, მართლა მასე ვთქვი... :) სრულყოფილების! აი, ყველანაირად იდეალური რომ ხარ, რა... :) ვერ წარმოიდგენ, ისე ვკომპლექსდები ხანდახან. არა, რა, მართლა მაგრად ტყბავს, ირგვლივ ყველას რომ რა-ღაც სჭირს და მარტო მე რომ ვარ, უნაკლო. :( პირდაპირ, უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები ხოლმე, რა... :( ოჩოპინტრე“.

### „დიეტომანი“

„ჩემ ირგვლივ მყოფ ადამიანებს უამრავი კომპლექსი აწუხებთ. განსაკუთრებით კი — სიმსუქნის. ისეთი ვინმე იტყვის, რას ვგავრო, გაგიუდები. მე არ მაქვს იდეალური პარამეტრები, მაგრამ, ამაზე დიდად არ ვლეღავ, რადგან მიმაჩნია, რომ საკმაოდ კარგად გამოვიყურები. ჰოდა, ერთმა ჩემმა კურსელმა, რომელიც შარშანდღამდე ძალიან ლამაზი, თეთრი, ქერაკულულებიანი და ნორმალური აღნაგობის იყო, დიეტის დაცვა გადაწყვიტა. შესაშური ნებისყოფაც გამოავლინა, 5 თვის მანძილზე მოხარშული ხორცისა და ბოსტნეულის მეტი არაფერი უჭამია. შედეგიც სახეზეა — ყველას ავადმყოფი ჰგონია, სიბრალულით უცქერენ და ექიმთან მისვლას ურჩევენ. ლექტორებმაც გული გაუნყალეს, რა განუხებსო. დიეტის ამბავს კი ვერ ამხელს, რადგან ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. წამალს ვსვამდი და მდაა აჰან დამიკარგაო, ამბობს“.

### ფეხებგახლართული

„ყველა ადამიანს საკუთარი კომპლექსები აქვს. მაგალითად, ჩემი მეუღლე ჩაჩაჩულ და ფართოხუნა შარვლებს ვერ იტანს იმ მოტივით, რომ ფეხები გამეხ-

ლართება, ერთმანეთშიო, მე კი მომწონს და სულ ამაზე ვჩხუბობთ. ერთხელ იცით, რა შევნიშნე? ერთი გოგო, დღისით, მზისით, ქალაქის ცენტრში მანქანის საბურავს ბერავდა „ნასოსით“, ბიჭი კი მანქანაზე იყო მიყუდებული. აი, უკომპლექსობა მაგ გოგომ უნდა დაიკვებოს. დავიჯერო, ასე დაჩაგრეს? კიდეც, დაქალის ბიძაშვილი, თუ ვინმე გააბრაზებდა, ღამით წარბებს იპუტავდა ხელით. სანარბე ადგილები სულ დასივებული ჰქონდა და ერთხელაც ასე დალუდუდებული რომ მოვიდა, ვურჩიეთ დაქალს, ძილში ხელები გაუკოჭეთო. ასეც ვქენით, მაგრამ მერე სადაც მისწვდა, იქ დაიპუტაო, თქვა მან. მოკლედ, ამ უწარბებო ლერის, „სასტავი“ წარბას ვეძახდით. გაკოცეთ. ელისო“.

### უცხოპლანეტელი ბურძღლიანი

„კომპლექსი? თურმე სიყვარული და კომპლექსი შეუსაბამობაში მოდის ერთმანეთთან. როცა ადამიანი იმდენად გიყვარს, რომ მასთან ყოფნისას ირგვლივ სრულიად ქრება ყველა და ყველაფერი, კომპლექსებიც გამქრალთა სიაში, ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ამას წინათ, მე და ბურძღლიანი ქუჩაში მოვდიოდით და გამვლელმა



ბიჭებმა ჩაილაპარაკეს — ასეთი კარგი გოგონები ასეთ უცხოპლანეტელებთან რატომ დადიანო? ჰოოდა, ჩემი „ჭკუის კოლოფი“ მომიბრუნდა და იყვირა: — ელე, ამ ბიჭებს გოგო ვგონეო. ჰოოდა, „აჩკუდათი“ თუ უტარებხართ საყვარელ ადამიანს შუა რუსთაველზე ადვილად გამოიგებთ, თუ რატომ ვვარგავ კომპლექსების „ბუკეტს“ ჩემი გადარეულის გვერდით. :) ილინი“.

ახლა კი თემაზე მოსულ მოკლე მესიჯებს გავუცნოთ.

### „მის კომპლექსი“

„ჩემი ბავშვობის კომპლექსი ის იყო, რომ ყველა თანატოლისგან სიმაღლით გამოვიჩრჩეოდით. 14-15 წლის გოგო 176 სმ ვიყავი და ჩემზე დაბალ ბიჭებთან ერთად ყოფნის მერიდებოდა. ახლა კი 20 წლის ვარ, 182 სმ და სულაც არ მერიდება. ისინი შეაწუხოს კომპლექსმა, მე რატომ უნდა ვინერვიულო? თაისი“.

„არა, რომ მკითხო, კომპლექსები არ მაქვს, მაგრამ... ფაქტის წინაშე რომ ვდგები, გამოაჩენენ ხოლმე ბრჭყალებს ჩემი კომპლექსები. ესეც ხომ კომპლექსია, სხვა ნიკით რომ ვარ დღეს და არ მინდა გაიგონ, რომ კომპლექსიანი ვარ. ოჰ, ნეტავ ვის ვუმალავ? კისკა“.

„ნეტავ კომპლექსები მქონოდა, უსიყვარულოდ ხომ არ გავთხოვდებოდი. კომპლექსი რომ არ მქონდა, იმიტომ გავთხოვდი და დიდი შეცდომაც დავუშვი. მარ, ძან ვიტანჯები, მიშველე! ლიკა“.

„კომპლექსებიოოო? აუჰ! მთელი ევროპის მასშტაბით კონკურსი რომ ტარდებოდა — „მის კომპლექსი“, მანდ დედოფლობას ნამდვილად ვერავინ შემეცილებოდა! :) დედაა... არადა, ახლა ისეთი თაობა მოდის (მე გამონაკლისი ვარ), რომ სიტყვა კომპლექსი საერთოდ არა აქვთ ლექსიკაში. ნუ, რას ვიზამთ? ზოგს კომპლექსები აწუხებს და ზოგს კიდეც — სხვისი უკომპლექსობა. ისე, კარგი თემაა, ხომ იცი... ბევრჯერ მინახავს, ბაღებში გაჩაღებული სექსი და ასეთი უმსგავსობები. ნეტავ ცოტათი მაინც არ რცხვენიათ? მონაზონი“.

„კომპლექსიანი არა ვარ,

მაგრამ... აი, ჩემი საყვარლის ცოლს რომ ვნახავ ხოლმე, რა-ღაც, მორიდებულად ვარ და ნეტავ, ეგ ხომ არ არის კომპლექსი, ა? ცუნცულა“.

„ეჰ, მე კომპლექსებმა დამაკომპლექსა და დავდივარ დაკომპლექსებული ისე, რომ არც ვცდილობ ამისგან თავის დაღწევას. საზოგადოებას კი ზომიერად უკომპლექსო ვგონივარ. ეგონოთ, რა! თინეიჯერი შინაბერა“.

„მარ, დაქალი მყავს, ძალიან კომპლექსიანი. „ნახტომში“ 1,55 სანტიმეტრია, მაგრამ სადაც გაივლის, ხალხი ჩერდება, ისეთი დიდიდიი (ხუთ-ნახევარი ზომის) მკერდი აქვს. მიმიქარავს პამელა ანდერსონი, მაგრამ რად გინდა? მალავს ფარფარა, „პუჭპუჭებიანი“ თუ „კრუჟაოიანი“ მაიკებით. სტილისტკა“.

„ერთი უჩვეულო კომპლექსი მაქვს: სამარშრუტო ტაქსის მძღოლს „გამიჩერეს“ ვერაფრით ვუბნები. ძირითადად, ვინმესთან ერთად ვმგზავრობ ხოლმე, მაგრამ მარტო მგზავრობისას ბევრჯერ გავცდენივარ ჩემს გაჩერებას და დავლოდებივარ, სხვა როდის იტყოდა, „გამიჩერეს“. აქამდე სულ მიმართლებს და ერთხელაც მძღოლი თვითონ მეტყვის: გოგონი, აღარ ჩადიხართ? შანსი“.

### ყველაფერზე, თემის გარდა

#### მოლაღატე

„ნამდვილი თაღლითის მსხვერპლი მე ვარ... ადამიანმა, რომელიც დავიბეგობრე, რომელიც გასაჭირში არ მივატოვე, გვერდით დავუდექი და დავებარე, რომელსაც ფულსაც კი ვაძლევდი, რომელსაც საკუთარი „მე“ ვაპოვებინე, მილაღატა. ჩემს მეგობრობას დასცინა და ჩანთიდან, რომელიც ცოტა ხნით მივაბარე, გზის ფული და სამკაულები მომპარა. არადა, როგორ ვნდობოდი, მეგონა, მასაც წრფელი, მეგობრული გრძნობები ჰქონდა. მერე პატიება მთხოვა და მეც, გულუბრყვილოდ ვაპატიე, მაგრამ მისმა უნამუსობამ დამარწმუნა, რომ ნამდვილი არარაობა იყო. მარწმუნებდა, განუკურნებელი სენით ვარ ავად და ნამალი მჭირდება, ფული აღარ მაქვს, დედაშენის ოქრო მათხოვე, დავალომბარდებო. საბედნიეროდ, დროზე მივხვდი, რა ჩიტიც ბრძანებოდა და ჯანდაბაში გავისტუმრე რა მიამიტი ვრ, რა... ლორელაი“.

#### ჯადოსნური სამყარო

„გზავნილები“ რომ ძალიან მაგარია, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ასეთი რამ არ მინახავს! დღეს, როგორც ყოველ ხუთ-

შაბათს, ტრადიციულად, „გზა“ ვიყიდე და სახლში მოსულმა, გადავაბუღებულე. კითხვა უკვე დამთავრებული მქონდა და კმაყოფილს უყურნალი წინ მედო. „გზავნილებმა“ ისე შემიყოლია, დამავინყდა, რომ დაქალს მზად უნდა დავხვედროდი(მეგობრებთან უნდა წავსულიყავით). ამ დროს ჩემი დაქალი მოვიდა. სანამ მე გავწმადებოდი, ის „გზავნილებს“ ჩაუფდა. ვეღარ მოვწყვიტე უყურნალს. ჩაიხუტა გულში და სანამ ბოლომდე არ წავიკითხავ, არ წამოვალო, ვირივით გაჯიუტდა. დიდხანს ველოდე. როგორც იქნა, დაამთავრა კითხვა და მისაყვედურა — ამას მიმაღავდიო? თან, გამებუტასავით. აქამდე „გზას“ არ კითხულობდა, მაგრამ მეგონი, მალე ისიც შემოგვიერთდება. „გზავნილეთი“ — ეს ნამდვილად ჯადოსნური სამყაროა. ტოპოლინა“.

#### არადა, გუშინ ქვემოთ იყო...

„გუშინ „უნის“ წინ, გაჩერებაზე, ავტობუსს ველოდი. მოულოდნელად, ვიღაც მოხუცი მომიახლოვდა და — ბაბუ, ჭავჭავაძის ნმ საითაა, ზევით თუ ქვევითო? ჯერ ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ კითხვა კიდევ რომ გამიმეორა,

#### სიკვდილო, დაგამარცხებ!

„იცით, რა მწარე განცდა გეუფლება, როცა ეჭმის თვლებში სიბრალოთ გაუღწითლ შიშს შენიშნავ? რა მტკივნეულია, როცა მიხვდები, რომ ეს მზერა მხოლოდ შენ გვეუთვნის? როცა გამზრალი ჩურჩულით შეგვედრები მას, სიმართლე არ უთხრას შენთვის ძალიან ძვირფას ადამიანს, რომელიც გარეთ გელოდება, რადგან არ გინდა, უცხო მხარეში გაჰყვეს შენი სიკვდილის შიში. თაყნალურული ისმენ ეჭმის არასასიამოვნო განაჩენს და მის ბაგეებზე აცეკვებულ ეშმაკს ამჩნევ გარეთ გამოსული კი იღიბები და ჯანმრთელი ადამიანის როლს თამაშობ. თავისუფლად აგრძელებ ცხოვრებას, როცა შენს მომავალს კითხვის ნიშანი აქვს დასმული და იცინი, როცა უნდა ტირიდე თუმცა, სხვაგვარი ცხოვრება არც არასოდეს შეგეძლო. რა გინდოდა, სიკვდილო, ასე ადრე რატომ მოქებტე ჩემთან? ჯერ ხომ საუკუნის მეოთხედიც არ მიცხოვროა არადა, რომ იცოდე ვისთან გაქვს საჭე, არც გაბედავდი ჩემს სულში ბინძური ხელების ფათურს. მისამართი შეგეშალა, მე ის არა ვარ, ვისი დამარცხებაც ადვილად შეიძლება სიცოცხლე ისე ძალიან მიყვარს, ვერ მაიბულებ, დაგიტმო გპირდები, ჩემს თავს დაგაფინწყებ და გულიდან სამუდამოდ წაგშლი ჩემი იარაღი შენ წინააღმდეგ მთარულება, ღიმილი და სიცოცხლის უზომო წყურფილია გპირდები, რომ მომავალი წლის ამავე დროს, როცა „გზა“ გამოვა, ჩემი მეყოფი ისევ იქნება „გზავნილებში“, შენ კი ამ დროს ჩემგან ძალიან, ძალიან შორს იქნები. P.S. ნეტავ ავადმყოფ ადამიანზე მეტად თუ იცის ვინმემ, რა ტკბილია სიცოცხლე? თქვენი ერთგული მგზავნილი, უნიკოდ“.

ხელით ვანიშნე, ზევითა-მეთქი. — ვახ, ბაბუ, რას გვიშვრება ეს სააკაშვილი, გავგიჟდი კაცი, არადა, 2 დღის წინ ქვევით იყო და გაბრაზებული წავიდა. თან მიშიკოს არ აკლებდა „ლოცვა-კურთხევას“... :) არა, მართლა რას გვიშვრება ეს

მთავრობა, ჰაა? სკლეროზა“.

### „პადზემკური“

„ახლახან ბებია ვინახულე. სოფელში დახეული ჯინსით ჩავედი, ჭკუაზე არ ვიყავი. ბებომ

### ტარზანის საცოლე

„პოლონის ტარზანმა“ ჩემი ბავშვობის სანუკვარი ოცნება გამახსენა. პატარაობიდანვე გოგონების 80% ოცნებობს თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცზე, მე კი სპილოზე ამხედრებულ ტარზანზე ვოცნებობდი და ერთხელ, როცა ჯერ კიდევ პატარას, გაცილებით დიდმა ბიჭმა სოფარული ამიხსნა, შეყვარებული ქალის მეოცნებე თვალებით აჭედე და ჩაჭურჭულე — მე სხვა მიყვარს, შენი შეყვარება არ შემიძლია-მეთქი. როცა დაინტერესდა, ვინ იყო ის სხვა, თავი უმისამართოდ გავიქნიე და მთელი სერიოზულობით ვუპასუხე: — იქ უსიერ ჯუნგლებშია, მაგრამ მალე მოვა და თავის მიიმუნებთან წამოყვანს-მეთქი. იმ დღის შემდეგ, როგორც კითროვანს, ისე მერიდებოდა ის საცოდავი, მე კი ჯიუტად ვოცნებობდი და ვოცნებობდი, ვიდრე ზაფხულის ერთ ლამაზ ლამეს, ფანჯრის მინაზე კაკუნმა არ გამაღვიძა და რაფაზე დაგდებულ ფურცლის ნაგლეჯზე არ ვნახე წარწერა — „ტარზანი გელოდება“. იმავე წამს გადავხვეწე ფანჯრიდან და ეზოში მდგომ ყველაზე დიდ ხეზე ავცოცდი (მეგონა, ასე უფრო ადვილად მომაგნებდა). მოხერხებულად მოვკალათდი ტოტზე და ფიქრებში ნიშნს ვუგებდი ყველას, ვისაც ჩემი ტარზანის არსებობის არ სჯეროდა ვოცნებობდი, როგორ მოვიდოდა ჩემთან და სოფარულის ასწნის ნაცვლად უცნაური, ხორხისმიერი ბგერებით შეძრავდა არემარეს, მერე გულში ჩამიკრავდა და ხიდან ხეზე სტუნვით, უთვალავი მილის გავლით შორეულ ტყეში, თავის ქონში მიმიყვანდა და ვიცხოვრებდით ბედნიერად (არადა, რა ადვილი იქნებოდა მისი ცოლობა, არც ტანსაცმელი მეჩნებოდა გასარეცხი მისთვის და არც კრძი — მოსამზადებელი ის ხომ ერთი ტრუსით დადიოდა და უმ საკვებს მიირთმევდა). ჩემი დედაბოილი კი მაიმუნ იქნებოდა და აღარ გაბრაზდებოდა, როცა ამ სახელით მივმართავდი. ოცნებებში ჩამძინებია, სიზმარში ტარზანი მოვიდა, ხელი მომხვია და ხიდან გადავხვით თვალი რომ გავახილეთ მინაზე დაფეხილი ვეგდე ტარზანის ნაცვლად ქინძრებთან ვიყავი ჩახუტებული და მთელი სხეული დასუსხული მქონდა. იმ ლამეს დასრულდა ჩემი ოცნება, ტარზანზე. აი, ასე მწარედ დამაბრუნა ბიძაშვილის სუმრობამ რეალობაში. P.S. ბოხო, დაგვიბრუნდი, გთხოვ შენ შეუცვლელი ხარ. ერენტა“.

მომიკითხა და მისაყვედურა: რა არის, ამხელა გოგო ჭუჭყიანი შარვლით რომ ჩამოხვედი ან დედაშენმა ახალი რატომ არ გიყიდა, დახეულით რომ გატარებ-სო? მოკლედ, ძლივს მივახვედრე, რატომ ვიყავი ეგრეთ წოდებულ „პადზემკურ“ „ზმანზე“. მერე კი ბებოის დაქალმა თქვა ჩემს შარვალზე — ალბათ, იმიტომაა დახეული, რომ ცხელა და ასე საპაერო მაინც აქვსო. ჩუპი“.

### „კალგოტკის“ სუნი

„გამარჯობა! ეთერშია პარიჟანკა-ნიუსი! დღეს ჩემი მორიგი „მგზავრულის“ შესახებ გიამბობთ: „მარშრუტკაში“ ვიჯექი და ერთ-ერთ მგზავნელთან შესახვედრად მივდიოდი. ქალმა გაგვაჩერა. უფრო სწორად, ქალმა კი არა — ქალის „ნატენმა“, მაგრამ სულ მალე დავრწმუნდი, რომ პატარა სხეულში დიდი გულია. :) მძლოლს ჰკითხა:

- პეკინზე გაივლის?
- არა.
- აბა, რა მიდის?
- 149 და ახლა გაიარა, — უპასუხა კაცმა.

- გაიარა? ჩქარა, დამაწიე!
- ბრძანა „ნატენმა“.
- რას, ქალო, რას დაგანო?
- გაგიჟდა კაცი.

მისმა რისხვამ წუთით გააჩუმა ქალი, მაგრამ მალე იკვილა:

- მიშველეთ! ვინვი! — ყველამ მას შეხედა, მაგრამ ცეცხლი აშკარად არ ეკიდა. — გააჩერეთ, დამწერის სუნია! — არ ჩუმდებოდა, გამწარებული.

— ნუ გეშინიათ, ქალბატონო, „კალგოტკის“ სუნია, — დაამშვიდა ბიჭმა.

- რაო? ვის უბედავ? „კალგოტკის“ სუნიც გაქვს და „ნასკისაც“, თავხედო! — ეს ბოლო წვეთი იყო. მთელი „მარშრუტკა“ ახარხარდა. მალე მძლოლმა იკითხა:

— ჩადიხართ „ევროპასთან“?

— ევროპა და სიკვდილი, მაგათ! მაგათი ბრალია, ამ ახალგაზრდობის გარყვნა (!!), — თქვა, თან ბიჭს გახედა და პეკინზე მიმავალი, 1 ნახტომით ჩავიდა, ავლაბარში. :) პარიჟანკა“.

### ყაჩაღები

„ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. ერთ ღამეს, ერთი ჩემი მეზობელი სახლში მთვრალი ბრუნდებოდა და ძახილის ხმა შემოესმა (სახელით მიმართავდნენ). ცოტა ახლოს რომ მივიდა, შეხედა, მაგრამ რას შეხედა! მის წინ ნიღბიანი და ავტომატით შეიარაღებული ადამიანი იდგა... აი, მაშინ, იცოცხლეთ, რაც იმან მოკურცხლა — სახლამდე სულ სირბილით მივიდა. როგორც შემდეგ გაირკვა, იმ მოსახლეს ღამით ყაჩაღები დასხმინ თავს და ალბათ, ჩემი მთვრალი მეზობელი ერთ-ერთმა ყაჩაღმა იცნო. ლივერპულ“.

### მელოტზე მელოტი

„თაღლითობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემი მეზობელი კი ნამდვილად მსხვერპლია, ოღონდ — თავისი გულუბრყვილობის. ჩვენი რომანი ალალი, გულკეთილი და მართალი კაცია და ხშირად სხვებიც მისნაირი ჰგონია. ამიტომაცაა, რომ ყველა, დიდი თუ პატარა, მას ატყუებს. ერთხელ ერთმა „კეთილმოსურნე“ მეზობელმა, ხახვისა და ნივრის შემადგენლობით თმის ცვენის სანინალმდეგო „სასწაულმოქმედი“ ნაყენი შეაზავებინა და ურჩია, რომ ყოველ დილით თმაში შეეხილა, შედეგს კი 1 თვეში მიიღებდა. ნაყენმა მართლაც „განსაცვიფრებლად იმოქმედა“ და სანყალადამიანს თავზე თმის ნასახიც აღარ შერჩა. გამწარებული რომანი კი დღემდე იმ „კეთილმოსურნე“ მეზობელს დასდევს მოსაკლავად. აპოლონი“.

### გაქცეული

„აღარც კი ვიცი, გამოუსწორებელი შეცდომა მე დავუშვი თუ ჩემმა ყოფილმა შეყვარებულმა, როცა დაუფიქრებლად მითხრა, რომ სხვა უყვარდა. მეც დავიჯერე და სხვა აღარაფრის გაგონება აღარ მინდოდა. ჰოდა, გადავწყვიტე, რაც შეიძლებოდა შორს ვყოფილიყავი მისგან და ალბათ, ეს კიდევ უფრო დიდი შეცდომა იყო. ნამოვედი მართლა შორს და სინანული მკლავს. მაინც მასზე ვფიქრობ და უზომოდ მენატრება იმიტომ, რომ

ახლა უფრო მეცოდება, რადგან სიამაყემ და სიბრყვემ სისულელე ათქმევინა და გამოცდა ჩამიტარა, როგორ ავიტანდი მისგან ღალატს. განა საყვარელ ადამიანთან ასეთი თამაში მისაღებია? მე კი ახლაც ვნანობ. ნეტავ, მე დავუშვი შეცდომა, აქ რომ წამოვედი თუ მან, ასე სულელურად რომ მოიქცა. კატერინა, საბერძნეთიდან“.

### მაწანწალა

„ამას წინათ, ბანკში შევედი. დაცვის ბიჭები კარშივე შემეჩვენნენ. დაქალს ვუთხარი — ამ ორფეხა ძაღლებს მგონი მოეწონე-მეთქი. ჰოდა, გაიგეს და წამოსვლისას ერთ-ერთმა „ამუნია“ გვითხრა — კიდევ კარგი, ფორმა მაცვია, თორემ ასიანი მანანწალა გეგონებოდიო. დაქალი მიუბრუნდა და უთხრა — კიდევ კარგი, გაცვია, თორემ შიშველი მანანწალის დანახვამე მეც ვიღრინებო. მის რეალი“.

### ბაღჩო

„ერთხელ ჩემმა მეზობელმა ლევანმა თავის იუბილეზე საკუთარი კურსელი, თბილისელი ბიჭი ჩამოიყვანა (რაიონში ვცხოვრობ). ჰოდა, ამ ძაან „ქულ“ ბიჭმა თავი წარმომიდგინა, ბაჩოო. მე რატომღაც ბაღჩო გავიგონე. მთელი საღამო ბაღჩო ვეძახე. — ჩვენ შამოფეთები გაუმარჯოს-მეთქი. საცოდავს, იმ საღამოსვე უნდოდა გაქცევა. ბევრი ვიხალისე, რომ მიხსნიდა, მეტრო რა იყო (ვითომ არ ვიცოდი, არადა, ევროპა შემოვიარე). მეტროს მატარებელს ხელი რომ დავუქნიო, არ გამიჩერებს-მეთქი? ამაზე მთლად გადაირია. :) გკოცნით, უდარდელა“.

### ბუხუტი

„დედაჩემს თურმე თავისი „დაქალოჩკები“ ბუხუტის ეძახდნენ (საგვარეულო „კლიჩკაც“ ჰქონდა, მაგრამ...). ჰოოდა, ეს ამბავი იცით, როდის გავიგე? ვაკაჭი რომ გამოჩნდა ტელეეკრანზე და თავის ვირს ბუხუტი დაარქვა. კაი ხანს მეყო, სალაპარაკოდ. ბუხუტიმ თავის დისშვილს პუსკა დაარქვა (პატარა

იყო და ასე ვეფერებოდიო). ჰოდა, ქე შერჩა ეს „კლიჩკა“ სანყალ ბალანას. ყველა პუსკათი იცნობს და სახელს არავინ ეძახის. ამას წინათ, სტუმრად ვიყავით ოჯახის მეგობართან, ჩემი დეიდაშვილითურთ. მასპინძელი დროგამოშვებით იტყოდა ხოლმე — პუსკა, გადიო. ჩვენ ერთმანეთს გადავხედავდით ხოლმე. ბოლოს, მაგიდის ქვეშიდან თავად პუსკა (ძალი) გამოცუნცულდა. P.S. მინდა, რომ დამიბეჭდო, მაგრამ დედაჩემს რა გადაურჩება? დეე, დედი, დედიკოოო, მიყვარხარ, სიგიჟემდე. ბუხუტი უმცროსი, იგივე — კახელო-616“.

### „ნოსტალჯი“

„მოვიმარჯვე საწერ-ბუმბული და დავჯექე წერად უსტარისა. ჩემო კანიბალკავ, ეს რა დრო დაგვიდგა? პაპუასებევით ხეზე ვცხოვრობდით, სარჩოს ნადირობით ვშოულობდით. ახლა? ახლა საითაც გაიხედავ, სუპერმარკეტი და „გუდვილის“ ფილიალია. ჩვენ დროს სად იყო მეტრო?! ეჰ, ჩემო ლანა, დადიან ახლები „გზავნილ-სითის“ ქუჩებში და არ იცინან, რომ ჩვენ შევექმენით ეს ქალაქი. გახსოვს, როგორ ვაშენებდით მესიჯ-მესიჯ? როგორ ვალამაზებდით? ახლა, გენაცვალე, ინფრასტრუქტურა და ევროპული იმიჯიო. რა, ცუდი იყო, ჩალით დახურული ალიზის ქოხები? ახლა ინტერნეტი? სიყვარულს გეფიცებიან ვირტუალურად და თვალეში არ გიყურებენ. მაშინ სიყვარულიც სხვანაირი ვიცოდით. გახსოვს, დედოფალ მარის კარის პოეტი, სტიქია? ან რა რაინდები გვყავდა? პავლიკა, ზმიზმი, შეწირული, ჩორტიოზნაეტი, ლეო, ჩუქჩა... ეჰ, ცრემლი მომადგა. გკოცნი. P.S. ბოხო, სად დაიკარგე? პარიჟანკა“.

### სირო

„ჩვენს რაიონში ერთი კაცი ცხოვრობს, რომელსაც უცნაური სახელი, სირო ჰქვია. ერთხელ უცნობ ადამიანთან ნაკამათდა. იმან კი გაბრაზებულმა, ზემოთ ხსენებული სახელი უწოდა, შეურაცხყოფის

მიზნით და საპასუხოდ ცუდი რეაქციის ნაცვლად, ღიმილი და გაკვირვებული კითხვა მიიღო — ვა, ბიჭო, მიცნობო? მარი, თუ შენს „საბაჟოს“ გაივლის, ერენიტა მიაწერე, ნიკად“.

### დატირებული ნიკოია

„ერთხელ დაქალს ბაბუა გარდაეცვალა და „სასტავი“

სოფელში სამძიმარზე ჩავედით. ერთ ჩემს დაქალს და მე შავი „მანიკური“ გვესვა. იქ კი ჩვენზე უთქვამთ, ჩაცმაზე არაფერი ეტყობათ სამგლოვიარო და რავა ფრჩხილებზე გუდრონნასმულებმა მეინდომეს სანყალი ნიკოიას დატირებაო. ჩუპი“.

„მალი დეიდა, მე უკვე დავიბადე. დედიტომ მითლა, სენ

მეორე გზავნილ-სვილი ქალო, მაგლამ ნებალთვა სენგან მინდა. კიდე ისიც გავიგე, პირველი გზავნილ-სვილი, გიო, ალ გიმესიჯებს ქოლმე. გიო, პირველო გზავნილ-სვილო, სემდეგ ნომელსი დამიმესიჯე, გელოდები. P.S. მოვიკითხავ ბოტოტას და ყველა მგზავნილს. ლეო-91, სად დაიკარგე? ფახუცანა, ქუთაისიდან“.

# ლიქაზის ფლავარი

## კომპლექსიანი ბებო

„კომპლექსები მამაჩემის ბებოს ჰქონდა თურმე. ტელევიზორის წინ ღამის პერანგით არ გაივლიდა, ტელევიზორიდან მიყურებენო. თუ ვინმე რამე საიდუმლოს იტყოდა და ამ დროს ტელევიზორი ჩართული იყო, იმნუთას გამორთავდა — ესმით და საიდუმლოს გაამხელენო. თუ ვინმე საძინებელში ტელევიზორს ჩართავდა, ტანისამოსს ისე გამოიცვლიდა და დანვებოდა, სულ უსირცხვილოს უწოდებდა, ამდენი ხალხის წინაშე როგორ შეიძლება გახდაო. აბაა! პუსკუ“.

## „მწარე ქალიშვილი“

„მოკლედ, ეს „სთორი“, როდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჩვენს რეალობაში, XXI საუკუნეში მოხდა. თურმე, ნუ იტყვით და ჯერ კიდევ გვეოლია, 30 წელს მიტანებული, „მწარე ქალიშვილები“. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ერთ-ერთ ასეთ უმნიკვლო ქალიშვილს ბედმა მიუტაკუნა კარზე. ბევრი ფიქრის, მსჯელობისა და ნერვიულობის შემდეგ, მეგობრების, ნათესავების, მეზობლების და რა ვიცი, კიდევ რამდენი ადამიანის რჩევით, მიიღო გადაწყვეტილება და გათხოვდა. გადაიხადეს უზარმაზარი ქორნილი და როგორც იქნა, დალაშქრა. აი, სწორედ აქ იწყება ამ „სთორის“

ყველაზე საინტერესო ნაწილი. განმარტოვდა ახალდაქორწინებული წყვილი, მაგრამ რად გინდა? ჩვენი პატარძალი ნამეტნავად პატიოსანი და კომპლექსიანი აღმოჩნდა. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — მრცხვენია და შენთან ვერც გავიხდი და ვერც დავწვებო, განუცხადა აზარტში შესულ ქმარს მორიდებით. ვერაფერს გახდა ჩვენი სიძე, კომპლექსებით შეპყრობილ ცოლთან. რა უნდა ექნა სანყალს? დაყარა ფარ-ხმალი და ბედს შეურიგდა. ასე, დაძმასავით იწვინ გვერდიგვერდ, 2 თვის მანძილზე და ღამეებს გულახდილ საუბრებში ათენებდნენ და 2-თვიანმა „ტანჯვამ“ შედეგი გამოიღო... ამას იმიტომ ვამბობ ასე დარწმუნებით, რომ ისინი შვილს ელოდებიან. თუმცა, ძვირად დაუფდა მორცხვ პატარძალს კომპლექსები, რადგან აქამდე თუ ნახევარმა თბილისმა იცოდა მისი 2-თვიანი „ბობოქარი“ ღამეების შესახებ, ახლა ნახევარი საქართველო გაიგებს. ჰოდა, რაც მთავარია, ეს ამბავი ექსკლუზივია და პირველად ჩვენს „გზავნილებში“ იბეჭდება, პატიოსან სიტყვას გაძლევ. იკუშკები“.

## მადლი ქენი, ქვაზე დადე...

„ეს ამბავი წლების წინ მოხდა: კრიმინალურ ავტორიტეტს მილიცია მოსაკლავად მისდევდა. გელა (სახელი შეცვლილია) კორპუსში შევარდა, ყველა კარზე აბრაახუნებდა და შველას ითხოვდა. სამწუხაროდ, კარს არავინ უღებდა. მხოლოდ ბოლო სართულზე მცხოვრებმა, ღვთისწინებმა ქალმა გაუღო კარი და შინ შეუშვა. მან გელა სალოგინე ტახტში დამალა, ზემოდან კი უკურნებელი სენით დაავადებული, ახალგაზრდა ქალიშვილი დააწვინა. ამ დროს მილიცია შევარდა ოთახში, მაგრამ გოგონას ავადმყოფობით იმდენად გაოგნდნენ, რომ სახლი არც კი გაუჩხრეკიათ. გელა გადარჩა! კეთილ ქალს კი ამბავი იმით დაუფასა, რომ გოგონა საზღვარგარეთ წაიყვანა, უმკურნალა და სახლში ჯანმრთელი დააბრუნა. დღეს კი გოგონა გელას ნათლულია“.

## საიდუმლო

„მინდა, მოგიყვებ ამბავი, რომელიც დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა. ჩემი მეგობრის ბებია ძალიან ღამაში და კარგი ოჯახის შვილი ყოფილა. დიდს თუ პატარას, მისი სილამაზე თავგზას ურევდა. ბევრი ეტრფოდა. მას ბავშვობიდან ერთი უბრალო, გლეხის შვილი უყვარდა. ოჯახმა მისი გათხოვება მდიდარ მემკვიდრეზე გადაწყვიტა. დედამ

მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, ძალით გაათხოვა. გლეხის ბიჭმა კი თავი მოიკლა. გადიოდა დრო... გოგო სულ უფრო განიცდიდა ამ ამბავს, ვერ ეგუებოდა თავის ბედს... ნერვიულობას საკმაოდ რთული ფეხმძიმობა მოჰყვა და ქალი მშობიარობას გადაჰყვა. მისმა ქმარმა ცოლს შემცვლელი მალევე მოუძებნა, მისი შვილი კი დეიდამ გაზარდა. ამ ამბიდან დიდი ხანი გავიდა, მაგრამ მხოლოდ ახლა ითქვა სიმართლე, როცა მამამ შვილს სიკვდილის წინ ყველაფრისთვის პატიება სთხოვა. კახელო-616“.

**„დალალები“**

„ჯულია ბებოს ისე მოეწონა თავისი ამბავი „გზავნილებში“, რომ ახლა თვითონ მთხოვა, ერთ ამბავს მოგიყვები, რომელიც დღემდე მწარედ მახსოვსო: — იცი, რა თმა მქონდა?! ჩემი დამნახავი, დიდი თუ პატარა, ყველა ჩემს „დალალებზე“ ლაპარაკობდა, ჩემს მეგობრებს კი „ქარაქუცა“ თმა ჰქონდათ, ძალით იხვევდნენ. ერთხელ შემაცდინა ეშმაკმა და სალონში გოგონებს მეც წაყვევი თმის დასახვევად. რომ დეინახეს ჩემი თმა, გააფრინეს, მოდი, შენც დაგიხვევთო. რა მქონდა დასახვევი? „დალალები“ მხრებზე მეყარა. თურმე, იმ ოხრებს სულ არ შეუჭრიათ თმა? მერე გაუყიდიათ. სარკეში რომ ჩავიხედე, ლამის გულმა მიმტყუნა, მაგენს არ ეღირსოთ არაფერი! ამ დროში ხომ არიან და არიან, მამაძალები, მაგრამ არც მაშინ იყვნენ რჯულიანები, ჩემს დემაზე მოინდომეს გამდიდრებაო. P.S. აწი თმა აღარ უნდა გავიშალო, ჯულიას ჩემს „დალალებზე“ აქშალა საღერღელი. ლუნა“.

*მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — შინაბერა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com გამოგზავნეთ საინტერესო ამბები, თქვენი ნაცნობი შინაბერების შესახებ. კითხვა მოკლე ჩართვისთვის: რას ნიშნავს საბედისწერო ქალი?*

**მსუნავი ბოხო**

„ბებიაჩემმა (აცხონოს ღმერთმა მისი კეთილი სული), სხვა ვერაფერი რომ ვერ მოუხერხა მსუნავ შვილიშვილებსა და ჭიანჭველებს, გადაწყვიტა, თავისი საწოლის თავთან, ჭერზე ჩამოეკიდა ის ხლი და ტკბილფეულობა, რომელსაც მისი მნახველები ხშირად მოუკითხავდნენ ხოლმე. აი, ეს გახდა ჩემი გათაღლითების მიზეზი. ბებო წელიწადში 6 თვეს ლოგინში ატარებდა და მისი იქიდან წამოყენება თბილისელმა პროფესორებმა ვერ შეძლეს. თქვენ წარმოიდგინეთ, მე რა ძალისხმევა დამჭირდა, ეს რომ გამეკეთებინა. ის ავადმყოფურად ვერ იტანდა, როდესაც სხვისი პირუტყვი ჩვენს ეზოში შემოდიოდა და მარტო თუ იყო, რაც უნდა ცუდად ყოფილიყო, აუცილებლად გადადენდა ეზოდან. აი, ეს კოზირი მქონდა სათაღლითოდ. შემოვუშვებდი მეზობლის ძროხა იქნებოდა, ღორი თუ თხა, მივირბენდი ბებოსთან და „ვახარებდი“ — ძროხა სიმინდს ჭამს, თხებმა წარგავები გასხიპა, ღორებმა კვახები შეჭამა-მეთქი და ბებოც ვაი-ვიშით გარბოდა ყანისკენ. მე კი მოკრივის სავარჯიშო „გრუშასავით“ ჭერზე ჩამოკონწიალებულ საოცნებო ბოხჩას მივვარდებოდი და იწყებოდა ზეიმი, რომელიც ბებოს გამოჩენამდე გრძელდებოდა. დავლანდავდი თუ არა, მაშინვე ვისკუპებდი საწოლიდან და ვტოვებდი შემთხვევის ადგილს. ერთხელ, მორიგი თაღლითობის დროს, როდესაც მეზობლის თხა და ბებო სამშვიდობოს დავიგულე და მე გალალებული, ნუგბარით პირგამოტენილი სიამოვნებისგან ვკრუტუნებდი, თან ჩემი გამჭრიახობით გახარებული, ვბუქნაობდი ბებოს „პრუჟინიან“ ლოგინზე, ვერ გავთვალე რხევის ამპლიტუდა და თავით გადავეშვი საწოლიდან. წამიერად, ყვითელი სითხის ტალღამ ჩამორეცხა ღმილი ჩემი სახიდან, ხოლო საშინელმა სუნმა პირიდან კონახურის კანფეტის სასიამოვნო გემო გამიქრო. დღესავით ნათელი იყო, რომ ბებოს შარდში ვცურავდი, რასაც თავდაყირა დამხობილი მისი უზარმაზარი ლამის ქოთანის და ჯერაც მობზრიალე „გარშოკისავე“ თავსახური მოწმობდა, რომელიც ჩემ ირგვლივ ისე დაგორავდა, თითქოს საპატიო წრეს ურტყამსო. უნებურად, ბებოს სიტყვები გამახსენდა, რომლითაც მტუქსავდა ხოლმე — თავს ლაფი დაგასხიო. რა ვიცოდი, თუ ასე ამიხდებოდა ეს უწყინარი წყევლა. ბოხო“.



# მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

## ყურადღება!

გთხოვთ, ნუ ეცდებით საყვარლისა თუ სექსუალური პარტნიორის მოძებნას ამ რუბრიკის მეშვეობით. ამ რუბრიკაში მხოლოდ დაოჯახების მსურველთა განცხადებები გამოქვეყნდება.

მობილი-ზაცია



1. ვარ 30 წლის, მაღალი, ლამაზი, განათლებული ქალღმვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი მაღალ, სიმპათიურ მამაკაცს. მსუქნები და მელოტები არ გამომეხმაურონ.
2. დამაკავშირეთ „გზა“ №24, 22-ე მესიჯის ავტორს.
3. ვარ ქვრივი. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს 44 წლის ზევით, უცოლო მამაკაცი. დღეს მეორედ გწერთ, იმედია, ახალგაზრდების გასაკიცხი, არ გავხდები. მომავალი მარტოობის მეშინია. გმადლობთ.
4. ვარ 34/172/65, გასათხოვარი, სუფთა წარსულის, სიმპათიური, სოფლიდან. მხოლოდ დაოჯახების მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ მამაკაცს.
5. ვარ 35/167/63, ბინით უზრუნველყოფილი, სუფთა წარსულის მქონე, ქუთაისელი მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე ასაკის, დასაქმებულ მამაკაცს.
6. ვარ 32 წლის, გასათხოვარი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ასაკის, დასაქმებულ,

- ბულ, სერიოზულ ადამიანს.
7. ვეხმაურები წინა ნომრის, მე-18 მესიჯის ავტორს. ლიკა20.
  8. ვარ 34 წლის, სიმპათიური ქალბატონი. მინდა გავიცნო სერიოზული ურთიერთობისთვის, მუსლიმანი მამაკაცი. დანარჩენი — პირადად.
  9. ვარ 37 წლის ქალი, პუტუნა, მყავს შვილი, ვცხოვრობ კახეთში. გავიცნობ 45 წლამდე ასაკის მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით.
  10. შემეხმებოდნენ 40-ს გადაცილებული, თბილისელი, ამჟამად უცოლო, სიმპათიური მამაკაცი. ვარ საშუალო სიმაღლის, ქერა, განათხოვარი, თბილისელი, თბილი, ერთგული ქალი. არ ინანებთ.
  11. გავიცნობდი მხოლოდ თბილისელ, ამჟამად უცოლო, დასაქმებულ, 42-48 წლის მამაკაცს. ვარ ნორმალური გარეგნობის, თბილი, ერთგული, მორწმუნე, განათხოვარი, თბილისელი.
  12. ვარ 45 წლის, განათხოვარი. ამბობენ, რომ ლამაზი ვარ. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს 50 წლამდე ასაკის მამაკაცი. სასურველია, იყოს ქვრივი. მაქვს უმაღლესი განათლება.
  13. ვარ 25 წლის გოგო, მოსიყვარულე და ვნებიანი. მინდა,

მობილი-ზაცია



19. ვარ 35 წლის, სიმპათიური მამაკაცი, სპორტული აღნაგობის, დასაქმებული. მინდა გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით, კარგ ოჯახში აღზრდილი ზრდილობიანი მანდილოსანი, 25-30 წლამდე.
20. ვარ ცოლს გაცილებული. მინდა, ლამაზი ოჯახი შექმნა. ვარ 35 წლის. გავიცნობ კარგ, ზდილობიან მანდილოსანს, ქმარს გაცილებულსაც. გიორგი 2008.
21. გავიცნობდი თამუნას.
22. ვეხმაურები თბილისელ, 34 წლის, 170 სმ სიმაღლის ქალს. ვაკმაყოფილებ თქვენს ყველანაირ მოთხოვნას. სურვილის შემთხვევაში დამირეკე. ემზი.
23. გავიცნობ ქრისტიანული, ბედნიერი ოჯახის შექმნის მიზნით, მორწმუნე, მართლმადიდებელ, ღმრთის სიყვარულით სავსე, ჩემსავით ღმერთზე მინდობილ მანდილოსანს.
24. ვარ მაღალი, სიმპათიური, დასაქმებული. მინდა თბილი და ტკბილი ოჯახის შექმნა. გამომეხმაუროს ის, ვისაც თბილისში ბინა აქვს და ჭკვიან ქმარს ეძებს. ჯიხვი38.



მომენტრეთ. აუ, გუ-ათენო, სად ხარ? შეგეშინდა და იმიტომ არ მოდიხარ ზღვაზე? აუ, არადა, როგორ ვილკებს ითხრიდა?! წავედი ახლა, ყველანი მაგრად მიყვარხართ. ათენი-23.

- სალამი, ათენელო მგზავნელებო, გუ-ათენ, ნუ გაგვირბიხარ. უკარება, გილოცავ ძმის იუბილეს. გეხუტეთ სუყველას. მაგვალაკი.

- გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში, ტყემ მოისხა ტაშტით — ფელამუში. ვოტ ტაკ! უჰ, მართლა, ფელამუშა, ძალიან საკალელი ხარ. ეს ლექსი — შენ. უკარება.

- ვაიმე, მარიკო, დღეს ჩემი მესიჯი ვერ ვიპოვე „გზაში“ და ცოტა გული დამწყდა. ახლა მივაგენი და იცი, რამხელა დამეკვილა, სიხარულით? გაიხარე, რომ გამახარე. ნენი. ისე, ჩემი უსაყვარლესი ადამიანი შენი სეხნიაა, ეს ერთი. მეორეც, ერთ მარი ჯაფარიძეს მეც ვიცნობ და შენი ნომერი ტელეფონში „ანგელ“-ით მიწერილია. ნეტავ, რატომ? ნენი.

- როგორც ამბობენ, ყველას და ყველაფერს ნიჭი უნდა. მეც ასე დამემართა. ნიჭი არ მქონია, ნიკი რომ შევირჩიე — ტატუსია. ახლალა მივხვდი, შევეცადი. კომბლე უნდა დამერქმია და იცით, რატომ? გადავიცვი ექიმის ეგრეთ ნოდებული თეთრი ხალათი, „გზას“ და მარი ჯაფარიძეს, კომბლით ხელში მივადექი და ვთხოვე, ბატონ კობრასთან შემიშვი-მეთქი. ბოლოს, მარი დაფიქრდა და მითხრა — შენს მესიჯს არ ვბეჭდავდი და ახლა, შეცდომა რომ გამოვასწორო და გული აღარ დაგწყვიტო, მობრძანდი, ჩემო ტატუსიაო.

- 21 ივნისს ჩემი დაბადების დღე იყო... ძველები წავედით, ახლები მოხვედით... ნეტავ, ვინმეს საერთოდ, ვახსოვარ? მაფიოზ, ჩემი ნომერი დაითრიე, რა... ლუციფერი.

- ყველაზე ძნელი ამ ქვეყნად, მარტოობაა. საშინელი სასჯელია. როგორ ენატრება

ტასიკოს შენი დანახვა, იცი, კომბლე? გაკოცე. ტასიკო.

- მთელ კაცთა მოდგმას ერთი ანჩხლი ქალი ჰყოლია და ყოველ მამაკაცს ის თავისი ცოლი ჰგონია...

- ამ მომენტისათვის აბონენტი მიუწვდომელია, დარეკეთ მოგვიანებით... და როდის-ლაააააა?! ჰაააააააა?! უჰ, ლუნა, რატომ მომატყუე, ჰა? შენც ჩემსავით აფერისტი ყოფილხარ. ეკა.

- ჩემს ნიკუმას შემოველოს ეკა დეიდა. ჩემი სიყვარული ბაია ხარ, ჩემი დაუდებარა! შემოგველე! P.S. ლიკ, აღარ შეგაგინებ დედას, გეფიცები. მაგარი ჯიგარი ხარ.

- განძის მაძიებელო, გინებით მაშინებ? ისე გაგინო, 9 თაობა დებილი გეყოლოს. გული არ გამიხეთქე?! ჩაკვდი, ჩმორო გრუზინკა! რა მაქვს დასამალი? ჩემი ნიკია — კავალ.

- ვილაცამ ცილი დამნამა, მარიამულსა თათხავსო, იქნებ სახელი დანერო, თუმც არ დაგინყებ, კამათსო. მე არაფერსაც არ ვკარგავ, იუმორს ვახმარ, კალამსო. მის რეალი.

- მატნელების ქომაგების გაცნობა მინდა. გამეცნობი? განცხადებებში წერია ჩემი ნომერი. სალი, თუ ბუშმა დაბომბა ჩემი ერაყი, იცოდე, ჩაგკოცნი. ვიმალები, გოგო. გრუზინკა.

- იქნებ თქვა, ვინ ხარ, მე და კახელ სალომეს ჭკუას რომ გვარიგებ? თუ გრცხვენია ნიკის მინერა? თუ ჩემგან რამე გეწყინა, პირდაპირ თქვი და ჩუმჩუმად ნუ მკბენ. მის რეალი.

- კახელი სალომეს გაბრაზება არაა ადვილი საქმე. რაც შეეხება საყვედურს, მარიმ შესანიშნავად მიპასუხა. თქვენ კი, მეგრელები ხართ თუ რაჭველები? სად იყავით, აქამდე?

- უცნობო თუ ნაცნობო მეგრელო, კახურ სიტყვას კარგი გამგები რომ უნდა, არ იცოდი? ჩვენ ჩვენი აზრი დავაფიქსირეთ და შენთვის არავის უთხოვია, კომენტარი. მის რეალი.

- მანესტრო21, კარგი

იდება, ქალაქის გალამაზება. უკეთესი იქნება, გალაქტიკის დაპრობაზეც ვიფიქროთ. ხმამალალი ნათქვამი კია, მაგრამ ჩვენ ხომ მაგრები ვართ? ხომ ასეა? გრუზინკა.

- ფელამუშა, ქვაბი გამომიგზავნე, მეც მინდა ფელამუში. აფხაზეთის პრინცესავ, გილოცავ დაბადების დღეს. მიყვარხარ. ყველა ახალგაზრდობილ მგზავნელს მოვიკითხავ. გრუზინკა.

- „დილეთანტ გენიოსებს“ კიდევ 1 გენიოსი დაგვემატა. კახელონ16, შენც რომ უსაყვარლესი ხარ, ხვდები? ესპანეთის ფანებო, გილოცავთ! წინ უამრავი გამარჯვება გველის. მის რეალი.

- აუ, აზრზე ხართ? მე — არა. მარ, ჯიგარი ხარ! green girl, სალოლ, შენ! მარ, დიდი მადლობა, რომ არ გავინყდები. P.S. დედა, მიყვარხარ. :) პატარა მანენ.

- ცირა, მე აქ ვააარ! როგორც ჩანს, აქ ბევრი მაინც ვერ მამჩნევს. ზმიზმი, გენაცვალე, მამაგრად მიყვარხარ! P.S. დედა, მიყვარხარ! პატარა მანენ.

- ბოა, როგორ ხარ, შემოგველე? კარგი იყო, მონასტერში? ეჰ, რა ბედნიერი ხარ, მონასტერში რომ ცხოვრობდი. ღმერთი გფარავდეს. P.S. დედა, მიყვარხარ! პატარა მანენ.

- დილეთანტ-გენიოსური სალამი ჩემგან, კახელონ16-სგან, ყველას. თეთრი ვარდი, როგორც გინდა, სიხარულო. კიკოზე და მის რეალზე მეკვებება, ხალხოო! 9717 მაგარი კაცია.

- უკაცრავად და, მის რეალს ვინ აკრიტიკებს? გირჩენია, შენს თავს მიხედო. ლიკ, ყველას ნუ მიაქცევ, ყურადღებას. მაგარი ხარ! მარისთვის ცუდი არაფერი გითქვამს. გოგა ჩაჩი.

- გულში აგიგე სვეტიცხოველი, სანთლებს აგინთებს სამება, მაგრამ უშენოდ, დღეები, გიო, თითქოს ერთმანეთს აება. ნაც.

- ესპანეთის გამარჯვებას გილოცავ, მის რეალ. ჩვენ იტალიასაც ჩავუტარებთ. ჰო, მართლა, იმ ვილაცის ნაბოდვარს ყურადღება არ მიაქციო, შენსას მიაწევი. შენთან ვარ. კასი.

- 13.07-ო, ქუთაისი ლამაზი იუმორის ქალაქია და არა — შავი იუმორის. სირცხვილია, უცხო მინაზე ქართველი ქართველს სვავივით კორტინდეს. ვარდენ, შენთან ვარ. განძის მაძიებელი.



საყოფაღმოსავლეთო საყვარელი  
სისხლსცემს ვერ დაამარცხებ.

• გრუზინკა, crazy girl, ლუნა, ცირა, მის რაგბი, მე-სტრო-21, მგზავნელებო, ეს რამდენი მეგობრები მყოლისხართ? ჩემი გული თქვენ გეკუთვნით. განძის მაძიებელი.

• ჩემთვის სიყვარული ისეთი გრძნობაა, რაც არ აიხსნება და კიდევ, მე მიმაჩნია, რომ წრფელი გრძნობა ხვევნა-კოცნით არ გამოიხატება. პატარა მავნე.

• ელემენტარულად, სკვერში ველარ დამჯდარხარ. საითაც გაიხედავ... ფუუჰ, საით მიექანები, საქართველოვ? პატარა მავნე.

• ეს მაფიოზა რა კაციაააა! ჰეჰ, მარიიიი, დიიიდი, მადლობა, ჩემთვის შეუცვლელი ადამიანი რომ მაპოვნინე — ბაო-ბაო. პატარა მავნე.

• გაუმარჯოს, „მობილიზაციას“. როგორ ხართ? აუ, ხალხო, ვარძიაში ვიყავი, ექსკურსიაზე, ორდღიანზე. ძან მაგარი იყო, ყველას ვურჩევ მის ნახვას. ტრაგიკოსა, რატომ არ მიპასუხე?

• ჩუქჩა, მონასტრის ბიჭი, ლუციფერი, ლამურა, ნათიპი, პრინცესა, სტიქია, ხალხო, სააად ხაართ? პატარა მავნე.

• ჩაძირულთვალეებიანი ბიჭი როგორ არის? :) ვიცი, ახლა კითხულობს და ელიმება, შტერუკააას. :)

• ზემო ალვანში, თემოს მივმართავ. ვიცოდი, რომ ყოველთვის არაკაცი იყავი. რაო, შენი უტვინო ექსლოვე ანუკა დატოვე გალიმებული? მაგით ძალიან გამახარე. ალვანის პრინცესა.

• მე ბალი ვარ. ხშირად არ გწერთ, მაგრამ სულ ვკითხულობ. მინდა გითხრათ, რომ იშვიათია ნამდვილი იუმორი. მის რეალ და კახელო სალომე, ყველაზე მაგრები ხართ, მიყვარხართ!

• „გზავნილები“ ძალიან შეიცვალა. აღარ ამესიჯებენ ძველი მგზავნელები. რამდენიმე დარჩა და მასაც აკრიტიკებთ? მის რეალ, შენთან ვართ, მთელი კახეთი. რიგითი რეზერვისტი.

• ვარძიაში ჩვენთან ერთად ექსკურსიაზე კახელები იყვნენ. თუ რომელიმე მათგანი ხართ, შემეხმიანეთ.

• მაესტრო, ცხოვრებავ, რა იყო, ასეთი გამოუსადეგარი ვარ? თუ ჩემს ფუნქციაზე მეტი ამბიცია გაქვს? ვიმედოვნებ, ასეა, ცხოვრებავ, თორემ გავბრაზდი ძალიან. ლუნა.

• ბათუმელების საიტზე ვიყავი შესული და ძალიან საყვარლები ხართ. რა უნდა დამენერა, დამავინყდა. ერთი სიტყვით, მიყვარხართ ყველა. ცირა.

• რა მოწყენილობააა?! მოვიწყენე! ბავშვებო, თქვენ როგორ დროს ატარებთ? ხომ მაგრად ხართ? მალე დაინყება გამოცდები. ვინც ეროვნულზე გადიხართ, ყველას წარმატებები. ცირა.

• მოგესალმებით ყველას. გმადლობთ, ძვირფასო ლუნა, რომ თქვენთან შემომიპატიეთ. ერთი მითხარით, ქუთაისელები რომლები ხართ? ქუთაისელი, ჯიგარი ლომუა ვარ.

• ისე, სალოლ, ყველა მაგრები ხართ, მაგრამ რომ კინკლაობთ, ცოტა ტეხავს. მე ამას ჩემს ქუთათურებს ვუბნები და იმედია, არ მინყენთ. ჩვენ ხომ ქუთაისელი ჯიგრები ვართ? ლომუა.

• ხალხო, ქუთაისი რომ ვაჟკაცური გაგებისა და ჩახუტების ქალაქია, ეს სადავო არაა. ჰოდა, ყველას გულით მიგიღებთ, ქუთათურები. აბა, მაგრად, ჯიგრებო. ლომუა.

• crazy-girl, დუელში მიწვევ? ჰმ, მე მხოლოდ კახასკენ მივმართე ჩემი კომპასი და სხვები არ მაინტერესებს. განძის მაძიებელო, გატოცე ბელი-ბელი, ყველას ჯინაზე. მჰუა, ვინმე.

• განძის მაძიებელი ჩემი ძმადნაფიცია, ერთგული და უღალატო ბიჭია. კახა, გებუტუნე გულუკაში, ძამიკო, დღესაც დაგირეკავ. ახლა ქუთაისში წვიმს. გკოცნი, შენი დიკო, ლინა.

• მგზავნელებო, ძალიან მიყვარხართ! ყველანი განურჩევლად კარგები ხართ. დაგვიანებული მადლობა ამაზონკასა და მის რეალს. გზავნილ-პოლიტიკურ სიაში ვერმომხვედრილი კამელია.

• მის რეალ, შენი ნაყიდი „ტორნადო“ და ჩიპსი შემერგო, დიიდი მადლობა. კიკო და ბუბუსიკა, გამოცდებში წარმატებებს გისურვებთ. 9717, როდის დავთვრეთ? კახელო-616.

• აუ, მარ, რომ იცოდე, რა ჯიგარი ხარ! დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს მესიჯს დაბეჭდავდი და „კე-რე-ნეს“ დაარქმევდი. მინდა, მოვიკითხო ყველა მგზავნელი. ძველები დაბრუნდით!

• ძალიან მაინტერესებს განძის მაძიებლის, ლეო91, მაესტრო-21 და ბოხოს ფოტოები. რა მაგრად წერენ და რა მორცხვები ჩანან (აბა, სახეს რად მალავენ, რათაო? მარ, დაბეჭდე, რაა...

• ანარქია, ლამაზი ყოფილხარ. ვარდენ, მაგარი ეშმაკუნა ჩანხარ. უკარებავ, მესიმპათიურე, პატარავ, ბოტოტ, ძალიან ბავშვური ხარ, გმადლობთ ფოტოები-

სა და წერილებისთვის, მიცანით? • კახ, მიყვარხარ! იცოდე, რომ ამქვეყნად ჩემსავით ვერასოდეს ვერავინ შეგიყვარებს. მიყვარხარ და კიდევ ერთხელ მიყვარხარ! კალა.

• პირადი წყენა დავძლიოთ! თუ ვინმეს ვინმეს ჯიბრი აქვს, გამოვიტანოთ დასკვნები, ვის ვისზე მეტი ტვინი აქვს. ვინცა მეგრელს ვწერ, ამ მესიჯს.

• ეგოისტკა, არ ვიცი, რა გითხრა, მე მჯერა მისი, თუმცა ყველაფერი შენი გადასაწყვეტია. p.s. 13.07, მაესტრო, ashley, დუჩი, ძან მიყვარხართ! რომტარიროო, რამტარიროოო... :) ნიკოლი.

• მარიკო, ნიკი რატომ არ მიანერე ჩემს მესიჯს? მოვიკითხავ მგზავნელებს. ილინ, შეგიძლია, მომწერო, არაფერია მანდ, მოსარიდებელი. ცუდია, იმედის გაცრუება. დუჩი.

• ლიმონა, ჩორი, კიკო, ბაო-ბაო, ნიკოლი, ნათათო, ვერმახტი, აპოლონი და მაესტრო, ჯიგრები ხართ. ათენი23, ჩემი უსაყვარლესი ძამიკო ხარ. გაფასებ. უფალს ებარებოდეთ. დუჩი.

• 13.07.-ს: თუ თქმის შნო გაქვს, პირადაპირ უთხარი, რისი თქმაც გინდა და არა — საქვეყნოდ. ვარდენა უფრთო ანგელოზი და თავსხმა გოგოა, შენ კი ვინ ხარ? გრუზინკა.

• როგორ ხართ, მგზავნელებო? green girl, ამ დღეებში ელფოსტაზე მოგწერ. ქუთაისელო მგზავნელებო, მანაველი მეყოლება სტუმრად.

• გრუზინკა, მაგრად გაფასებ. თუ მესტუმრები, გამიხარდება. თუ არა — შენს სადღეგრძელოს როცა დავლევთ მე და მანაველი, დაგირეკავ და შენ მოგვიჩახუნე, მანდედან. ქუთათური.

• — ლეო, შვილო, აბა, მაჩვენე რუკაზე აფრიკა. — ა! — აზია? — ა! — აბა, ქუთაისი... მივიდა ფანჯარასთან, გასწვია ფარდა და — ა, ქუთაისი. ოლეგარიო.

• ჰოდა, ჯეჯე, სომხეთიდან არც მე ვარ, ჩემთვისაც ქუთაისი საქართველოა, გენც. მე და აპოლონი ბათუმელებს ხოხ, რას ვუმზადებთ! :) დაინტრიგდით და რამე? :) ჰუ, ჰუ! :) green girl.

• მიფრინავს ორი ნიანგი. ერთი მარჯვნივ, ერთი — პარასკევს; ერთი ლურჯია, მეორეს — ეჩქარება. რა ღირს ერთი კილოგრამი შაქარი, თუ მატარებელს გაიკა მოსძვრა? აბა, ვინ გამოიცნობს? ჯეჯე.

• მაინც ვერ მივხვდი, განძის მაძიებელს ზოგი დებილი რას ერჩის? თუ წერის ნიჭი აქვთ, მარის მისწერონ საინტერესო ამბები და მათაც განძის მაძიებელივით შევიყვარებთ.

• პირველად ვამესიჯებ. აბა, როგორ მიმიღებთ? გვეუფუტეთ ყველას, თუშებს კი ყველაზე მაგრად... თუში-მარი.

საქართველო



• გული სიყვარულს საოცრად ეძებს, მენატრები და თვალებით გეძებ, ფიქრში უშენოდ წამითაც ვერ ვძლებ, მე უშენობას ვერასდროს შევძლებ. გუდუნა, ჩემო სიცოცლევ, მაგრად მიყვარხარ და მაგრად მენატრები. ჩემი ცხოვრების აზრი ხარ. ათენი-23.

• ალუდა სეთურიძე, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, ჩემი ცხოვრება ხარ. ვგიჟდები შენზე, მაგარი კაცი ხარ. თავს გაუფრთხილდი, მე და ნიკუშას ძალიან გვჭირდები. ცონე.

• დიდი სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს. შენს ზღვისფერ თვალს მინდო გული. დათუნის ბელი ხარო... მიყვარხარ. ნაც.

• ანტონ გოგიაშვილო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ვიცი, შენც ძალიან გიყვარვარ, მენდობი და ჩემი გჯერა. ღმერთი გფარავდეს. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ნინო.

დე, ძალიან. შენი შვილი, ნუნუ.

• 19 ივნისს, 4 წლის იუბილეს ვულოცავთ თიანეთში, დაჩი ზვიადაურს. გლოცავთ, ჩვენო პატარა ვაჟკაცო, ჯანმრთელი და ბედნიერი გამყოფოს უფალმა მშობლებთან და შენს დაიკოსთან ერთად. უზომოდ გვიყვარხარ და გვენატრები. შენი მამიკო გიორგი, ნინო მამიდა და მზია ბებო.

• ჩემო ლამაზო შვილო, თიკო, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, გაზრდილიყავი სასახელო და გაგებარებინოს შენი დედიკოს, მამიკოს და შენი და-ძმის გული. გკოცნი და მიყვარხარ. შენი დედა, თამუნა.

• ათენში მყოფ ეკა ქავზინაძეს ვულოცავთ გაბედნიერებას. ეკუ, უსაზღვრო ბედნიერებას გისურვებთ, შენ ამას ნამდვილად იმსახურებ. ძალიან გვიყვარხარ. ნათია, სოფო.

• ქეთულა ჯიმშიტაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ცხრათვალა მზეს, მზის შუქის ყველა ფერს, სიხარულს, სიყვარულს, ბევრს და მაინც გისურვებ ერთს, უზომოდ უყვარდე ღმერთს!

• ათენში, ნანა ლაგაზაურს ვულოცავთ დაბადების დღეს! მზია და ნანი.

• ქუთაისში, ქრისტინე მაცაბერიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 30 ივნისს. ყოველი დღე სიხარულით და სიყვარულით გამთბარი გაგიტენოს ღმერთმა, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. უფალი გფარავდეს. მზია და ძაკო მამასახლისი.

• ჩემს საყვარელ მეგობარს, მანანა ლომიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 27 ივნისს. სიხარულს, სიყვარულს და დიდ ბედნიერებას გისურვებ, შენს დაჩისთან და ყველა ახლობლებთან ერთად. ღმერთი იყოს

ბლებთან ერთად. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. მენატრებით და მიყვარხართ, დამიკოცნე დაჩი და მედიკო დეიდა. მოკითხვა გიორგის ყველა თანამშრომელს. დარეჯანი.

• მინდა, დაბადების დღე მივეულოცო ჩემს უსაყვარლეს დისშვილს, გიორგი გოფოძეს. ვუსურვო, რომ გაზრდილიყოს დიდი, სასახელო ბიჭი. აგრეთვე დაბადების დღე მინდა მივეულოცო დაგვიანებით, ჩემს სიძეს, თამაზ (ზიკო) გოფოძეს და ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე, ცოლ-შვილთან და ახლობლებთან ერთად. ნათია.

• ჩემს საყვარელ მეუღლეს, ალუდა სეთურიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. უსაზღვრო სიყვარული და ბედნიერება იყოს შენი ცხოვრების მეგზური. უფალი გფარავდეს, სიყვარულო. ცოკა.

• მარ, დაბადების დღეს გილოცავ, ბედნიერებას და ლამაზ მომავალს გისურვებ, ძვირფასო. ეკა-პპ.


• თეა თაყნიაშვილო, გილოცავთ დაბადების დღეს. შვილო, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ. დედა და მამა.

• თეა თაყნიაშვილო, 26 ივნისს გილოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერებას და დიდ სიყვარულს გისურვებთ, დაიკო. ზურა და ცირა.

• ზაზა, ძიკო, გილოცავ! სულ მწვანეზე გველოს და ყოველთვის ასეთი ძლიერი ყოფილიყავი, როგორიც ახლა ხარ. ძალიან მიყვარხარ! შენი სულელი დისშვილი, ანუკი (ლუნა).

• აჩი, გილოცავ დაბადების დღეს, 29 ივნისს! ნუ, თუ მართლა ამ რიცხვში გაქვს და არ მომბატყუე, გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებასა და ჯანმრთელობას. გულით გილოცავ ანუკი.

მობილიზაცია



• თინიკო კაკაბაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდ ბედნიერებას პირად ცხოვრებაში. თიკო, მაგრად მენატრები. გეფერები შორიდან. ნათია ნებიერიძე.

• ჩემს უსაყვარლეს დედას, ნაზიკო მაჭარაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. დე, გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, შენს შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთან შვილებთან ერთად. მენატრები

**ყურადღება!**

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს

გაქვთ საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება ყურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

# მოსი პალენდარი

## 6 ივლისი




კოცნის საერთაშორისო დღე  
 დღესასწაულებს შორის, ყველაზე საინტერესო დღესასწაულია, რადგან ამ დღეს ყველა მსურველს შეუძლია, თავისი უფლება გამოიყენოს და სასურველ ადამიანს აკოცოს. არავინ იცის, ვინ იყო პირველი კოცნის ავტორი, მაგრამ მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ის ისეთივე გამოგონებაა, როგორც ელექტროენერგია ან ტელეფონი. ჩემი ღრმა რწმენით, ვინც პირველად ტუჩები მოპრუნა, „მპუა“ თქვა და მეგობრის ლოყაზე სველი კვალი დატოვა, მას ალბათ სახელად „კოცნა“ ერქვა. ჰოდა, ამ „მოვლენას“ სწორედ მისი სახელი ეწოდა. ეს დღესასწაული პირველად დიდ ბრიტანეთში აღნიშნეს, ხოლო 2 ათეული წლის წინ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ის ოფიციალურად დაამტკიცა. დიიდი მადლობა ვის? გაეროს, რომ კოცნის ოფიციალური ნებართვა მოგვცა.

## მათევზის დღე

ამ დღის მილოცვა შეგიძლიათ მათთვის, ვისი ცხოვრებაც ამ მიმე, მაგრამ რომანტიკულ პროფესიასთანაა დაკავშირებული და მათთვისაც, ვისთვისაც თევზჭერა სპორტი, ჰობი ან სულაც, სულის საგანგებო მდგომარეობაა. ასევე მიულოცეთ მათაც, ვისაც სხვისი დაჭერილი თევზის „ჩინძ-ძმარში“ ოსტატურად ჩაწყობა შეუძლია, ვისაც უბრალოდ, ანკესის გადაგდება ეხერხება (ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს, რა მიზანს ისახავს) ან თევზივით პირში წყალი აქვს ჩაგუბებული.

## 13 ივლისი



## ჰოთ-დოგის საერთაშორისო დღე

2007 წლის 18 ივლისს ზუსტად 50 წელი გავიდა, რაც ამ დღესასწაულს ოფიციალურად აღნიშნავენ. აი, 1994 წელს კი ამერიკაში სოსისა და ჰოთ-დოგის ნაციონალური საბჭო შეიქმნა, რომელმაც სპეციალური კანონებიც შეიმუშავა: 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდას ეკრძალება ჰოთ-დოგზე კეტჩუპის მოსხმა; აკრძალულია ჰოთ-დოგის ჩანგლით ჭამა (ხინკალივითაა, რა!); თუ ჭამის დროს თითები კეტჩუპით დაგესვარა, მისი დაბანა დიდ დანაშაულად მიიჩნევა — თითები უნდა გაილოკო. გილოცავ ჰოთ-დოგის დღეს და თითების წარმატებით გალოკვას გისურვებ (თუ უკვე 18 წელი შეგისრულდა, რალა თქმა უნდა).

## 18 ივლისი




# 21 ივლისი

## ზღვის დღე

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას“...

რა თქმა უნდა, ეს სიტყვები იაპონური სიმღერიდან არაა, მაგრამ ზღვის დღესასწაული იაპონიაში „გამოიგონეს“. სწორედ რომ „სეზონური“ დღესასწაულია. ამ დროს ბევრი თქვენგანი ინებივრებს ზღვის ტალღებსა თუ სანაპიროზე... გილოცავთ და ზღვა მომიკითხეთ...



# 27 ივლისი




## ვაჭროვის მუშაკთა საერთაშორისო დღე

ვაჭრობასა და ალემ-მიცემობას ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საბაზრო ურთიერთობის განვითარების შემდეგ, გამყიდველის ხელობა ერთ-ერთ ყველაზე საჭირო პროფესიად გადაიქცა. ვულოცავ ყველა მათგანს პროფესიულ დღესასწაულს და გპირდებით, რომ ამ დღეს არაფერს ვიყიდი — ნაკლები დატვირთვა გექნებათ.

# 30 ივლისი

## რევოლუციით ტანჯული ხალხის დღე

ვინ, თუ არა ჩვენ, ქართველებმა, ვიცით, რას ნიშნავს ეს დღესასწაული და რაოდენ მნიშვნელოვანია მისი აღნიშვნა. პატრონი არ გვყავს, თორემ ეს დღე ნაციონალურ დღესასწაულად უნდა ვაქციოთ და ნელინადში რამდენჯერმე ვიზეიმოთ. მაგალითად — 25 ოქტომბერს (7 ნოემბერი ახ. სტ.) სოციალისტური რევოლუციით ტანჯული, ხოლო 3 ნოემბერს ვარდების რევოლუციით ტანჯული ხალხის დღე უნდა ვიზეიმოთ და მთავრობას რამდენიმე შადრევნის გახსნისა და რიყეზე შაკირას ან რუსლანას უფასო კონცერტის ჩატარების უფლებაც მივცეთ, რევოლუციით ტანჯულ გულებს მაინც გავიხალისებთ. ყველა ქართველს ვულოცავ ამ მნიშვნელოვან თარიღს და რიყეზე შეხვედრამდე გემშვიდობებით.



# “შირხანდო უფროს ზღვარზე უფლებებშიც მას დედა”

დოკუმენტი, რომელსაც ქვემოთ გაგაცნობთ, ხელში სრულიად შემთხვევით ჩამოვარდა. როგორც მისმა მფლობელმა მითხრა, ეს წესდება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ერთ-ერთი სამინისტროს დეპარტამენტის ახალბედა შეფს შეუდგენია და მდივნისთვის უბრძანებია, რომ ჩარჩოში ჩასმული მთელი დეპარტამენტის კედლებზე გაეკრა. ჩემი აზრით, ამ ნაბიჯით, მას სიმკაცრის გამოვლენა და მასავით „ახალგაზომ-ცხვარი“ მთავრობისთვის თავდადებისა და ერთგულების დამტკიცება სურდა. საბედნიეროდ, ვილაც მასზე ქვეყანი აღმოჩნდა და ურჩია, ეს ადამიანის უფლებების შემლახავი დოკუმენტი გაენადგურებინა, ვინაიდან ამის გამო შესაძლოა, დაეჭირათ კიდევ რადგან ახალი მთავრობა დემოკრატიას ანებობდა“. წესდების ერთი ეგზემპლარი მდივანს ყოველი შემთხვევისთვის შემოუნახავს და შესაძლებლობა გაძლევათ, თქვენც გაეცნოთ (სტილი დაცულია).



1. გირჩევთ, ხელფასის შესაბამისად ჩაიცვათ. თუ ძვირფასი ტანსაცმელი გაცვიათ, ე.ი. თქვენი საქმეები კარგად მიდის და ხელფასის მომატებას არ საჭიროებთ. თუ ცუდად იცვამთ, ფულის ეკონომიურად ხარჯვა უნდა ისწავლოთ. ამიტომ, ხელფასის მომატება საჭირო არ არის. თუ საშუალოდ იცვამთ, ფულს სწორად ხარჯავთ და ხელფასის მომატება არ გჭირდებათ.
2. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ექიმის ცნობას ავადმყოფობის შესახებ არ მიიღებს. თუ ექიმამდე მისვლა შეძელით, სამსახურში მოსვლაც შეგეძლოთ.
3. აკრძალულია ყოველგვარი ქირურგიული ოპერაციის გაკეთება. ვიდრე ჩვენთან მუშაობთ, ყველა ორგანო გჭირდებათ და რომელიმეს ამოკვეთა

- გვერდობა. ნებისმიერი ოპერაცია შესაძლოა, გათავისუფლების საფუძველი გახდეს. პრეტენზიები არ მიიღება.
4. ყველა თანამშრომელს პირადი საქმისთვის შეუძლია გამოიყენოს პერსონალური დასვენების დღეები, რომლის რაოდენობაც წელიწადში 104 დღით განისაზღვრება. ეს არის ყოველი კვირის შაბათი და კვირადღე.
5. შვებულებით ყველა თანამშრომელი ერთდროულად ისარგებლებს. შვებულების დღეებია: 1-ელი იანვარი, 8 მარტი, 3 ნოემბერი.
6. ახლობლის გარდაცვალება არ არის სამსახურის გაცდენის საბაბი. ჩვენ ვერ გავაცოცხლებთ მიცვალებულს. უკანასკნელ გზაზე მათ უმუშევარი ახლობლები გააცილებენ. თანამშრომლის გათავისუფლება მსგავსი მიზეზის გამო მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში მოხდება.

## მოკლე ჩართვა

### რა სიასტა ვისურვებდი „გზაში“

- „გზაში“ სიასტა ის მინდა, კვირაში სამჯერ მაინც გამოდიოდეს და მარი, შენ რომ წერ ხოლმე სასაცილო აფორიზმებს, იმ დაჭყეტილი ბავშვის ნაცვლად, შენი სურათი ჩასვა, რაააააა!
- „გზა“ ისეთი მომწონს, როგორც არის. მინდა, მადლობა გადავუხადო „გზის“ თითოეულ თანამშრომელს, იმიტომ, რომ ასეთი მაგრები არიან. მათი ძალისხმევით, პირადად მე, სამყაროს ნათელ ფერებში ვხედავ. მადლობა, ასეთი კარგები რომ ხართ. მარი კი სულ სხვაა... გრუზინკა.
- „გზაში“ ვისურვებდი შენს სურათს, მარი უპ, რა სასიამოვნო სიასტა იქნებოდაააააა ახალი ყველაფერი კარგია, მაგრამ „გზა“ იმიტომ არის განუზომებელი, რომ სიასტეები მოსაბერებლად არ ძველდება ხოლმე თაისი“.
- სიასტა არ იქნება, მაგრამ ვისურვებდი, ისევ დაბეჭდილიყო „გზავენობაში“ მგზავენობა ინტერვიუები. მაგრამ მაინტერესებს მათი ნახვა. აბეზარა.
- „გზას“ სიასტედ ჩემს თავს ვუსურვებ. ახალი ვარ და გილოცავთ, ჩემს მობრძანებას. არ გენყინოთ, უბრალოდ, მიხარია. დედისერთა.

7. სამსახურის გაცდენის მიზეზი შესაძლოა გახდეს მხოლოდ თქვენი გარდაცვალება, რის შესახებაც 2 კვირით ადრე უნდა გაგვაფრთხილოთ.
  8. ვინაიდან თანამშრომლები დიდ დროს კარგავენ ტუალეტში, გადავწყვიტეთ, შემოვიღოთ გარკვეული საათები. თანამშრომლები, რომლის გვარიც „ა“-ზე იწყება, ტუალეტით ისარგებლებენ 10-10:20 საათებში, „ბ“ — 10:20-10:40 და ა.შ. კაბინით სარგებლობის დრო განისაზღვრება 3 წუთით, რომლის გასვლის შემდეგ გაისმება სიგნალი და ვალდებული ხართ, გამოხვიდეთ.
  8. გამხდარ თანამშრომლებს უფლება აქვთ, სადილს ნახევარი საათი დაუთმონ, რომ კარგად დანაყრდნენ. საშუალო აღნაგობის თანამშრომლებს — 15 წუთი, ხოლო მსუქან თანამშრომლებს 5 წუთი.
- გმადლობთ, რომ წესდებას გაეცანით!

# pirveli sabWota `oskarosani~ zemo veris quCebSi darboda...

კინოს სამყაროში მოღვაწე ბევრმა ადამიანმაც კი არ იცის, რომ პირველი საბჭოთა „ოსკაროსანი“ — ჩვენს ქალაქში დაბადებული-გაზრდილი კაცი გახლდათ. კომუნისტური რეჟიმისთვის სრულიად „უცხო ხელი“ — ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო 1943 წელს, ძირძველ თბილისელს, ლეონიდ ვარლამოვს სედა წილად, სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისთვის — „მოსკოვის მისადგომებთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურება“. ამ „თეთრი ლაქის“ წასაშლელად, შემოქმედის დისშვილს — ალა მდივანს შეეხვედით და მისი სახელოვანი ბიძის შესახებ ინტერვიუ ვთხოვეთ.



მანამდე, ამ სურათის ლეონიდ ვარლამოვი სტალინური პრემიით დააჯილდოეს

## არჩილ ყუშარაძე

— ქალბატონო ალა, თქვენი ღვიძლი ბიძის მიერ „ოსკაროს“ მოპოვების გარემოებებთან დაკავშირებით, ჩვენში ბევრი არაფერია ცნობილი, მათ შორის, არც ის, რომ ბატონი ლეონიდი ტრადიციული თბილისური ოჯახის შვილი იყო. იქნებ, თავდაპირველად, რამდენიმე სიტყვით ვარლამოვების შესახებ მოგიყვებო.

— რაკი ტრადიცია ასხენეთ, მეც „ტრადიციული“ შესავლით დავიწყებ: XX საუკუნის დასაწყისში თბილისელი ინჟინრის, ვასილ ვარლამოვისა და მისი მეუღლის — ნინა ბაბახანიძის ოჯახში 3 ბავშვი იზრდებოდა: 1904 წელს დაბადებული დიმიტრი, მასზე 3 წლით უმცროსი ლეონიდი და დედაჩემი — 1912-ში დაბადებული ოლგა. ისინი საუცხოო უბანში — ზემო ვერაზე, ხოშტარიას ქუჩაზე მდებარე პატარა, მაგრამ ძალზე მყუდრო ბინაში ცხოვრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე წლები იდგა, ამ ოჯახში სიტბო, სიყვარული, უფროსებისადმი პატივის-

## რეჟისორი, რომელმაც სტალინური პრემია და ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო ერთ „ყულაბაში“ მოაქცია

ცემა და პატიარებისადმი სათუთი დამოკიდებულება სუფევდა. ბავშვების აღზრდაში დიდ როლს ასრულებდა ბებია (ვასილის დედა) — ელისაბედ აბდუშელიშვილი, რომელიც მათ სამშობლოს სიყვარულს, ღირსების გრძნობას, პატიოსნებას უღვივებდა. ოჯახის კარი მუდამ ღია გახლდათ სტუმრებისთვის, რომელთა შორის უამრავი საინტერესო ადამიანი, ინტელიგენციის წარმომადგენელი იყო. თბილისური სულისკვეთებით აღზრდილები, მიტო და ლიონია (როგორც მათ ცხოვრების ბოლომდე მეგობრები მიმართავდნენ), ჯერ ლევანდოვსკის სახ. გიმნაზიაში, შემდგომ კი №49 სკოლაში სწავლობდნენ (ამ სკოლის შენობა დღესაც თითქმის უცვლელად დგას, ბარნოვის ქუჩაზე).

თა წლებში, არამედ დღესაც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი გახლავთ. მათთვის ამით დაიწყო ძალზე საინტერესო, მრავალფეროვანი, ბობოქარი და ამავე დროს, სიმწვანებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება.

### — სკოლის დამთავრების შემდეგ, რა გზა აირჩიეს? თავიდანვე მოსკოვში წავიდნენ?

— როგორც დედაჩემი იხსენებდა, ძმები ადრიდანვე მიზანსწრაფულობით, ნებისყოფით, მრავალმხრივი ინტერესით გამოირჩეოდნენ. მათ გადაწყვიტეს, სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვში წასულიყვნენ და ე.წ. „ვეგიკში“ (ВГИК), კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში ჩაირიცხნენ. მოგესხენებათ, ეს არა მარტო საბჭო-

### — ლეონიდ ვარლამოვის შემოქმედების პიკი XX საუკუნის 40-50-იან წლებზე მოდის. მანამდე როგორ წარმოართა მისი პროფესიონალური ბიოგრაფია?

— მან 1931 წელს დაამთავრა ინსტიტუტი, დოკუმენტური კინოს რეჟისურის განხრით. თავდაპირველად, კინოქრონიკოსად მუშაობდა, იღებდა კინოჟურნალებს, შემდეგ კი გადაიღო ფილმები: „ვეშაპების ბრძოლა“, „მფრინავები“ (1938 წ.), „სტალინგრადი“ (1940 წ.), „გამარჯვება სამხრეთში“ (1944 წ.), „პოლონეთი“ (1946 წ.), „ჩინეთის სამხრეთით“ (1950 წ.), „მებრძოლი კონგო“ და სხვა.

### — ახლა კი ჩვენი საუბრის მთავარ თემას — „ოსკაროსან“ ფილმს მივუბრუნდეთ. ეს სურათი უამრავი ჯილდოთი აღინიშნა და შემოქმედს დიდი წარმატება მოუტანა.

— დიას. ამ ფილმზე მუშაობა ქვეყნისთვის საბედისწერო დროს მიმდინარეობდა: გერმანიის ჯარები უშუ-



ალა მდივანი



ლეონიდ ვარლამოვი გადაღების დროს



კადრი „ოსკაროსანი“ ფილმიდან

ალოდ მოსკოვს უახლოვდებოდნენ. 1941 წლის ნოემბერში სტალინმა მიიღო გადაწყვეტილება, მოსკოვისთვის ბრძოლის ამსახველი ფილმი შეექმნათ. მან პირადად შეარჩია რეჟისორი — ლეონიდ ვარლამოვი. გადაღებებში სულ 15 ოპერატორი მონაწილეობდა, მათ შორის, იმ დროს თუ მომავალში სახელგანთქმული კინემატოგრაფისტები: რომან კარმენი, ივან ბელიაკოვი, მარკ ტროიანოვსკი და სხვები. მათ ძალზე მძიმე პირობებში უწევდათ მუშაობა: 30-გრადუსიანი ყინვა ხშირად აზიანებდა კამერებს, იმტვრეოდა გადაღები ტექნიკა, ილუპებოდნენ ოპერატორები... ფრონტიდან მოსკოვში ჩატანილ ფირს დაუყოვნებლივ ამჟღავნებდნენ და სამონტაჟოში გადააქონდათ. მონტაჟი უწყვეტად, გაყინულ ოთახებში, დღე და ღამე მიმდინარეობდა. ჯგუფის წევრები დაბომბვის დროსაც კი არ ჩადიოდნენ თავშესაფარში... 1941 წლის დეკემბერში სურათზე მუშაობა დასრულდა. ის ძალზე დიდი ტირაჟით დაიბეჭდა და ფილმი კინოთეატრებში 1942 წლის 23 თებერვალს უჩვენეს. ფირზე, გადამწვარი ქალაქები და

ლდათ საბჭოთა მეომრების, ხალხის გმირების საოცარი მაგალითები და თვალსაჩინოდ იყო ნაჩვენები, რომ სწორედ ამის შედეგად, მოსკოვი გერმანელთა ოკუპაციას გადაურჩა. ფილმში ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონია, აგრეთვე, საბჭოთა კომპოზიტორის, ბორის მოკროუსოვისა და პოეტ ალექსეი სურკოვის იმ დროისთვის ცნობილი სიმღერა — „მოსკოვის დამცველები“ ჟღერს... განსაკუთრებით საინტერესოა კურიოზი, რომელიც ამ ფილმის შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს უკავშირდება. სურათში შესულია 1941 წლის 7 ნოემბრის წითელ მოედანზე გამართული ალღუმი, რომლიდანაც სამხედრო ნაწილები პირდაპირ ფრონტის წინა ხაზზე მიემართებოდნენ. შესაძლო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, წინაღმეც, ალღუმის დაწყება დილის 10-ის ნაცვლად, ორი საათით ადრე გადაწყვიტეს. კინემატოგრაფისტები ამის შესახებ არ გაუფრთხილებიათ და ამ მიზეზით, სტალინის სიტყვით გამოსვლის სინქრონულად ჩაწერა ვერ მოხერხდა. არადა, თავად ბელადი, ამ ეპიზოდს უდიდეს მნიშვნელობას ანი-

ჭებდა. წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა სტალინისთვის იმის თქმა, რომ მისი გამოსვლა როგორმე, ხელახლა უნდა გადაედოთ!.. დანამდვილებით ვიცი (თუმცა, რუსულ პრესაში ამას მხოლოდ ვერსიად წარმოაჩენენ), რომ ეს მძიმე მისია ბიძაჩემმა იკისრა. სტალინი თურმე, ამ თხოვნას მშვიდად შეხვდა. მას უთქვამს: მზად ვარ, გავიმეორო სიტყვა იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს საუკეთესო ხარისხის დუბლის გადასაღებად იქნება საჭიროო. კრემლის სვეტებიან დარბაზში, ფანერისგან, მავზოლეუმის ტრიბუნის ნაწილი ააგეს და სტალინმა საგანგებოდ კინემატოგრაფისტებისთვის, ალღუმზე წარმოთქმული სიტყვა გაიმეორა. საინტერესოა ის, რომ იმ წელს, ნოემბერში, მოსკოვში სასტიკი ყინვა იყო და გარეთ გამოსვლის ეფექტის შესაქმნელად (გამომსვლელის პირიდან ორთქლი რომ გამოსულიყო), დარბაზში ყველა ფანჯარა გააღეს... აღსანიშნავია, რომ ფილმში ჩამონტაჟებული ამ ეპიზოდის „სიყალბე“ არა მარტო მაყურებელმა, არამედ ამერიკელმა კინოაკადემიკოსებმაც ვერ შეამჩნიეს... ფილმს — „მოსკოვის მისადგომებთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურება“ (ამერიკაში ის სახელწოდებით — „მოსკოვის საპასუხო დარტყმა“ გამოვიდა) 1942 წელს, ნომინაციით — „წლის საუკეთესო დოკუმენტური ფილმი“ — აშშ-ის კინოკრიტიკოსთა ნაციონალური საბჭოს პრემია მიენიჭა, ხოლო 1943 წელს ამავე ნომინაციით, საბჭოთა კინოს ისტორიაში პირველად — „ოსკარი“. მანამდე, ამ სურათისთვის ლეონიდ ვარლამოვი სტალინური პრემიით დააჯილდოეს, საერთო ჯამში კი, 1941-დან 1960 წლამდე, ამ პრემიის ხუთგზის ლაურეატი გახლდათ. გარდა ამისა, მას საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის და ჩინეთის არაერთი სახელმწიფო ჯილდო მიანიჭეს, ხოლო იუგოსლავიის მაშინდელმა მმართველმა — იოსიპ ბროზ ტიტომ მსუბუქი ავტომობილი უსახსოვრა.

— აშვარა, რომ ძალიან გიყვარ-



დიმიტრიმ ცოლად შეირთო ულამაზესი ქალი — მახიობი გაგანა ოკუნესკაია



დედაჩემმა ოლგამ ხანგრძლივი ცხოვრების გზა განვლო და შარშან, 95 წლის ასაკში გარდაიცვალა

დათ ბიძა — იმდენად საფუძვლიანად ფლობთ ინფორმაციას მისი შემოქმედების შესახებ...

— საქმე ის გახლავთ, რომ ლეონიდიც და დიმიტრიც ჭკუას კარგავდნენ დაზე — დედაჩემზე. იმ წლებში ჩვენ ხშირად ჩავდიოდით მოსკოვში. ჩემი ბიძებიც, მოუცლელობის მიუხედავად, თბილისში ჩამოსვლას მაინც ახერხებდნენ ხოლმე — დედა და და ხომ აქ ჰყავდათ... გარდა ამისა, ომის წლებში თბილისში ბევრი მოსკოველი ინტელიგენტი ცხოვრობდა. შემდგომშიც, ლეონიდისა და დიმიტრის შესახებ, ჩვენი მოსკოველი ნათესავებისგან, დედაჩემისა და ბებებისგან უამრავი საინტერესო ამბავი მომისმენია. ამას დაემატა ინფორმაცია, რომელსაც გაზეთებიდან ამოჭრილი სტატიები შეიცავს, ახლა კი ინტერნეტშიც ბევრი ცნობის მოძიება შესაძლებელია.

— როგორც ვიცო, თქვენი უფროსი ბიძა — დიმიტრიც სახელოვანი შემოქმედი იყო.

— დიახ. მიტო სამეცნიერო-პოპულარული კინოს ჟანრში მუშაობდა და მხატვრულ კინოშიც მოსინჯა ძალები: მისი გადაღებულია უფროსი თაობისთვის ცნობილი სურათი — „მეგობრები ბოშათა ბანაკიდან“, სადაც სახელოვანი მსახიობები — ნიკოლაი მორდვინოვი, სერგეი მარტინსონი, მიხაილ იანშინი მონაწილეობდნენ. სამეცნიერო-პოპულარული ფილმებისთვის, ის ლომონოსოვის პრემიით დააჯილდოეს, მის გულმკერდს რამდენიმე ორდენიც ამშვენებდა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებაც მიენიჭა. სამწუხაროდ, ორივე ძმა (განსაკუთრებით, უმცროსი) საკმაოდ ადრე წავიდა ამქვეყნიდან: ლეონიდი 1962 წელს გარდაიცვალა, დიმიტრი — 1969-ში.

— მათი პირადი ცხოვრების, ოჯახების შესახებაც მოგიყვებით.

— „ვგიკის“ დამთავრების შემდეგ, დიმიტრიმ ცოლად შეირთო ულამაზესი ქალი — მსახიობი ტატიანა ოკუნევსკაია, რომელიც ცნობილია ფილმებით: „დავით გურამიშვილი“, „ფუნთუშა“, „ცხელი დღეები“, „მაისის ღამე“. მათ

ქალიშვილი — ინგა შეეძინათ, რომელიც ამჟამად ქმართან, დიპლომატ ვიქტორ სუხოძრევთან ერთად, მოსკოვში ცხოვრობს. მეორე ქორწინებიდან მიტოს ასევე ქალიშვილი — ალენა დარჩა. ლეონიდის ვაჟი — ბორისი ამჟამად კანადაში ცხოვრობს, ქალიშვილი ნინა კი — მოსკოვში. მისი ქმარი, სახელგანთქმული დირიჟორი კირილ კონდრაშინი გახლდათ.

— თქვენი მრავალრიცხოვანი სანათესავოს ფოტოსურათებზე ლამაზი, კეთილშობილური იერის მქონე სახეები გვხვდება თვალში...

— დავიწყებ იმით, რომ მამაჩემი — ლეონიდი მდივანი სახელოვანი ოჯახის შვილი იყო: ბაბუამისი გენერალ-მაიორი ვიქტორ მდივანი (1865-1945) გახლდათ, ბაბუა დედის მხრიდან კი — ასევე გენერალი — ოტია დადიანი (1838-1941). ამგვარად, რომ იტყვიან, მამაჩემი სისხლით არისტოკრატი გახლდათ. ის მართლაც, რაფინირებული ინტელიგენტი იყო, რომელიც იმდენად დიდი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა, რომ მართალია, კომპარტიის წევრი არ ყოფილა, მაგრამ წლების მანძილზე, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სისტემაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა... დედაჩემმა ოლგამ ხანგრძლივი ცხოვრების გზა განვლო და შარშან, 95 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან ბევრი სიმწარე ნახა — რამდენიმე წელიწადში, თითქმის მიყოლებით, საყვარელი ძმები დაკარგა, 1966 წელს კი ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაეღუპა შვილი, ჩემი ძმა ვლადიმერი. სწორედ იმ პერიოდში, მოსკოვში სასწავლებლად წასვლას ვაპირებდი: თეატრალურ კარიერაზე ვოცნებობდი და შჩუკინის სახ. სასწავლებელში ჩაბარება მინდოდა, მაგრამ ჩემს

გეგმებს განხორციელება არ ენერა. არადა, სცენაზე, დრამატულ როლებზე, აპლოდისმენტებსა და თაყვანისმცემლების მიერ მორთმეულ ყვავილებზე ვოცნებობდი... საბოლოოდ, მათემატიკოსი გახვდი და წლების მანძილზე, ყოფილი საგეგმო კომიტეტის გამოთვლით ცენტრში, განყოფილების გამგედ ვმუშაობდი, ხოლო ამჟამად ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გახლავართ.



დიმიტრი (მარცხნივ) და ლეონიდ ვარლამოვი, მეუღლე ლუსიასთან ერთად




მამაჩემი სისხლით არისტოკრატი გახლდათ (ოლგა ვარლამოვა და ლეონიდ მდივანი)



ალა მდივანი შვილთან, მანანასთან და შვილიშვილებთან ერთად

# მძივლის ნიძახი



დასაწყისი „გზა“ №24-25

## სვება კვარაცხელია

გურამისა და მერის გამგზავრების დღეც დადგა. სახლში დილიდან დიდი ფაციფუცი შეიმჩნეოდა. ირაკლის სძულდა ასეთი რამეები, ადგილს ვერ პოულობდა. რადგან თავოც შინ იყო, მშვიდად იჯდა თავის ოთახში, ცდილობდა, შუშმჩნეველი დარჩენილიყო ოჯახის წევრებისთვის, განსაკუთრებით, მერის არ უნდოდა შეჩქოდა: ამ ქალის თვალები წონასწორობას აკარგვინებდა. ბრინჯივით იბნეოდა, როცა მის გამომწვევ მზერას აწყდებოდა. არადა, სადილის დრო ახლოვდებოდა. რაც ყველაზე მეტად ახლა ირაკლის უნდოდა, ჭამა იყო, მაგრამ რაც ყველაზე მეტად არ უნდოდა — სასადილო ოთახში ჩასვლა.

კარი გაიღო და ოთახში გურამი შემოვიდა.

— მაპატიე, რომ არ დაევაკუნე. საღამოს გამოსამშვიდობებელი წვეულება გვაქვს სასტუმრო „ტორნადოში“. თანამშრომლებმა თავი გაიგიჟეს, სხვანაირად არ გამოვაო. მოგიწევს წამოსვლა, — გაიღიმა გურამმა.

— მე რა შუაში ვარ? — ირაკლი წამოდგა და, როგორც იცოდა ხოლმე,

დოინჯი შემოიყარა.

- თავოც მოდის, ასე რომ...
- გასაგებია... სხვა არჩევანი მაქვს, რო? წამოვალ, რა გაეწყობა.
- ხუთ წუთში კი სადილზე ჩამოდი.
- რა თქმა უნდა.

მამაკაცმა ოთახში მიიხედ-მოიხედა, მარცხენა კუთხეში დამაგრებულ მონიტორს შეავლო თვალი, მერე უხერხულად ჩაახველა, რატომღაც მხრები შეათამაშა და ოთახიდან გავიდა.

სადილმა ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ჩაიარა, რადგან მერი არ ჩამოვიდა, თავის ტკივილი მოიმიზნა. ირაკლიმ შეება იგრძნო და მადიანად შეექცა, ბარბალეს მომზადებულ ხარჩოსა და შემწვარ დედალს. მთელი ამ ხნის განმავლობაში თავოს თვალი არ მოუცილებია მამაკაცისთვის, თითქოს რაღაცას ამონებდესო. შიგადაშიგ მზერა მის მკლავზე ამოსვირინებულ მორიელზე გადაჰქონდა.

— ცხრაზე გავალთ, — თქვა გურამმა, სადილობას რომ მორჩინე.

- ასე გვიან?
- ჰო, იმიტომ, რომ იქიდან პირდაპირ აეროპორტში წავალთ. რისთვის მოვბრუნდე უკან, აზრი არა აქვს.
- როგორც იტყვი, ჩემთვის რა მნიშ-

ვნელობა აქვს?! — დაეთანხმა ირაკლი და კბეხს აუყვავა.

თავის ოთახთან თავო დახვდა, კედელთან მიყრდნობილი.

— აქ რას აკეთებ? — შეეკითხა გოგონას.

— შენ გელოდები, — გაეკვლუცა თავო.

— მოხდა რამე? — არ შეიმჩნია მამაკაცმა.

— არაფერი, დალაპარაკება მინდა.

— მართლა? რაზე? — ირაკლიმ კარი შეაღო და გოგონა წინ გაატარა.

— ცხოვრებაზე, — ეშმაკურად უპასუხა თავომ და ასკინილათი შევიდა.

ირაკლიმ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი, გოგონას თავის ასაკთან შედარებით, უფრო ბავშვური მანერები ჰქონდა.

მერე თვითონაც უკან მიჰყვავა და ფანჯარა გამოაღო.

— აბა, გისმენ, — ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და თავოს წინ აესვეტა.

— თვალეებში რომ ჭინკები გითამაშებს, უთქვამს ოდესმე შენთვის ვინმეს?

— მოულოდნელად, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა გოგონამ.

ირაკლის გაეცინა.

— ნუ გეშინია, ისინი შენნაირებს არ ესმიან თავს, ძალზე უწყინრები არიან.

— მე კი მეჩვენება, რომ დამცინავად შემომცქერიან, ან არ მოვწონვარ, ან ძალიან ბავშვი ვგონივარ. ასეა?

— სიმართლე გესიამოვნება? — ჩაეღიმა მამაკაცს.

— არა, მაგრამ მაინც სიმართლე მირჩევნია.

— კარგი, გეტყვი — ერთიც და მეორეც.

ამჯერად ორივეს გაეცინა. საწოლზე ჩამოსხდნენ. საუბარი აენწყო. ირაკლი ეკითხებოდა, თავო პასუხობდა. გამოკითხა ბავშვობაზე, დედაზე, სწავლაზე, ამხანაგებზე, დაქალებზე, თაყვანისმცემლებზე...

— არის ერთი ბიჭი, არა უშავს, ისეთი. ცოტათი მომწონს. ხანდახან ვხვდები. საინტერესო ტიპია... წავა, რა, მაგრამ არ მიყვარს, უფრო ვერთობი.

— რატომ? გასართობი სხვა ვერაფერი ნახე? — უხეზად იკითხა.

— ჯერ ვაკვირდები, ისე კარგად არ ვიცნობ. სომ უნდა ვიცოდე, მართლა გულწრფელია თავის გრძობებში თუ სიმდიდრის გამო უნდა ჩემთან დაახლოვება?! — თავი ასწია თავომ და თამამად შეხედა თვალებში.

— ჰო-ო, მაგამი გეთანხმები. უცებ ვერ მოვიარე, რას გულისხმობდი.

— შენ?

— რა, მე? — ვერ მიუხვდა პირადი მცველი.

— შენ არ გყავს ქალი? შეყვარებული, საყვარელი...

— ა-ა! არა, ამ ეტაპზე თავისუფალი კაცი ვარ... თითქმის.

— სამაგიეროდ, მორიელი გყავს.  
 — რომელი მორიელი?  
 — აი, ეს, მკლავზე რომ გაზის, რატომ-  
 ლაც მგონია, რომ მდებდრობითი სქესი-  
 საა, — თავომ საჩვენებელი თითი სვირ-  
 ინგს ფრთხილად შეახო.  
 მოუჩვენა, რომ მორიელი შეირხა და  
 კუდიც შეარხია. შეშინებულმა ხელი  
 სასწრაფოდ უკან გასწია.  
 — რა იყო, ქვეწარმავლების გეშინია?  
 — საშინლად.  
 — მაგრამ ეს ხომ ნახატია.  
 — შენ წარმოიდგინე, ნახატისაც კი  
 მეშინია, უცნაური გრძობა მეუფლება,  
 უფრო ალბათ, ზიზღის.  
 — ჰო... არის ასეთი ფობიაც.  
 — რატომ არ მოგყავს ცოლი? ასე  
 მგონია, ქალებს უფრთხი. მართალი ვარ?  
 — ვუფრთხი? რატომ გადანყვიტე ასე?  
 პირიქით, ქალები ძალიან მიყვარს და...  
 რა ვიცი. უბრალოდ, ჯერჯერობით  
 მაინცდამაინც გულთან ახლოს არავინ  
 მოდის. არადა, შეიძლება არ დამიჯერო,  
 მაგრამ მინდა, ვინმე მიყვარდეს... ისე  
 დიდხანს ვეძებდი საკუთარ თავს, ახლა  
 უკვე დროა, სხვა ვეძებო  
 ჩემთვის.

— მე რომ შემიყვარო, შე-  
 გიძლია? — გაიკრიჭა თავო.  
 — შენ? — უცებ მიუბრუნ-  
 და ირაკლი. — შენ ჯერ პატ-  
 არა ხარ, უნდა გაიზარდო, ვერ  
 ხედავ, ასკინვილათი რომ დარ-  
 ბიხარ? — ისე დაიბნა, თვი-  
 თონაც გაუკვირდა. მერე ნაძა-  
 ლადევადა გადაიხარხარა.  
 — ეს რა „შრაში“ გატყვია  
 ტუჩზე? ძველმა საყვარელმა  
 დაგჭრა? — თავომ სამაგიეროს  
 გადახდა დააპირა.  
 — ეს? — ირაკლიმ თითი  
 ზედა ტუჩთან მიიტანა. — ეს  
 „შრაში“ არ არის, ნაიარევია,  
 სხვათა შორის, ქართულად ასე  
 ჰქვია, — უცებ სერიოზული  
 სახე გაუხდა მამაკაცს, —  
 ავღანეთის კვალია.

— ესე იგი, სევდიანი ისტორია გამ-  
 ოვა, — მოულოდნელად წინა თემას  
 დაუბრუნდა და სრული სერიოზულო-  
 ბით განაცხადა გოგონამ: — მე შეგიყ-  
 ვარებ, შენ — არა, — და თვალი თვალ-  
 ში გაუყარა.  
 ჭინკები მოულოდნელად „დაფრთხნენ“  
 ირაკლის თვალებში და ერთ ადგილას  
 „გაისუსხნენ“.  
 — რა ნახე ჩემში ასეთი? არაფერი  
 განსაკუთრებული ჩემში არ არის... —  
 ისევ „ოფიციალური დაიჭირა“ მამაკაც-  
 მა.  
 — არის, არის, — თითი დააქნია  
 თავომ, — მამაკაცების ბუნებას კარგად  
 ვიცნობ. გინდა, რომ გაქო და გადიდო,  
 არა?  
 მამაკაცი გაოცებით ჩააშტერდა. გოგ-

ონამ შეამჩნია, რომ დამფრთხალი ჭინკები  
 ისევ „ახმაურდნენ“, „სიცილით იჭაჭე-  
 ბოდნენ“, თავოს შემხედვარე.

— სასაცილო ბავშვი ხარ, თუმცა  
 ლამაზი, თანაც — ძალიან, — ხელები  
 ასწია ირაკლიმ და წამოდგა, იქვე მდ-  
 გარ სავარძელში გადაჯდა.

— ჰო, არა?! — გაგულისდა თავო. —  
 მე რომ მერივით, ტოპოდელი ვიყო, ასე  
 არ ილაპარაკებდი, — და ტუჩები გაბუხსა.

— კარგი, გეყოფა... ხომ ხედავ, ერთ-  
 მანეთის გაცნობა ნელ-ნელა დავინწყეთ,  
 დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ, უამ-  
 რავი დრო გვაქვს საამისოდ. ახლა დამ-  
 დე პატივი და მარტო დამტოვე.

თავომ წვრილი თითები მომუშტა,  
 ერთმანეთს შეატყუა, მტრულად გახედა  
 სავარძელზე უდარდელად გადანოლილ  
 პირად მცველს და გაბრაზებული, უკუს-  
 ვლით გავიდა ოთახიდან.

იმ დღიდან მათი გაცნობა მთელი  
 თვე გრძელდებოდა...

რვა ხდებოდა, გურამმა რომ შემოიხე-  
 და.



— ნახევარ საათში მანქანასთან გელო-  
 დები.

თხუთმეტი წუთში გაემზადა და ქვევით  
 ჩავიდა. მერის შავი, მთელ სიგრძეზე  
 ჩახსნილი კაბა ეცვა, ტანზე მოტმასნი-  
 ლი. ისე ვნების აღმძვრელად გამოიყურე-  
 ბოდა, ირაკლიმ თვალი აარიდა. თავო  
 ჯინსსა და მანისურში ჩაცმული, ბოტა-  
 სით გამოეცხადა მამა-დედინაცვალს.

— ეს რა არის? ასე მოდიხარ? იქ  
 იცი, როგორი ხალხი იქნება?... აღშ-  
 ფოთდა გურამი.

— მეიღია, სულ არ მანტერესებს,  
 ვინ იქნება. მე ასე ვგრძნობ თავს კომ-  
 ფორტულად, — თქვა თავომ და  
 ჯიბრიანად შეხედა მამას.

— გადამრეგს ეს გოგო! შეხედე, ერთი,  
 რა აცვია!

— თავი დაანებე, გური, როგორც

უნდა, ისე ჩაიცვას, რა მოხდა მერე, ბავშ-  
 ვია, — ორაზროვნად შენიშნა მერიმ და  
 დამცინავად გახედა გერს.

— ჰოდა, ეგრე! — ნიშნის მოგებით  
 წამოიძახა გოგონამ და გარეთ გავიდა.

მაღე გაჩახახებულ სასტუმროს ორი  
 მანქანა მიუახლოვდა. ერთში გურამის  
 დაცვის ბიჭები ისხდნენ, მეორეში —  
 ირაკლი და გურამის ცოლ-შვილი.  
 საქვსთან გიო იჯდა, რომელმაც და-  
 მუხრუჭა, გადმოვიდა და ჯერ უკანა  
 კარი გამოაღო, სადაც ბოსი იჯდა,  
 მერე მანქანას წინიდან მოუარა და  
 მერის გაულო წინა სალონის კარი.  
 გურამს თავო და ირაკლი მიჰყვნენ.

— რადგან შენი ბიჭები შიგნით  
 იქნებიან, მე აქ დაგელოდებით, არ მიყ-  
 ვარს ხმაურიანი საღამოები, — კიბესთან  
 შეჩერდა ირაკლი.

— რა სისულელეა, აქ რა უნდა აკე-  
 თო?! წამო, თვალს წყალს დააღვივებ,  
 — მაჯაში სწვდა გურამი მამაკაცს.

— არა, აქ სჯობია, გარემოს გავაკონ-  
 ტროლებ. შიგნით უფრო ვერ გაბუნდავენ  
 შესვლას, თუ რამეს დააპირებენ.

— ნება შენია... — მხრები  
 აიჩემა ბიზნესმენმა და გიოსთან  
 ერთად, სასტუმროს ვესტიბი-  
 ულისკენ გაემშურა.

ირაკლის დიდხანს მოუწია  
 ლოდინმა. ვინ იცის, მერამ-  
 დენე წრე დაარტყა შენობას,  
 მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენი-  
 შნა. მოჰბეზრდა უაზროდ ყია-  
 ლი, ინანა, გურამს რომ არ  
 დაუჯერა, მაგრამ — არა, ისევ  
 აქ სჯობდა ყოფნა, იქ მაინც  
 მერისკენ გაექცეოდა თვალი...  
 ერთი, დროზე გაფრინდებოდ-  
 ნენ, რომ თავისუფლად მუშაო-  
 ბის საშუალება მიეცეს! როცა  
 იმ ქალს უყურებს, სულ დაძაბ-  
 ულია, ხელები და თვალები  
 სად წაიღოს, არ იცის...

წვეულება ძალიან გვიან  
 დამთავრდა, უკვე ღამის ორი საათი ხდე-  
 ბოდა. „ამდენი ხანი რა ამბავია, ქორ-  
 ნილს ხომ არ იხდიან“, — უკვე ბრაზობ-  
 და მარტო დარჩენილი.

მთვრალი სტუმრები ხმაძალი შეძ-  
 ხილებით გამოეფინნენ გარეთ.

— ნავედით? — ირაკლი გურამს შეე-  
 გება.

— რატომ არ შემოხვედი? — თვალე-  
 ბი მაცდურად დაუფუჟუნა მერიმ.

— მე ვმუშაობდი, — ყრუდ ჩაილა-  
 პარაკა მამაკაცმა და განზე გაიხედა, სა-  
 დაც თავოს მრავლისმეტყველ მზერას  
 ნაანყდა.

— ირაკლი, შენ დაჯექი საქვსთან, თუ  
 არ გეზარება, მგონი, ბევრი მომივიდა  
 დალევა, — ქმინავდა გიო.

— დაჯვდები, რა პრობლემა?! — და  
 „მერსედესის“ კარი გამოაღო, არც

უფიქრია, ბოსსა და მის მეუღლეს მომსახურებოდა.

მერი გვერდით მიუჯდა. ქალის სუნამოს არომატმა ირაკლის ლამის თავბრუ დაახვია. ცდილობდა, გვერდით არ გაეხედა, ეძალბოდა მის თვალებით თამაშს.

დაცვის ბიჭები გამოსვლას აგვიანებდნენ. გიომ ერთ-ერთ მათგანს დაურეკა.

— ორ წუთში გამოვალთ, ბატონო გიორგი, — ხმამაღლა გაისმა მობილურში.

— ჩვენ წავალთ, ნელ-ნელა დაგვენიეთ, — უბრძანა გიომ.

ირაკლიმ მანქანა დაძრა. „მერსედესის“ ფარების შუეი ლამის სიბნელეს შეერია. რამდენიმე წუთის შემდეგ, აეროპორტის ტრასაზე გავიდნენ. გურამი და გიო ქეიფის ამბებს სიცილით ჰყვებოდნენ.

— ეჰ, მაგრად მოგვენატრები, შეფ, — მუხლზე ხელი დაიტყაპუნა გიომ, — ცუდია, დიდი ხნით რომ მიდიხარ.

— ჩამოვალ, შე კაცო, იქ დარჩენას კი არ ვაპირებ. თანაც, ყოველდღე მექნება შენთან კონტაქტი, სხვებთანაც.

მოულოდნელად ირაკლიმ სვლა შეანელა და სარკიდან უკანა გზაზე გაიხედა.

— ის მანქანა თქვენი ბიჭებისაა, გიომ?

— აბა, რომელი? — გიომ მსხვილი კისერი ძლივს მიაბრუნა. — არა, ეს... ჯიპი არ არის, მგონი... სხვები არიან, თანაც, ლურჯი ფარები აქვს.

— მეც ასე მგონია, — შეფიქრინებულმა თქვა ირაკლიმ, — შეიძლება მოგვედევნა.

— მოგვედევნა? რას ამბობ, კაცო?! ამ შუალამეს?!

— ჰო, თავდასხმისთვის ყველაზე კარგი დროა, პატრულსაც კი სძინავს... კი, უდავოდ ისინი არიან, — დასკვნა ირაკლიმ და კიდევ ერთხელ გახედა სარკეს.

ამ დროს გურამის მობილური ანკრიალდა. დაცვა იყო.

— ბოს, უკნიდან მანქანა დაგვეჯახა და გზიდან გადავვარდით, აშკარად ვიბლიანები არიან, სულ დედა გვაგინეს და თქვენკენ წამოვიდნენ, ფრთხილად იყავით, ფრთხილად! — ყვიროდა ბიჭი.

— აბა, ახლა ცოტათი დაბლა ჩაცურდით, ეცადეთ, თავები არ ამოყოთ და ხელები მაგრად ჩასჭიდეთ სახელურს, — ბრძანება გასცა პირადმა მცველმა და გაზს დაანვა.

— მეორე მანქანასაც ვხედავ, არც ისინი არიან ჩვენები, — იყვირა უცებ გიომ.

— ვიცი, — ცივად თქვა ირაკლიმ და საჭეს მთელი ძალით ჩაუბლაუჭა.

მანქანა ლამის მიფრინავდა. შავი ჯიპი თანდათან უახლოვდებოდა.

— გაგესრესენ, — დაიგმინა გიომ.

— მოკეტე და ხელს ნუ მიშლი, — ირაკლი წინ გადაიხარა.

მერის ქვედა ტუჩი კბილებშია მოექცია და ერთიანად მობუზულიყო. მხოლოდ თავო გამოიყურებოდა მშვიდად, თითქოს საშიშროებას ვერ ხედავდა.

იმის გადასამონებლად, მართლა ვიბლიანები იყვნენ თუ არა, ირაკლიმ ვარკეთილის გადასახვევთან საჭე მარჯვნივ შეატრიალა და გვერდით გზაზე გადავიდა. შავი ჯიპი კვალდაკვალ მისდევდა. მეორე მანქანა ჯერ არ ჩანდა, ალბათ ჩამორჩა.



ირაკლიმ საჭე ისე დაატრიალა, ბორბლებს ღჭრიალი დაანყებინა. „მერსედესმა“ კუდი ბორდიურს მიარტყა, მანქანა შექანდა, მაგრამ მაინც მოტრიალდა. მამაკაცი დაძაბული იჯდა, ხელებით საჭეს ჩაჰბლაუჭებოდა, ფეხს აქსელურატორზე ათამაშებდა.

— რას აკეთებ, ბიჭო?! — იყვირა გიომ.

მის ყვირილზე ირაკლიმ მანქანა ადგილს მოსწყვიტა და ელვისუსწრაფესად, ჯიპის უკან მომავალი შავი მანქანისკენ დაიძრა, მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით. ჯიპიც მოტრიალდა და უკან დაედევნა. „მერსედესი“ ორ მანქანას შუა აღმოჩნდა.

— რას შვრები?! — იღრიალა გურამმა. — გაგიჟდი?! უფრო მალე გინდა მომკლან?!!

— გაჩუმდი, — წყნარად, მაგრამ გესლიანად უპასუხა ირაკლიმ.

„მერსედესს“ ჯიპი ორ მეტრში მისდევდა. შავი მანქანა კი უფრო და უფრო უახლოვდებოდა. ხუთიოდე მეტრი აც-

ილებდათ ერთმანეთს, იქაურობა გიოსა და გურამის ყვირილმა რომ მოიცვა. ირაკლიმ საჭე ისევ დაატრიალა და შემდეგ ისევ გაასწორა. „მერსედესის“ ერთი მხარე ჰაერში აინია. მანქანამ ორ ბორბალზე გაიქროლა. შავი მანქანა ლამის ქვეშ გაუძვრა და უკანა მდევარს ისეთი ძალით დაეჯახა, რომ ჰაერში შეხტა, ლამის „მერსედესსაც“ კი შეეხო. ყველაფერი უცბად მოხდა. „მერსედესი“ ოთხ ბორბალზე დაეხეთქა. დაცემა და ორი მანქანის აფეთქება ერთი იყო. იქაურობა ცეცხლის ალმა გაანათა. ირაკლი ღრმად სუნთქავდა, მკლავი ეწვოდა და იქიდან სისხლი იხდებოდა. განცვიფრებული გიო უკან იხედებოდა და თვალებს არ უჯერებდა. თავო ილიმოდა. „მერსედესმა“ რამდენიმე მეტრი გაიარა და გაჩერდა.

— თუ ყველა არა, ერთი მძა მინც მოგვალთ, — ჩაიცინა ირაკლიმ, გადმოვიდა და ცეცხლწაკიდებულ მანქანებს გახედა.

— დროზე გავერიდოთ აქაურობას, სანამ პატრული მოსულა, — გურამს ხმა უკანკალბდა.

— მე რე ამათ... — ძლივს ამოთქვა გიომ.

— მაგათ პატრული მიხედავს, ჩვენ რა შუაში ვართ?! — გურამი ჩქარობდა.

ტრასაზე ჯერჯერობით კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მანქანა გზას მშვიდად გაუდგა. გიო წარაშარა უკან იხედებოდა.

— შეგეშინდათ? — ღიმილით იკითხა ირაკლიმ და სარკიდან შეხედა უკან მსხდომთ. — თავო, შენ რაღაც ვაჟკაცურად გამოიყურები.

— სულაც არ შემშინებია, ვიცოდი, რაც მოხდებოდა, მაშინვე მივხვდი, — მშვიდად უპასუხა თავომ და ფანჯარაში გაიხედა.

— მეც მივხვდი, მაგრამ ცოტა გვიან, — ახალა ამოიღო ხმა მერიმ, რომელიც სარკეში იყურებოდა და ვარცხნილობას ისწორებდა.

აეროპორტამდე ისე მიაღწიეს, ხმა აღარავის ამოუღია, ყველა თავის ფიქრებში იყო ჩაძირული.

რეგისტრაცია დაწყებული იყო. გურამი ლულავდა. მან ირაკლი განზე გაიხმო და მხრებზე ხელები დაანყო.

— დიდი მადლობა, ძმაო, ამ თვის ჰონორარს გაგიორმაგებ, მაგარი კაცი ხარ. შენი იმედი მაქვს, ამ გოგოს მიმიხედე. ცოტა თავნება და არ მიუშვა თავის ნებზე. ეგენი ანი აღარ გაჩერდებიან. მე იქ ვერ მომწვედებიან, ამიტომ ეცდებიან, თავოზე მიიტანონ იერიში, გასაგებია?

— გასაგებია, — თმაზე ხელი გადაისვა ირაკლიმ, — შენ მაგაზე ნუ ინერვიულებ, ჩემი მოვალეობა მეტი კი არააფრია.

— ის კი არა, იმასაც ვფიქრობ, საერთოდ, ხომ არ გადავიფიქრო-მეთქი წასვლა... — შეფიქრინდა ბოსი.

— არ გირჩევ, გურამ. ნადი, გელოდებიან. აქაურობის დარდი ნუ გეცნება, ბავშვს მე მივხედავ. თუ რამეა, გიგა ჩემი მეგობარია, დაფურცავ და დამეხმარება.

— ჰო, მაგრამ... ახლა უკან როგორ დაბრუნდებით, კიდეც არ დაგხვდნენ. მათ უკვე ეცოდინებათ ყველაფერი. ვწერვიულობ.

— ნუ ნერვიულობ-მეთქი, ვის ვუთხარი?! მე მომანდევ ეგ საქმე. ვიცი, რასაც ვლაპარაკობ, — გაამხნევა ირაკლიმ და მხარზე მოუთათუნა ხელი.

— აუჰ, სისხლი მოგდის, დაჭრილი ხარ? — მკლავზე შეხედა გურამმა.

— არაფერია, უბრალო ნაკანრია მხოლოდ, ამას ადვილად მოეკლება, — ჯიბიდან ცხვირსასოცი ამოიღო და გასისხლიანებული მკლავი გადაიხვია.

მოსაუბრეებს მერი მიუახლოვდა.

— ჩანთა მანქანაში დამჩნა, ირაკლი, თუ შეიძლება, გამომყევით, — ცივად თქვა ქალმა.

— ახლავ, — ჩაბურტყუნა მამაკაცმა და მორჩილად მიჰყვა უკან.

კარს რომ აღებდა, იგრძნო, რომ ხელები უცახცახებდა, ოღონდ ვერ ხვდებოდა — ნელან განცდილისგან თუ მერის სიახლოვისგან...

— არ მეგონა, შენაირები თუ არსებობდნენ საქართველოში. ასეთი რამეები ამერიკულ ფილმებში თუ მინახავს. ნამდვილი რემბო ხარ, უნდა გაკოცო, — მოულოდნელად, ძალიან შინაურულად მიმართა ქალმა და მისკენ შებრუნებულ ირაკლის პირდაპირ ტუჩებზე დააცხრა. ეს უკანასკნელი შეტორტმანდა. ნამით, კოცნაზე კოცნითვე უპასუხა, მაგრამ მალევე მოეგო გონს, ქალს ხელი ჩაავლო და უკან გასწია. ერთხანს უსიტყვოდ მისჩერებოდნენ ერთმანეთს.

— ჰმ, შენი ტუჩებია ასეთი ტკბილი თუ პომადა? — ორაზროვნად ჩააშტერდა ბოსის ცოლს სახეში.

— პომადა, — ჩურჩულით თქვა თვალბრუნებულმა მერიმ.

— ასეც ვიფიქრე, — სარკასტულად გაიღიმა მამაკაცმა, ხელჩანთა მანქანიდან გადმოიღო, ქალს უხეშად მიაჩენა და მოსაცდელ დარბაზში შებრუნდა.

მერის სმენას დისტანციური სიგნალის ჭყვიტინის ხმა მისწვდა. უკანმოუხედავად მიმავალმა ირაკლიმ ხელის აქნევით ჩაქვტა „მერსედესი“.

ირაკლიმ ჯერ გიო მიიყვანა სახლში, მერე თავოსთან ერთად, შინ დაბრუნდა. თავბრუ ეხვეოდა, თვალთ უბნელდებოდა, სახე ერთიანად გაჟფითრებოდა.

— ცუდად ხარ? — თავო მივარდა და ნაბარბაცებულ მამაკაცს მხარში შეუდგა.

— მგონი, — დაიჩურჩულა პირადმა

მცველმა და თავოს დახმარებით, სავარძლამდე ძლივძლივობით მიაღწია.

ჩაჯდა თუ არა, თავი უკან გადაადგო და მყისიერად გაითიშა.

— ირაკლი, ირაკლი! — სახეში გაულანუნა გოგონამ რამდენჯერმე, მაგრამ მამაკაცი გონზე ვერ მოიყვანა.

— ღმერთო, რა ძლიერია და ამავე დროს, როგორი სუსტი!.. — თავისთვის ჩაილაპარაკა სასონარკვეთილმა და უმწეოდ მიმოიხედა.

ბარბაღე წასული იყო, ვისთვის ეთხოვა დახმარება? სამზარეულოში გავარდა და ჭიქით წყალი მოარბენინა. ხელეზი დაისველა და წრიული მოძრაობით საფეთქლები და კისერი დაუზილა მამაკაცს, თან ალერსიანად ელაპარაკებოდა:

— გთხოვ, მორიელო, გაახილე თვალები, ნუ მაშინებ. რა საყვარელი ხარ, რომ იცოდე, რა ლამაზი!..

— როგორ ყველას მოვწონვარ, — თვალი არ გაუხელია, ისე წარმოთქვა ირაკლიმ უეცრად და გოგონას მჯგები დაუჭირა. მის თვალებში კვლავ „აცეკვდნენ“ ნაცნობი ჭინკები.

— თავხედო! — ნაწყენი ხმით წარმოთქვა თავომ, მისი ხელებისგან თავი გაითავისუფლა და იქვე, მეორე სავარძელზე დაეხეთქა, გაბრაზებული სახით.

— რა გეწყინა? მე ვიცი, რომ ლამაზი ვარ, — ღიმილით თქვა ირაკლიმ. ცდილობდა, ტკივილი დაეფარა, რომელიც მკლავიდან მთელ სხეულში გადაუვიდა.

— რა-ა?! ვინ გითხრა, რომ ლამაზი ხარ?! — გააკვირვა თავომ და მის თვალებში „მოხითხით“ ჭინკებს ბრაზით გახედდა.

— შენ არ თქვი ახლა? — ირონიით შენიშნა მამაკაცმა.

— მე-ე?! — გოცოდა თავო. — მე არაფერი მითქვამს.

— ესე იგი, მომესმა.

— შენ რა, გგონია, მართლა ლამაზი ხარ?

— შენ როგორ გგონია? — კითხვითვე უპასუხა.

— მე-ე? რა ვიცი, შენ გვერდით ქალი არ მინახავს, თან თვითონვე ამბობ, არავინ მყავსო. აბა, რა უნდა ვიფიქრო?

— ა-ა... აი, თურმე რაში ყოფილა საქმე. მყავს ერთი, — და მამაკაცმა ირიბად გახედა.

თავომ თვალები დააჭყიტა.

— მართლა? ვინ არის?

— არის ერთი, რაში გაიტყურესქვ...?

— არც არაფერი... — ტუჩები აიბზუა გოგონამ, მერე კი თვალები ემმაკურად მოჭყტა, თავი გვერდზე გადახარა და დამარცვლით ჰკითხა:

— მე-რი-ზე უკეთესია?

— მერიზე ლაპარაკს გირჩენია, მომეხმარო, — ტკივილისგან დაიღმეჭა მამაკაცი, — მკლავი მტკივა.

— რა კენა, რით გიმწელო? — ფეხზე

წამოიჭრა თავო.

— თბილი წყალი და მარლა მოიტანე, თუ სადმე გეგულება.

— როგორ არა! აფთიაქის ყუთში გვაქვს. იოდსაც მოვაცოლებ, — თქვა და სამზარეულოში გავარდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ჯამით წყალი შემოიტანა და სტერილური ბინტიც მოაყოლა. ირაკლიმ მოკლემკლავიანი მისური გმინვით გაიხადა. თავო მის მკერდსა და დაკუნთულ მხარბეჭს გაცეცხვით მისჩერებოდა.

გოგონა დიდი სიფრთხილით შეუდგა ჭრილობის დამუშავებას.

— რა დაგემართა?

— საჭე რომ მოვატრიალე, საქარე მინა შემერჭო მკლავში, უჰ, უჰ, უჰ! — იოდმა ჭრილობა აუნვა და შეყვირა.

— ცოტაც მოითმინე... ადრე სპორტსმენი იყავი? — ეკითხებოდა თავო, თან ჭრილობაზე სულს უბერავდა.

— შორეულ წარსულში პერსპექტიული წყალბურთელი გახლდით... კარგი სულის შებერვა ცოდნია, პატარავ, ყოჩაღ! — ტკივილი დაუამდა ირაკლის და ასადგომად წამოიწია.

— მოიცა, ჯერ გადაგიხვიო, ასე ხომ არ იქნები!

— არ უნდა, ისედაც მორჩება.

— კი, როგორ არა! ასე ხომ თერთულს გასვრი! დამაცადე, არ ადგი! — ბრძანების კილოთი წარმოთქვა თავომ და თავისი პატარა ხელებით, ძალით ჩასვა მამაკაცი სავარძელში.

გოგონებულ ირაკლის წინააღმდეგობის განხევს სურვილი გაუქრა.

— მაპატიე, მაშინ რომ ბებერი გინოდე, — ხმა მოუღბა თავოს და მორიდებით შეხედა პირად მცველს.

— თურმე არ ვყოფილვარ, არა? — სიცილი აუტყდა მამაკაცს.

— ბებერი კი არა, ძალიან საყვარელი ხარ... უფრო მეტიც, — დაამატა და სახეანთილებულმა თვალები დახარა.

ირაკლიმ თავი წამოსწია.

— რა — უფრო მეტიც? — მამაკაცის თვალებში მოკალათებული, ეშმაკუნა ჭინკები წამით „გაისუსნენ“.

— სასურველიც ხარ.

ის იყო, მამაკაცმა პასუხის გაცემა დააპირა, რომ ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

— ამ შუალამეს ვინ უნდა იყოს? — გაუკვირდა თავოს.

— მოიცა, მე ავიღებ.

— იჯექი, აქ მოგიტან, — არ დაანება გოგონამ, ჟურნალების მაგიდაზე შემოდგმულ აპარატს გადასწვდა და ორივე ხელით გაუნოდა ირაკლის.

— გისმენთ, — მკაცრი გაუხდა ტონი.

— ირაკლი, გიგა ვარ, ხომ არ გაგაღვიძე? — გამომძიებლის ხმაში ირონიი იგრძნობოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# გონების სასარჩილო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

### „პასუხების“ სვატისკაენ არ გაბაჟდეთ თვალი.

1. პენრი ფორდს ძალზე უყვარდა ანეკდოტი ფერმერის შესახებ, რომელმაც ანდერძად დაიბარა, „სიკვდილის შემდეგ ავტომობილ „ფორდში“ ჩამსვით და ისე დამასაფლავეთ. ამ მანქანას ყველა...“, — დაასრულეთ ფერმერის ანდერძი.
2. დაასახელეთ ნარკოტიკი, რომლის სამკურნალო თვისებებს ზიგმუნდ ფროიდი იკვლევდა და მისი აქტიური მომხმარებელიც გახლდათ. ამავე ნარკოტიკის მცირე დოზებს იგი საცოლესაც უგზავნიდა. რა ნარკოტიკი იყო ეს?
3. ამ რუსმა ტელენამყვანმა მამაკაცმა ახალგაზრდობაში, მეორე კურსზე სწავლისას მიატოვა მოსკოვის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი და მკურავის პროფესიის შესწავლა დაიწყო. გამოცდაზე ისე კარგად შეკერა პალტო, რომ VII თანრიგის ოსტატობა მიანიჭეს. გამოცდების დამთავრების შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა უნივერსიტეტსა და ბიოლოგიას. დაასახელეთ იგი.
4. დაასრულეთ სტენდალის სიტყვები: „იმედი იქონიე ძალის ერთგულებისა ბოლომდე, ქალისა — ...“
5. ფილიპინებზე მოღვაწე ქრისტიანი მისიონერები აიძულბდნენ აბორიგენებს, გაენადგურებინათ ქოქოსის პალმები. რატომ?
6. დაასახელეთ ირანის ოფიციალური კალენდარი.
7. დაასახელეთ ცნობილი ფრანგი დიზაინერი, რომელიც ქალის მუხლს სხეულის უშნო ნაწილად მიიჩნევდა და თავის მოდელებში ყოველთვის მის დაფარვას ცდილობდა.
8. რვა წლამდე ბავშვები ჰიპნოზს არ ექვემდებარებიან. რა ემართებათ მათ სენსის დროს?
9. საფრანგეთის ეს მეფე მესაათის პროფესიას ფლობდა.
10. დაასახელეთ ფრანგი იმპრესიონისტი, რომელიც ცხოვრების ბოლო წელიწადს ისე იყო დასუსტებული, რომ სახატავად ხელს ვეღარ სწევდა. მას ტილოს წინ ხელის მტევანს თოკით უბამდნენ და ისე ხატავდა.
11. დაასრულეთ შერონ სტოუნის მიერ ქალებისთვის მიცემული რჩევა: „არასდროს დაწვეთ კაცთან, რომელსაც თქვენზე მეტი...“
12. დაასახელეთ ინგლისელი მსახიობი და დრამატურგი, რომელმაც თეატრში რეგულარული რეპეტიციები დააწესა. მანვე დაწერა სიახლენი სპექტაკლის გაფორმების საქმეში და სცენაზე გააუქმა მყურებელთა ადგილები.
13. რომელი ქართველი მწერლის სასცენო ფსევდონიმი იყო აკაკი მოჩხუბარიძე?
14. „ათი წუთი გარანტირებული სიჩუმე — აი, რატომ აღმერთებენ მამაკაცები ამგვარ სექსს“, — ამბობენ ამერიკელები. როგორ სექსზეა ლაპარაკი?

# ანეკდოტები

\*\*\*

ქმარზე განაწყენებულმა ცოლმა ჩემოდნები ჩაალაგა და საცხოვრებლად დედასთან გადავიდა. — როდესაც სახლიდან გამ-



ოვედი, სროლის ხმა შემომესმა. ნეტავ, თავი ხომ არ მოიკლა? — ეკითხება შვილი დედამისს. — რას ამბობ, სულელო, ალბათ შამპანურის ბოთლი გახსნა! — დაამშვიდა დედა.

\*\*\*

— ტიტუუ, ტიტუუ, ეს რა სიტყვა მკადრა თინიას ქმარმა!!! — კივის ქეთოია. — რა გკადრა მაინც ასეთი? — აჰ, მაგას რაფრა გევიმეორებ, მაგრამ „ჩა“-ზე ინყება და „თლახ“-ზე მთავრდება.

\*\*\*

— ჭიჭიკია, ფხიზელი ხარ?! — ჰო, დავანებე ლოთობას თავი! — აგაშენა ღმერთმა. რამდენი ხანია? — სამი დღე შემისრულდება ზებ!

\*\*\*

ცოლი დგას მერვე სართულზე მოშენებული და დაუმთავრებელი ღია აივნის კიდეზე და ქმარს უყვირის: — მომბეზრდა, აღარ მინდა შენ-ნაირ ლოთთან და გიჟთან ცხოვრება! ახლავე უნდა დასრულდეს ყველაფერი! ერთი ნაბიჯი და ყველაფერი გათავდება!.. ხელს ნუ მკრავ, შე დეგენერატო!

\*\*\*


— გაიგე, ბიჭო, ჭიჭიკიას თავისი ცოლი ბუტრუს ბუტრუს გალისგან ნაყიდი „როლს-როისით“ ბადენ-ბადენში წაუყვანია პინგ-პონგის სათამაშოდ და გზაში თურმე მხოლოდ ჩუპა-ჩუპსს მიირთმევდნენ. — ამ სახელებს რა ორ-ორჯერ მიმეორებ, შენ მე დებილი ხომ არ გგონივარ?!

\*\*\*

— ჭიჭიკიას ცოლს ისეთი პატარა მკერდი აქვს, „ზილიონკა“ რომ წაუშვავ, მოურჩება!

\*\*\*

მუშა ქარხანაში მოეწყო სამუშაოდ და იმავე დღეს საავადმყოფოში აღმოჩნდა. მოსანახულებლად მეგობარი მივიდა და რა დაგემართაო — ეკითხება: — შევედი საამქროში და



დავყვირე: — ჟორა, 27 ნომერი „კლუჩი“ გადმომიგდე-მეთქი. აბა, მე რა ვიცოდი, იქ იმდენი ჟორა თუ მუშაობდა.

\*\*\*

— მოშე, შენი შვილი გაზეთს ჭამს.



— არა უშავს, ნაკითხული მაქვს!

\*\*\*

— ჭიჭიკია, მე შენი დედა რომ მო...ნ, შენი!

— რაზე, კი მარა?!

— რაზე და გინდა — ტახტზე და გინდა — დივანზე!

\*\*\*

ჭიჭიკიას სტუმრები ეწვივნენ. დაფაცურდა ჭიჭიკია, რითიც შეეძლო, ყველაფრით გაუმასპინძლდა. სვეს, ჭამეს, მოილხინეს და ბოლოს სახლში წასასვლელად წამოიშალნენ. გაცილებისას ჭიჭიკიამ ბოდიში მოიხადა, ცოლი სახლში არ მყავს, თორემ უფრო მეტ პატივს გცემდითო.

— აჰ, მაგაზე არ იდარდო ჭიჭიკია, ახლა სწორედ ნაშებიდან მოვედივართ, — დაამშვიდეს სტუმრებმა.

\*\*\*

ერთი სათნო კაცი გარდაიცვალა და სამოთხეში მოხვდა. უეცრად ხედავს, ფაეტონით და მუსიკით

ემშაკები მოქრინან:

— წამოდი ჩვენთან, ჯოჯოხეთში, დასალევიც გვაქვს, ქალებიც არიან და კიდევ ათასგვარი გასართობიც მოიძებნება, არ ინანებ!

კაცი სამი დღით დაეთხოვა და უკან შთაბეჭდილებით სავსე დაბრუნდა. შემდეგ მეორედ, მესამედ ეწვია ჯოჯოხეთს... საბოლოოდ, კაცმა იქ დარჩენა გადაწყვიტა და ღმერთს ნებაართვა სთხოვა. ღმერთმა ნება დართო.

ემშაკებმა ახალმისულს მაშინვე ცხელ კუპრში უკრეს თავი.

— რას შვრებით, ძმებო, გუშინ არ იყო, ერთად რომ ვქეიფობდით და ვგრი-ალვდით!..

— ეეე, ძმაო, შენ ტურიზმსა და ემიგრაციას ერთმანეთში ნუ ურევ!..

\*\*\*

— დედიკო, იყიდე, რა, ძალი!

— არა!

— იყიდე, რა!.. იყიდე, რა!..

— თავი დამანებე! ვინმე სხვას მიჰყიდე!..


# გონაგონ სსსსსსსსსსსს

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

## (პასუხები)

1. „...ორმოდან ამოვყავდი“.
2. კოკაინი.
3. ნიკალაი დროზდოვი (მას დღესაც მიჰყავს უზოპულარულესი გადაცემა „ცხოველთა სამყაროში“).
4. „...შემთხვევამდე“.
5. ისინი მიიჩნევენ, რომ ამ ხეების არსებობა ეწინააღმდეგებოდა ღვთის განჩინებას იმის შესახებ, რომ ადამიანმა შრომითა და ოფლით უნდა მოიპოვოს „პური ჩვენი არსობისა“.
6. მზის პიჯრა.
7. კოკო შანელი.
8. ისინი უბრალოდ იძინებენ.
9. ლუდოვიკო XVI.
10. კლოდ მონე.
11. „...პრობლემები აქვს“.
12. დევიდ გარიკი.
13. ალექსანდრე ყაზბეგის.
14. ორალურზე.

# ჩვენი ფოსტოხანა



ეს ფოტო ჩვენმა მკითხველმა გიორგი ჩიტიაშვილმა გამოგვიგზავნა

## ძვირფასო მკითხველებო!

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მისაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდით რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.

# სისხლის ჯგუფი და სიყვარული

თურმე, სისხლი ადამიანის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს განაპირობებს. ამ ურთიერთხე- შირის ანალიზმა დაადასტურა, რომ სხვადასხვა ჯგუფის სისხლის ადამიანები სხვადასხვანაირად აგებენ თავიანთ ურთიერთობას საყვარელ ადამიანთან.



### I ჯგუფის სისხლი

ყველაზე გავრცელებულია, კაცობრიობის 45% მისი მატარებელია და უბედური შემთხვევის დროს მისი გადასახმა შეიძლება აბსოლუტურად ყველასთვის.

#### მამაკაცი:

30 წლისათვის ყველაზე უკარება ქალთა გულთამპყრობელი ხდება. ის რჩეულს არასოდეს უტრუფდება შეხედულება საყვარელ მამაკაცზე. ოღონდ ქალებო, ფრთხილად იყავით! არ უნდა გააგებინოთ მას, თუ მომაბეზრებელი ხდება თქვენთვის, თორემ მყისვე აიკრავს გუდა-ნაბადას და გაგცლებათ!

#### ქალი:

უზომოდ ეჭვანი, სექსში თავშეუკავებელია და საყვარელი მამაკაცი ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზღვრამდე მიჰყავს. მამაკაცი, თუ ფიზიკურად ძალზე სუსტი არ არის, სიამოვნებით რჩება ამგვარი ქალის გვერდით, „გმირულად“ იტანს მის ფანტაზიას და შეუპოვრობას სიყვარულში. ასეთ ქალს განუშეორებელი ხიბლი სდევს — ის არ იშორებს გვერდიდან მამაკაცს მაშინაც კი, როცა სრულებით არ სჭირდება, რადგან მის გარეშე კიდევ უფრო ცუდად გრძნობს თავს.

### II ჯგუფის სისხლი

დედამიწის მოსახლეობის 35%-მდე ამ ჯგუფის სისხლის მატარებელია, მაგრამ აღმოსავლეთში უფრო იშვიათად შეხვდებით. დადგენილია, რომ მაგალითად, ინგლისში, 43% II ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანი ცხოვრობს, ინდოეთში კი — 15%.

#### მამაკაცი:

მაღავს თავის გრძნობებს, საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი ეპარება, სიყვარულს ფარულად, თვალებით, ხელის ნაზი შეხებით ამჟღავნებს. ქალისგან ელის სიყვარულის დამამტკიცებელ საბუთს, მისგან დედობრივი გრძნო-

ბის გამოვლენას მოითხოვს. ალბათ, ამიტომაც, რომ ამგვარი მამაკაცი უფროს მანდილოსანს თხოულობს ცოლად. როგორც წესი, თუ ქალისგან სითბოს და სიყვარულს იღებს, სიკვდილამდე მისი ერთგული რჩება.

#### ქალი:

გარეგნულად მორცხვი, ამავე დროს, საკმაოდ ეჭვიანი და დაუნდობელია. იგი დიდხანს იოკებს გრძნობებს, გვიან აძლევს თავს უფლებას, შეიყვაროს მამაკაცი, მაგრამ ამას არაფრით ამჟღავნებს. სამაგიეროდ, ურთუერთობების გარკვევის შემდეგ, შესანიშნავი, მოყვარული და ერთგული ცოლია. სექსუალობა მასში გვიან იღვიძებს, მაგრამ ქმრისთვის თანდათან ძალზე მომხიბლავი პარტნიორი ხდება.

### III ჯგუფის სისხლი:

ძალიან იშვიათია, იგი მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 13%-ს აქვს მეტწილად, აღმოსავლეთის ქვეყნებშია გავრცელებული. დასავლეთში კანტიკუნტად თუ შეხვდებით ამ ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანს.

#### მამაკაცი:

მას ყველა დონჟუანად მიიჩნევს,

მაგრამ ასე სულაც არ არის. მართალია, უყვარს ქალის მოხიბვლა, დამორჩილება, მაგრამ ეშინია ცოლქმრული უღლის; უფრთხის სიყვარულს, თავს არიდებს ემოციურ „მოვალეობას“ და, როგორც კი უღელს დაიდგამს, ეჩვენება, რომ მის პიროვნულ თავისუფლებას ზღუდავენ, კომფორტულ თვითკმაყოფილებას უკვეცენ. თუმცა, იგი ურიგო ქმარი არ არის, მაგრამ დროდადრო მაინც არღვევს ცოლქმრულ მოვალეობას.

#### ქალი:

ერთგულებას ექსტრაგაგანტურ-ობით ნიღბავს, პარტნიორს ხან გულგრილობით სტვენს გულს, ხან კი — სიტყვით და ქცევით აეჭვიანებს. სიყვარულში დაუნდობელია, მომთხოვნი...

### IV ჯგუფის სისხლი:

უნივერსალურია. იგი მოსახლეობის მხოლოდ 7%-ს აქვს.

#### მამაკაცი:

მომხიბლავია, მომჯადოებელი, მაგნიტივით იზიდავს მშვენიერ სქესს, მაგრამ სიყვარულისთვის ვერ იცლის — სექსი მისთვის უპირველესია. იგი ვერ იტანს, ვერ ეგუება უარს და თუკი ასეთი რამ შეემთხვევა, უკანმოუხედავად გარბის სხვასთან.

#### ქალი:

ძალზე მკაცრი და მომთხოვნი, ამავე დროს — ეჭვიანი. ეჭვიანია არა მარტო სხვა ქალის, არამედ ქმრის სამსახურის, საქმის, მშობლების მიმართ. ან მე, ან ის — ასეთი ულტიმატუმი მისთვის ჩვეულებრივი რამ არის. მაგრამ როცა ხელთ იგდებს მამაკაცს, მთლიანად დაეუფლება მის გულსა და სულს. იმდენად სასურველი ხდება პარტნიორისთვის, რომ ამ უკანასკნელმა, შესაძლოა, ვერ გაუძლოს მის მოზღვავებულ გრძნობებს, მოთხოვნებს და ცხრა მთას იქით გადაიკარგოს.

## აჭმის მყრანა



შეარჩიეთ მნიფე (ოღონდ გადაუმნიფებელი) სახრაი ატამი, გაფცქვენით, ხის ჩხირით დაჩხვლიტეთ და ჩაანყვეთ ცივ წყალში რამდენიმე საათით. შემდეგ გადაიტანეთ მოდულეულ და გაცივებულ სიროფში, შედგით ცეცხლზე და ადუღეთ 15-20 წთ. ქაფქირით ამოიღეთ ნაყოფი, სიროფი კი ადუღეთ 20-25 წთ, მოხადეთ ქაფი, გააცივეთ და ატამს დაასხით. მეორე დღეს იგივე გაიმეორეთ, მესამე დღეს კი ატამი სიროფთან ერთად მოხარშეთ.

# მაკიაჟი 10 ნუთში

სწორად გვესმის, რომ ესა თუ ის პროდუქტი ასუქებს ან სიმაღლეში ზრდის ადამიანს. მოდი, ერთად გავარკვიოთ ამა თუ იმ პროდუქტის კალორიულობა:

## გვიან ვახშიმორბა გასუქებას სულაც არ იწვევს



**მაკარონი** — ერთი ულუფა მაკარონი (60 გ) შეიცავს 220 კკალ-ს, ხოლო ერთი ულუფა შემწვარი კარტოფილი 360 კალ-ს. ამრიგად, ის აზრი, რომ მაკარონი ადამიანს ასუქებს არასწორია. სინამდვილეში, წონის მომატებას არა მარტო მაკარონი იწვევს, არამედ ის სოსები, რომლებთან ერთადაც მიირთმევენ. თუ თქვენ წონის დაკლების სურვილი გაქვთ, უარს ნუ იტყვით მაკარონზე, ოღონდ მიირთვით ბოსტნეულითა და ზეითუნის ზეთით შეზავებული.

**გამომშრალი პური** — ამბობენ, რომ გამომშრალი პური არ ასუქებს. სინამდვილეში, 100 გ გამომშრალი პური შეიცავს 318 კალ-ს, ხოლო 100 გ რუხი პური — 210 კალ-ს.

აბსოლუტურად მცდარია, ის აზრიც, რომ **მარბარინა** მეტად კარაქი ასუქებს, 100 გ კარაქი შეიცავს 750 კალ-ს, ხოლო 100 გ მარგარინი — 745-ს. ამრიგად, განსხვავება თითქმის არ არის, მაგრამ კარაქი შეიცავს სრულფასოვან მჟავებს, რომლებიც ხელს უწყობს გულის მუშაობის გაუმჯობესებას.

საკმაოდ გავრცელებული აზრია, რომ თუ გვიან მიირთმევენ, გასუქებით, მაგრამ ესეც არასწორია. მთავარია, დღის განმავლობაში მიღებული საკვების რაოდენობა, მასში შემავალი ცხიმების შემცველობა და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ყველაფერთან ერთად, ფიზიკური აქტივობა.

ის აზრი, რომ **კვირცხი** ქოლესტერინის მომატებას იწვევს, მცდარია. თქვენ შეგიძლიათ უშიშრად მიიღოთ 2 ცალი კვირცხი, თუ ნივთიერებათა ცვლის პროცესი დარღვეული არ გაქვთ.

არც ის არის მართალი, თითქოს **ლუდი** ასუქებს. სინამდვილეში, ყველაფერი დამოკიდებულია მიღებული ლუდის რაოდენობასა და იმ პროდუქტებზე, რომლებსაც ლუდს ვაყოლებთ.

თუ ძალზე მოუცლელი ხართ და სახელდახელოდ გინევთ მაკიაჟის განახლება, გირჩევთ, ჩვენი რეკომენდაციები გაითვალისწინოთ:

ბამბიანი ჩხირით აკურატულად მოცილეთ მაკიაჟის ზედმეტი ფენა, გაახლეთ თვალის ჩრდილი, ტუჩის კონტური გაიმკვეთრეთ და წაისვით პომადა. სახეზე კი მსუბუქად გადაისვით პუდრი.

თუ შინ ხართ, სახე კოსმეტიკური რძით გაინმინდეთ, შეისხით ცივი წყალი, გადაისვით ყინულის ნატეხი — ეს სახეს ბუნებრივ ელფერს მინიჭებს. შემდეგ მკვებავი კრემი შეიზილეთ. კანი უკვე განმენდილია, დასვენებული და მზადაა მაკიაჟის გასახლებლად.

### იდეალური მაკიაჟი ნამეზში

● ტონალური კრემი თანაბრად და ბუნებრივად გადანაწილდება სახესა და ყელზე, თუ მას სწრაფი მოძრაობით

ბით წაისვამთ. ცალკეული დეფექტები სპეციალური ფანქრით დაფარეთ.

● თხევადი კონტური მხოლოდ თვალის ზედა ნაწილში წაისვით. გაიკეთეთ თხელი, აკურატული ხაზი.

● ყავისფერი ტუში მაკიაჟს გაცილებით ბუნებრივ ელფერს შესძენს.

● მქრქალი პომადა დახვეწილი მაკიაჟის საუკეთესო ფინალია. პომადა ფუნჯით წაისვით, რადგან გაცილებით თანაბრად განაწილდება, დიდხანს გაძლებს და კონტურსაც უკეთ გამოკვეთს.

● ფრჩხილებზე ლაქის წასმა საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურაა. თუ ამისთვის დრო არ გყოფნით, უბრალოდ, ფრჩხილებს სწორი ფორმა მიეცით. იდეალური ვარიანტია, თუ ლაქი პომადის ფერს შეესაბამება.

● სუნამო ქალისათვის საკმაოდ ეფექტური იარაღია, მაგრამ თქვენი მიზანი პარტნიორის „გაგუდვა“ არ არის, პირიქით — ის თქვენდამი კეთილად უნდა განწყობს და მოხიბლოთ. ამდენად, იპურეთ რამდენიმე წვეთი ყურის უკან, ხელის მტევანზე და ყელზე. ეს სრულეობით საკმარისია.

ახლა კიდევ ერთხელ ჩაიხედეთ სარკეში. ვის ხედავთ? არ გაგიკვირდეთ, ეს მომხიბვლელი ქალი ნამდვილად თქვენ ხართ. გახსოვდეთ: სიმტკიცე და თავდაჯერებულობა მთელი საღამო თქვენი განუყრელი თანამგზავრი უნდა იყოს.




**აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად**  
 ინტერნეტ მაღაზია  
**www.elva.ge**  
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур		

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო  
 ქ. თბილისი  
 თბილისის ქ. № 49  
 ტელ: 42-43-40;  
 38-26-73; 38-26-74.  
 ფაქსი: 38-26-74  
 E-mail: elva@kvrivspalitra.com



# დიდმოჩის სავა ფინანსის ხვარი

მოზა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-25

ალი ჰასანმა დაუდევრად მიუგდო აშმედს ქისა და ჰკითხა:

— ახლა თუ დამითმობ ჩემს საკუთრებას?

— აშმედმა ქისა გახსნა, დირჰემები გადათვალა და მერე უპასუხა:

— უცნაური კაცი ხარ, ჰასან. არ ღირდა ამ სომხების მიზეზით ღამის გატეხა. ალაჰს ვფიცავ, ისინი შენ გვეუთვნიან. ხვალ სამივეს ქარვასლაში მოგვგრი.

— არა... ახლავე წავიყვან, — იუარა ჰასანმა და მსახურებს სომხების წაყვანა უბრძანა.

— გურჯი?... ერთი ტყვე რა ბედენა?! არ ღირს მისი ბაღდადს წაყვანა. დაჭრილია. შორ გზას ვერ გადაიტანს. თანაც ბაღდადში რა ფასი ექნება მაგის აზნაურობას?... შენ კი ბევრი ნაცნობი გყავს გურჯისტანში. რომ მოინდომო, კახთ მეფესაც მიუდგები და კარგ გამოსასყიდსაც მიიღებ, — მუროჩი შეასხენა აშმედმა.

— ჯერ უნდა დავრწმუნდე, რომ მართლაც, ჰერეთელი აზნაურია. ყმაში კახთ მეფე გამოსასყიდს არ გადაიხდის და რატომ უნდა ვიზარალო?! — უპასუხა ჰასანმა.

— მენდე, აზნაურია. იქნებ, უფრო მეტიც, მაგრამ ვერაფრით დავაცდენინე სახელი. შენც ნუ ეცდები ამას. ჯიუტია და უგუნური, — ხელი ჩაიქინა ჰასანმა.

— მაინც ვცდი. იქნებ, ავალაპარაკო. შენ ნუ დაენახვები. ყველა ტყვეს სძაგს დამტყვევებელი და შენს გასაგონად არაფერს მეტყვის, — თქვა ჰასანმა, მერე მსახურს უნაგრიდან აბგა ჩამოახსნევინა, სადგომში შევიდა, მაშხალა კედელში ჩაამაგრა, მუროჩის პირისპირ დაჯდა და თქვა:

— ახლა აღარავინ შეგვიშლის ხელს. შეგვიძლია, ვილაპარაკოთ.

— რაი გვაქვს სალაპარაკო? მე ტყვე

ვარ, შენ — თურქი ვაჭარი! — შეუბღვირა მუროჩიმ.

— უკვე გითხარი, რომ არც შენა ხარ ჰერეთელი და მეც არ ვარ თურქი, — მშვიდად თქვა ჰასანმა.

— მაშ, ვინ ხარ? — ჰკითხა მუროჩიმ.

— შენსავით, ქართველი და თანაც — ჰერეთელი, — უთხრა ჰასანმა.

— შენ ხარ ქართველი?! — მუროჩიმ დამცინავი მზერა ესროლა ჰასანის ჩაღმასა და ინით შეღებულ წვერს.

— თხუთმეტი წლისა იქნები. ადრე დაღვინებულხარ, მაგრამ ერთია, მეომრული შემართება და მეორე — ცხოვრების ცოდნა. შენ მაგისი არა გესმის რა, — ამ სიტყვებთან ერთად, ჰასანმა აბგა მისცა და დაამატა: — ჭამე, ცოტას მოგამაგრებს.

აბგაში ქიშმიში, ორიოდ ნაზუქი და ხილი აღმოჩნდა. მუროჩიმ ნაზუქი გაკბინა, მუჭაში ქიშმიში მოიქცია და ხარბად შეუდგა ჭამას.

— ჰერეთელისა არაფერი გცხია. საჭურველიცა და კილოც ფხოველისა გაქვს. თუ მართლაც ფხოველი ხარ, აზნაური ან მასზე მეტი ვერ იქნები, მართალი ვარ თუ არა? — განაგრძო ჰასანმა.

— მართალი ხარ. არც აზნაური ვარ და არც ჰერეთელი, მაგრამ რა შეიცვლებოდა, ჰერეთელი რომ ცყოფილიყავი? — ჰკითხა მუროჩიმ.

— არაფერი... ამ ბაზარზე ბევრი ჰერეთელი გაყიდულა და ახლაც ბევრი იყიდება, მაგრამ არც ერთს არ დავხმარებია, — ჩაილაპარაკა ჰასანმა.

— რად დაეხმარებოდი თურქი?! — მზერა გაუსწორა მუროჩიმ.

— ხომ გითხარი, ქართველი ვარ-მეთქი!

— რაია ენის ცოდნა?... ქრისტეს სჯულის დამგდებს არა სცხია რა ქართველისა! — არ შეეპუა მუროჩი.

— მაგას დღეს ამბობ, მაგრამ როგორ იქნები ხვალ?... ვიცი, რასაც ფიქრობ: გაქცევა გიტრიალებს გონებაში. ნუ ამოიგდებ მაგ აზრს თავიდან: ვერ გაიქცევი, მაგრამ თავისუფლების წყურვილი სიცოცხლის ძალას მოგცემს. ახლა დაჭრილი და დასუსტებული ხარ. ვერ გაიქცევი და რომც დაუსხლტე აშმედს, სამშობლოში მაინც ვერ დაბრუნდები. აქაურებისთვის გურჯი ხარ. იცი, რას ნიშნავს ეს?... შენ ყველასთვის მოსისხლე მტერი ხარ. არავინ შეგიფარებს, არავინ მოგანვდის ლუკმას. უფრო ხანჯლის გაყრას ელოდე. როცა მოლონიერდები, აქედან ძალიან შორს იქნები. ისე შორს, რომ ჯან-ლონით სავეცე ვერ შექლებ უკან გამობრუნებას. თურქთაგან თავის დაღწევის ორი გზა გექნება მხოლოდ: ან უნდა მოკვდე, ან კიდევ, მათი სჯულისა გახდები.

— ეგ არ მოხდების! — ბრახით შესძახა

მუროჩიმ.

— მაშინ, მოკვდები... მე გეტყვი, რაც მოხდება ხვალ: დაჭრილსა და დასუსტებულს არავინ გიყიდის. მიტომატ იტყუება აშმედი, რომ ჰერეთელი აზნაური ხარ. იმედი აქვს, ვინმე გამოსასყიდს დახარბდება. მაგრამ ეს არ მოხდება. კარგად ვიცნობ აქაურ ვაჭრებს. ოჯახის ან რამდენიმე ტყვეს გამო, შეიძლება, მართლაც შეენუხებინათ თავი, მაგრამ ერთი აზნაურის მიზეზით, კახთ მეფესთან არავინ დაინწყებს ვაჭრობას. თანაც, შენ ხომ მისი აზნაური არ ხარ. ვინმე რომ გიყიდოს, შენში მაინც ვერ მიიღებს გამოსასყიდს და ისევე ბაღდადის ან ისპაჰანის გზას გაგიყენებს. თუ გზაში შეიცვლი ხასიათს, შეიძლება, მართლაც გადარჩე, თუ არა — დაიღუპები. დაუმორჩილებელს, არავინ გიყიდის და ადრე თუ გვიან, შენს პატრონსაც მოჰბეზრდება შენთან ჭიდილი. ასეთი მონა კი ყოველთვის ერთნაირად კარგავს სიცოცხლეს. ლომების ან ავხების საჯიჯგნად გაქცევენ. შეგაგდებენ გალიაში და ამით დამთავრდება ყველაფერი!

— რისთვის მიყვები მაგას, თურქო? ჩემი დაშინება გინდა? — შეაწყვეტირა მუროჩიმ.

— არა... ვხედავ, რომ უშიშარი ხარ. აშმედმაც მიაპბო, როგორი ომი გცოდნია. შენ ზუსტად ეგ დაგლუპავს. უშიშრობითა და მეომრული შემართებით, თურქთ შორის თავს ვერ გაიტან. ოცდაათი წლის წინ, მეც შენნაირი ვიყავი. ტყვეობა მეც სულს მიხუთავდა და დღედაღამ მარტო ერთზე — გაქცევაზე ვფიქრობდი. მაშინ ვინმეს რომ ეთქვა: ქრისტეს სჯულს დააგდებ და მუსლიმანი გახდებიო, შემულიად მივიჩნევდი. მეგონა, რომ სიცოცხლეს უფრო ადვილად დავთმობდი, ვიდრე — სჯულს. მაშინ ცხოვრების ბევრი არა მესმოდა რა. ყოველთვის ასეა. ფიცხია ახალგაზრდა, სისხლი უდულს. არავინ ეგულება მომრევი. თუნდაც მთას შეეჭიდება. მაგრამ მძიმეა სიბრძნისკენ მიმავალი გზა. ყოველი ნაბიჯი ჭრილობას ამჩნევს სხეულსა და სულს. მე უკვე გავიარე ეს გზა. შენ კი ახლა იწყებ და არ მინდა, რჩევი ფიცხი ხასიათის გამო დაიღუპო. არც ვას მოგცემ: თუ გინდა, ცოცხალი გადარჩე, ქედი მოიდრიკე. თუ აშმედი აზნაურად გასალებს, შენც დაადასტურე. თურქები პატივისცემით ეპყრობიან მათ მიკვდებულ დიდებულებასა და კარგ გვარიშვილებს. ყველაზე დიდ პატივს შემართულ მეომრებს სცემენ. შენ კი მოჭარბებულად გქონია მეომრობა. თუ სჯულსაც შეიცვლი და მუსლიმი გახდები, მათ ნდობასაც მოიპოვებ. მერე კი შეგეძლება შინ დაბრუნებაზე ფიქრი, მაგრამ ალბათ აღარც მოგიხდება, — თქვა ჰასანმა.

— შენთვის დადიტოვე შენი რჩევა. თავად ვიცი, რას და როგორ გავაკეთებ... და ესაც წაილე! — შეუღრინა მუროჩიმ და ამასთან ერთად, აბგა ფეხებთან მიუგდო.

— ეგ კი, ცუდია... გაბედულებასთან ერთად, სიამაყეც გადაჭარბებული გქონია. მიილე რჩევად: ჭირში თუ ლხინში, დახმარებაზე ნურავის ეტყვი უარს. ადამიანი ყოველთვის თანამომქმეს დაეძებს, — დამრიგებლურად უთხრა ჰასანმა და აბგა მისკენ მიაწოჩა.

— გამეცალე! — ავად მიუგაო მუროჩი.

— სიჯიუტეც ფხოველისა დაგყოლია... არ გინდა, შეისმინო ის, რაც სიცოცხლეს შეგინარჩუნებს და შინაც დაგაბრუნებს... მაშინ, სხვანაირად გეტყვი სათქმელს. გიამბობ, რაც გადამხდა, მერე კი თავად გადაწყვიტე, როგორ მოიქცევი... მამაჩემი ჰერეთელი აზნაური ქავთარისძე იყო, დედა — ანისელი სომეხი. მესხიერებას ბუნდოვნად შემორჩა მათი სახეები. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ძალიან ლამაზი იყო დედაჩემი. სწორედ მისი სილამაზე გახდა ჩვენი ოჯახის უბედურების მიზეზი... ათი წლის ვიყავ, როცა ჰერეთს კახეთის მეფე კვირიკე ესტუმრა, ახლანდელი მეფის, ალსართანის მამა....

კვირიკეს ამაღას კახი ერისთავის, ბაკურის ვაჟიც ერია. ცუნდრუკი, ღვინისა და დიაცთა მოყვარული ვინმე იყო. თურმე დედაჩემი მოსწონებია. მერე ამხანაგებისთვის უთქვამს: მისი ქმარი შეიქცით, ვიდრე ჩემს საქმეს მოვაგვარებო. მისი ამხანაგებიც ასე მოქცეულან. მამა მტკვრის ქალაში, ვითომდა ხონობზე სანადიროდ გაუტყუებიათ. ვიდრე ისინი ნადირობდნენ, ბაკურის ვაჟი ჩვენს სახლს მოადგა. სტუმარს უკან ხომ არ გააბრუნებდა აზნაურის ოჯახი მაგრამ წესიც არ იყო ოჯახს სტუმრობა, როცა პატრონი შინ არ იმყოფებოდა... რალაც მიზეზების მოგონება დაიწყო ერისთავის მემკვიდრე: ცხენს ნალი ასძვრა და გზას ვერ გავაგრძელებო. დედაც მსახურებს სხვა ცხენის მოყვანა უბრძანა. მერე დადლილობა მოიმიზეზა დაუბატყებელმა სტუმარმა. დაასვენეს სადილიც მიართვეს. ბოლოს თქვა: ავად ვარ და ვიდრე ამაღა არ მომაკითხავს, სტუმრად მიგულებო. ასე ითრია ფეხი ღამემდე. თანაც, დედას გასაქანს არ აძლევდა. მის სიახლოვეს ტრიალებდა და გაუთავებლად ლაყბობდა. ჩანს, რალაც არ მოეწონა დედას მის საქციელში. მოუბოდიშა: მახლი ავადობს და ნამალი უნდა მივანოდო, ნუ მინწყენთ, დასასხლისის გარეშე რომ გტოვებთ ოჯახში, მაგრამ აუცილებლად უნდა წავიდეთ... ამითაც ვერ მოიშორა თავიდან. დაიჟინა ერისთავის ვაჟმა: მარტო ვერ გაგინებებ, თავად გაგაცილებო. ამაზე კი უარი სტკიცა დედამ. ჩამკიდა ხელი, პირისფარეშიც გაიყოლა და სახლიდან წავიდა. ამან მიახვედრა

ერისთავის ვაჟი, რომ იქ აღარაფერი ესაქმებოდა და თავადაც გზას გაუყვა. მაგრამ მაინც არ მოახვენა ბილწმა და ცუნდრუკმა სულმა. მეორე დღეს თავის ამხანაგებთან იტრიაბა, როგორ დაიმორჩილა დედაჩემი. ორ კაცთან ნათქვამი სიტყვა ოთხს მისწვდა, მერე — რვას და მალე მამაჩემის ყურამდეც მიაღწია. თავმოყვარე კაცი იყო მამა. დედაც უყვარდა და ოჯახის სინმინდესაც უფრთხილდებოდა. არ შეეპუა ერისთავის ვაჟს და პირველი შესხვედრისთანავე ხანჯალი გაუყარა ფაშვში. ამის მერე ჰერეთს აღარ დაგვედგომებოდა. მშვიდი ალაგის ძებნაში ჩავედით ანისს,

სადაც ჩემი დედულეტი გვეგულებოდა. იქ მეფე კვირიკე და მისი ერისთავი ვერ მოგვეწვდებოდნენ. მაშინ ბაგრატი მეფობდა ქართლსა და იმერეთში. დედამისი, მარიამიც ხომ ანისელი იყო, სომეხთა მეფის, სენაქერიმის ასული. ბაგრატი და კვირიკე კი დაუძინებელი მტრები იყვნენ და კახთ მეფე და მისი ერისთავი ვერასოდეს შეპბედავდნენ ანისს, რომელსაც ბაგრატი ჰპატრონობდა...

ხუთი წელი მშვიდად ვიცხოვრეთ. მერე სელჩუკთა ლაშქარი მოადგა ანისს. ლაშქარს სელჩუკთა იმჟამინდელი ტახტის მემკვიდრე და ამჟამინდელი სულთანი, მალიქ-შაჰი სარდლობდა. ურიცხვი იყო მისი ლაშქარი, მაგრამ მაინც არ შედრკა ანისის ციხიონი. ქალაქს მალალი გალავანი და წყლიანი თხრილები იცავდა. არაერთ მომხვედურს წაემტვრია კისერი მისი გოდლების ძირას. შედრკა მალიქ-შაჰი, როცა მალალ კედლებზე გამწკრივებული, საომრად მოზიდული ციხიონი იხილა. მისმა მრჩეველმა, ვაზირთა შორის უპირველესმა, ნიზამ ალ მულკმა უკან გაბრუნება და სულთნისთვის დამატებითი ჯარის გამოთხოვა ურჩია, მაგრამ როგორ უნდა უკუქცეულიყო ანისიდან მალიქ-შაჰი, რომელიც სელჩუკთა სასულთნო ტახტზე ასასველად ემზადებოდა?!

დაიწყო ომი. ნავებითა და ტივებით გადმოდიოდნენ სელჩუკები წყლიან თხრილს და გალავანზე მიფოფხავდნენ. ქალაქის დამ-



ცველები კი ისრით, ლოდითა და ადულეზული ფისით მუსრავდნენ. აუარება თურქი ჩანდა ციხის მისადგომებთან. ჩემი მამა დღედღავე ციხის კედლებზე იდგა. მეც მასთან ერთად ვიბძობოდი.

ქალაქის დამცველთა თავდადება მალიქ-შაჰი დაარწმუნა, რომ ანისს ვერ გატყენდა და უკან გასაბრუნებლად მზადება დაიწყო. მაგრამ ის, რაც თურქებმა ვერ შეძლეს, ბუნებამ მოახერხა: იმ ღამით საშინელი მიწისძვრა მოხდა. ვერ გაუძლო რყევას ანისის ზღუდე. მორღვეული გოდლები ძირს დაქანდა და წყლიანი თხრილებიც ამოავსო. ზღუდესთან ერთად დაიღუპა

ქალაქის მრავალი დამცველიც...

გრიგალივით შემოიჭრა ზღუდემოშლილ ანისში სელჩუკთა ლაშქარი. ქალაქის დამცველები მაინც თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ სელჩუკთა შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. ბაგრატი მეფისგან ელოდა დახმარებას ანისი. ყველამ იცოდა, რომ ქართველთა მეფე გასაჭირში არ მიატოვებდა დედის სამშობლოს, მაგრამ ის კი არ იცოდნენ ანისელებმა, რომ იმ დროს ბაგრატი მეფე ახალქალაქთან, სელჩუკთა სხვა ჯარს ებრძოდა. იმ ჯარს თავად სულთანი — ალფ არსლანი ედგა სათავეში. თუმცა მაინც არ დაივიწყა ბაგრატი მეფე ანისი. ერისთავი თორელი წარგზავნა მამველად. ანაზდეულად მოიჭრა მესხთა ლაშქარი. იქნებ დაემარცხებინათ კიდეც სელჩუკნი, მაგრამ პირველსავე ბრძოლაში დაიღუპა ერისთავი თორელი. ვეღარ იომეს სარდლის დაღუპვით გულგატეხილმა მესხებმა და უკუიქცნენ...

ერთ დღეში აიღეს სელჩუკებმა ანისი. მამაკაცები ამოხოცეს, ქალებსა და ბავშვებს ბორკილები დაადეს და ტყვედ გაირეკეს. ბრძოლას მარტო დედაციხე აგრძელებდა, მაგრამ ანისის დაცემის მერე, მისი ბედიც გადაწყვეტილი იყო.

სასტიკად იძიეს შური სელჩუკებმა. ციხიონი ბრძოლაში შეაკვდა და თანამომძეთა დაღუპვით გამშავებულნი, დედაციხეს შეხიზნულ ანისელებს დაერივნენ. ტყვეები აღარ აუყვანიათ. დედებს ხელიდან სტაკებდნენ შვილებს და ქვაზე დახეთქებით კლავდნენ. მერე დედებს სჭრიდნენ ყელს. არავინ დაინდევს. ხუცები და ეპისკოპოსები გალავანიდან გადაყარეს. ციხისთავს თავი მოჰკვეთეს და შუბის წვერზე წამოაგეს. იმ ხოცვა-ჟლეტას შეეწირა დედაჩემი და უმცროსი დაც. სისხლის მორევი იდგა ანისის ქუჩებში. მინა აღარ ჩანდა. მთლიანად დაეფარა დახოცილთა ცხედრებს. ძარცვა-რბევის მერე მალიქ შაჰმა ლაშქარი ქალაქს გაარიდა. ნათქვამია: უპატრონო ეკლესიას ეწმაკები დაეპატრონნენო. ასე იყო ანისშიც: უპატრონოდ დარჩენილ ქალაქში ტურებმა და ფოცხვერებმა დაიბუდეს. ტყიურები ეშვებით გლეჯდნენ დაღუპულთა ცხედრებს, აქეთ-იქით დაათრევდნენ მათ ძვლებსა და შიგნულს...

ისე დაიქცა და გააბრტახდა, ოდესლაც დიდებული ქალაქი, რომ სელჩუკებმაც აღარ მოინდომეს მასში დაბუდება. ის ქურთთა ბელადს, არის აბულსაუვარს მიჰყიდეს, რომელიც თავისი ჯვართი ესმარებოდა მათ ანისის ალბანში. ორმოცი საპალნე ოქრო-ვერცხლი გადაიხდა ქურთმა, სომეხთა სატახტოში. იმას კი არ უწყოდნენ თურქნი, რომ არის აბულსაუვარს ეს ოქრო-ვერცხლი სომეხთა ქორეპისკოპოსის, დავითის სასახლიდან ჰქონდა გატაცებული. ანისი ამან საერთოდ დაცა. თურქები სასტიკი დამპყრობლები არიან, მაგრამ მათ ქალაქების შენებაც იციან. ისინი უტყებ ალადგენდნენ ქალაქის ზღუდეს, გოდლებს, ისევ გამოაცოცხლებდნენ ანისს. ქურთები კი...

მათ არასოდეს აუგიათ სახლი და გოდოლი. მომთაბარენი არიან და ცხვრის მოშენებისა და მეკობრეობის მეტი არაფერი ეხერხებათ. ისიც იციან, რომ ძლიერ მომხდურს ომით ვერ დაუბრუნდებიან. ვინმე თუ მიუხედავად, ომს არ გაუმართავენ. აშლიან თავიანთ კარებს, ცხვარს გაირეკავენ და ისევე გადაიხვენიან, როგორც მოვიდნენ. ამიტომაცაა ანისის ასე გაპარტახებული. დიდი ხანია, რაც აქ არავის მოუხნავს მიწა და ბალ-ბოსტანი არ გაუშენებია. მაგრამ უსაქმოდ არ სხედან ქურონი. ტყეყვა ყიდვა-გაყიდვა გაიხადეს ხელმობად და ანისი კიდევ ერთ ჩირქმდენ იარაღ აქციეს ქრისტიანთა სხეულზე...

შენ ალბათ გაინტერესებს, როგორ გადავურჩი ამ ჯოჯოხეთს. მაგასაც გეტყვი. მე და მამა იარაღით ხელში ვებრძოდით მომხდურს. უშიშარი მეომარი იყოს მამა. დალუპვამდე, მრავალი თურქი გაისტუმრა საიქიოს, მაგრამ მერე მისი ჯერიც დადგა. ჩემ თვალწინ აჩქეს სელჩუკებმა. გამაგებულნი მივვარდი მამის მკვლელებს. ორს იქვე გავაგდებინე თავი, მესამე შუბზე წამოვავლე. ღრიალით შემოხვედნენ თურქები. ცოტაც და ლუკმა-ლუკმა აპკაფავდნენ. მაგრამ თურმე ჩემს ბრძოლას მათი ამირა, იბრაჰიმ ადევნებდა თვალს. სელჩუკს მოსწონებია ჩემი შემართება. თავის მეომრებს შესძახა: არ მოკლათ, ცოცხალი მომგვართო!..

ქამანდები მტყორცნეს სელჩუკებმა. ცხენიდან გადმომაგდეს და გამოთოკეს. ასე ვიქცევი იბრაჰიმის ტყვედ და იქიდან დაიწყო ჩემი გათურქებ-გამუსლიმანება. რა მოიხვედრის უნდა მქონოდა თხუთმეტი წლის ობოლ ყმანვილს?! შესაძლოა, მენახირედ ვექციე. შესაძლოა, უარესიც მომხდარიყო — დავესაჭურისებინე და ჰარამხანის მცველად აღვეზარდე, მაგრამ ჩემს პატრონს მოსწონებოდა ჩემი ბრძოლა და მენახირედ ან საჭურისად ვერ გამიმეტა. თავისი ჯარისთვის მეომრად ვჭირდებოდი, მაგრამ ქრისტიანს, ვინ ჩამიგდებდა ხელში ხმალსა და სატევარს?! დიდხანს მანვალეს. შეგონებაც სცადეს. არ გაჭრა. მაშინ მამიმ-შეიღეს, მცემეს, გაგვარვარებული რკინით დამდაღეს და მაინც გამტყნეს. გატყნაც არ ერქვა ამას. ჩემით ვიფიქრე. რაღა მკავ-შირებდა საქართველოსთან?.. ჰერეთს ვერასოდეს დავბრუნდებოდი. მამა ცოცხალი აღარ იყო და კვირიკე ჩემზე იძიებდა შურს. ცოცხალიც რომ დავგვრებინე, ჩემით არ ვემსახურებოდი ჩემი ოჯახის დამაქცევარს. აღარ მყავდა დედა, და... არავინ, ვის გამოც მოვიწოდებოდი შინ დაბრუნებას. ვინდა რჩებოდა?... რჯული?... ამერით?... ის ძალიან შორს იყო, როცა ანისს მისი დახმარება სჭირდებოდა. ანისელთა ხვეწნა-მუდარას, თურქეთა უკუქცევაზე, ღმერთმა მინისძვრით უპასუხა. იმ მინისძვრით, რომელმაც თურქებს ციხის ზღუდენი გადააღასვინა და ქურთებმაც ქრისტიანთა შესანიშნავი იყიდეს ანისი. არ ღირდა, ამ ღმერთის გამო სიცოცხლეზე უარის თქმა...

— და შენც ახალი ღმერთი მოქებენ?...  
— ზიზლით მიუგდო მუროჩიმი.

— უბირი ხარ, ფხოველო! — ბრაზი მოერია ჰასანს.

— არ ვარ უბირი. კითხვაც ვიცი და წერაც მეხერხება. ბერძენთა ენაც მესმის, — უპასუხა მუროჩიმი.

— ოჰო... სად ისწავლე ბერძნული? — გაუკვირდა ჰასანს.

— ნათლის სასახლის კარზე, ბერძენი ბერი გვერთინდა მე და ჩემს ძმას, — არ დაუმალა მუროჩიმი.

— მაგრამ კარგად არ გაუწვრთნინარ იმ ბერს. არ იცი, რომ ქრისტიანთა და მუსლიმანთა ერთ ღმერთს სცემს თავყვანს. ქრისტიანნი ღმერთს უწოდებენ მას. მუსლიმანები — ალაჰს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. შენ სხვა იგულისხმე. ქრისტეს სჯულის დაგდება და მუსლიმანად მონათვლა სხვა ღმერთის თავყვანს ცემად ჩამითვალე. თუნდაც ასე იყოს. მე უნდა მეცოცხლა და ჩემი გზა სიცოცხლისკენ, მეჩეთზე გადიოდა!.. თანაც, შურისძიების ცეცხლიც მწვავდა. სჯულის შეცვლა მართო სიცოცხლეს არ მაჩუქებდა. მუსლიმანად მონათვლა გათურქებას ნიშნავდა, ეს კი შურისძიების საშუალებას მაძლევდა — შურისძიებას ხალხზე, ვისი მიზეზითაც ჩემი ოჯახი მოხვდა ანისში და რამაც უბედურება მოუტანა მას. თურქად ქცეულს, ბევრ ლაშქრობაში მომიხდა ყოფნა, მაგრამ არასად მიომია ისეთი ჟინით, როგორითაც კახეთ-ჰერეთში. თურქებსაც კი აოცებდა ჩემი სიმამაცე. დაუნდობლად ვჩივებულას, ვინც მევე აღსართანს და მის ერისთავებს იცავდა ჩემი შურისძიებისგან, მაგრამ მაინც ვერ მივწვდი ჩემთვის საძულველ კახთ მეფეს. რამდენჯერმე ხელში ჩამივარდნენ მისი აზნაურები. ყველა მოვკალი და სიკვდილის წინ, ყველას ვუთხარი, ვისი შთამომავალიც ვიყავ მათგან წყველა-კრულვის მეტი არაფერი მიმიღია. ერთმა ისიც მითხრა, რომ მართალი ყოფილა აღსართან, როცა მოკვლა დაუბირა მამაჩემს. ვერ ხვდებოდნენ, რისთვის ვიძიებდი შურს. მიზეზი მართო ერთი მქონდა: ისინი მამაჩემის მეგობარ-ამხანაგები იყვნენ და არც ერთი არ აღუდგა წინ ერისთავებს, როცა მამაჩემისთვის განაჩენი გამოჰქონდათ. ისინი მამაჩემს აძაგებდნენ. მტრობა გამოუცხადეს კაცს, რომელიც ოჯახურ კერას იცავდა. ჩანს, თავად უსიტყვოდ აიტანდნენ ასეთ შურაცხყოფას და მიტომაც არ იმსახურებდნენ შეწყალებას, მაგრამ ეს ყველაფერი წლების მერე უნდა მომხდარიყო, მანამდე კი...

იბრაჰიმმა მომიწონა საქციელი. როგორც კი თანხმობა მივეცი, ჩემი ნაშენი და დამცირება აკრძალა. მომიჩინა მასწავლებელი, რომელსაც „ყურანში“ უნდა გამოეწვრთნინო. ცალკე მწვრთნობდნენ ომისა და ლაშქრობებისთვის. იმაზე ლაპარაკი, თურა გადაშნდა მის ჯარში თავს, შორს წაგვიყვანს. მხოლოდ გეტყვი, რომ მრავალი წელი ვიომე მის მხარდამხარ. მისი საყვარელი მეომარი ვიყავ. ყველაზე სახიფათო დავალებებს მე მანდობდა. ამით, თავზეხელაღებული მეომრის სახელი დავიმკვიდრე და იბრაჰიმმა თავისი ჯარის ასისტავობაც მიბოძა. მერე ჯვაროსნებთან ომში მოვხვდი. ჩვენს ჯარს

თავად სულთანი სარდლობდა. ბრძოლისას ჯვაროსნებმა გვერდიდან დაგვიარეს და ჩვენი ფეხოსნები ახალამწვრთნილი ჯვეგილივით გადათელეს. სულთანმა ამირა იბრაჰიმს მამველი ჯარის გაძლოლა უბრძანა. დაჭრილი იყოს ის, მყარად ვერ იჯდა ცხენზე და ცხენოსანთა გაძლოლა მე მიბრძანა, თავად კი ამალით მოგვეყვა უკან...

მშვიერი მგლებივით წაესივნენ ჩემი მხედრები ჯვაროსნებს. ფიცხელი ომი შეიქნა. ბევრი მეომარი დაეცა იმ დღეს, მაგრამ გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვარჩა. სრულიად მოისრა ფრანგთა ლაშქარი.

ბრძოლის მერე იბრაჰიმი მოიკითხა სულთანმა. მისი დასაჩუქრება სურდა. იბრაჰიმის ადგილზე, სხვა თავად მიიწერდა იმ გამარჯვებას და სულთნის წყალობასაც დაიმსახურებდა, მაგრამ ის ჭკუმიარტი მეომარი იყო და არ იკადრა სხვისი გამარჯვების მითვისება. უთხრა სულთანს, რომ მე ვმეთაურობდი ცხენოსან ჯარს და მე მეკუთვნოდა დასაჩუქრება. წყალობა კი მართლაც უხვი გაიღო სულთანმა. მისი შახიფთანიანების ასისტავობა მიბოძა. იცი, რას ნიშნავს შახიფთანიანთა ასისტავობა?... შენ ხარ ადამიანი, რომლისაც ამირებსაც კი ეშინიათ. შენ ხარ სულთნის სიცოცხლისა და სიმშვიდის მცველი. გემორჩილება ასობით თავდადებული მეომარი, რომლისთვისაც ერთი სიტყვაც კმარა სიცოცხლის დასათმობად... აი, რას მივალნიე ჩემი შემართობით და რა დამემართებოდა, ჯიუტობა რომ დამეწყო და ყურად არ მეღო იბრაჰიმის სიტყვა?... ჩრდილივით გაქრებოდი ამ ქვეყნიდან და ახლა სადღაც უდაბნოში ეყრებოდა ჩემი ძვლები... დღეს კი...

გულუხვად დამიფასა სულთანმა ერთ-გულედა. სარწო-საბადებელი გამოჩინა, დამასახლა. დღეს ბაღდადში ყველა იცნობს ალი ჰასანს. ჰინდიდან ვენეციამდე ჩადიან ჩემი ქარავნები. შადრევნებიანი სასახლეც მაქვს, ოქრო-ვერცხლიც ბევრი მამბდია და ცხენის რემები თუ აქლემთა ჯოგები. სხვა რაღა შეიძლება ინატროს ადამიანმა?! ეს ყველაფერი ჩემმა მარჯვენამ და აი, ამ ხმალმა მომპოპოვებინა და შენც იმავს გირჩევ. შენ-ნაირი მეომარი ადვილად დაიმსახურებს თურქთა პატივისცემას. მთავარი, არ გაჯიუტდე და მათ ნებას დაჰყვე. დანარჩენი კი თავად მოგვარდება, — თქვა ჰასანმა და ხმლის ვადაზე ჩამოღო მარჯვენა.

— შენ შენი გზა გაქვს, თურქო, მე — ჩემი. აქ არაფერი გესაქმება. დაბრუნდი შენს სასახლეში და თვალე ოქრო-ვერცხლი, ვიდრე შენი სულთანი თავს არ წაგაგდებინებს ან ყელზე საბელჩაბმულს არ ჩაგაყენებს გასაყიდ ტყვეთა მწკრივში! — შეუღრინა მუროჩიმი.

— მართალი ყოფილა აჰმედი. ჯიუტი კი არა, უგუნური ყოფილხარ... რას იზამდი, ახლა აჰმედისგან რომ გამომესყიდე და ჰერეთამდე მიმეცილებინე? — მოულოდნელად ჰკითხა ჰასანმა.

— რაი უნდა მყენა?! მადლობას გადაგიხდის და შინ დაბრუნდებოდი და შენს ვალსაც არ შევირჩენდი, — უპასუხა მუროჩიმი.

— მაგრამ ნუ ელი ამას. ბევრჯერ ვყო-

ფილვარ ანისში და ბაღდადას და ისაპან-  
შიც მრავლად მინახავს ქართველი ტყვე-  
ზოგი მართლაც შემბრალეობა. ეგრევე შემ-  
ტყვია, რომ მერცხალივით, თავისუფლების  
მოყვარული იყო. ვერ შეურიგდებოდა ტყ-  
ვეობას და რომც არ მოეკლათ, თავისით  
გაეყრებოდა სიცოცხლეს. შემძლო, მეყიდა  
და მერე თავისუფლება მეჩუქებინა, ამით  
არაფერი მოაკლდებოდა ჩემს ქისას. მა-  
გრამ არასოდეს მიქნია ეს... ყველას ჩვენ-  
ჩვენი ტვირთი გვაქვს, რომელიც ბოლომ-  
დე უნდა ვზიდოთ. თუ ბედმა ტყვეობა  
გარგუნა, იყავ ტყვე! იყავ და ელოდე, ხვალ  
რას გაიმეტებს შენთვის უფალი. ცხოვრე-  
ბამ თავად მიმანიშნა ჩემი საკეთებელი. მე  
დამრიგებელი არ მყოლია, თავად გადაეწ-  
ყვიტე ყველაფერი. დღეს ბედმა ჩემი თავი  
მოგივლია, მაგრამ შენთან ლაპარაკი ნელ-  
ის ნაყავა. არაფერს ვეისმენ. აჰმედი ცოტა  
ხანს კიდევ გაცლის. ვიცო, რომ აქ არავინ  
გიყიდის. ავადმყოფსა და დასუსტე-  
ბულში არავინ გაიმეტებს ოქროს. მაშინ,  
ბაღდადს ჩაგყვანს აჰმედი. გზაში თუ  
მოეგ გონს, გადარჩები, თუ არა და...

ბაღდადში აჰმედი აუცილებლად  
მომინახულებს. მისგან გავიგებ შენს  
ამბავს და თუ ცოცხალი იქნები, ერთ  
აბგა ქიშმის კიდევ შეგანევ, — დამ-  
ცინავად ჩაილაპარაკა ჰასანმა და  
გასასვლელისკენ მიბრუნდა.

მართალი აღმოჩნდა ჰასანი. ერთი  
კვირა გაჩერდა აჰმედი ანისში, მა-  
გრამ მყიდველი არ გამოჩენია  
დატყვევებულ ფხოველს. ერთი-ორ-  
ჯერ თუ შეჩერდნენ მის გალიასთან  
ნითელწვერა თურქი მყიდველები,  
მაგრამ როგორც კი მის ნამონთე-  
ბულ შვერასა და დაძარღვულ მკლავებს  
შეათვალისწინებდნენ, შევაჭრების გარეშე  
აგრძელებდნენ გზას. აჰმედსაც გადაეწურა  
იმედი, რომ ვინმე იყიდა მის ტყვეს, მა-  
გრამ ანისიდან წასვლასაც ვერ ახერხებდა.  
მექარავეთი ცუდი ამბები ჩამოჰქონდათ:  
ბაღდადისკენ მიმავალ გზაზე მეკობრეთა  
დიდი ბრბო გამოჩენილიყო, რომელიც  
დაუნდობლად ძარცვავდა მათ. მარტო ისეთ  
ქარავნებს არიდებდნენ თავს, რომლებსაც  
მცველთა დიდი რაზმი მიაცილებდა. ვაჭართა  
მცირე გუნდებს კი გაბედულად უტევდნენ,  
ძარცვავდნენ და მექარავეთი დაუნდობლად  
ხოცავდნენ. ამიტომაც შეყოვნდა აჰმედი.  
იცდიდა მანამდე, ვიდრე ვაჭრებმა დიდ  
ქარავანსა და ასამდე მცველს არ მოუყარეს  
თავი. ერთადერთი ვაჭარი, ვინც მოცდა  
არ მოინდოდა, ალი ჰასანი იყო. მას სასაცილო-  
დაც არ ეყო გადურთხილება. მექარავეთებს  
უთხრა: ეგლა მაკლია ალი ჰასანს, თავზეხ-  
ველალებულთა შიშით, ანისიდან გასვლა ვერ  
გაუბედოო!.. მერე თავისი ქარავანი აყარა  
და ბაღდადის გზას გაუდგა.

ორიოდ დღეში, ანისიდან გაერთიანებ-  
ული ქარავანიც გავიდა. აჰმედის რაზმი  
ბოლოში მიჰყვებოდა დასაბაღდადისკენ  
აქლემებისა და ტყვეების გრძელ მწკრივს.  
თავად აჰმედს, მუროჩის გარდა, ტყვეები

არ ჰყავდა. თანაც, არც აპირებდა, თანამე-  
მამულე ვაჭრების გულისთვის, საკუთარი  
და თავისი რაზმელების სისხლის დაღვრას.  
ამიტომაც, სხვა ტყვეებისგან განსხვავებით,  
მუროჩი ცხენზე შესვა. მხოლოდ ხელების  
შებორკვას დასჯერდა. თავისი რაზმელებიც  
გაფრთხილებული ჰყავდა: ქარავანს მეკო-  
ბრენი თუ დაესხნენ თავს, ბრძოლაში არ  
ჩაერიოთ, ვაცადოთ, თუ მცველებმა მოი-  
გერიეს, ხომ კარგი და თუ ვერა, საკუთარ  
თავსა და ქონებას მივხედოთ და დროზე  
გავეცალოთ აქაურობასო. ამიტომაც გაიმეტა  
ფხოველი ტყვესთვის ცხენი — გაქცევისას  
რომ არ ჩამორჩენოდა და მასთან ერთად  
არ დაეკარგა ის ღირებულებები, რომელიც მისი  
გაყიდვით უნდა მოეგო.

გზა საზარელი სანახავი იყო: ყველგან  
მოჩნდა მეკობრეთა მიერ დახოცილთა ცხე-  
ლები. უპატრონო გვამებს ყვავ-ყორანი  
ესვოდა. ამაზრზენი ჩხავილით დააგორებდ-



ნენ აქეთ-იქით კანშემოცილილ და თვალე-  
ბამოკორტნილ თავის ქალებს და ძიძგინდ-  
ნენ უბედურთა შიგნულს. ნახაბით დაშინებ-  
ულმა მექარავეთებმა ნაბიჯს აუჩქარეს, რომ  
რაც შეიძლება მალე გასცლოდნენ სახიფა-  
თო ადგილებს.

პირველ დღე-ღამეს არაფერი მომხდარა.  
მშვიდად ჩაიარა მეორე დღემაც. მესამე  
საღამოს, ქარავანი დიდ გზაჯვარედინს მი-  
ადგა. მექარავენი ყოველთვის ჩერდებოდ-  
ნენ ამ გზაჯვარედინზე. იქ იყო ჭა, ფუნდუ-  
კი, სადგომები, საალაო პირუტყვისთვისა  
და ტყვეებისთვის. მაგრამ ეს ყველაფერი  
წარსულს ჩაჰბარდა. ახლა კი... იქაურო-  
ბაც მოენახულებინათ მოთარეშებებს. ფუნ-  
დუკი და სადგომები გადაეწვათ. აქა-იქ  
მეკობრეთა მიერ მოკლული მოფუნდუკე-  
თა ძვლები ეყარა. შემზარავი იყო გზაჯ-  
ვარედინი, მაგრამ მაინც იქ დარჩენა გადა-  
წყვიტეს მექარავეთებმა. გზაჯვარედინს მიღმა  
გზა ვიწრო ხეობაში შედიოდა. იმ ხეობაში  
მოთარეშენი ყველაზე სწირად ესხმოდნენ  
თავს მგზავრებს.

ვიდრე მექარავენი ბანაკს შლიდნენ,  
აჰმედმა მიდამო მოათვალიერა და თავის  
მეორებს, ბანაკს დაშორება უბრძანა.

— რატომ? — გაუკვირდათ თურქებს.  
— არ მომწონს ეს ადგილი. მეკობრენიც

ხედებიან, რომ ღამით ფეხს არ შევდგამთ  
ხეობაში და აქ დავბანაკდებით. როგორ  
გგონიათ, ვის შეუტყვენ პირველ რიგში,  
თავდასხმა თუ განიზრახეს? — კითხვითვე  
უპასუხა აჰმედმა.

— ქარავანს, — ერთხმად უპასუხეს  
მეომრებმა.

— სწორედაც რომ ქარავანს — ვაჭრებს,  
რომლებთანაც ეგულებათ ოქრო და საქონე-  
ლი. მიტომაც დავბანაკდებით ქარავანის  
მოშორებით და გაფრთხილებთ — არც  
კარვები დადგათ, არც ცეცხლი დაანთოთ  
და არც იარაღი აიხსნათ! — ბრძანა აჰმედმა  
და თავის ხალხს ღამის გასათევი ალაგიც  
მიანიშნა.

ღამე ბნელი აღმოჩნდა. ხეობიდან  
დაძრულმა, რქსავით სქელმა ნისლმა მთლი-  
ანად დაფარა ქარავანი. აქა-იქ ძლივს-  
გასარჩევად ბუჩუკავა რამდენიმე კოცონი.  
აჰმედის მცირე ბანაკი საეროთაოდ აღარ  
მოჩანდა.

მუროჩი თურქებისგან მოშორე-  
ბით, ცხენების სიახლოვეს იწვა. მტან-  
ჯველი ფიქრი ისევ არ აძლევდა  
მოსვენებას. ღამე სწორედ ისეთი  
იყო, როგორსაც ნატრობდა —  
ბნელი, ნისლიანი. თურქებიც  
დაშინებულნი ჩანდნენ. ერთმანეთს  
არ შორდებოდნენ. დაჟინებით  
აკვირდებოდნენ ხეობის ყელს —  
უჩუმრად არ ნამოგვეპარონ მეკო-  
ბრენიო. მისთვის არავის ეცალა. ახლა  
შეიძლება გაპარვას. მერა რა, რომ  
ჯერაც აწუხებდა ჭრილობა და ხელ-  
ფეხი შებორკილი ჰქონდა?! ვინ იცის,  
კიდევ როდის მიეცემოდა ასეთი  
შესაძლებლობა?! თუ ღამე მშვიდი  
აღმოჩნდებოდა, ქარავანი ისევ გააგრ-  
ძელებდა გზას და უფრო დააშორებ-  
და საქართველოს სამანებს. მერე იქნებ,  
ალარც დამდგარიყო ასეთი ღამე და საბ-  
ოლოოდ, ბაღდადში მოხვედრილიყო.  
იქიდან დაბრუნება ჯანმრთელისთვის  
უფრო ძნელი იქნებოდა, ვიდრე აქედან —  
დააჭრილისთვის... გაპარვას შეუძლებდა. ახლა  
აცეცებდნენ თურქები თვალებს, მაგრამ  
დალილობა მალე გაიტანდა თავისას. დამშ-  
ვიდდებოდნენ და დაიძინებდნენ. მუროჩის  
კი უკვე შესწავლილი ჰქონდა მათი წესი.  
აჰმედი ერთ ან ორ მეომარს ტოვებდა  
გუშაგად, დანარჩენები იძინებდნენ. ამ ღამით  
მეკობრეთა თავდასხმა დაშინებდათ თურქებს.  
იქნებ, სამი გუშაგაც დაეტოვებინა აჰმედს,  
მაგრამ ესეც ვერ შეუშლიდა ხელს. თურქებს  
მოშორებით ეძინათ. იქვე იტრიალებდნენ  
გუშაგებიც. თავად კი ცხენების სიახლოვეს  
იყო. ცხენები ფრუტუნებდნენ, დროდადრო  
მინას სცემდნენ ფლოქებს. მათი ხმაური სმენას  
უღუნებდა გუშაგებს. ბორკილები?...  
ბორკილსაც მოვევლებოდა. კბილებით დაღ-  
რლნიდა და მაინც გაითავისუფლებდა თავს.  
გზა?... ეს ყველაზე იოლად ეჩვენებოდა. მთელი  
ეს დრო მზე სახეში სცემდა. ახლა კი ზურგს  
შეაქცევდა და იქამდე ივლიდა, ვიდრე  
ღრუბლებში აზივდულ კავკასიონს არ მო-  
ჰკრავდა თვალს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# უბედურად ემიგრანტები

## შჩისძიძა ერის მოღალატეზე, „ხეციალი“ ლათინური ამერიკის ქვეყნებში და საკუთარი ქალაქი ჩილეში

წერილი ვიქტორია ნინამორბედი წერილი იხ. „გზა“ №25

### მანანა ბაბრიჭიძე

**რუსუდან დაუშვილი**, ისტორიკოსი, პროფესორი:

— მდიდარ ქართველ ემიგრანტთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ავთანდილ მერაბიშვილი — საოცარი ბიოგრაფიის კაცი, რომელიც საფრანგეთში სრულიად ახალგაზრდა აღმოჩნდა.

რუსეთის ოკუპაციის პირველი წლებიდანვე დამოუკიდებელი საქართველოს ლტოლვილი მთავრობა და საპარლამენტო პარტიების საზღვარგარეთული ბიუროები ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ კონფერენციის მუშაობაში ჩაერთვნენ და ანტიბოლშევიკური ბრძოლა გააჩაღეს. მათ 1921-23 წლების რეპრესიები და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მხედრული ანგარიშსწორება გაახმაურეს... საბჭოთა რუსეთს კარგა ხანს არ ცნობდა საერთაშორისო თანამეგობრობა და ერთა ლიგა, ამიტომ საბჭოთა მთავრობამ ემიგრაციაში თავისი აგენტები შეგზავნა, ემიგრანტთა ნაწილი მოისყიდა, ნაწილი კი აგიტაცია-პროპაგანდით დაარწმუნა, რომ სამშობლოში მათ დაბრუნებას ხელისუფლება სისარულით შეხვედებოდა და ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენდა... ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთა შორისაც აღმოჩნდა ასეთი პროპაგანდისტი, მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრის, გრიგოლ ვეშაპელის სახით, რომელიც 1925 წელს პარიზში, თავისი გაზეთის „ახალი საქართველოს“ ფურცლებზე ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებისაკენ მოუწოდებდა. მალე ვეშაპელის ჯგუფი სიტყვიდან საქმეზე გადავიდა და სამშობლოში დაბრუნების მსურ-

ველთა შეგროვება დაიწყო. საბჭოთა ანკესს არ წამოეგნენ ნაციონალისტურ-პატრიოტული ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ წევრები. ისინი რეპატრიაციის მსურველთა შეკრებებზე მივიდნენ და ხალხს დარწმუნება დაუწყეს, რომ საბჭოეთში დაბრუნება უცილობელ დაღუპვას თუ არა, ციმბირში ხანგრძლივად გადასახლებას მოასწავებდა. ნაციონალისტებისა და ვეშაპელის ჯგუფის წევრებს შორის კამათი, ცემა-ტყეპითა და იარაღის ხმარებით დასრულდა. ფრანგულმა პოლიციამ ორივე მხარე დააპატიმრა და სასამართლოს წარუდგინა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ გრიგოლ ვეშაპელი გაამტყუნა და დიდი ჯარიმაც დააკისრა, სასამართლოდან გამოსულ ვეშაპელს, ახალგაზრდა პატრიოტმა, ავთანდილ მერაბიშვილმა ტყვია ესროლა და სასიკვდილოდ დაჭრა. ვეშაპელი „მონპარნასის“ სასაფლაოზე დაკრძალეს, მერაბიშვილი კი ფრანგულ სასამართლოს წარუდგინეს. 3-დღიანი პროცესი დანერვილებით გაშუქდა არა მარტო ქართული ემიგრანტული გაზეთების ფურცლებზე, არამედ ევროპულ პრესაშიც. „ახალი საქართველო“ მკვლევობის მიზეზად საქართველოში მერაბიშვილის მამისა და ნათესავების დახვრეტას ასახელებდა და დამკვეთად მენშევიკებს აცხადებდა, მენშევიკთა გაზეთი „ბრძოლა“ კი მერაბიშვილის მენშევიკობას უარყოფდა და ყოველგვარ ძალადობრივ აქტს ემიჯნებოდა.

სასამართლოში გარდაცვლილის ინტერქსებს კომუნისტი ადვოკატი, ტორეზი იცავდა, მერაბიშვილისას — ცნობილი იტალიელი ადვოკატი მირო ჯიაფერი. ბოლშევიკებმა სცადეს, მერაბიშვილის საქმე დიდ პოლიტიკურ პროცესად ექციათ, მაგრამ ტორეზმა ვერ შეძლო, ყველა მონშე მიეყვანა პროცესზე, მათ შორის დაღუპულის ქვრივი და ვერც ის დაამტკიცა, რომ ვეშაპელი გაზეთის გამოცემით ირჩენდა თავს. პირიქით, გაზეთის თანამშრომლებს წამოსცდათ, რომ გაზეთის გამოსაცემ ფულს ვეშაპელი პარიზში რუსეთის საელჩოდან იღებდა. მერაბიშვილის დასაცავად გამოვიდნენ ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწეები — პიერ რენოდელი და ედუარდ მარკე. პროცესი საქართველოს დასაცავ პოლიტიკურ აქციად და ოკუპანტთა გასამართლებად იქცა. მიუხედავად ამისა, ტორეზმა მერაბიშვილის სიკვდილით დასაჯვა მოითხოვა. ამ დროს დარბაზიდან სიტყვა ითხოვა უცნობმა მამაკაცმა. ეს მამაკაცი რუსი ემიგრანტი, პოეტი და მთარგმნელი კონსტანტინ



ავთანდილ მერაბიშვილი

ბალმონტი აღმოჩნდა. ბალმონტმა განაცხადა, რომ იგი არის ქართველთა ყველაზე დიდი პოეტის, შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი; რომ იგი ათეული წლები თარგმნიდა ამ გენიალურ ნაწარმოებს, რამდენჯერმე ეწვია საქართველოს და კარგად ჩასწავდა ქართველთა ხასიათს, რომლებიც უკვე 700 წელია „ვეფხისტყაოსნის“ იდეალებზე იზრდებიან; რომ ქართველისთვის ყველაზე მძიმე დანაშაული რწმენის, სამშობლოსა და მეგობრის ღალატია; რომ ვეშაპელმა სამივე ეს ზნობრივი პრინციპი დაარღვია და ამის გამო დაისაჯა. რუსი პოეტის მჭევრმეტყველური არგუმენტები ფრანგულმა სასამართლომ გაითვალისწინა, მერაბიშვილი გაათავისუფლა და მხოლოდ საფრანგეთიდან გასახლება მიუსაჯა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბალმონტის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ პირველად 1933 წელს, უცხოეთში — პარიზში დაიბეჭდა. მისი გამოცემელი იყო ქართველი მესტამბე დავით ხელაძე, რომელსაც მდიდრულად გამოცემული დიდი ფორმატის წიგნი 40.000 ფრანკი დაუჯდა. საბჭოთა კავშირში კი ეს თარგმანი მხოლოდ 1937 წელს, რუსთაველის 750 წლის საიუბილეო დღეებში გამოიცა.

— საფრანგეთიდან განდევნილმა მერაბიშვილმა რომელ ქვეყანას მიუშურა?

— საფრანგეთიდან განდევნილი გერმანიაში დასახლდა, ბერლინის ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას მიჰყო ხელი და მალე სოლიდური ქონება დააგროვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნაცისტებთან თანამშრომლობის ბრალდებით, სა-



ავთანდილ მერაბიშვილის სახლი ჩილეში

ბჭოთა მთავრობამ, სხვა ქართველების მსგავსად, მოკავშირეებს მერაბიშვილის გადაცემაც მოსთხოვა, მან ევროპა დატოვა. ჯერ არგენტინაში ჩავიდა (რომლის პრეზიდენტი სუან პერონი ნაციონალისტებს დიდად მფარველობდა) და თავდაპირველად ბუენოს-აირესის მახლობლად ლომას დე ზამორაში დასახლდა; შემდეგ ბოლივიაში გადავიდა, ბოლოს კი — ჩილეში. ჩილეს ხელისუფლებამ 1947 წელს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა განწყვიტა და ევროპიდან ლტოლვილები შეიფარა. ჩილეში მერაბიშვილმა გვარჯილისა და სპილენძის საბადოები შეიძინა, წარმოებში მოგებული ფულით კი ჩილეს დადაქალაქის, სანტიაგო დე ჩილეს მახლობლად, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მიწები შეიძინა, სადაც რესტორნების ქსელი და სააგარაკო ქალაქი გააშენა. ქართული ლიტერატურის დიდმა მოყვარულმა, ქუჩებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ცენტრალურ გამზირს კი — თავისი გადამრჩენის, შოთა რუსთაველის სახელი უწოდა.

1992 წელს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელმა ლალი ცომაიაძემ, მუზეუმის გამოცემაში „ლიტერატურის მატთან“ გამოაქვეყნა წერილები მერაბიშვილის დის, სარა მერაბიშვილისადმი. მათ შორის 3 წერილი თვით ავთანდილისაა. 1963 წელს 26 ნოემბრით დათარიღებულ წერილში ქალაქის მშენებლობის შესახებ, ავთანდილ მერაბიშვილი წერს: „იგი თითქმის დამთავრებულია უნდა ჩაითქვას, რადგან იქ ელექტრონის ძალა, ქუჩები და წყალი არსებობს, მაგრამ კიდევ მაკლია ტროტუარები და ბალების გაშენება, რასაც უკვე ნელ-ნელა ვინებებ“. ქალაქის დასრულების შემდეგ, მას უნდოდა, ქალაქი თბილისის უნივერსიტეტისათვის, 50 წლის იუბილზე (1968 წელს) საჩუქრად გადაეცა, მაგრამ ვერც ეს სურვილი და ვერც სამშობლოს ნახვის ოცნება მან ვერ აისრულა...

**— შოთა რუსთაველის მხოლოდ ქუჩა დააარსა თუ პოემის ახალ გამოცემაზეც იზრუნა?**

— შოთა რუსთაველის პოემასთან მერაბიშვილის ურთიერთობა ამით არ დასრულებულა. მაღლ სამხრეთ ამერიკას ევროპიდან ლტოლვილთა ახალი ნაკადი მიანყდა. მათ შორის იყო ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი, რუსთველოლოგი ვიქტორ ნოზაძე, რომელსაც ომის დროს გერმანელებთან თანამშრომლობის გამო, ასევე საბჭოთა კავშირში ექსტრადიცია ემუქრებოდა.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი რუსეთიდან ნასული ემიგრანტი, მათ შორის ქართველები, თანამშრომლობდნენ გერმანიასთან, როგორც ერთადერთ რეალურ ძალასთან. მათ საბჭოთა კავშირის დამარცხება, დანგრევა და თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენა სურდათ. ომის პერიოდში მათ დაემატნენ ტყვეობიდან გათავისუფლებული და ეროვნულ ბატალიონებში ჩაწერილი „საბჭოელები“. 100000

კავკასიელს შორის 40000 ქართველი იყო. ომის შემდეგ მათი დიდი ნაწილი მოკავშირეებმა საბჭოთა მხარეს გადასცეს. დიდი ნაწილი დახვრიტეს, ნაწილი კი ციმბირში გადასახლეს, საიდანაც ერთეულები დაბრუნდნენ. საბჭოთა მთავრობამ შემდეგ ძველ ემიგრანტთა გადაცემაც მოითხოვა.

ცივი ომის ეპოქა ჯერ არ იყო დაწყებული. მოკავშირეები — განსაკუთრებით კი — საფრანგეთის სოციალისტური მთავრობა, სტალინის ყველა მოთხოვნას ასრულებდნენ, ამიტომ ემიგრანტებმა სამხრეთ ამერიკას მიაშურეს. ვიქტორ ნოზაძე ჯერ არგენტინაში ჩავიდა, სადაც აკაკი და თამარ პაპაევის თაოსნობით შექმნილი არცთუ მცირერიცხოვანი ქართული სათვისტომო არსებობდა. ვიქტორმა იქ სქელტანიანი, სოლიდური ჟურნალი „მამული“ დააარსა, რომელსაც იგი 1951-53 წლებში რედაქტორობდა. შემდეგ ჩილეში გადავიდა, სადაც მასპინძლად და მფარველად ავთანდილ მერაბიშვილი მოველინა. სწორედ მერაბიშვილის დაფინანსებით გამოიცა მისი ფუნდამენტური გამოკვლევები — „ვეფხისტყაოსნის“ განვითხების“ 4 ნიგანი, ექვსიდან, „ფერთამეტყველება“ (1953), „მზისმეტყველება“, „ვარსკვლავთმეტყველება“, რომელშიც ჩართული იყო „ბუნებისმეტყველება“ (1957) და „საზოგადოებათმეტყველება“ (1958). მსოფლიო ლიტერატურასა თუ რელიგიებში დაძვინილი პარალელების წყალობით, ეს ნიგნები ენციკლოპედიური ხასიათის და უნიკალური არა მარტო რუსთველოლოგიაში, არამედ მთელ ქართულ ლიტერატურაში. ამ ნიგნების დაწერა და გამოცემა დიდი გმირობა იყო საქართველოსა და მშობლურ ლიტერატურას მოწყვეტილი ემიგრანტისა და ისეთი ხელმოკლე ადამიანისათვის, როგორც ვიქტორ ნოზაძე იყო. მით უმეტეს, რომ მან თითქმის 30 წელი იხეტიალა სხვადასხვა ქვეყანაში — საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, არგენტინა, ჩილე, ესპანეთი, სანამ 1960 წელს კვლავ პარიზში დაბრუნდებოდა და საბოლოოდ ლევილში დაპყვიდრდებოდა. სანამ ვიქტორი ევროპაში დაბრუნდებოდა, მას ფილტვების ანთების შედეგად განვითარებული პლევრიტის გამო, მძიმე ოპერაციის გადატანა მოუხდა, რომლის საფასურიც, როგორც მიტო ანანიასვილი სარა მერაბიშვილს სწერდა, — ასევე ავთანდილმა გადაიხადა.

**— ვიქტორ ნოზაძეს და ავთანდილ მერაბიშვილს კიდევ თუ ჰქონდათ რაიმე სახის თანამშრომლობა?**

— ვიქტორ ნოზაძისა და ავთანდილ მერაბიშვილის თანამშრომლობა, ამ შესანიშნავი ნიგნების გარდა, კიდევ ერთი მშვენიერი შედეგით დაგვირგვინდა — ავთანდილის ინიციატივით, ცნობილმა მთარგმნელმა გუსტავო დელა ტორემ ხელი მოჰკიდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას და ვიქტორის დახმარებით პოემის შესანიშნავი ესპანური თარგმანი მოამზადა, რომელიც მერაბიშვილის დაფინანსებით 1966 წელს, რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა. ავთანდილისავე შეკვეთით

ჩილემა მხატვარმა შექმნა პოეტის პორტრეტი, რომელიც ამჟვენებდა ჩილელ მწერალთა ასოციაციის მიერ მოწყობილი საიუბილეო საღამოს მოსასწავლს.

ავთანდილ მერაბიშვილი, როგორც ჩანს, მხატვრობის მოყვარული იყო და კოლექციაც ჰქონდა, რადგან ერთ წერილში დასაქურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაბეჭდილ ორი ქართველი მხატვრის — ნიკოლოზ მეტონიძისა და შოთა ხოლუაშვილის ნახატების ყიდვასა და გადაგზავნას სთხოვდა.

**— მას ალბათ ქართველთა წარმატებები ძალიან ახარებდა.**

— როგორც პატრიოტი, მერაბიშვილი დიდად ხარობდა ქართველთა წარმატებებით — 1959 წელს, როცა საბჭოთა ბალეტის სოლისტები, ვახტანგ ჭაბუკიანის თავაჯობით, ჩილეს ესტუმრნენ, ავთანდილი ავადმყოფობის გამო წარმოადგენას ვერ დაესწრო, მაგრამ დას ადგილობრივი გაზეთებიდან ამონარიდები გადმოუგზავნა. იგი დას სთხოვდა, მასალები ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციისათვის მიეწოდებინა, რათა საქართველოშიც გაეგოთ, როგორ აქებდნენ ჩილელი კრიტიკოსები ქართველ სოლისტებს. მე 2004 წლიდან ოპერის მუზეუმის მენეჯერი ვარ და ჭაბუკიანის მასალებში ეს სტატიები თავად ვახებ, რომლებიც 1958 წლით არის დათარიღებული... სხვათა შორის, ავთანდილი მასპინძლობდა ყველა ქართველს, ვისაც კი უნებდა ჩილეში ჩასვლა. ერთი ასეთი სტუმარი — იოსებ ნონევილი ფოტოზეცაა აღბეჭდილი.

ზუსტად არ მახსოვს, საიდან მაქვს ეს ინფორმაცია, გადამომხება ვერ მოვასწარი, მახსოვს პირველ პირში მოთხრობილი ასეთი ამბავიც: სუხიშვილების ანსამბლი ჩილეში რომ იმყოფებოდა — კონცერტის დაწყებამდე დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. ფარდის ჭრილიდან გავიხედეთ და დავინახეთ ყველა ერთი ლაჟისკენ იხედებოდა, სადაც ის-ის იყო ასოკვანი მამაკაცი შემოვიდა თანმხლებ პირებთან ერთად. როცა დავინტერესდით ამ მამაკაცის ვინაობით, გვითხრეს, რომ ეს იყო ჩვენი თანამემამულე, ჩილეში დიდად დაფასებული პიროვნება — ავთანდილ მერაბიშვილი. კონცერტის შემდეგ ავთანდილს მოცეკვავეები რესტორანში მიუწვევია, ქალებისათვის გიორგი მაჩაბლის ფირმის — „პრინცი მაჩაბლის“ გვირგვინის ფორმის სუნამოები, ვაყებისათვის კი ოქროს პორტსიგარები უჩუქებია.

სამწუხაროდ, ნინო მერაბიშვილს (რომელმაც სარა მერაბიშვილის არქივი გადასცა ლიტერატურის მუზეუმს), ვერ მივაკვლიეთ. მერაბიშვილის შემდგომი ბიოგრაფიული დეტალები ჩვენთვის უცნობია. მხოლოდ ის ვიცით, რომ 60-იანი წლების ბოლოს, გაურკვეველ ვითარებაში მან თავი მოიკლა. როგორც გიორგი მაჩაბლის შემთხვევაში, ემიგრანტების ნაწილმა ეს ტრაგედია საბჭოთა სპეცსამსახურებს დაუკავშირა. არც ის ვიცით, რა ბედი ეწია ჩილეში მერაბიშვილის სახლსა და ქონებას...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



### სიენა მილერს ჰიფ ლუჯარის პიქამაში სტინაუს

ბრიტანული ჟურნალისტის Telegraph მიცემული ინტერვიუთი სიენა მილერმა დუმილი დაარღვია და აღიარა, რომ ჰიტ ლეჯერი მის გულში კვლავ ცოცხლობს და ამ გრძნობას



ის ცისფერი კუბოკრული პიჟამა ასახრდობს, რომელიც ლეჯერმა 2005 წელს ფილმის — „კანონი“ გადაღების დროს აჩუქა. „ჰიტმა, მე და დედანამ ვენეციაში ჯადოსნური ღამე გაატარეთ. კოკისპირულად წვიმდა. ჰიტმა ნმ. მარკოზის მოედანზე გაიჭრა, მეც უკან მივყვე. მოედნის გარშემო გიჟებით დავრბოდით... ფეხი დამიცდა და წავიქეცი. მის ნომერში შევირბინეთ და ჰიტმა პიჟამა მომცა, რომ სახლამდე მიმეღწია“... „შარშან ნოემბერში ჰიტმა მესტუმრა. უძილობას უჩიოდა და მე პიჟამა დავუბრუნე, რათა დაძინებაში დახმარებოდა... მისი გარდაცვალების შემდეგ საშინლად განვიცდიდი იმ ამბავს, რომ ეს პიჟამა აღარ მქონდა... ჰიტის მამამ საგანგებოდ ჩემთვის მოძებნა და დამიბრუნა“, — იგონებს მსახიობი, რომელიც ახლა ლამაზობით ამ პიჟამაში გამოწყობილი იძინებს და ძვირფასი სასოვარი პრალაში ახალი ფილმის — G.I. Joe გადაღებებზეც კი წაიღო. ჟურნალისტის — Elle მიცემული ინტერვიუში სიენა მილერმა გულახდილად თქვა, რომ ჰიტის სიკვდილის შემდეგ, ცხოვრებას ახლებურად უყურებს. „ჰიტის სიკვდილმა საშინელ შოკში ჩამაგდო. ის საოცარი ბიჭი იყო. მის დაკრძალვაზე ვიგრძენი, რომ სიცოცხლის ასეთი დასასრული — საშინელებაა. მივხვდი, რომ ცხოვრება მშვენიერია და ბედნიერება შევიგრძენი“.

### მიუზიკლი — ტომის ჰაპის ლიტვა-კუბოსკით

რომის კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში პირველად ხდება, რომ ვატიკანმა ბიბლიურ თემაზე შექნილი მიუზიკლი ოფიციალურად მოინონა! სპექტაკლის — Maria di Nazareth, una storia che continua („მარია ნაზარეველი: ისტორია გრძელდება“) პრემიერა 2008 წლის 17 ივნისს ვატიკანში შედგა. ღვთისმშობლის პარტია ახალგაზრდა საოპერო მომღერალმა ალმა მანერამ შეასრულა, რომელიც ადრე რომის ოპერაში მღეროდა. მიუზიკლის ლიბრეტო მარია პია ლიოტამ (მთავარი როლის შემსრულებლის დედა) და ადელ დოროტი ჩიამპამ შექმნეს. მუსიკა კომპოზიტორ სტელვიო ჩიპრინის ეკუთვნის, მიუზიკლის ქორეოგრაფიული ნაწილი კი სალვატორ სპანიოლომ განახორციელა. სპექტაკლი ღვთისმშობლის ბავშვობასა და ახალგაზრდობის წლებზე მოგვითხრობს. ვატიკანმა მიუზიკლის სიუჟეტი და დადგმა მოინონა. „ამ პროექტს სიამოვნებით დაფუჭირეთ მხარი, რადგან მარია ნაზარეველმა კაცობრიობამდე ღვთის სიტყვა მიიტანა“, — განაცხადა პაპის საზოგადოებასთან ურთიერთობის საბჭოს ხელმძღვანელმა, მთავარეპისკოპოსმა კლაუდიო მარია ჩელიმ. მიუზიკლის შექმნაში ვატიკანს მატერიალური მონაწილეობა არ მიუღია. პრემიერის შემდგომ, ამ სპექტაკლს ევროპის, ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მასშტაბული იხილავს.



### ტალანტი მლქმმა მისაილ გატმაჩეთან ეტთად უახსმემის მანსი დაკატა



კვირ სპეისიმ, კეიტ ბეკინსეილმა და ჰიუ გრანტმა ონკოლოგიურ დაავადებათა კვლევისთვის 4 მლნ დოლარი შეაგროვეს. ცოტა ხნის წინ ჰოლივუდის ვარსკვლავები ლონდონში საქველმოქმედო აუქციონს დაესწრნენ. ლონისძიებას, რომელსაც Raisa Gorbachev Foundation Gala ეწოდებოდა, მუსიკოს-აქტივისტი ბონო და მსახიობი ორლანდო ბლუმიც შეუერთდნენ. აუქციონი ჰიუ გრანტის ფსონით გაიხსნა, რომელმაც ლონისძიების ორგანიზატორთან, საბჭოთა კავშირის ყოფილ პრეზიდენტ მისაილ გორბაჩოვთან ერთად ვახშობაში 250.000 დოლარი გადაიხადა. გულდაწყვეტილმა ორლანდო ბლუმმა კი განაცხადა: ბედნიერი ვარ იმით, რომ საქველმოქმედო ლონისძიებაში ვმონაწილეობ, გორბაჩოვთან ერთად სიამოვნებით ვივახშმებდი, მაგრამ ფსონი მეტისმეტად მაღალი აღმოჩნდა... „ჩემთვის დიდი პატივია, რომ მომიწვიეს და ამ ლონისძიების ნაწილი ვარ, რადგან მისაილ გორბაჩოვის ნაღვანს დიდად ვაფასებ. მან სამყარო შეცვალა და ამით ისტორიაში ადგილი დაიმკვიდრა“, — აღნიშნა მსახიობმა. საქველმოქმედო აუქციონზე შემოსული თანხით ბრიტანეთისა და რუსეთის კიბოს კვლევის ფონდები დაფინანსდება.


### მერაია ქერის გაშიშვლდა

მერაია ქერის ახალი სინგლის — Loving You Time პრომოვიდეოს გადაღების დროს მომღერალი კამერის წინ გაშიშვლდა. ჰავაის კუნძულებზე, მდინარე ოაჰუს კლდოვან სანაპიროზე, პოპის დედოფალს სხეულს მხოლოდ ბიკინი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი უფარავდა, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო განწყობილების შესაქმნელად და ვარსკვლავური სხეულის გამოსამზებურებლად, მას ორი ჭიქა ალკოჰოლური სასმლის მიღება დასჭირდა... ამიერიდან მერაიას სექსუალური სხეული მხოლოდ მისი ახალი მეუღლის — ნიკ კენონის მზერას აღარ დაატკბობს. ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ 39 წლის მერაია ქერისა და 27 წლის მსახიობისა და რეჟერის ნიკ კენონის ორთიანი მხურვალე რომანი 5 მაისს ბაჰამის კუნძულებზე მდიდრული ქორწილით დაგვირგვინდა.



### აქტაუტი – ატატიის გამტ

როდესაც ჯოან როულინგმა „პოტერიანის“ ბოლო, მეშვიდე წიგნი დაასრულა, საზეიმოდ დაიფიცა, რომ ჰარი პოტერის შესახებ აღარასოდეს დაწერდა წიგნს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ფიცი ჰარის მამას არ ეხებოდა: რამდენიმე დღის წინ ლონდონში აუქციონზე 50.000 დოლარად გაიყიდა მწერალი ქალის ახალი მოთხრობა, რომლის მთავარი გმირები — ჯეიმს პოტერი და ჰარის ნათლია, სირიუს ლევიკი არიან. სიუჟეტის თანახმად, გმირები პოლიციას ჩაუცვივდებიან ხელში, მაგრამ მახვილგონიერებისა და ცოტაოდენი ჯადოსნობის წყალობით, სავალალო სიტუაციიდან იოლად დაიძვრნენ თავს. ეს პატარა მოთხრობა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჯოან როულინგის სახელის გარშემო ხმაური ამტყდარიყო — თითქოს მწერალი ჰოგვარტის ბინადრებს კვლავ დაუბრუნდება. სამწუხაროდ, გაირკვა, რომ მოთხრობა საგანგებოდ აუქციონისთვის დაინერა. საქველმოქმედო ბაზრობაზე საკუთარი ნაწარმოებები სხვა მწერლებმაც წარმოადგინეს და ამის შედეგად, სულ 94.000 დოლარი შეგროვდა.



### მდმღტალი ლილუ სილამაზის ტტუტს გვიგიატმს

მუსიკალური კომპანია M2 ესტეტიკური ტანვარჯიშის უნიკალურ საავტორო ვიდეოკურსს გამოუშვებს, რომელიც უკრაინელმა მომღერალმა LILU-მ ქვეყნის დამსახურებულ მწვრთნელთან, გალინა გერასიმენკოსთან ერთად შეიმუშავა. ესტეტიკური ტანვარჯიში — ცეკვის ელემენტებით მდიდარი, ინტენსიური სპორტული ვარჯიშია, რომელიც სპორტსმენებს ვარჯიშის მხიარულად და ნაყოფიერად ჩატარებაში დაეხმარება. ვიდეოკურსს მუსიკალურ ფონად, Lilu-ს პოპულარული სიმღერები გასდევს, რაც პოზიტიური მუსიკის მოყვარულთათვის დამატებითი ინტერესის საგნად იქცევა. DVD დისკზე ჩანერილ 60-წუთიან ფილმში ლილუ ვარჯიშების კომპლექსს წარმოადგენს



„ესტეტიკური ტანვარჯიში Lilu-სთან ერთად“ — ეს სილამაზისა და ჯანმრთელობისკენ მიმავალი გზაა და ამ გზაზე დადგომა დაგვიანებული არასდროს არის

### ღატი — წლის საუკეთეს სიმღტის ავტატი




2008 წლის აღმოჩენამ, უელსელმა პოპმუსრულებელმა დაფიმ პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. მას მიენიჭა პრემია — Mojo Awards სიმღერისთვის Mercy სადებიუტო ალბომიდან. ის 2007-2008 წლების სეზონის საუკეთესო კომპოზიციად აღიარეს. 23 წლის ეიმი ენ დაფი სამ კატეგორიაში იყო ნომინირებული, მაგრამ საბოლოოდ, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანში გამარჯვებას დასჯერდა. ნოდება — „წლის აღმოჩენა“ პროექტს — The Last Shadow Puppets ხვდა წილად, რომელშიც ალექს ტერნერი და მაილზ კეინი მონაწილეობდნენ.

„საოცრება მოხდა! ჯერ არასდროს არაფერი მიმიღია, ეს ჩემთვის პირველი პრემიაა. მადლობელი ვარ სიყვარულისა და მხარდაჭერისთვის“, — განაცხადა დაფიმ პრემიის მიღებისას.

გარდა ამისა, დაფი ჯეიმს ბონდის შესახებ ახალი ფილმისთვის სიმღერის დაწერას აპირებს. აგენტი 007-ის თავგადასავლების ახალი სერიისთვის სიმღერის ჩაწერას კიდევ ერთი ბრიტანელი შემსრულებელი — ემი უაინჰაუსიცი აპირებდა, მაგრამ მოგვიანებით ამ ჩანაფიქრზე ხელი აიღო და

კომპოზიციებზე მუშაობა შეწყვიტა. ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ბონდიანის“ ახალი სერიისთვის სიმღერას ლეონა ლიუისი ჩაწერდა, მაგრამ ამ ცნობას (ისევე, როგორც ინფორმაციას დაფის შესახებ) ფილმის ავტორები ჯერ ჯერობით არ ადასტურებენ. „ბონდიანის“ ახალი სერია — „გულმონყალების კვანტი“ — ეკრანებზე 2008 წლის ოქტომბრის დამლევისთვის გამოვა.



და მათი შესრულებისთვის საჭირო პრაქტიკულ რჩევებს იძლევა. ეს ვარჯიშები სხვადასხვა ფიზიკური მომზადების, კომპლექციისა და ასაკის ადამიანისთვისაა გათვალისწინებული. „ლილუმ ამ პროექტის განხორციელება იმისთვის გადაწყვიტა, რომ საკუთარი სხეულის მოხდენილი აღნაგობის საიდუმლო სხეულისთვისაც გაეზიარებინა. იგი ჯანმრთელობას უდევს ყურადღებას უთმობს და ამისთვის უკვე რამდენიმე წელია, გულმოდგინედ ვარჯიშობს“, — ამბობს სპორტის ოსტატი გალინა გერასიმენკო.

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯაშიძემ

# უცხოეთის ცის ქვეშ

წერილი მეთერთმეტი  
წინამორბედი წერილები ძვ. „გზა“, №16-25

## გიორგი მახარაძე

შავშეთი აჭარის სამხრეთით მდებარეობს; აღმოსავლეთით არსიანის მთა აკრავს, ჩრდილოეთით, აჭარის საზღვარზე — შავშეთის ანუ კარჩხალის მთა. ვაკე შუა შავშეთში მდებარეობს.

მოსავალი იქ თითქმის ისეთივეა, როგორც აჭარში — უხვად მოდის სიმინდი და ხორბალი. XIX საუკუნის დასაწყისში სიმინდი საქსპორტოდ ინგლისში გაჰქონდათ.

წმ სოფელი დასახლებულია ქართველებით, სულ 2000 კომლში 14 ათასზე მეტი მცხოვრებია.

რამდენიმე სოფელში ქართული თითქმის დაგინყებიათ, მაგრამ იციან, რომ წინაპრები ქართველები ჰყავდათ.

გარეგნობით შავშელს, ხევსურის ან მთიულის ვაკეკუთხე შესახედაობა არა აქვს, თუმცა წარსულში, სპარსელების თუ არაბების შემოსევებისას მინის არც ერთ მტკაველს უომრად არ უთმობდა მტერს.

გ. ყაზბეგი შენიშნავს, რომ შავშეთი შედგება ორი ხალხისაგან — ქართველებისა და სომხებისაგან, რომლებიც ადგილობრივთა ცნობით, 600 წლის წინ ჩასულან (სომხები) ანისიდან.

შავშეთი ოსმალეთმა XVI საუკუნის შუა ხანებში დაიპყრეს.

შავშეთელი ქართველები ამბობენ, რომ მათი წინაპრები ძალით გაუმაჰმადიანებიათ.

შავშეთში მდებარეობს ტბეთის ტაძარი, რომელიც, ერთ-ერთი წყაროს ცნობით, „უფრო დიდსა და მშვენიერ გრძნობას აღძრავს კაცში, ვიდრე სვეტიცხოვლის ეკლესია“. ხალხური თქმულების მიხედვით, ამ ეკლესიის საშენებელი

წითელი ქვა რამდენიმე კილომეტრის მანძილზე უჭრიათ და იქიდან, მწკრივში მდგომი ხალხი ხელდახელ გადასცემდა ერთიმეორეს, ეკლესიასთან დასადებად.


აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ავტობიოგრაფიულ ნიგნში „ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე“ იხსენებდა: „იმ წლებში, როდესაც იგი (მგელაძე — ავტ.) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო, ხშირად მოდიოდა ს. ჯანაშიასთან სოხუმის სანატორიუმში, სადაც მეც ვმუშაობდით. ამავე დროს აფხაზეთში იხსენებდა ი. სტალინი. მგელაძეს ხშირი შეხვედრები ჰქონდა მასთან... ერთხელ შემდეგი მოგვიყვა: სტალინმა ერთ-ერთი შეხვედრის დროს იგი მიიყვანა რუკასთან, მოხაზა გრძელი ტერიტორია ბათუმიდან ტრაპიზონის ჩათვლით და ჰკითხა: „ხომ კარგი რუკაა?“ როგორც ჩანს, მას გამიზნული ჰქონდა შემოერთება საქართველოს ისტორიული ტერიტორიებისა, ორჯერ დარაზმა ჯარები საზღვარზე, რათა დაეკავებინა ეს ტერიტორიები, მაგრამ ჩერჩილის მუქარის გამო ვერ განახორციელა“.

სიუჟეტურად იგივე ეპიზოდია მოთხრობილი სოლოვიოვისა და სუხოდევის გახმაურებულ ნიგნში „მხედართმთავარი სტალინი“, რომელიც ჟურნალ „გზაში“ იბეჭდება: „როდესაც ომის შემდეგ სტალინს აგარაზე მიუტანეს საბჭოთა კავშირის რუკა, რომელზეც მისი ახალი საზღვრები იყო ასახული, მან ის ჭკარტეობით მიაკრა კედელზე და მოლოტოვის თქმით, აღნიშნა: „აბა, ვნახოთ, რა გამოგვივიდა...“ სტალინმა მიმოიხილა საზღვრები ჩრდილოეთით, ფინეთთან; ბალტიისპირეთი (ეს ძირძველი რუსული მიწებიაო!“), ბელორუსიასთან, უკრაინასთან, მოლდავეთთან, დასავლეთით, აღმოსავლეთ საზღვრებთან, კურლიის კუნძულებთან, სახალინთან, პორტარტურთან,

სორულ აღმოსავლეთთან, ჩინეთთან, მონღოლეთთან... სტალინმა რუკის მიმოხილვა დაამთავრა და გააგრძელა: „ყველაფერი წესრიგშია... აი, აქ კი ჩვენი საზღვარი არ მომწონს! — თქვა და ხელი კავკასიის სამხრეთისკენ გაიშვირა“.

დავუბრუნდეთ, აკადემიკოს ჩიტაიას მოგონებას.

აკადემიკოსის ამ მოგონების უნისონშია ჟურნალ „ომეგის“ ფურცლებზე 2002 წელს გამოქვეყნებული ლაშა ბაქრაძის ფრიად საინტერესო სტა-




ხანძობა

ტია „ოცნება ტრაპიზონის ოლქკომზე“. მასში მოთხრობილი ამბავი ეხება საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გადასინჯვის საკითხს. საბჭოთა კავშირი მოითხოვდა (1945 წელი), ყარსის 1921 წლის 12 ოქტომბრის ხელშეკრულების გადახედვას, აგრეთვე 1936 წლის მონროს ხელშეკრულების გადახედვასაც, რომელიც დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებზე თურქეთის სრულ სუვერენიტეტს ითვალისწინებდა. საქმეში ჩაერთო ქართული და საერთო, საბჭოთა პრესა და რადიო, თურქეთის მიერ წარმთქვენი მინა-წყლის დაბრუნების აქტიური მოთხოვნით, 1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნდა აკადემიკოსების — ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის სტატია — „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, ხოლო იმავე წლის 20 დეკემბერს გაზეთ „Заря Востока“-ში — აკად. ა. ჩიქობავას სტატია — „Несколько замечаний о Лазах“. ამ სტატიებს მოჰყვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს, პროფ. ე. თაყაიშვილის და სხვათა სტატიები.

ჩერჩილი და ტრუმენი თანხმდებოდნენ დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებში საბჭოთა სამხედრო და სავაჭრო გემების გავლის უფლებას, მაგრამ წინააღმდეგი იყვნენ სრუტეებზე საბჭოთა კავშირის განსაკუთრებული უფლებებისა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საბჭოთა კავშირმა, სრუტეების ინიციატივით, თურქეთისათვის 1953 წელს გაგზავნილ ნოტაში უარი თქვა ყველანაირ ტერიტორიულ პრეტენზიაზე. საპასუხოდ, თურქეთის ხელისუფლება ხელს უწყობდა ეთნიკურად ქართული მოსახლეობის ქვეყნის შიგნით სხვა რეგიონებში განსახლებასა და მის მიმართ ასიმილაციური პოლიტიკის გააქტიურებას.

დასასრული შემდეგ ნომერში



გაო-კლარჯეთი



ყვარელში ქავეჭავაძიანთ ისტორიულ სახლს დღეს მარჯანიშვილების სახლის სახელით მიგასწავლიან, რადგან ამ სახლში დარჩა საცხოვრებლად ქუთაისიდან ჩამოსული ოფიცერი, ინჟინერ-მშენებელი ალექსანდრე მარჯანიშვილი, რომელმაც ელისაბედ ქავეჭავაძეზე იქორწინა. ამ სახლში გაიზარდა ორი დიდი პიროვნება — კოტე და თამარ მარჯანიშვილები. სწორედ მათ აქციეს ქავეჭავაძიანთ სახლი მარჯანიშვილების სახლად, თორემ ხომ მოგეხსენებათ, ხალხის მეხსიერებაში ადვილად არაფერი ჩაინერება. ბევრი სახლი არსებობს, ბოლო მფლობელის კი არა, პირველის სახელით რომ მოიხსენიებენ დღემდე-

# მარჯანიშვილთა წარუგლებელი კვალი

## მონაზვნური ღვაწლი არც ერთი წუთით არ მიუტოვებია...

### ლელა ღიყაშვილი

წლების წინ მარჯანიშვილების სახლი უმძიმეს მდგომარეობაში იყო, დუმდა ბევრი მონაზვნური, დანგრევამდე მისული კედლები. არადა, აქ იდგმებოდა კოტე მარჯანიშვილის პირველი ყმანვილური სპექტაკლები, რომლებმაც გზა დაულოცა დიდ რეჟისორს. ეს გზა გასცდა საქართველოს. მარჯანიშვილი ყველგან გენიალურ რეჟისორად შერაცხეს, სადაც კი სპექტაკლი დადგა: რუსეთში, უკრაინაში, ლიტვასა და საქართველოში...

ამ სახლში ილოცა პირველად თამარმა, რომელიც შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა და რომლის დიდი ღვაწლისა და თითქმის მონაშებრივი ცხოვრების შესახებ არაფერი ვიცით, იმიტომ, რომ საბჭოთა სკოლა ამას არასოდეს გვასწავლიდა...

საბედნიეროდ, მარჯანიშვილების სახლი აღდგა. მისი რესტავრაცია-რეაბილიტაცია ჩაატარა საქველმოქმედო ფონდმა „ცისკარმა“, ბანკმა „რესპუბლიკამ“ და კომპანია „რედიქსმა“. აღდგა მივიწყებული ისტორიაც ჩვენს მეხსიერებაში...

ვუყურებდი ანთებულ კანდელს მარჯანიშვილების სახლში, დედა თამარის მემორიალურ ნივთებს და მახსენდებოდა: კოტე მარჯანიშვილს იმდენად ატკინეს გული, თეატრიდან წავიდა. მაშინ მეგონა, მისი გულისტკივილი მხოლოდ შემოქმედებით სფეროში მომხდარ ინციდენტს უკავშირდებოდა. ახლა ხომ ვიცი, კიდევ უფრო მეტად მაშინ ატკინეს გული და ინფარქტამდეც მიიყვანეს, როცა მისი დის — დედა თამარის სახით ყველაზე ამაღლებულსა და სულიერს ებრძოდნენ მარჯანიშვილის ცხოვრებაში.

კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის გახსნა — ეს იყო ფაქტი, როცა ერი და ბერი გაერთიანდა. ეს მნიშვნელოვანი გახდა თეატრალუბისათვის (ყვარელში თავი მოიყარა მთელმა თეატრალურმა ელიტამ) და ეკლესიისათვის (ყვარელში ჩამოვიდნენ ამათ აღავერდელი დავითი, სხვა სასულიერო პირები და რუსეთის მონასტრიდან ჩამობრძანებული სტუმრები)...

გიაგობოთ მცირედს იმაზე, რაც უსამართლოდ დავივიწყეთ და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც მარჯანიშვილების ცხოვრების სურათის აღსადგენად, ისე ჩვენი სულიერებისათვის.

### ბოდბის დედათა მონასტრის ილუმენია დედა თეოდორა:

— თამარ მარჯანიშვილი, კოტეს უფროსი და, იყო ბოდბის წმინდა ნინოს მონასტრის ილუმენია 1902 წლიდან 1907 წლამდე. ბოდბის მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად, ამ დროს აქ 120 მონაზონი მოღვაწეობდა. საქართველოში ეგზარქოსობის მძიმე დრო დადგა. ეგზარქოს ნიკონის დროს დედა თამარი ბოდბის მონასტერს ჩამოაშორეს და მოსკოვში გაგზავნეს, სადაც მან

დააარსა საგანე — განსხვავებული ცხოვრების წესის მონასტერი, განსხვავებული ტიპიკონით.

1924 წელს დედა თამარს ბრალად დასდეს საქართველოში აჯანყებაში მონაწილეობა, 1931 წელს კი ციმბირში გადაასახლეს...

კოტე მარჯანიშვილთან შინ უცხო ქალი მივიდა და შეატყობინა დედა თამარის ამბავი. პირველი, რაც კოტემ ჰკითხა? იყო, — მოგზავნილი ხომ არ ხართო. უცნობმა აუხსნა, მონაზონიყოფილი ვარ თეკლათის მონასტრიდან, დედა თამარი ვიცნობ და ვაი იმ ყოფას, რომელშიც ახლა ის არისო...

კოტემ ლუნაჩარსკის სთხოვა დახმარება დედა თამარის გათავისუფლებაში. ლუნაჩარსკიმ სერგო ორჯონიკიძეს მიმართა, მან

### ფესტივალი

## „ქობულეთი 2008“ – გრანდიოზული სანახაობა ზღვისპირეთში!

ინისის დამლევს, საქართველოში უკვე მეორედ, ქალაქი ქობულეთი ფოლკლორის საერთაშორისო სიმღერისა და ცეკვის ფესტივალ-კონკურსს — „ქობულეთი 2008“ უმასპინძლებს, რომლის მიმდინარეობის პარალელურად, ქობულეთის მუნიციპალიტეტი და გამგეობა გრანდიოზულ დღესასწაულს — ქობულეთობას გამართავს. ფესტივალზე მონაწილე არიან შემოქმედებითი კოლექტივები სხვადასხვა ქვეყნიდან.

„ქობულეთი 2008“ შავი ზღვის სანაპიროზე გაიმართება. სპეციალურად ამ ფესტივალისთვის, ქობულეთის ცენტრალურ პარკში იგება გრანდიოზული სცენა და ეწყობა ავანსცენები მაყურებელთა და გულმემატკივართათვის.

ფესტივალის ორგანიზატორი და მასპინძელი — კომპანია „შავი ზღვის სამყარო“ გახლავთ, ხოლო მისი მხარდამჭერები არიან: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრი, ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა.



ფესტივალი ტარდება ბათუმისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსის, მუჟუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით.

საკმაოდ სოლიდურია ფესტივალ-კონკურსის საპრიზო ფონდი — იგი 50.000 ლარს შეადგენს. გამარჯვებულები გამოვლინდებიან სხვადასხვა ნომინაციის მიხედვით და დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით, მიიღებენ დიპლომებსა და მედლებს. ამთგან, გრან-პრის მხოლოდ ორი კოლექტივი მიიღებს. ■

**საგანძურია**

კი კოტე მარჯანიშვილის შეუთვალა: სჯობია, საერთოდ დაივიწყო, და რომ გყავსო...

ამ სიტყვებმა ვერ შეაჩერა კოტე მარჯანიშვილი. ისევ ცდილობდა დის დახსნას. ამჯერად აბელ ენუქიძეს მიმართა, რომელმაც უთხრა: ჩემი საქმეც არ არის კარგად, მაგრამ მაინც რაც შემიძლია, გავაკეთებო. ენუქიძეს მართლაც უთქვამს ლუნაჩარსკისათვის, რომ მოკვდე, მაინც გავათავისუფლებინებ თამარსო...

სამწუხაროდ, ძმა ვერ მოესწრო დის გათავისუფლებას, — კოტე მარჯანიშვილი 1933 წელს გარდაიცვალა. ერთი წლის შემდეგ თამარი გაათავისუფლეს. ის მოკრძალებულად ცხოვრობდა ერთ პატარა სახლში. გადასახლებიდან ტუბერკულოზით დაავადებული დაბრუნდა და ცუდად იყო, მაგრამ მონაზვნური ღვაწლი არც ერთი წუთით არ მიუტოვებია. მისი სულიერი შვილები წერდ-



დედა ინოკენტი



თამარ მარჯანიშვილი

ნენ, თამარს ძალიან უყვარდა კავკასია და თანამემამულეებთან შეხვედრაო. ცხადია, კავკასიაში საქართველო იგულისხმებოდა...

დედა თამარი დასაფლავებულია მოსკოვში, საერთო სასაფლაოზე. იმედია, ოდესმე გადმოვასვენებთ საქართველოში...

მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის გახსნას დაესწრო მოსკოვიდან ჩამოსული დედა თამარის დაარსებული საგანის ილუმენია ინოკენტი, რომელმაც დედა თამარის სამშობლოს პატივსაცემად ყველას ქართული გამარჯობით მიესალმა... ისიც დასძინა: ცხადია, ქართული არ ვიცი, მაგრამ რაც დედა თამარის შესახებ ითქვა, ყველაფერი გავიგეო...

**დედა ინოკენტი:**

— 2000 წელს აღდგა საგანე, რომელიც დედა თამარმა დააარსა და რომელმაც მხოლოდ 12 წელიწადს იარსება. საგანეში მხოლოდ 12 სენაკი იყო. დედა თამარი მოსკოვში 1905 წელს ჩამოვიდა, მას შემდეგ, რაც საქართველოში მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. ერთხელ თურმე თავსაც დაესხ-

ნენ, ძლიეს გადაურჩა სიკვდილს. ბევრს ეცადა, საქართველოში დარჩენილიყო, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა, წასულიყო. ეს დიდი ტრაგედია იყო მისთვის. ამ დროს რუსეთშიც მშფოთვარე დრო იდგა და როგორი ძლიერი უნდა ყოფილიყო დედა თამარი, რომ სწორედ ამ დროს გაებედა საგანის დაარსება. ჯერ კიდევ საქართველოში დედა თამარი სწერდა თავის მოძღვარს: „ყველაფერს ვაკეთებ, რაც შემიძლია, ვცდილობ, სკოლას დავეხმარო, ავაშენო, მაგრამ თქვენ ხომ იცით, სულის სიღრმეში მე ამას არ მთხოვს ჩემი არსება“. დედა თამარი მალე სულიერებაზე საუბრობდა და ცხადია, ასეთი ადამიანები მხოლოდ სულიერი კრიტიკიუმებით შეგვიძლია შევავსაოთ. ასეა, თავიდან ჩვენი თავისთვის ვლოცულობთ, მერე გარშემო მყოფთათვის, ბოლოს მთელი კაცობრიობისათვის. დედა თამარი რომ იყო, ასეთი ადამიანები მთელი კაცობრიობისათვის ლოცულობენ... ეს არა მარტო საქართველოს, მთელი ქრისტიანული სამყაროს მონაპოვარია. დედა თამარი უმძიმეს წლებში გარდაიცვალა, საგანეში მაშინაც მძიმე პერიოდი იყო. თუმც, ახლაც გვიჭრის. მიწა ცოტა გვაქვს, მხოლოდ ახლა შემოიყვანეს გაზი მონასტრამდე. საარსებო პირობები ხშირად უმძიმესი გვაქვს, მაგრამ როცა აღარავისაგან ველოდებით დახმარებას, უფალი სწორედ მაშინ გამოგვიჩენს ხოლმე შემწეობას... ერთხელ, როცა უკიდურესად გაგიჭირდა, დედა თამარის პორტრეტთან მივედი და დახმარება ვთხოვეთ. მეორე დღეს, მოულოდნელად, მართლაც გაგვიჩიეს დახმარება. საგანეში დღესაც არის დედა თამარის სენაკი, რომელშიც დაბრძანებულია ბოდბის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის ასლი...

**P.S.** მარჯანიშვილების სახლი არა მარტო აღდგა, გაცოცხლდა კიდევც. აქ გადაეცემათ პრიზი წლის საუკეთესო სპექტაკლის ავტორებს, ივნისის პირველ დეკადაში (9 ივნისს კოტე მარჯანიშვილის დაბადების დღეს). ამიერიდან, როგორც ადრე, აქ „ეკურთხებიან“ ახალბედა მსახიობები, ცნობილ მარანში, სადაც კოტე პირველ სპექტაკლს უჩვენებდა. ქვევრებში ჩაისხმება ღვინო საპატიო სტუმრებისათვის და დედა თამარის ოთახში ენთება კანდელი...

**კალიდოსკოპი**

**იორდანიის პირველი ქრისტიანული ახლესია აღმოაჩინა**

არქეოლოგებმა იორდანიის სოფელ რიჰაბში მდებარე წმ. გიორგის ეკლესიის ქვეშ აღმოაჩინეს მღვიმე, სადაც მათი ვარაუდით, მსოფლიოში პირველი ქრისტიანული ეკლესია მდებარეობდა. აღმოჩენა ჩვ.წ.აღ-ის 33-70-იანი წლებით თარიღდება. მეცნიერებმა გათხრების დროს კერამიკული ჭურჭლის ნამსხვრევები, მონეტები, რკინის ჯვრები, სასანთლები და მრგვალი საკურთხევლის ნანგრევები აღმოაჩინეს, რომლის არსებობა, ეკლესიის აშენებამდე ბევრად უფრო ადრე, მღვიმეში რელიგიური რიტუალების ჩატარების ფაქტზე მიგვანიშნებს. გამოქვაბულიდან წყლის ცისტერნისკენ მიმავალი გვირაბი იმის დასტურია, რომ იერუსალიმიდან გამოქცეული პირველი ქრისტიანები მღვიმეს საცხოვრებლად იყენებდნენ.



# ღვთის წინაშე სამშობლოსთვის თავდადებით განდიდებული მოწამე

30 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს წმინდა შალვა ახალციხელს, რომელმაც მონაშენებრივად აღასრულა სიციცხლე ღვთისა და მამულის სიყვარულისთვის. სწორედ მას უძღვნა ქართველმა ერმა ყველა ჩვენგანისთვის კარგად ცნობილი სიმღერა — „შავლეგო“.

შალვა და მისი ძმა ივანე, თამარ მეფის უერთგულესი მებრძოლნი გახლდნენ. ისინი წარმოშობით, თორის ხეობიდან ყოფილან, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობის სანაცვლოდ, გვირგვინსანმა ახალციხე უბოძა, ახალციხელებად იხსენიებიან.

შამქორის ბრძოლის დროს, 1195 წელს შალვა ახალციხელმა ხელთ იგდო ხალიფის დროშა. ეს ყველაზე დიდი განძი გახლდათ, რომელიც შემდეგ, თამარ მეფემ ხახულის მონასტრის ღვთისმშობლის ხატს შესწირა. ახალციხელი ძმები ყველა ბრძოლის დროს სამაგალითო მამაცობითა და შემართებით გამოირჩეოდნენ, ხმალალმართულნი გაივლ-გამოვივლიდნენ ხოლმე მტრის ლაშქარში და შეამცირებდნენ უსჯულოთ — მოგვითხრობს მემამულები.

როდესაც საქართველოზე რუქნადინმა გამოილაშქრა, თამარ მეფემ ქართველთა ლაშქარს, ზაქარია მხარგრძელთან ერთად, შალვა და ივანე ახალციხელი უწინამძღვრა. მეფე ოძრხეს წავიდა და მუხლმოყრილი, ლოცვით შესთხოვა უფალს ქართველ-

ლი გმირები. მათ სხვა მებრძოლებმაც მიჰბაძეს. უფლის შეწვევითა და გაუგონარი მამაცობის წყალობით, ქართველებმა მტერი დაამარცხეს...

თამარისა და ლაშა-გიორგის გარდაცვალების შემდეგ „ჩაესვენა მზე საქართველოს დიდებისა“. სამეფო ტახტზე რუსუდანი იჯდა. 1225 წელს ხვარაზმელები შემოესივნენ ქვეყანას. რუსუდანი ივანე ათაბაგი იხმო, დროშა ჩააბარა და ქართველთა ლაშქარს უწინამძღვრა. ჯერ კიდევ არ დაეკარგათ ბრძოლის ჟინი ახალციხელ ძმებს — შალვასა და ივანეს. ივანე ათაბაგმა, თორელებთან ერთად, სწორედ მათ დაავალა ქართველთა ჯარის წინამძღვრობა. თორელები და ახალციხელი ძმები მტრისკენ მცირე ლაშქრით გაემართნენ. მიუახლოვდნენ მონინაალმდეგის ჯარს, მაგრამ ივანე ათაბაგი, დანარჩენი ქართველებიანად, ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ორჯერ გაუგზავნეს მალემსრობილი ახალციხელებმა და თორელებმა ივანე ათაბაგს, აცნობეს, — სულთანს ვუახლოვდებით და მოგვეშველეთო, — მაგრამ ამაღობას ხანდაზმულობას აბრალებდა, ზოგი კი ამის მიზეზად იმას მიიჩნევდა, რომ მას შალვა და ივანე ახალციხელთა ვაჟკაცობის შემწურდა...

მცირერიცხოვანი ლაშქრით შეეგბნენ ჯალალ ედ-დინის მებრძოლებს თორელები და ახალციხელები. ათაბაგი კი შორიდან უტყერდა და მიშველებზე არც უფიქრია. შემართებით ებრძოდნენ მტერს, მაგრამ ბოლოს მომხდურმა სძლია მათ. თო-



შალვა ახალციხელი

რელები დახოცეს, შალვასა და ივანეს ჯერ ცხენები დაუხოცეს, შემდეგ კი ხმლები გადაუტყდათ, მტრის ჩაბალახზე. შალვა ახალციხელი ტყვედ ჩაიგდეს, ივანემ გაქცევა მოახერხა. ფეხდაფეხ მიჰყვნენ უსჯულონი და გარნისის ერთ-ერთ კლდესთან, ზემოდან ნასროლი ქვით მოკლეს.

დატყვევებული შალვა ახალციხელი ჯალალ ედ-დინს მიჰგვარეს. ხვარაზმელთა მბრძანებელი ქართველი გმირის ვაჟკაცობით მოიხიბლა, ქვეყნიური დიდება და პატივი შესთავაზა, სანაცვლოდ კი სჯულის გამოცვლას და მათ მხარეზე გადასვლას სთხოვდა. მტკიცე უარი მიიღო. ჯალალ ედ-დინმა დრო მისცა: იქნებ, დაფიქრდეს და „გონს მოეგოსო“. შალვა კი მალულად, ქართველებს მტრის გეგმების შესახებ ატყობინებდა. ბოლოს ეს ამბავი შეიტყვეს. სულთანმა მისი შეპყრობა სცადა, თუმცა სასიკვდილოდ არ ემეტებოდა, ცდილობდა, კვლავ სარწმუნოების გამოცვლაზე დაეთანხმებინა. ხან დიდძალ ქონებას სთავაზობდა, ხან — საშინელი წამებით მოკვდინებით ემუქრებოდა. ვერ გატყნეს ღვთისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გულანთებული ვაჟკაცი. მან მტკიცედ განაცხადა, რომ სარწმუნოებას არ შეიცვლიდა... ჯალალ ედ-დინის ბრძანებით, შალვა ახალციხელი სასტიკად აწამეს. უსიტყვოდ ითმენდა გვემასა და შეურაცხყოფას, უფლის ერთგული მონა. ღვთის დიდებაში აღმოხდა მონაშენობით განწმენდილი სული...



13 ასურელი მამა

თა გამარჯვებას. დიდხანს გაგრძელდა ბასიანის ბრძოლა. შეუპოვრად შეებნენ მონინაალმდეგეთ ქართველები. ადვილი არ ყოფილა ურიცხვ მტერთან შებმა და მათი დამარცხება. ცხენები მოუკლეს ქართველთა უძლიერეს მებრძოლებს — შალვა და ივანე ახალციხელებს, თაყაი თმოგველს, ზაქარია გაგელსა და სხვათა. ქვეითად შეებნენ მონინაალმდეგეთ, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებუ-

## როგორ დაიხარვა მამა მიქაელ ულუმბოელის განსასვენებელი

1-ელ ივლისს იხსენიება ერთ-ერთი ასურელი მამა — მიქაელ ულუმბოელი. მის შესახებ ძალზე მნიერი ცნობებია შემორჩენილი:

ვიციტ, რომ ღირსი მამა იმ ცამეტ ასურელ მამას შორის იმყოფებოდა, რომელიც VI საუკუნეში, ქრისტიანული სჯულის განსამტკიცებლად ჩამოვიდა საქართველოში. ერთხანს მამა მიქაელი, სხვა ასურელთა მსგავსად, ზედაზნის მთაზე მოღვაწეობდა, იოანე ზედაზნელთან ერთად. შემდეგ კი, როდესაც მამა იოანეს კურთხევით, ასურელი მამები ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გაემართნენ, ზემო ქართლს მიაშურა. ღირს მამას მრავალი ადამიანი დაემონაფა. მან მოგვიანებით, სოფელ ულუმბოს მახლობლად, მდინარე ალისწყალთან, მამათა მონასტერი დააარსა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. გარდაცვალების შემდეგ, მის მიერვე დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს. სამწუხაროდ, ამჟამად, ღირსი მამის საფლავის ადგილსამყოფელი უცნობია.

...1795 წელს საქართველოს ირანის შაჰი ალა-მაჰმად ხანი მოადგა 35-ათასიანი ლაშქრით. მეფე ერეკლე მეორემ მხოლოდ 5 ათასი მეზობლის შეკრება შეძლო, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია და მცირერიცხოვანი ლაშქრით, თბილისის მახლობლად მდებარე, კრწანისის ველზე შეება მტერს. 10 სექტემბერს ქართველებმა მტრის მოწინავე რაზმის განადგურება მოახერხეს. ირანის შაჰი უკან გაბრუნებას აპირებდა. მოლაღატებები მიადგნენ ალა-მაჰმად ხანს და ქართველთა სიმტკირის შესახებ ამცნეს. ირანის მბრძანებელმა გეგმა შეცვალა... მეორე დღეს, 11 სექტემბერს ირანელები კვლავ შეტევაზე გადავიდნენ. საოცარი სიმამაცით შეებნენ მტერს ქართველები, მაგრამ მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვან ლაშქართან, ვერას გახდნენ და დამარცხდნენ. გამარჯვებული ალა-მაჰმად ხანი თბილისში შეიჭრა. დედაქალაქის დარბევის შემდეგ, თავისი მეზობლები ქართლს შეუსია. სწორედ მაშინ დაურბევიათ და გადაუნვათ ულუმბოს მონასტერიც.

კრწანისის ბრძოლის შემდეგაც გრძელდებოდა ქართლში დაღესტნელ ფეოდალთა შემოსევები. იქაური მცხოვრებნი ვეღარ უძლებდნენ ხშირ თავდასხმას. ქართლის მრავალი სოფელი დაიცალა — მოსახლეობა სახლ-კარს ტოვებდა და იხიზნებოდა. დაიცალა სოფელი ულუმბოც. მას შემდეგ, ღირსი მამა მიქაელ ულუმბოელის განსასვენებლის ზუსტი ადგილსამყოფელიც უცნობია...

## რატომაა პეტრეპავლობის მარხვა სხვადასხვა ხანგრძლივობის

23 ივნისს ეკლესიის წიაღში მყოფი მართლმორწმუნე ქრისტიანები პეტრეპავლობის მარხვას შეუდგნენ, რომელიც „მოციქულთა მარხვის“ სახელითაცაა ცნობილი. პეტრეპავლობის მარხვა სულთმოფენობის დღესასწაულიდან ერთი კვირის შემდეგ იწყება, დასრულებით კი ყოველთვის 12 ივლისს — წმინდა პეტრე და პავლე მოციქულთა ხსენების დღეს სრულდება. თავის მხრივ, სულთმოფენობის დღესასწაული აღდგომაზეა დამოკიდებული — ამ უდიდესი დღესასწაულიდან 50-ე დღეს აღინიშნება, რადგან სწორედ უფლის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოხდა მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლა, შესაბამისად, პეტრეპავლობის მარხვაც აღდგომისა და სულთმოფენობის დღესასწაულს დასდევს, ამიტომ სხვადასხვა ხანგრძლივობისაა: რაც უფრო გვიანაა აღდგომის დღესასწაული, მით მოკლეა პეტრეპავლობის მარხვა. ყველაზე მცირე ხანს — ერთ კვირას გასტანს, ყველაზე დიდი ხანგრძლივობის კი — ექვსკვირიანია. წლებულს აღდგომის დღესასწაული 27 აპრილს აღვნიშნეთ, სულთმოფენობა — 14 ივნისს, შესაბამისად, პეტრეპავლობის მარხვაც 23 ივნისს დაიწყო.

პეტრეპავლობის მარხვა უფლის მოციქულთა მოსახსენიებლად და პატივის მისაგებადაა დაწესებული, პეტრე და პავლე მოციქულები კი გამორჩეული ღვანლის გამო, მოციქულთა თავად იწოდებიან. ეს მარხვა ჯერ კიდევ მოციქულთა ხანიდან მომდინარეობს. „სულთმოფენობის შემდეგ ერთი კვირა იხეიმეთ, შემდეგ კი იმარხულეთ“, — ნათქვამია მოციქულთა განწესებაში. დაკანონებით კი ესპანეთის (517 წელი) და ტრულის (582 წელი) მსოფლიო საეკლესიო კრებებზე დააწესეს. თავიდან პეტრეპავლობის მარხვა ერთი კვირა გრძელდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოციქულ-

თა ხსენება ერთ დღეს — 12 ივლისს დაწესდა, მისი ხანგრძლივობაც გაიზარდა.

რადგან უფლის მოციქულები მეთევზები გახლდნენ, პეტრეპავლობის მარხვა, ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა, თევზით ხსნილია. კურთხევას მარხვის დაწყების წინ პატრიარქი იძლევა ხოლმე.

მარხვის პერიოდში საეკლესიო ტიპიკონში, როგორც დიდი მარხვის დროს, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის. საზოგადოდ კი მარხვის პერიოდში ადამიანს სულიერ ცხოვრებაზე მომეტებული ზრუნვა



ევალებს, მოძღვრის კურთხევითა და მისი რჩევა-მითითებების გათვალისწინებით. მარხვის პერიოდში ასევე საჭიროა გართობის, წვეულებებზე სიარულისა და სანახაობების ხილვის მხრივ, თავისი შეზღუდვა.

მარხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს: „სამოთხე მარხვის დარღვევამ დაგვაკარგინა. ვმარხულობთ, რათა კვლავ შევიდეთ სასუფეველში“, — გვასწავლიან წმინდა მამები. სასუფეველის მოსაპოვებლად, ადამიანმა ვნებები უნდა დათრგუნოს და ბოროტ სულს სძლიოს. ეშმაკის ძლევა კი სწორედ ჯეროვანი მარხვითა და ლოცვითაა შესაძლებელი. უფალი ხომ ბრძანებს: „ნათესავი ესე არ-რარაით განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ — ანუ ბოროტი სული მხოლოდ ლოცვით და მარხვით განიდევნება.

რუბრიკა მოამზადა შორენა მერაპიაშვილმა

# როგორ უპოვოთ ახალი გზები ჩართულ „იანანას“



ანი აბულაძე

ამერიკაში წასვლა ბევრისთვის აუხდენელი ოცნებაა. ვინც მოახერხა გაჭირვებული საქართველოდან გასვლა და ოკეანის გაღმა საკუთარი ცხოვრების წარმართვა, დღეს თითქოს არაფერს უჩივის, მაგრამ ერთი რამ მაინც აკლია — ეს ქართული სიტბოა.. ანა ჩხაიძე ერთ-ერთი იმ ქართველ დედათაგანია, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია, ოკეანის გაღმა ცხოვრობენ. საკუთარ შვილებს — 6 წლის თინიკოსა და მ წლის თამარს მონატრებული ჩვენი რესპონდენტი ამერიკელთა შვილებს უვლიდა და ქართულ „იანანას“ უმღეროდა.

არადა, მ წლის ანას თითქოს არ უნდა დასჭირვებოდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა: მან კარგი განათლება მიიღო — საშუალო სკოლის ვერცხლის მედალს მუსიკალური შედარებით და სახალხო მედიცინის კურსიც მიამატა, შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, მიკრობიოლოგის კვალიფიკაციაც მიიღო და ამ სპეციალობით მცირე ხანს იმუშავა კიდეც. მოგვიანებით, არცთუ ცუდი სამსახური ჰქონდა. მერე გათხოვდა, შვილები შეეძინა, თავს ბედნიერად გრძობდა, მაგრამ... გაჭირვება მოულოდნელად დაატყდა თავს. **ანა ჩხაიძე:**

— უმცროსი გოგონა საბავშვო ბაღში მომენამლა. ამას ვირუსული ინფექცია დაემთხვა, გადაეკეტა კუჭ-ნაწლავი, ერთი ფილტვიც გაეთიშა, მისი გული ინფარქტისნაირ მდგომარეობაში აღმოჩნდა, სისხლი კი — მონამლული. დავინყებ ბრძოლა პატარის სიცოცხლის გადასარჩენად. მხოლოდ ღმერთს შეეძლო შევლა. დედა ღვთისმშობელმა არ გამწირა... დღესაც თვალწინ მიდგას ერთი მომენტი: ინფექციური საავადმყოფოს ეზოში, იმ დროისათვის მშენებარე ეკლესიის კედელთან, პატარა თინათინმა დამოუკიდებლად დანათო სანთელი და სისუსტისაგან ჩაიკეცა... სამი წლის განმავლობაში, ექიმები ჩემს შვილს მისხალ-მისხალ უბრუნებდნენ სიცოცხლეს. მათი უზომოდ მაღლივი ვარ. პატარის გამოჯანმრთელებით ბედნიერი, უდიდესი გაჭირვების წინაშე აღმოვჩნდი — იმდენი ვალი დამედო, რომ საქართველოში მუშაობით, მას წლების განმავლობაში ვერ გავისტუმრებდი. ამიტომაც გა-

გაჭირვება, ცხოვრების შიში, ვალების გამო უძილო ღამეები და იძულებით გადადგმული სარისკო ნაბიჯი — სამშობლოდან მოშორებით, გაჭირვებიდან გამოსვლის გზის ძებნა... ბევრი გააწყვა ამ გზას და ბევრიც ახლა ადგება მას. ბევრს გაუმართლა, ბევრს კი სანანებლად გაუხდა, უცხო მიწაზე ფეხის შედგმა... „გაჭირვების ემიგრანტებს“ ენატრებათ სამშობლო, მაგრამ შინ ვერ ბრუნდებიან. შრომობენ საქართველოში დარჩენილი ოჯახებისათვის, შრომობენ მუსლჩაუხრელად, რათა ათასობით კილომეტრის მანძილიდან მზრუნველობა არ მოაკლონ საკუთარ შვილებს...

## „თუ შეიძლება, სამი ცალი ხინკალი მომიხარშე“

დავწყვიტე, ამერიკაში წამოვსულიყავი.

— როგორ შეგეუე ბევრისთვის ოცნების ქვეყანას?

— უცხო ქვეყანას, უცხო კულტურას, უცხო, მაგრამ მაინც თბილ და გულისხმიერ ხალხს, არა? აქ შრომის ფასი იცინა. თავდაპირველად, ოჯახში დავინყე მუშაობა, ტყუბ ახალშობილთან. მათ მშობლებს წარმოგვანაც არ ჰქონდათ საქართველოზე და ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქედ აღმიქვამდნენ. ამ ადამიანებს ვუყვებოდი ჩემს სამშობლოზე, პატარებს კი ქართულ „იანანას“ ვუმღეროდი ისე, რომ მათ მშობლებს ვერ გაეგონათ. ერთხელ შემომისწრეს და ისე მოეწონათ, ნება დამრთეს, ყოველთვის მემღერა. ამერიკელებმა იციან, რომ საქართველოში ბავშვის აღზრდის კულტი არსებობს და ამიტომაც, სამშობლოდან გადმოხვენილი ქართველი დედების შრომას აფასებენ. ბავშვებმა ჩემ მიმართ დიდი სიყვარული გამოავლინეს და ეს საკუთარ შვილებისთვის განკუთვნილი სიტბოს მათთვის გადაცემით დავიმსახურე.

— ბავშვების მშობლები შენთ კმაყოფილნი იყვნენ?

— საერთოდ, ადამიანების ნდობა უნდა დაიმსახურო. ამერიკელები იმას, ვინც მათ ოჯახში სამუშაოდ შედის, გამოცდას უტარებენ. მაგალითად, ოთახში, გამოსაჩენ ადგილას ფულს ან ძვირად ღირებულ ნივთს დადებენ და თუ დაიკარგა... მეც დამიდეს ფული, მაგრამ მისთვის თითიც არ დამიკარგებია.

— შენ მიერ მომზადებული ქართული კერძები თუ მოსწონდათ?

— ძალიან მოეწონათ ხინკალი. ხშირად მეუბნებოდნენ: გეთაყვა, თუ შეიძლება, სამი ცალი ხინკალი დაამზადეო (იციინის).

— ნეტავ, ქართულ „იანანაზე“ გავრდილი ამერიკელები წლების შემდეგ რას იგრძნობენ?

— ვინ იცის, როგორი ურთიერთობა ექნებათ მომავალი თაობის ქართველებსა და ქართულ ყაიდაზე აღზრდილ ამერიკელებს... სამწუხაროდ, ტყუბს აღარ ვზრდი, სამუშაოდ სხვა ოჯახში გადავედი. ამჯერად, მოხუც ქალს ვუვლი. ტყუბის მოვლის დროს ქალაქსა და ქალაქგარეთ გასვლას ხშირად ვახერხებდი, ახლა კი სახლში ვარ გამომწყდელი და მგონია, რომ ციხეში ვზივარ.

— ასეთ სამუშაოს რატომ დათანხმდით?

— იმიტომ, რომ ახლა სამ დღეში მისდიან იმდენ თანხას, რამდენსაც ტყუბის მშობლები ერთი კვირის განმავლობაში მისდიდნენ. ბავშვების აღზრდა მერჩინა, მაგრამ რა ვქნა, ვალები ხომ უნდა გავისტუმრო და თან, რაღაც თანხა ჩემს შვილებსაც გავუგზავნო... იცი, ასეთ სამუშაოს ბევრი ჭკუიდან გადაჰყავს. ერთ ქართველ გოგონას ვიცნობდი, რომელმაც ამ ყველაფერს ვერ გაუძლო და ნარკოტიკებს მიეძალა. მერე საქართველოდან დედამისიც ჩამოვიდა, მაგრამ ველარაფერი უშველა. მეც რისკზე წავედი...

— ამერიკაში გადახვენილ სხვა ქართველებთან თუ გაქვს ურთიერთობა?

— როგორ არა! ჩვენ ერთი ოჯახი ვართ. ხშირად ვიკრიბებით, რელიგიურ დღესასწაულებს აღვნიშნავთ, ერთმანეთს შეძლებისდაგვარად ვეხმარებით. რთულია ემიგრაციაში ყოფნა, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. ცხოვრებაში ბევრი გაჭირვება გნახე, მაგრამ მაინც, ღმერთის მაღლობელი ვარ, სიცოცხლის ბოძებისთვის.

— შეილებთან დავგზობრებას ხშირად ახერხებ?

— შეილებს ძირითადად, კომპიუტერის საშუალებით ვეკონტაქტები და როცა მათ სახეებს შევყურებ, თვალები ცრემლებით მევსება. ერთი სული მაქვს, ჩემს პატარებს როდის ჩავიხუტებ გულში.

— მეუღლეზე არაფერი გითქვამთ.

— არც არაფერი მაქვს სათქმელი ადამიანზე, რომელმაც ცოლ-შვილი გაჭირვების უამს მიატოვა. ცოტა ხნის წინ, მას დაბადების დღე ჰქონდა და შეილებმა მთხოვეს: ნება დავგვრთე, მივულოცოთო. სანინალმდეგო არაფერი მქონდა. ამით გახარებულბმა მამას დაუმესიჯეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა საკუთარ შვილებს პასუხი არ აღირსა...

— რას უსურვებდი შენს ქვეყანას?

— საქართველოში ის ორი პატარა დავტოვე, რომლის ნათელი მომავლისთვისაც ვიბრძვი. მონატრებულ სამშობლოს კი იმასვე ვუსურვებდი, რასაც ჩემს მონატრებულ შვილებს. ■

# მსაღმრთოთაშარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ჰვადიშირ სუხოდაევი



დასაწყისი ის. „გზა“ №44-25

რითი შეიძლება აიხსნას ის უდიდესი ავტორიტეტი, რომლითაც სტალინი აშშ-ისა და ინგლისის ხელისუფალთა შორის სარგებლობდა? პასუხი ამ შეკითხვაზე ფაქტობრივად, ფრანკლინ რუზველტისა და უინსტონ ჩერჩილის გამონათქვამებშია, რომლებიც არაერთ წიგნშია მოყვანილი.

უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი თავისი ყურადღებით დიდად არ ანებივრებდა უცხოელ მოღვაწეებს, უფროსილდებოდა თავისი ქვეყნის ღირსებას. და მით უმეტეს მკრეხელობა იქნებოდა იმის გაფიქრებაც კი, რომ მას, უცხოელ მოღვაწეებთან ურთიერთობისას, „კვლუცობის“ რაიმე ფორმისთვის მიემართა.

უკვე მხოლოდ ამიტომ, სტალინთან შეხვედრა და მისი მოსმენა უცხოელი მოღვაწეებისთვის დიდ პატივად მიიჩნეოდა. თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციების გახსენებისას, ანდრეი გრომიკო წერდა: „როცა სხდომების მსვლელობისას სტალინი ლაპარაკობდა (როგორც წესი, ის მოკლე განცხადებებით გამოდიოდა), დარბაზში მყოფი ყველა ადამიანი მის თითოეულ სიტყვას

იჭერდა. ხშირად ისე ლაპარაკობდა, რომ მისი სიტყვები ყურს სჭრიდა დასავლეთის ორივე სახელმწიფოს ლიდერს, თუმცა გამონათქვამები თავისთავად, ფორმით სულაც არ იყო მწარე, მით უმეტეს უხეში — ბელადი მუდამ კორექტული და ტაქტიანი იყო. ის, რასაც სტალინი აცხადებდა, მყარად იბეჭდებოდა იმათ გონებაში, ვისაც ის მიმართავდა.

თვალში საცემი იყო, რომ რუზველტი და ჩერჩილი ერთნაირად როდი რეაგირებდნენ სტალინის განცხადებებზე: რუზველტი მათ მშვიდად და გაგებით იღებდა, ხოლო ჩერჩილი — სახის მკაცრი გამომეტყველებით ან სულაც, ცუდად დაფარული უკმაყოფილებით... როცა ამერიკის პრეზიდენტი ლაპარაკობდა, ყველა დამსწრე დიდი ყურადღებით უსმენდა მას. თათბირის მონაწილენი ცდილობდნენ, თვალ-ყური ედევნებინათ იმისთვის, თუ როგორ ავითარებდა აზრს, ჩასწვდომოდნენ მისი მსჯელობის არსს, სწორი რეაგირება მოეხდინათ მის ხუმრობებზე. ყველა აცნობიერებდა, რომ მის მიერ გამოთქმულ შეხედულებებზე დიდად იყო დამოკიდებული ის, თუ როგორი იქნებოდა უახლოეს მომავალში მსოფლიო.

ინგლისის პრემიერ-მინისტრი, გამოსვლისას, მარჯვედ და მოხერხებულადაც კი აყალიბებდა თავის აზრებს, გახუმრებაც კარგად გამოსდიოდა. აშკარა იყო, რომ, როგორც თევზი წყალში, ისე გრძობდა თავს პოლიტიკაშიც და მაშინაც, როცა საქმე ისტორიას, განსაკუთრებით — უახ-



ლეს ისტორიას შეეხებოდა...

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორღაც გამოდიოდა, რომ ყველა იქ დამსწრე — კონფერენციის მთავარი ფიგურებიც და მეორეხარისხოვანი მონაწილეებიც, მაინც მთლიანად სტალინზე იყვნენ ორიენტირებული. სხვა ლიდერის გამოსვლის დროსაც კი რატომღაც, დამსწრეთა უმრავლესობა მაინც მას, მისი სახის გამომეტყველებას, მის გამოხედვას აკვირდებოდა და ცდილობდა გაეგო, თუ როგორ აფასებდა იგი თავისი კოლეგების სიტყვებსა თუ შეხედულებებს.

და აი, წყნარად, თითქოს სასხვათაშორისოდ, სტალინი ლაპარაკს იწყებდა. ისე ლაპარაკობდა, თითქოს მას მხოლოდ ორი ადამიანი უსმენდა: ვერც რაიმე თვითშეზღუდვას შეამჩნევდი, ვერც ეფექტის მოხდენის მცდელობას. აზრის განვითარებისას, ყველაფერს ზედმიწევნით მკაფიოდ აყალიბებდა. თითოეული მისი სიტყვა ისე ჟღერდა, თითქოს საგანგებოდ იმისთვის მომზადებულიყო, რომ სწორედ ამ აუდიტორიაში ეთქვა და ზუსტად ამ მომენტში.

ყურადღებას იქცევდა ის გარემოება, რომ სტალინის გამონათქვამების დროს, თუნდაც ისინი დიდ პოლიტიკას არ შეხებოდა, რუზველტი სწორად ცდილობდა, საბჭოთა ლიდერის ნათქვამისადმი საკუთარი დამოკიდებულება გამოეხატა — თავის დაქნევით ან გამოხედვით მაინც...“

ყირიმის (იალტის) კონფერენციაზე 1945 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის, აშშ-ისა და ინგლისის მთავრობათა მეთაურებმა მოილაპარაკეს, რომ ფაშისტური გერმანიის განადგურებისთანავე, ერთობლივი ძალებით იბრუნებდნენ მსოფლიო ხალხებისთვის მშვიდობის დასამყარებლად. მათ დამტკიცეს ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობის ძირითადი პრინციპები, შექმნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, კოლევიალური წესით საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად. გაეროსთან შეიქმნა უნიკალური ორგანიზაცია — უშიშროების საბჭო, რომლის ფუნქცია, სახელმწიფოებს შორის არსებული სადავო საკითხების მშვიდობიანი დარეგულირება გახლდათ. მათ გამოიმუშავეს გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა ერთსულოვნების პრინციპი.

რუზველტისა და ჩერჩილის მტკიცებით, სტალინს არაერთხელ გაუსვამს ხაზი იმისთვის, რომ „სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, მშვიდობა გარანტირებულია. ჩვენ საიმედო საფუძველი ჩავუყარეთ მსოფლიოს სამართლიან მოწყობას, ორმოცდაათი წლით“.



„ილტაში, — წერდა აშშ-ის პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის ვაჟიშვილი ელიოტი, — კონფერენციის მონაწილეებმა მთელი გულახდილობითა და სათანადო დონეზე განიხილეს „დიდი სამეულის“ ერთიანობის პრობლემა. მამამ მხარი დაუჭირა ერთიანობის პრინციპს, რადგან კარგად ესმოდა, მომავლისთვის „სამეულის“ ერთიანობის შენარჩუნების აუცილებლობა... მამამ და სტალინმა მოინონეს იდეა, „დიდი სამეულის“ წევრებისთვის ვეტოს უფლების მინიჭების შესახებ და საკუთარი არგუმენტაციის საფუძველად მოიყვანეს ის უბრალო და ნათელი გარემოება, რომ მშვიდობის შენარჩუნება მხოლოდ ყველა უდიდესი სახელმწიფოს ერთსულოვნების პირობებშია შესაძლებელი“.

რადგან მოკავშირეთ გამარჯვება უკვე ეჭვგარეშე იყო, სახელმწიფოთა მეთაურებმა გერმანიის ომის შემდგომი ბედიც განიხილეს. ინგლისურ-ამერიკული მხარე ემხრობოდა გერმანიის დაყოფას რამდენიმე სახელმწიფოდ — პრუსიად, ბავარიად, საქსონიად და სხვა. სტალინი არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას. „ჩემი აზრით, — თქვა მან, — გერმანიის პრობლემის გადაწყვეტა უნდა ვეძებოთ არა გერმანული სახელმწიფოს განადგურებაში (რადგან არ შეიძლება გერმანიის განადგურება, ისევე, როგორც არ შეიძლება რუსეთის განადგურება), არამედ მის დემილიტარიზაციასა და დემოკრატიზაციაში, ფაშიზმის, ვერმასტის უცილობელ განადგურებასა და მესამე რაიხის დამნაშავე ხელმძღვანელთა ხალხის სამსჯავროზე გადაცემაში“.

სტალინი გრანტივით შეუვალა იყო, როცა მსჯელობა მიდგებოდა ისეთ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის ინტერესებსა და საბჭოთა ხალხის ღირსებას შეეხებოდა. ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტისას ის უპირველესად, სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხებით ხელმძღვანელობდა. მტრუ-

ლად განწყობილი მეზობლების მიერ შორეულ თუ უახლეს წარსულში დაპყრობილი ქველი რუსული მიწები — დასავლეთ ბელორუსია, დასავლეთ უკრაინა, ბესარაბია და ბალტიისპირეთი — სწორედ მის დროს დაუბრუნდა რუსეთს და მის განუყოფელ ნაწილად იქცა. სტალინმა ომის შემდეგ გაამაგრა ქვეყნის დასავლეთი და აღმოსავლეთი საზღვრები. იგი არანაირ ტერიტორიულ დათმობაზე არ მიდიოდა და არც არავითარ ზენოლას ემორჩილებოდა.

უკვე ჩვენს დროში, ცივი ომისა და ბირთვული დიპლომატიის ერთ-ერთი არქიტექტორთაგანი — აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი წერდა: „ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის ლიდერისგან განსხვავებით, სტალინი მუდამ მზად იყო, ნებისმიერ წუთს დაეწყო ძალთა თანაფარდობის საფუძვლიანი შესწავლა. და სწორედ იმის გამო, რომ სწამდა — ისტორიული სიმართლე მის მხარეზე იყო, — ის მტკიცედ და შეუპოვრად იცავდა საბჭოთა ეროვნულ ინტერესებს, არ იმძიმებდა თავს პირფერობის ტვირთით; ისე იქცეოდა, როგორც თავად მიაჩნდა სწორად და როგორც ამას მორალი და პირადი ინტერესები უკარნახებდა“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# კუჩხანელი მოზარდების მოგზაურობა პარიზში

ამ ცოტა ხნის წინ, თბილისი მასპინძლობდა ფრანგულენოვანი სკოლების ბავშვთა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს — „ოქროს ბატკანი“. აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის თეატრის სცენაზე თავიანთი სპექტაკლები კასპის, ლანჩხუთის, თბილისის, გურჯაანისა და ჩუმლაყის სკოლების მოსწავლეთა დასებმა წარმოადგინეს. მათ შორის, გამორჩეული ყურადღება გურჯაანის პირველი საჯარო სკოლის ნამუშევარმა — „სწრაფმოქმედი ფსიქოლოგი“ — მიიპყრო. როგორც გაირკვა, დასის თითქმის ყველა წევრი ფრიადოსანია, ისინი ერთნაირი ინტერესით სწავლობენ როგორც ტექნიკურ, ისე ჰუმანიტარულ საგნებს, ამ ჯგუფის ორი წევრი კი — ჩემი დღევანდელი რესპონდენტი, **ნინო თაზიაშვილი** და გვანცა ბარბაქაძე მოხვდნენ საპრეზიდენტო პროგრამაში — „ჩემი პირველი კომპიუტერი“ და საჩუქრად კომპიუტერები მიიღეს. შარშან ველისციხეში გამართულ ფესტივალზე სწორედ ამ დასმა გამარჯვება და საფრანგეთში ერთკვირიანი მოგზაურობა ერგო წილად. ნინო თაზიაშვილს იქ გატარებული დღეებით მოგვრილი შთაბეჭდილებების ჩვენთვის გასაზიარებლად შევხვდი.



## მანანა ჭირაქაძე

— ნინო, გვიამბე ველისციხის ფესტივალის შესახებ, რამდენად გჯეროდათ გამარჯვების?

— მე სულ ბოლო დღეებში დამითანხმა მასწავლებელმა, რომ მონაწილეობა მიმელო ამ სპექტაკლში, თუმცა დასის წევრი ვარ. რაც შეეხება ფესტივალს, უკვე ტრადიციად იქცა კახეთის ფრანგულენოვანი სკოლების მოსწავლეთა თეატრალური ფესტივალის ველისციხეში ჩატარება. ფესტივალს საფრანგეთის საელჩო კურირებადა, ხოლო უიურიში, როგორც ქართველები, ასევე საფრანგეთის იონის დეპარტამენტის (იონის დეპარტამენტი და კახეთის რეგიონი მეგობრობენ) წარმომადგენლები იყვნენ მონაწილეები. მართალი გითხრათ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს დასს უკვე გარკვეული წარმატებები ჰქონდა (რამდენიმე წლის წინ მოსკოვის მერიამ მიიწვია

ბავშვები ფესტივალზე „Maski“), გამარჯვება მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენთვის. ექვსივე ბავშვი (დასში მხოლოდ ექვსი ბავშვი უნდა იყოს — ასეთია ფესტივალის ორგანიზატორთა მოთხოვნა) სიხარულისგან ვტიროდით. ასე რომ, მე ახლა ვიცი, რას ნიშნავს სიხარულის ცრემლები.

— ახლა რაც შეეხება უშუალოდ მოგზაურობას: რას ითვლიან ნინოებმა ეს გამარჯვება და პრიზი?

— გავემგზავრეთ ექვსივე ბავშვი და ჩვენი მასწავლებელი — ქალბატონი ლალი სოლოლაშვილი. სამწუხაროდ, რეჟისორის წამოსვლა ვერ მოხერხდა, რადგან ეს კონტრაქტით არ იყო გათვალისწინებული, ამიტომ ჩვენი რეჟისორი, ბატონი დიტო ბარიხაშვილი, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის ჩვენს წარმატებაში, გურჯაანში დარჩა... საბუთებს თითქმის მთელი დარჩენილი ზაფხული ვაგროვებდით, რადგან არც ერთ ბავშვს არ გვექონდა პასპორტი (ნინო თაზიაშვილი

— გზაში რაიმე თავგადასავალი ხომ არ გადაგხდათ?

— ჩვენთან ერთად მგზავრობდა მსახიობი გივი სიხარულიძე. მას მიწვევა ჰქონდა ერთ-ერთი ფრანგული საბალეტო დასიდან. ის ძალიან კომუნიკაბელური და სასიამოვნო პიროვნება აღმოჩნდა; სამახსოვროდ თავისი წიგნები დაგვირიგა, სურათებიც გადავიღეთ ერთად.

— აეროპორტში ვინ დაგხვდათ და როგორი იყო პირველი შთაბეჭდილებები?

— აეროპორტში დაახლოებით, 7-8 საათზე ჩავფრინდით. თბილისთან შედარებით, საოცრად ციოდა, მაგრამ ამას ჩვენს გუნება-განწყობილებაზე არ უმოქმედია. დაგვხვდა იონის დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილი მიკროავტობუსი, მისი მძღოლი ფილიპი კი მალე ჩვენი მეგობარი გახდა. ფილიპმა აეროპორტის სასტუმროში მიგვიყვანა, რომელიც ძალიან ახლოს მდებარეობს ეიფელის კოშკთან. სასწრაფოდ დავანწყვეთ ბარგი, გამოვიცვალეთ ტანსაცმელი (აბა, პარიზის ქუჩებში გაუპრანჭავი ხომ არ გავივლიდით!) და ეიფელის კოშკისკენ გავმუშურეთ. როგორც უკვე გითხარით, ადრინაი დილა იყო და გაგვაკვირვავა პარიზის ქუჩებში ხალხის სიმრავლე. იცით, მთელი 2 საათი ვიდექით რიგში, რათა ეიფელის კოშკში შესასვლელი ბილეთები აგველო, რომელიც დაახლოებით 18 ევრო ღირს (ეს და ყველა დანარჩენი ხარჯი იონის დეპარტამენტის საბჭომ გაიღო), მაგრამ რიგში დგომად ღირდა ის შთაბეჭდილება, რომელიც ეიფელის კოშკში გატარებულმა დრომ დაგვიტოვა. დავათვალეერეთ ყველა მალაზია, რესტორანი და კაფე, რაც კი ეიფელის კოშკშია განთავსებული; გეახელით ცხელი კრუსანები და ყავა. მინდა გითხრათ, რომ ფრანგული კრუსანი სრულიად არ ჰგავს თბილისურს, მას შიგთავსი არა აქვს, თანაც, ზომითაც გაცილებით დიდია, გემოზე ხომ აღარაფერს ვიტყვი...

— შენს მეგობრებს გული რომ არ დასწყდეთ, მოდი, ყველა მათ-



ძალიან კომუნიკაბელური და სასიამოვნო პიროვნება აღმოჩნდა



ნინო თაზიაშვილი პარიზის „დისნეილენდში“

და მისი მეგობრები მაშინ მხოლოდ 14 წლისანი იყვნენ. — ავტ.) უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი თბილისის აეროპორტში, თითქმის მთელი გურჯაანი იქ იყო. ბოლო წუთამდე არ გვჯეროდა, რომ საფრანგეთში მივემგზავრებოდით... აი ასე — იმ დღეს, დილით გურჯაანში ვიყავით, შუადღეს — თბილისში, გამთენიისას კი უკვე პარიზის შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტში.

**განი ჩამოთვალე. სამი გოგონა იყავით და სამი ბიჭი, არა?**

— დიას. ჩვენს ჯგუფში იყვნენ: ნიკა ბაიდოშვილი, გიორგი ქადაგიშვილი, გიორგი ხრუსტალი, გვანცა ბარბაქაძე (რომელსაც დაბადების დღე პარიზში გადაუხადეს) და ლაურა ჯადოგიშვილი.

**— მერე საით გაემურა თქვენი ჯგუფი?**

— მდინარე სენაზე ვიმოგზაურეთ პატარა გემით, რომელსაც პარიზელები „ბატო მუშის“ ეძახიან. ეს მოგზაურობა ერთი საათი გრძელდებოდა. ჩვენთან ერთად გემზე იყვნენ ტურისტები სხვადასხვა ქვეყნიდან, დაგვირიგეს ტელეფონი-გიდი, რომელიც გვანვდიდა ინფორმაციას ამა თუ იმ ღირსშესანიშნაობის შესახებ.

**— მონმარტრზე იმავე დღეს გაისეირნეთ?**

— დიას. სულ მაინტერესებდა — სად იკრიბებოდნენ ცნობილი იმპრესიონისტები და პოსტიმპრესიონისტები, როგორი იყო იქაური ატმოსფერო და ეს სურვილიც ავისრულე. დავათვალიერეთ ფრანგი „ქუჩის მხატვრების“ გამოფენა. შეგიძლია, იქ სულ რაღაც 5 ევროდ — კარიკატურა, ხოლო 8 ევროდ პორტრეტი შეუკვეთო. მონმარტრზე არის მონასტერი — საკლეველი. როცა ამ ტაძარში შევედით, წირვა მიმდინარეობდა და მიუხედავად აკრძალვისა (არ შეიძლებოდა ვიდეო და ფოტოგადაღება), მაინც მოვახერხეთ სურათების გადაღება. შემდეგ, ლუვრის ექსპოზიციები დავათვალიერეთ. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა“ მოახდინა და იმ განსაკუთრებულმა უსაფრთხოების ზომებმა, რომელსაც მის დასაცავად მიმართავენ: მაგალითად, არ შეიძლება 2-3 მეტრის რადიუსში მასთან მიახლოება!.. ვიყავით აგრეთვე ვერსალის სასახლეში — უზარმაზარ და ულამაზეს ბაღში, სადაც ზღაპრული შადრევნებია. ზუსტად 4 საათზე იღება ვერსალის სასახლის ბაღი და იმავე დროს ირთება კლასიკური მუსიკა. ბაღში შესვლისას, ბილეთთან ერთად, გაძლევენ რუკასაც, ურომლისოდაც გზას უზრალოდ, ვერ გაიგნებ, დაიკარგები.

**— რამდენადაც ვიცო, თქვენ**

**მაინც დაიკარგეთ ვერსალის ზღაპრულ ბაღში და ფენიც დაიზანეთ.**

— იცით, ბაღში არის საზღვარი, რომლის გადაკვეთის შემდეგ (თუ დარაჯს ბილეთი ვერ უჩვენე) უნდა გახვიდე ქალაქში, მიხვიდა იმ ადგილას, სადაც ბილეთები იყიდება და მხოლოდ ამის მერე შეგიძლია უკან დაბრუნება, ბილეთითა და რუკით. მე და ჩემი ორი მეგობარი მთავარ ჯგუფს ჩამოვრჩით ჩვენდა უნებურად, საზღვარი გადაკვეთეთ, ბილეთები კი, რომელიც დარაჯისათვის უნდა წარგვედგინა, ჩვენს მასწავლებელს ჰქონდა.

**— მერე, ვერ აუხსენით, რა მოხდა?**

— რა თქმა უნდა, როგორც ფრანგულად, ასევე ინგლისურად ავუსხენით ყველაფერი, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ჰოდა, გამოვედით ქალაქის ქუჩებში. ამდენ სირბილში ფეხი გადამიბრუნდა და, როგორც გურჯაანში ჩამოსვლისას გაირკვა, ყველა მყესი გამიწყდა და ძვალაც გამებზარა.

მაშინ კი ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან უზრალოდ დავიკარგეთ პარიზის ქუჩებში. ბოლოს სირბილით ისევ იმ საზღვართან მივედით, დარაჯ ქალს შევეცოდეთ და ამჯერად შეგვიშვა. პირველი დახმარება კი ჩვენმა მძლოლმა ფილიპმა აღმომიჩინა. არ ვიცი, ფილიპი აღმოჩნდა კარგი ექიმი თუ მე ვიყავი შთაბეჭდილების ქვეშ, მაგრამ იქ, საფრანგეთში ფეხს ზედმეტად არ შევუნუხებია. გურჯაანში კი მთელი თვე თაბაშირში მქონდა ჩასმული.

**— პარიზში რამდენი დღე დაყავით?**

— ორი დღე. მერე იონის დეპარტამენტში გავემგზავრეთ, რადგან სწორედ იქაურები იყვნენ ჩვენი უშუალო მასპინძლები. ბერგუნდიაში, ახალგაზრდულ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით.

**ეიფელის კოშკთან**



**შანდალს („მზე-თუნახავი და ურჩხული“) ვაკოცე და ჩაიფიქრე სურვილი**

გვექონდა ოფიციალური შეხვედრები, ექსკურსიები. შევხვდით სან-ვალერიანის კოლეჯის მოსწავლეებს, რომლებთანაც ძალიან დამეგობრდით, მათაც აქვთ თეატრალური დასი და ამ ზაფხულს კახეთში ჩამოვლენ, ჩვენს ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. საცხოვრებლად ოჯახებში გავანაწილდით. ბურგუნდიაში, ქალაქ ენ სი ლე ფლანში ვუჩვენეთ სპექტაკლი ბავშვებისათვის, რომელსაც ისეთი მოწონება ხვდა, რომ მეორე დღეს

გვთხოვეს, უფროსებისთვისაც გვეჩვენებინა. ბუნებრივია, სიხარულით დავთანხმდით. იცით, როგორი აპლოდისმენტები დავიმსახურეთ? გაკვირებულები და ძალიან გახარებულები ვიყავით.

**— ფრანგული „დისნეილენდი“ მონახულეთ?**

— დიას. ახლა როდესაც მთხოვენ, საფრანგეთზე მოვუთხორო, საუბარს ეიფელის კოშკით ან მონმარტრით კი არ ვინწყებ, არამედ — „დისნეილენდით“.

**— ესაა ზღაპარი, რომელიც რეალობად იქცა, არა?..**

— დიას. იქ ყოველ ნაბიჯზეა წარწერა — „ოცნება, რომელიც რეალობად იქცა“, — და ეს მართლაც ასეა: ამის დასტური ხომ ჩვენი პატარა დასის ახდენილი ოცნებაა!

**— ამბობენ, ყველა ქვეყანაში არსებობს ადგილი, სადაც რაღაც მაგიურ რიტუალს ჩაატარებ, — ვთქვათ, ხურდა ფულს ჩააგდებ ნყალში და მერე, ოცნება უეჭველად აგისრულდება. საფრანგეთში თუ იყო ასეთი ადგილი და რა ჩაიფიქრე?**

— თურმე პარიზში, სენაზე მოგზაურობის დროს ხურდა ფულს ყრიან და სურვილებს უთქვამენ. მე ეს გვიან შევიტყვე, მაგრამ „დისნეილენდში“ ერთ-ერთ ზღაპრულ პერსონაჟს — შანდალს („მზე-თუნახავი და ურჩხული“) ვაკოცე და ჩაიფიქრე სურვილი, რომელიც მჯერა, აუცილებლად ამისრულდება. იცით, ისიც მართალი ყოფილა, რომ უთქვამთ: „პარიზი არის დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთანაა“...



**სან-ვალერიანის კოლეჯში სკუმრობისას**

დასაწყისი იხ. გვ. 17

ლაპარაკი, რომ ყარაბაღელი სომხები დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ და ეთნიკურად განსხვავებულ ჯგუფს წარმოადგენდნენ.

— საქართველოში არსებულ კონფლიქტებზე რას იტყვით?

— აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ერთმანეთისგან ბევრი რამით განსხვავდება. სამხრეთ ოსეთში 25-30 ათასი ოსი მაინც ცხოვრობს, დაახლოებით ამდენივე ქართველი ინარჩუნებს იქ სახლ-კარს, რასაც აფხაზეთზე ვერ ვიტყვით... ეს კონფლიქტები განსხვავებულია ეთნიკური შინაარსითაც. ომის მიუხედავად, ქართველებსა და ოსებს მაინც ახლო ურთიერთობა აქვთ.

— იგივე შეიძლება ითქვას უბრალო ქართველებსა და აფხაზებზეც...

— ვერ დაგეთანხმებით. წლების განმავლობაში ვაკვირდებოდი ამ ხალხების ურთიერთობებს. ოსები დღემდე ლაპარაკობენ ქართულად. ამ მხრივ

ჯართისა და ფერადი ლითონის გაყიდვით ირჩენდა თავს. მაშინ სეპარატისტული ერთეულის ბიუჯეტი სულ რაღაც 2-3 მილიონ დოლარს შეადგენდა. ახლა იქ ათიათასობით რუსი ტურისტი ჩადის, რუს ბიზნესმენებს დიდძალი ინვესტიციები შეაქვთ, ვითარდება ინფრასტრუქტურა. ამასთანავე, ეს არ ნიშნავს, რომ აფხაზეთის ეკონომიკაში სასიკეთო ძვრები ხდება: ეს ყველაფერი აფხაზეთის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად კი არა, რუსი ბიზნესმენებისა და სამხედრო ჩინოვნიკების გასამდიდრებლად კეთდება. აქტიურად ვეცნობი აფხაზურ პრესას, სადაც გამუდმებით ინერება აღნიშნულ პრობლემაზე. ამიტომ, როცა ამ რეგიონის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობენ, ეს, არასერიოზულად მიმაჩნია. არადა, აფხაზეთში ამის იმედი აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იციან — რეალური დამოუკიდებლობის უფლებას პირველ რიგში, რუსეთი არ მისცემს. თუ რუსეთმა გარისკა და



ლოურენს შიცი

უკიდებლობას არ აღიარებს. ამ საკითხზე ბევრჯერ მისაუბრია, როგორც სამთავრობო წრეებთან, ისე უბრალო მოქალაქეებთანაც. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ყველაზე ეფექტური გზა — კონფლიქტურ რეგიონთან ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენა და სახალხო დიპლომატიის გამოყენება იქნებოდა. თქვენგან განსხვავებით, რუსეთს არ გასჭირვებია აფხაზეთის გულის მოგება, ამაში სოჭის ზამთრის ოლიმპიადაც დაეხმარა. მაშინ, როცა აფხაზეთი უმუშევარი ხალხისგან ყოველდღიურად იცლებოდა, მშენებლობის ბუმი მათთვის ნამდვილი მისწრება იყო. მართალია, ოლიმპიადის მშენებლობას უარყოფითი პროცესებიც ახლავს, მაგრამ გაჭირვებული ხალხი ამაზე ნაკლებად ფიქრობს და მთავარი კოზირი ჯერჯერობით რუსეთს უპყრია ხელთ.

— ბოლო დროს აქტიურად განიხილება კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო ძალებით რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლება. თქვენი აზრით, ეს რეალურია?

— არა მგონია, ამის განხორციელება რეალური იყოს. ამაზე ლაპარაკი წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. ამ გადაწყვეტილების დასახლოვებას რუსებსა და აფხაზებს სამართლებრივი მექანიზმებიც აქვთ. გარდა ამისა, ქართული მხარე მოხალისე ქვეყნების ძიებაში საკმაოდ დროს დაკარგავს, რადგან ამას რუსეთი ეწინააღმდეგება. დამისახელებთ თუნდაც ერთი სახელმწიფო, რომელიც ასეთ პირობებში, აფხაზეთში საკუთარი ძალების შეყვანას დათანხმდება... ახლა ამ საკითხის გარშემო დიდი ხმაურია ატეხილი, აღმოსავლეთ ევროპის და პოსტსაბჭოთა ქვეყნები — ჩეხეთი, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი ბევრს ლაპარაკობენ სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციაზე, მაგრამ თუ საქართველო მათ პირდაპირ ჰკითხავს, არიან თუ არა მზად, აფხაზეთში გადაისროლონ ძალები, კონკრეტულ პასუხს დიპლომატიურად აარიდებენ

## რუსეთი, რომელიც გასული საუკუნიდან მოყოლებული, წარმატებით ახერხებდა, საფუძვლიანი ჩაყვარა და შემდეგ ემართა კიდევ კონფლიქტი

სხვაგვარი ვითარებაა აფხაზეთში. იქ მოსახლეობის დიდ ნაწილს რუსები, სომხები და აფხაზები შეადგენდნენ. მათი სასაუბრო ენა რუსული იყო და ამიტომ, აფხაზებს ერთგვარად, კამოკვეთილი პრორუსული აზროვნება ჩამოუყალიბდათ, რაც ამ რეგიონის გეოგრაფიულმა მდებარეობამაც განაპირობა. აფხაზეთში ქართული ლაპარაკი არც ერთხელ არ მომისმენია... აღსანიშნავია ერთი ფაქტორიც: საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ნაწილში კონტროლი აღადგინა (დიმიტრი სანაკოევის ადმინისტრაციულ ერთეულს ვგულისხმობ), მსგავსი რამისთვის აფხაზეთში ჯერჯერობით საფუძველიც კი არ არსებობს.

— ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ აფხაზეთის ეკონომიკურ აღმავლობაზე. რამდენად რეალურია ეს და მიდის თუ არა ეს რეგიონი რეალური დამოუკიდებლობისკენ?

— წარმოუდგენელია, აფხაზეთი ეკონომიკურად იმაზე უარეს მდგომარეობაში იყოს, ვიდრე ომის შემდგომ პერიოდში. 15 წლის განმავლობაში აფხაზეთი, სამყაროს მოწყვეტილი კუნძულივით იყო, სადაც მოსახლეობა

საქართველოს და დასავლეთის ჯიბრზე, ამ რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარა, ეს მისთვის დამლუპველი აღმოჩნდება, რადგან მის შემადგენლობაში არსებული ავტონომიების ასაჯანყებლად, ეს ძლიერი ბიძგი იქნება, რომელიც ფედერაციის ერთიანობას დაანგრევს. ეს ენება როგორც ჩრდილოეთ კავკასიას, ასევე ისეთ შორეულ რეგიონსაც, როგორცაა ვთქვათ, იაკუტია. ამიტომ, მოსკოვს სურს, აფხაზეთში პროტექტორატის მაგვარი რაღაც შექმნას.

— როგორც გამოცდილი ჟურნალისტი და კონფლიქტოლოგი, რაში ხედავთ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გასაღებს?

— ჩემი აზრით, წარმოუდგენელია, ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა. უკვე 15 წელზე მეტია, აფხაზეთის სტატუსზე ლაპარაკობენ, მაგრამ ორივე მხარემ კარგად იცის, რომ ეს დროის ფუჭად ხარჯვაა. საქართველოს ხელისუფლებაში კარგად იციან, რომ აფხაზეთი მათ საზღვრებში საკუთარი სურვილით არ დაბრუნდება; თავის მხრივ, აფხაზეთის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ თბილისი მის დამო-

თავს. ასე რომ, ეს ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ იდეის დონეზეა და არ მგონია, განხორციელდეს.

— **სეპარატისტებთან პირდაპირ დიალოგის საჭიროების შესახებ ევროკავშირიც აქტიურად ალაპარაკდა. ეს არაფერს ნიშნავს?**

— რაც უფრო მეტი გავლენიანი ორგანიზაცია დაელაპარაკება აფხაზ სეპარატისტებს, მათი ამბიციები მით უფრო გაიზრდება და ქართულ მხარესთან პირისპირ დიალოგის სურვილი დაეკარგებათ. თანაც, მე პირადად, ვერ ვხედავ, რომ ევროკავშირი აფხაზეთს ან რუსეთზე სერიოზულ ზეწოლას ახორციელებდეს. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კარგად დაგვანახა, რომ მთელი დასავლეთიც და ევროკავშირიც რუსეთს იმაზე მეტად უწევენ ანგარიშს, ვიდრე ამას აღიარებენ. გამოდის, რომ ამ ქვეყნებისთვის რუსეთთან კარგი ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანია. დიას, ხშირად გვესმის მათი მხრიდან რუსეთის კრიტიკა, ზოგჯერ — მკაცრიც, მაგრამ ეს, დიპლომატიის ერთ-ერთი ელემენტია, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში, ევროპული ქვეყნები კარგად იყენებენ.

— **რის სანაცვლოდ შეიძლება წამოვიდეს რუსეთი კომპრომისზე და რამდენად მისაღები იქნება ეს ქართული მხარისთვის?**

— ძნელი სათქმელია. იქ ახლა ძალიან რთული სიტუციაა. ეს კონფლიქტი ფაქტობრივად, ჩიხშია შესული. თუნდაც იმიტომ, რომ აფხაზეთის საკითხი ორი ქვეყნის ლიდერისთვის პირადი ღირსების საქმეს წარმოადგენს: სააკაშვილსაც და პუტინსაც (ჯერჯერობით, რეალური მმართველი სწორედ ისაა) დიდ პოლიტიკაში გავლენიანი ლიდერების ამბიციაც აქვთ და კომპრომისზე წასვლა გაუჭირდებათ, თუნდაც ეს ქვეყნის სასიკეთოდ იყოს მიმართული. თანაც რუსეთი ძალიან გააღიზიანა კოსოვოს ფაქტმა, როცა ამერიკამ მისი აზრი არც კი გაითვალისწინა. ახლა რუსეთი ცდილობს, ამერიკის მოკავშირე ქვეყანას სამაგიერო მიუზღას. თითზე იხვევს აფხაზეთის თემას და ამით, თავისი გავლენის დემონსტრირებას ახდენს.

— **და ბოლოს: როგორც თავისუფალი ქვეყნის წარმომადგენელი, როგორ ფიქრობთ — რამდენად თავისუფალია ქართული მასმედია?**

— საქართველოში ძირითადად, „საადვოკატო ჟურნალისტიკაა“, რაც ერთი მხარისგან მეორის დაცვას გულისხმობს — ანუ, თუ ჟურნალისტების ერთი გუნდი კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ კომპრომატებს მოიპოვებს, მათი კოლეგები ცდილობენ, ცოტა ხნის წინ მხილებული ადამიანის სასარგებლოდ, ტელევიზი-

უეტი გაუშვან ეთერში ან სტატია გამოაქვეყნონ. აქვე ვიტყვი, რომ ეს საკმაოდ ნორმალური მოვლენაა. დაახლოებით ამგვარი ტენდენციები ახასიათებდა ამერიკულ მასმედიას XIX საუკუნეში...

— **არა მგონია, ეს შელავათი იყოს ჩვენთვის: ახლა ხომ XXI საუკუნეა!**

— მერე რა?! თუნდაც XX საუკუნეში, ამერიკული გაზეთების უმეტესობა ტენდენციური იყო. მართალია, ქართული მასმედია იდეალურისგან შორსაა, მაგრამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, ის დემოკრატიის ხარისხით ნამდვილად გამოირჩევა. თუნდაც საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო ატეხილი ხმაური ავილოთ: მისასაღმებელია, როცა „ბორდზე“ გავლენის მოსაპოვებლად ასეთი ბრძოლა იმართება და საზოგადოება დაინტერესებულია, რომ ინფორმაციის ობიექტურად მომწოდებელი ტელევიზია ჰყავდეს. ქართული მასმედია ბევრად თავისუფალია სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის და თუნდაც ცენტრალური აზიის საინფორმაციო საშუალებებზე. ამ მხრივ მეტი წარმატებები აქვს უკრაინულ მასმედიას, რომლის დემოკრატიულ მოხმის ხარისხს მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრავს...

**არ გაპოპრჩეთ იპნოსის ნოჰერი!**

**თქვენ სოჰ გამოვნებანი აკითხვალნი ბრჰანდაბით...**

## „ჰონდას“ სუპერავტო

ფოტოგრაფებმა სუპერავტოს — Honda NSX — ფირზე აღბეჭდვა მოახერხეს. ეს გერმანული ნიურბურგრინგის ტრასაზე მანქანის ტესტირებისას მოხდა. წინა Honda NSX-ისგან განსხვავებით, რომელსაც მოტორი შუაში ჰქონდა, ახალი თაობის ავტომობილის ძრავა



წინ იქნება მოთავსებული. მანქანა იაპონური მარკის — SH-AWD — საფირმო სრულამძრავიანი სისტემით აღიჭურვება. მას 10-ცილინდრიანი, 450-500 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავას დაუმონტაჟებენ. ამ ავტომობილის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია ჯერ-ჯერობით არ ვრცელდება. ადრე იუწყებოდნენ, რომ ახალი თაობის Honda NSX-ის დებიუტი 2010 წელს შედგებოდა. უცნობია ისიც, თუ რომელ ქვეყნებში გაიყიდება იგი, თუმცა ერთ-ერთ პრიორიტეტად აშშ-ის ბაზარი აუცილებლად იქცევა.



## „მასერატის“ სპორტული სედანი

კომპანიამ — Maserati — ოფიციალური ინფორმაცია და ფოტოები გაავრცელა განახლებული სპორტული სედანის — Quattroporte — შესახებ. ძირითადი ცვლილებები ავტომობილის გარეგნობას შეეხო. მას განსხვავებული რადიატორის ცხაური და ახალი წინა ბამპერი, აგრეთვე შეცვლილი წინა და უკანა მაშუქები და უკანა ხედვის სარკეები აქვს. განახლებული სედანი — Maserati Quattroporte — 400 ცხ.ძ. სიმძლავრის 8-ცილინდრიანი, 4,2-ლიტრიანი ბენზინის ძრავით იქნება აღჭურვილი. ეს მოტორი წინამორბედ ავტომობილზე აყენია. არავითარი

ცვლილება მას არ შეეხება. გარდა ამისა, სიახლისთვის გათვალისწინებულია უფრო

მძლავრი მოდიფიკაცია — S. ასეთი მანქანა 430 ცხ.ძ. სიმძლავრის, V8 ტიპის, 4,7-ლიტრიანი ძრავით დაკომპლექტდება, რომლითაც აღჭურვილია კუპე — GranTurismo S. ორივე მოტორი ექვსსაფეხურიანი, ავტომატურ გადაცემათა კოლოფით იმუშავებს, რომლის მართვაც საჭის ქვემოთ მოთავსებული სახელურით იქნება შესაძლებელი. ახალი ავტომობილისთვის შეიცვლება ინტერიერიც. Maserati Quattroporte-ს რეალიზაციის დაწყება მიმდინარე წლის სექტემბრისთვისაა დაგეგმილი. მისი ფასი ჯერჯერობით უცნობია.



## Beetle-ის ახალი თაობა



კომპანია Volkswagen მოდელის — Beetle — ახალი თაობის შექმნას შეუდგა, რომლის სერიული გამოშვების დაწყებაც 2011 წლისთვის იგეგმება. ასეთი ავტომობილი არა მარტო ჰერბეისა და კაბრიოლეტის ძარათი გამოვა, როგორც Beetle-ს ამჟამინდელი ვერსია, არამედ კომპაქტური კროსოვერისა და როდსტერის სახითაც. ახალი თაობის VW Beetle აინცობა Golf V-ის პლატფორმაზე, ხოლო მისი დიზაინი სავარაუდოდ, კონცეპტ-ავტოს — Up — სტილში შესრულდება. ამ ავტომობილების გამოშვება მექსიკის ქალაქ პუებლაში მდებარე „ფოლკსვაგენის“ ქარხანაში იგეგმება. შეგ-

ახსენებთ, რომ კომპაქტური კროსოვერის პირველი პროტოტიპი, რომელიც Beetle-ს ბაზაზე შეიქმნა, 2000 წელს იყო წარმოდგენილი. ხუთი წლის შემდეგ, კიდევ ერთი კონცეპტ-ავტოს დებიუტი შედგა, რომელიც კაბრიოლეტის — VW Beetle — ბაზაზე ააწყვეს. ამ მანქანას Ragster უწოდეს. იგი საბაზო ვერსიისგან მყარი სახურავით განსხვავდება, რომლის ცენტრალურ ნაწილში ლიუკია დატანებული. ზოგიერთი სტილისტური თავისებურება სავარაუდოდ, Beetle-ის ახალი თაობის როდსტერისა და კროსოვერისთვისაც იქნება გათვალისწინებული. ■

## Lancia-ს ახალი სპორტავტო

კონცერნი Fiat Group 2011 წლიდან Lancia-ს მარკის ახალი სპორტული კუპეს გამოშვებას გეგმავს, რომელიც მოდელების — Stratos და Beta Montecarlo — იდეოლოგიურ მემკვიდრედ უნდა იქცეს. კომპანია „ლანჩის“ თავკაც ოლივიე ფრანსუას თქმით, ახალი სპორტული მანქანის კონცეპტუალური ვერსია მომავალი წლის მარტში ჟენევის მოტორშოუზე იქნება წარმოდგენილი. სავარაუდოდ ტექნიკური მაჩვენებლების, ფასისა და

გაყიდვის დაწყების თარიღის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. Lancia Stratos-ისაგან განსხვავებით, სიახლე რბოლებში მონაწილეობას არ მიიღებს და მას მხოლოდ საგზაო ვერსიად გამოუშვებენ. ამასთანავე, იგი შეზღუდული ტირაჟით გამოვა. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2009 წელს ჟენევის ავტოსალონზე ასევე შედგება Lancia Aurelia-ს ახალი კაბრიოლეტის პროტოტიპის დებიუტი. წინასწარი ინფორმაციით,

ასეთი ავტომობილი Maserati Grand-turismo-ს პლატფორმაზე აინცობა და უკანამძრავიანი იქნება. ის რვაცილინდრიანი ბენზინის ძრავით აღიჭურვება. გარდა ამისა, იტალიურმა მარკამ კიდევ ერთი მოდელის მონაცემები დაამტკიცა. ესაა კომპაქტური ავტომობილი, რომელიც Lancia-ს სამოდულო რიგში ერთი საფეხურით ქვევით იქნება ჰერბეის — Delta — შემდეგ. ■

## მთვრალი ნურს ინვალიდის სავარძელში ჩაჯდებით...

რამდენიმე დღის წინ ავსტრალიის პოლიციამ 64 წლის მოქალაქე ნასვამ მდგომარეობაში ინვალიდის სავარძლის მართვისას დააკავა. ეს კუინსლენდის შტატში ერთერთ გზატკეცილზე მოხდა. ხანში შესული მოქალაქე

ინვალიდის მოტორიზებული სავარძლით 14 კმ-ის დაფარვას ცდილობდა და თურმე სტუმრად მეგობართან მიემართებოდა. მა-




გრამ მას ტრასაზე მოძრაობისას ჩაეძინა. მძინარე ინვალიდი პოლიციელმა შენიშნა. სიფხიზლის ხარისხის შემომწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მოძრავი სავარძლის მფლობლის სისხლში ალკოჰოლის შემცველობა დასაშვებ ნორმას ექვსჯერ აჭარბებდა. ამჟამად ის სასამართლოს გადამწყვეტილებას ელოდება, რომელიც 7 ივლისს შედგება. სამართალდამცავმა კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ავსტრალიის კანონების თანახმად, ნასვამ მდგომარეობაში მოძრაობისთვის არა მარტო მსუბუქი მანქანების, სატვირთოებისა და ავტობუსების მძღოლებს სჯიან, არამედ ველოსიპედისტებს, ცხენოსნებსა და მოძრავ სავარძლებში მსხდომ ინვალიდებსაც. ■

**აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად**  
**ინტერნეტ მაღაზია**  
**www.elva.ge**  
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფაზი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

პრების გარეცვლების სააგენტო  
**ELVA**  
 ქ. აბილია  
 თბილისის ქ. № 49  
 ტელ: 42-43-40;  
 38-26-73; 38-26-74.  
 ფაქსი: 38-26-74  
 E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები



					1 ლაბორატორიული ჭურჭელი	2 საფრანგეთის ფეხბურთის გუნდი			3 თვალის ნაწილი		4 კვლევაში ნახული სკულპტურა	5 ვისამე ზუსტი მიბაძევა
											6 ნიკარაგუის დედაქალაქი	
					7 სამხედრო ხროვა							
									8 ქალაქი სა- ქართველოში			
					9 სამშობ- ლოდან სხვა ქვეყანაში გადასახლება			10 ... კანავარი		11 ასი კილოგრამი		
						12 ამერიკელი ტომოძელის კარმენ ...		13 ვალის წინდი			14 ფულის ერთეული იაბონიაში	
	15 საჭიდაო ხალიჩა		16 მორალი, ზნეობა		17 ფულის ერთეული უნგრეთში							
			18 ხეებით დაფარული ფართობი					19 გეომეტრიუ- ლი ფიგურა				
	20 ბრტყელი თევზი		21 ავღანეთის პრეზიდენტი						22 მდინარე საქართვე- ლოში		23 მუს. ნოტი	24 „სუბუკის“ მოდელი
								25 დინამიტის გამომგონე- ბელი				
26 კუნძული სმელოტამუა ზღვაში			27 ესპანეთის ფეხბურთის გუნდი		28 ინგლისელი ფეხბურთელი							
29 კორეული ავტომობილი		30 მუს. მი- მდინარეობა						31 ცხენის ჭენება				
32 ძაღლის ჯიში												
33 დეკემა		34 მომღერალი ... ბეგა			35 თხელი ტალახი							36 ვარდობის თვე
37 მეფველ კურთხევის ცერემონია												
38 თავისუფალი ფორმის ნარკვევი												
39 სასწორის თეფში	40 კამათი, პაექრობა	41 გოირგი დაწეილის ფილმი										



წინა ნომრის სკანოკრიდის პასუხები

1. მაჭანკალი; 2. ჭავჭავაძე; 3. ივ; 4. კავლი; 5. რევოლვერი; 6. ჭვალი; 7. რალი; 8. ალენი; 9. ბაქია; 10. ჯაგარტა; 11. კვოტა; 12. კაჟი; 13. რესორი; 14. ბონზა; 15. მესი; 16. ბრომი; 17. ამბიცია; 18. რიფი; 19. ძაკარდო; 20. აიაზმა; 21. მედრესე; 22. ხევი; 23. სლაი; 24. ბისკვიტი; 25. იენა; 37. ლავა; 38. რეპტილია; 39. სეტი; 40. ჯინი; 41. ლიბია.

სურათებზე: მერაია კერი; სანტანა.

# სიყვარულის ასაკი

ყოველთვის საინტერესოა იმის ცოდნა, თუ როგორ ადამიანია თქვენი რჩეული. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, როცა ურთიერთგნობის პირველი ქარიშხალი ჩაცხრება, უპასუხეთ ამ ტესტის შეკითხვებს და თქვენ შეიტყობთ, მამაკაცთა რომელ ტიპს განეკუთვნება თქვენი რჩეული.

## 1. რას თამაშობს?

- ა) ელექტროთამაშებს;
- ბ) სასმელთა და პორნოფილმებით იქცევა თავს;
- გ) ბილიარდს;
- დ) დადის დოღზე.

## 2. მის სახლში:

- ა) ელექტროხელსაწყოების სიმრავლე იგრძნობა;
- ბ) უამრავი სასმელი და პორნოკასეტა;
- გ) უამრავი საოჯახო ინვენტარია;
- დ) უამრავი, ყოველად გამოუსადეგარი, მაგრამ ძალზე ორიგინალური ნივთია.

## 3. რისი კოლექცია აქვს?

- ა) კომპიუტერული თამაშების;
- ბ) თაყვანისმცემლების ქვედა საცვლის;
- გ) სპირტიანი სასმელების და ლუდის კაბების;
- დ) ანტიკვარული ნივთების.

## 4. დილაობით ფინჯანი ყავის სმის დროს რას კითხულობს?

- ა) კომიქსებს;
- ბ) პორნოგრაფიულ ნაწარმებს;
- გ) ბიზნესსიახლეებს;
- დ) მაღალი საზოგადოების ქრონიკას.

## 5. სად ისვენებს?

- ა) საქართველოს ზღვის კურორტებზე;
- ბ) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ან კუბაში;
- გ) უმეტესწილად თურქეთში ან ეგვიპტეში;

დ) ევროპის საუკეთესო კურორტებზე.

## 6. რომელი ჟანრის მუსიკას უსმენს?

- ა) „ტექნოს“;
- ბ) როკს;
- გ) მელოდირ პოპის ან ინსტრუმენტულ კრებულებს;
- დ) ჯაზს ან კლასიკას.

## 7. სად სძინავს?

- ა) კომპიუტერის სავარძელში თუ პატარა დივანზე;
- ბ) ვეებერთელა, გასაშლელ დივანზე;
- გ) ორადგილიან იტალიურ სანოლში;
- დ) ორთოპედიულ სანოლში.

## 8. მისი გამოსავლელი კოსტიუმი:

- ა) ბოტასი, ჯინსი და სპორტული მაისური;
- ბ) ჯინსი და ტვიდის პიჯაკი;
- გ) კლასიკური, იტალიური ტიპის კოსტიუმი.
- დ) სმოკინგი, ფრაკი.

## 9. რომელი სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობს?

- ა) დადის ფეხით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით;
- ბ) ტაქსით ან მამამისის ჯიპით;
- გ) ხშირად იცვლის უცხოურ ავტომობლებს;
- დ) საკოლექციო „როლს-როისით“.

## 10. რაზე ოცნებობს?

- ა) საკუთარ ჯიპზე;
- ბ) ინდივიდუალურ ჰარამხანაზე, რომელსაც საკუთარი თვითმფრინავით გამუდმებით თან ატარებდა;
- გ) საოკეანო იახტაზე;
- დ) საკუთარ კუნძულსა და ციხესიმაგრეზე.

## 11. მაცივარში აქვს:

- ა) „მაკდონალდის“ ჰამბურგერები;
- ბ) ლუდი, ზეთისხილი და სოსისი.
- გ) უამრავი უგემრიელები სასუსნავი;
- დ) მხოლოდ დელიკატესები.

## ტესტის შედეგები

თუკი თქვენ 7-ჯერ ან უფრო მეტჯერ აირჩიეთ პასუხის „ა“ ვარიანტი, მაშინ თქვენი მეგობარი — „თინეიჯერი“. ის ჯერ კიდევ თავად საჭიროებს მეურვეობას, მხარდაჭერასა და მზრუნველობას, ასე რომ ყოველივე ამას თქვენ ვერ შემოგთავაზებთ. მაგრამ არ ინაღვლოთ — მასთან ყოველთვის გრძნობ, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის. მის საზოგადოებაში ყოფნისას არასოდეს მოინწყნ. ის საოცრად მხარულია და ზოგჯერ ეიფორიაშიც კი ვარდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავის საიტზე ვირტუალური პარტნიორის მიერ გამოგზავნილ წერილს აღმოაჩენს ხოლმე. საკმაოდ რბილად მოეუყარით მას და ნუ იქნებით მეტისმეტად მომთხოვნი. მასთან საურთიერთოდ საუკეთესო პრინციპია: „ოღონდ ბავშვმა არ იტიროს და რითიც უნდა შეიქცეოს თავი“. მაგრამ თუკი თქვენ მიიჩნევთ, რომ დედის როლში ყოფნა არ გაკმაყოფილებთ, დროა, საფუძვლიანად დაფიქრდეთ.

თუკი თქვენ 7-ჯერ ან უფრო მეტჯერ აირჩიეთ პასუხის „ბ“ ვარიანტი, მაშინ თქვენი მეგობარი — „მარადიული ყმანვილია“. ის საკმაოდ ცნობისმოყვარეა, უყვარს რისკი და მძაფრი შთაბეჭდილების განცდა. თუკი ცხოვრებაში პრობლემები ისედაც საკმაოდ გაქვთ და არც მძაფრი შეგრძნებების ნაკლებობას უჩივთ, მაშინ ჩათვალეთ, რომ ამ ტიპის მამაკაცი თქვენ არ შეგეფერებათ.

თუკი თქვენ 7-ჯერ ან უფრო მეტჯერ აირჩიეთ

პასუხის „გ“ ვარიანტი, მაშინ თქვენი მეგობარი — „მამიკოა“. ის დარწმუნებულია საკუთარ თავში და ცხოვრებაში უკვე ბევრსაც მიაღწია. მას შეუძლია თქვენზე ზრუნვა და ამასთან, საოცრად პრაქტიკულია. ოღონდ გაფრთხილებთ, არ ეცადოთ მის მეურვეობას, დედობრივი მზრუნველობის გამოვლენასა თუ მასზე მბრძანებლობას: წინასწარ იცოდეთ, რომ მასთან ეს არ გაგივათ. მოდუნდით და „შეილიკოს“ როლს დასჯერდით. თუკი თქვენ 7-ჯერ ან უფრო მეტჯერ აირჩიეთ პასუხის „დ“ ვარიანტი, მაშინ თქვენი მეგობარი — „ბაბუაა“. გიხაროდეთ, თქვენ ძალზე გაგიმართლათ. არანაირი პრობლემები და საზრუნავი, ამასთან — უამრავი საჩუქარი. ის საკუთარ თავზე აიღებს ყველანაირ საზრუნავს და თავადვე მოაგვარებს ყველაფერს, რადგან ზურგს უკან კოლოსალური ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს და კარგად იცის, როგორ უნდა ასიათონოს ქალს. მან იცის ცხოვრების გემო და სათანადოდ აფასებს კიდევ მას.

თუკი თქვენს პასუხებში სხვადასხვა ვარიანტი თანაბრად დომინირებს, მაშინ თქვენი მეგობარი ყველა ზემოთაღწერილი ტიპის თვისებების მატარებელია. დილაობით, ის „თინეიჯერი“, სადილობისას — „მარადიული ყმანვილი“, საღამოობით — „მამიკო“, ღამისაობით კი — „ბაბუა“. თუმცა, შესაძლოა, ყველაფერი საპროსპერო თანამიმდევრობითაც იყოს. ყოველ შემთხვევაში, მისგან ყველაფერს უნდა ელოდეთ. სწორედ ამაშია მისი მომთბლაობა!



# ჰოროსკოპი

(26 ივნისი - 2 ივლისი)

**ცეცხლი:**

ეცადეთ, თავი აარიდოთ კონფლიქტებს როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას. ნუ აჩქარდებით და მხოლოდ ახლობელი ადამიანების რჩევა გაითვალისწინებთ.

**კუჩხი:**

ახალი ნაცნობობა პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებათ. კარგი დროა როგორც საქმიანი, ისე დასვენებისთვის განკუთვნილი მოგზაურობებისთვის. ინიციატივა გამოიჩინეთ და წარმატებას მიაღწევთ.

**წყვიტი:**

ამ კვირაში თქვენი ავტორიტეტი გაიზრდება. გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მფარველობას გაგიწევენ და საქმეების სწრაფად მოგვარებაში დაგეხმარებიან. მიენდეთ საკუთარ ინტუიციას.

**კირჩხიბი:**

ამ კვირაში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი გაიზრდება. პარტნიორების კრიტიკას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, თამამად იმოქმედეთ. სასიყვარულო ურთიერთობაში წარმატება გელით.

**დობი:**

თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, საქმეები გვერდზე გადადეთ და ბუნების ნიაღში, ოჯახის წევრებთან ერთად დაისვენეთ. ნაკლები ილაპარაკეთ და ეცადეთ, საიდუმლო ინფორმაცია არ გათქვათ.

**შაბდუნი:**

გაუთვალისწინებლმა მოვლენებმა შესაძლოა, გეგმები შეცვალოთ. ამ კვირაში მნიშვნელოვან ხელშეკრულებებს ნუ დადებთ. საყვარელი ადამიანი მხარში ამოგიდგებათ, გაგამხნევენ და დაგეხმარებათ.

**სახსრობი:**

ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმეთ და საქმიან საბუთებს მხოლოდ ამის შემდეგ მოაწერეთ ხელი. გელით რომანტიკული თავგადასავალი. უქმე დღეები საყვარელ ადამიანს და დასვენებას დაუთმეთ.

**ვირჯი:**

თუ არ გინდათ, თავი მიტოვებულად იგრძნოთ, ამპარტავნება დაივიწყეთ და პირველი ნაბიჯი გადადგით. შესაძლოა, ადრე დაშვებულმა შეცდომებმა თავი შეგახსენოთ და მათი გამოსწორება მოგიხდეთ.

**ფშვიდდოსახი:**

მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანს. სიფრთხილე გმართებთ ფულთან მიმართებაში, რადგან არსებობს ქურდობის საფრთხე. ნერვული დაძაბულობა შესაძლოა, ავადმყოფობის მიზეზი გახდეს.

**თხილ წაბი:**

ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, კვალიფიციური მკურნალობისთვის საჭირო თანხას ნუ დაზოგავთ. პირად ცხოვრებაში უსიამოვნების მიზეზად შეიძლება, ყოფილი შეყვარებული იქცეს.

**ფაჩხუდი:**

დინჯად იმოქმედეთ და ეცადეთ, საკუთარი იმპულსურობა მოთოკოთ. დაშვებული შეცდომები არა მარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ ტრავმებსაც გიქადით. უქმე დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

**თიფხაბი:**

ძვირად ღირებული ნივთების დაუფიქრებლად შექენა შესაძლოა, მატერიალური პრობლემების მიზეზი გახდეს. კარგი იქნება, თუ ყველაფერს სამომავლოდ გადადებთ და დასასვენებლად გაემგზავრებით.

**იაკონური სენსაცია**  
**სუდოკუ**  
**წინა ნომრის სუდოკუს პასუხები**

6	7	3	5	9	4	2	1	8
2	9	8	3	7	1	5	4	6
1	4	5	6	8	2	3	7	9
8	3	2	9	1	5	7	6	4
9	6	1	4	2	7	8	3	5
7	5	4	8	6	3	9	2	1
4	2	7	1	5	8	6	9	3
5	1	9	7	3	6	4	8	2
3	8	6	2	4	9	1	5	7
6	4	2	7	1	8	3	5	9
7	9	5	2	3	4	8	6	1
3	8	1	9	6	5	7	4	2
1	2	6	4	9	3	5	7	8
9	5	8	6	7	1	2	3	4
4	7	3	5	8	2	9	1	6
5	6	4	8	2	7	1	9	3
2	1	9	3	5	6	4	8	7
8	3	7	1	4	9	6	2	5
7	3	9	2	8	6	5	4	1
1	8	2	5	3	4	6	7	9
6	5	4	7	1	9	8	3	2
9	6	5	1	7	3	2	8	4
3	4	1	9	2	8	7	5	6
2	7	8	6	4	5	1	9	3
5	9	7	3	6	2	4	1	8
4	2	3	8	5	1	9	6	7
8	1	6	4	9	7	3	2	5

**\* მარგივი**

		7	3
4		2	9
8		9	5
2		5	7
	1	3	4
	7	4	6
9		6	2
	8	7	1
3		5	


**\*\* სამუქალო**

7	4	8	3	2
	6		7	8
	1	5	6	9
2			3	4
	9	8	1	5
	7		9	8
	9	5	4	8
	4	3		5
5	6	1	4	7

**\*\*\* როტული**

	4	9	8	6	1
		5		3	9
7	6			4	5
4	1	3			8
	3		2	1	7
5		6		3	1
	7	4			3
	4	5			8
3	6	1	2		5

# ყოველკვირის სიხარული



# ბეაუმონდი

BEAUMONDE

ნოემბერი 2016  
შანი 5 ლარი

**კერო**  
I JAST CARRY ON

ავტოგრაფი  
ცხოვრებას  
ქეთათოსგან

ქაიხურა სავიცკი  
რაფსოდია ბლუზის  
ტონაგუი

ქაიხურა:  
პარკინა  
ნიჩიკაშვილი

ირმა გიგანი  
11 წლის სეზონი

თამაზ ჭილაძე  
ვინს საკუთარი  
თავი შეიხნო

**NATA MERKULOVA**

BEAUTY & FASHION 60/70

დავით სულიკაშვილი, SPRING/SUMMER

SPECIAL PROJECT BY G. REGINI  
ROBERTO BRAVO - EXCLUSIVE



ივნისში წასაკითხი ჟურნალი